ძველი ქართული სამართლის თანახმად, შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს ორი ხელისუფლება მართავდა, საერო და სასულიერო. ამიტომ ქვეყანას ორი უზენაესი ხელისუფალი, ანუ ხელმწიფე ჰყავდა. საქართველოში საერო და სასულიერო ხელისუფლების არსებობა სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს საქართველოში ორხელისუფლებიანობა იყო, არა! სახელმწიფო შედგებოდა ორი პრინციპულად განსხვავებული ფუნქციის მქონე ხელისუფლებისაგან და ისინი ერთმანეთს ავსებდნენ, ანუ აძლიერებდნენ (7, 42).

ორი ხელისუფლების წარმატებული თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნიმუში იყო მწიგნობართუხუცესად ჭყონდიდელის მოღვაწეობა. აკად. ი. დოლიძის აზრით XII საუკუნემდე საქართველოს მეფე ,,სამღვდელოების წინაშე ჯერ კიდევ უძლური იყო". ქვეყანაში ეპისკოპოსებსა და სამღვდელოებას ეჭირათ გაბატონებული მდგომარეობა (5,45). სწორედ ამიტომ მიაჩნდა ივანე ჯავახიშვილს, რომ დავით IV-მდე, განსაკუთრებით IX-X საუკუნეებში სამღვდელოება საქართველოში სრული ბატონი იყო და საერო მთავრობაზე მაღლა ეჭირა თავი.

ეკონომიკური შეძლება და სოციალური იერარქიის საფეხურზე მაღლა დგომა, როგორც ყველა დროში, ბუნებრივია ფეოდალურ საქართველოში წამყვან პოზიციებზე იყო. საერო და სასულიერო ხელისუფლების მაღალ ეშელონებში დიდგვარიანები დაწინაურდნენ. ამდენად, თანამდებობას ანუ დიდებას იკავებდნენ არა მცოდნე და ღირსეული მამულიშვილები, არამედ მდიდარი დიდგვაროვანი არისტოკრატია. ძირითადად დიდებულ ფეოდალთა ხელში აღმოჩნდა საყდრები, ეკლესიები, საეპისკოპოსოები და ა.შ.

IX-X საუკუნეები ის ხანაა საქართველოს ისტორიაში, როდესაც ერთიანი სამოქალაქო ხელისუფლება მთელი საქართველოს მასშტაბით ჯერ არ არსებობს, ხოლო ერთიანი საეკლესიო ხელისუფლება მთელ საქართველოში ვრცელდება. ამიტომაც თანდათანობით საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის დაპირისპირება მძაფრდება (8, 308-309).

ბიზანტიაში იმპერატორის ხელისუფლებამ X საუკუნიდან მკვეთრად მიიღო გარეგნული ნიშნებით თეოკრატიული ხასიათი, საქართველოში კი ასეთი რამ არ ყოფილა. მეფის უზენაესი ხელისუფლების შესახებ ქართული თეორიული თვალსაზრისი ძირითადად ბიზანტიური სისტემის ანალოგიურია, ქართველ მეფეს ყველა სფეროში, მათ შორის ეკლესიაშიც, უმაღლესი სუვერენული უფლება უნდა სჭეროდა. ასეთი იყო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ზოგადი თეორიული გადაწყვეტა საქართველოში (4, 105).

ქვეყნის გამაერთიანებელ ძალებს, მეფის ხელისუფლებას სჭირდებოდა ერთიანი, ძლიერი ეკლესია. ქრისტიანული რწმენა უნდა იყოს შეუბღალავი და ძლიერი, მან უნდა შეძლოს სხვა იდეოლოგიათა შემოტევის მოგერიება. აღნიშნულ ეპოქაში სწორედ პოლიტიკური მომენტი უწყობს ხელს ეკლესიის გაძლიერებას და ქართული ეკლესიაც უმაღლეს საფეხურზეა (5, 103). დღემდე მოღწეული მასალა მხოლოდ საეკლესიო იმუნიტეტს შეეხება. თუმცა სხვა ქვეყნებშიც ასეა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ საერო ფეოდალებს, როგორც ჩანს, არ სჭირდებოდათ სპეციალურად გაცემული საიმუნიტეტო პრივილეგიები, ისინი ისეც სარგებლობდნენ ამ უფლებებით (9, 186).

ეკლესიის მოკავშირეობის ბრძოლის პროცესში ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელოვან გამარჯვებად ჩაითვლება პატრიარქობის დაწესება (XI საუკუნის 20-იან წლებში პირველი პატრიარქი მელქისედეკი). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ნაბიჯით ეკლესიის დემოკრატიზაციის ცდებს, განსაკუთრებით XI საუკუნეში (6, 55).

პატრიარქობა გაერთიანებულ ქართულ მონარქიას ესაჭიროებოდა თავისი სრული პოლიტიკური სუვერენიტეტის დასადასტურებლად საერთაშორისო ასპარეზზე. მაგრამ

საქართველოს გაერთიანება საბოლოოდ ვერ დასრულდებოდა, თუ ეკლესიაც, ეს დიდი ფეოდალური ძალა მონარქიას არ დაექვემდებარებოდა.

ივ. ჯავახაშვილის აზრით, საქართველოში რეფორმაციული მოძრაობის ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენდა გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გამოდის აქტიური რეფორმატორის როლში, მოითხოვს, რომ ეპისკოპოსად აკურთხონ მხოლოდ ბერები, რომ შეიზღუდოს მეფის ერთპიროვნული უფლებები საეპისკოპოსო კანდიდატების შერჩევის და კურთხევის დროს. გიორგი მთაწმინდელი ცდილობდა დაერღვია ქართული სამღვდელოების არისტოკრატიული ტრადიციები და თავად აკურთხებდა სასულიერო პირებად დაბალი ფენის წარმომადგენლებს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, გიორგი მთაწმინდელმა შეძლო შეერყია ქართული ეკლესიის ტრადიციული წყობა, რომელიც დამყარებული იყო წოდებრივ პრინციპებზე და ფეოდალურ ინსტიტუტებზე, შეეცადა პრიორიტეტი მიენიჭებინა პირადი ღირსებებისათვის და არა ჩამომავლობითი პრინციპებისათვის (1, 212).

XI საუკუნის შუა ხანებიდან საქართველოში კრიმინოგენული ვითარება რადიკალურად იცვლება. გახშირდა სისხლისა და სამოქალაქო ხასიათის დანაშაული. შეირყა ოჯახის სიმტკიცე. გახშირდა ოჯახის დანგრევის შემთხვევები. ქვეყანაში კორუფციამ მოიკიდა ფეხი. ადგილი ჰქონდა საეკლესიო თანამდებობების ქრთამის გადახდით მოპოვებას, რაშიც საქართველოში ჩამოსულმა გიორგი მთაწმინდელმა თვით მეფე – ბაგრატ IV ამხილა. აღნიშნულ პროცესებს ხელი შეუწყო თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა, ხოლო გიორგი II-ის მეფობის პერიოდში კულმინაციას მიაღწია (3, 8-9). სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის შეფასება წარმოუდგენელია წარსულის გამოცდილების გათვალისწინების გარეშე, რა როლი ჰქონდა ეკლესიას საუკუნეების მანძილზე და რა ცვლილება განიცადა მან სხვადასხვა პერიოდში, ან როგორი უნდა იყოს დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ფუნქცია და მისია. ეს არის კითხვები, რომლებიც მთელი სიმწვავით დგას, მაგრამ გადაწყვეტილი კი არ არის. პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვანი იქნება წარსულის გამოცდილებისა და დღევანდელი ვითარების შედარება, ძველის გათვალისწინება და ახლის ფორმირება ქართული ტრადიციების ფონზე. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის შეფასება და შესწავლა ნებისმიერ ეტაპზე არც ისე მარტივია, პირიქით, რადგან ეს კავშირი საუკუნეების მანძილზე გარკვეულ ცვლილებას განიცდიდა და ევოლუციის თავისებურ გზას გადიოდა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მართლმადიდებელი ეკლესიის როლს და მისიას ქართველი ერის ისტორიაში.

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**


1. აბაშიძე ზ., საქართველოს ეკლესიის ისტორიოგრაფია, კრ. ,,საქართველოს ისტორიის კათედრა“ (1918-2005), თბ., 2010.
2. ბერბიჭაშვილი გ., ქრისტიანობა და სახელმწიფო, ტ. IV, თბ., 2007.
3. გაბიძაშვილი ე., რუის ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978.
4. გოილაძე ვ., ათასწლოვანი სვეტიცხოველი, თბ., 2011.
5. დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.
6. პიერ დიუმულენი, პატრიარქატი, ჟურნალი ,,დიალოგი“, 2008, №1-2
7. რატიანი ზ., სახელმწიფოს ორი ხელისუფლება, ,,II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები“, თბ., 2005.
8. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. II, თბ., 2012.
9. სოსელია ო., ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966.

**გიორგი გიგუაშვილი**
სამართლის დოქტორი,
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი,
მოწვეული პედაგოგი
**Giorgi Giguashvili**
Doctor of Law,
International Teaching University of Georgia,
Invited Teacher

# კაპიტალური ტიპის სამეწარმეო საზოგადოებებში პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და მისი გაჭოლვის ეკონომიკურ-სამართლებრივი საფუძვლები

# Economic and Legal Grounds for Restricting the Responsibility and its Piercing in Capital-type Entrepreneurial Societies

**რეზიუმე:** კაპიტალური ტიპის სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთა პასუხსიმგებლობის შეზღუდვას სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებებისათვის თითქმის ორი საუკუნის ისტორია აქვს. სწორედ აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ქვაკუთხედს. ამასთანავე, გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლებელია კონკრეტული კაზუსიდან გამომდინარე სასამართლომ, მოახდინოს კორპორაციული საფარველის გაჭოლვა. აღნიშნული თავის მხრივ, იწვევს საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობას, იმგვარად, თითქოს საზოგადოების მოქმედება წარმოადგენდა პარტნიორის მოქმედებას. სწორედ ზემოაღნიშნული განაპირობებს წინამდებარე სტატიის აქტუალურობას. კერძოდ, სტატიაში წარმოდგენილია კაპიტალური ტიპის სამეწარმეო საზოგადოებებში შეზღუდული პასუხისმგებლობისა და მისი გაჭოლვის ეკონომიკურ-სამართლებრივი საფუძვლები. შედეგად, წინამდებარე სტატია დაეხმარება ეკონომიკურ აქტივობებში მონაწილე მხარეებს სწორად მოახდინონ გამჭოლი პასუხისმგებლობის შესაძლებლობათა პროგნოზირება და შედეგად შეამცირონ ტრანზაქციული ხარჯები.

**Abstract:** Restriction of responsibilities of capital-type entrepreneurial society partners for entrepreneurial society liabilities has a history of nearly two centuries. The above-mentioned principle is the cornerstone of modern corporation law. In addition, in exceptional cases, the court may pierce the corporate veil due a specific casus. This in its turn leads to the responsibility of society partner, in a way, as if the action of the society was the action of the partner. This is exactly what provides the actuality of the present article. In particular, the article presents the economic-legal basis for limited responsibility and its piercing in capital-type entrepreneurial societies. As a result, the present article will help the parties participating in the economic activities to correctly predict the possibilities of piercing responsibilities and subsequently to reduce transaction costs.

## შესავალი

სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვას სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებებისათვის 150 წლიანი ისტორია აქვს. პასუხისმგებლობის შეზღუდვით პარტნიორი საზოგადოების ვალდებულებისათვის პასუხისმგებელი რჩება საზოგადოების დაფუძნების ეტაპზე განხორციელებული შენატანით.[1]

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი არ წარმოადგენს უპირობო ინსტიტუტს.[2] ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს გააჩნია დისკრეცია

[1] John H. Matheson, Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, 2009 Berkeley Business Law Journal, Berkeley Business Law Journal p.2;

[2] ზუბიტაშვილი ნ., მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის ჭრილში, სამართლის ჟურნალი N2 2014, უნივერსიტეტის გამომაცემლობა, თბილისი 2014, გვ. 33;

განახორციელოს მართლმსაჯულება და მოახდინოს კორპორაციული საფარველის გაჭოლვა.[1] აღნიშნული თავის მხრივ, იწვევს საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობას, იმგვარად, თითქოს საზოგადოების მოქმედება წარმოადგენდა პარტნიორის მოქმედებას.[2]

საერთაშორის პრაქტიკაში კორპორაციული საფარველის გაჭოლვასთან დაკავშირებული სასამართლო დავები საკორპორაციო სამართალში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ დავის სახეს წარმოადგენს.[3] პრაქტიკული თვალსაზრისით კორპორაციული საფარველის გაჭოლვა მეტად კომპლექსური მოვლენაა, რომელიც პრაქტიკაში ხშირად არასწორადაა განმარტებული და გამოყენებული.[4] მოსამართლეები აღნიშნული ტიპის დავებს მეტად დისციპლინირებულად და სტრუქტურირებულად განიხილავენ.[5]

გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპი არც ქართული სამართალისთვისაა უცხო. პარტნიორის მიერ საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, მისი პარადი პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობას იძლევა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი.[6] მიუხედავად, ამგვარი ნორმატიული საფუძვლის არსებობისა, აღნიშნულ საკითხზე სასამართლო დავები ქართულ პრაქტიკაში არც თუ ისე მრავლადაა. აღნიშნულის გათვალისწინებით ნორმა მოკლებულია მყარ დოქტრინალურ განმარტებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი ეკონომიკურ-სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიცირება მუხლის მომავალი სწორი გამოყენებისათვის ქართულ პრაქტიკაში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით აღნიშნულ სფეროში მეტად მნიშვნელოვანია წინამდებარე კვლევის განხორციელება, რომელიც მოახდენს კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობისა და მისი გაჭოლვის ეკონომიკურ-სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიცირებას. აღნიშნული დაეხმარება ეკონომიკურ აქტივობებში მონაწილე მხარეებს სწორად მოახდინონ გამჭოლი პასუხისმგებლობის შესაძლებლობათა პროგნოზირება და შედეგად შეიმცირონ ტრანზაქციული ხარჯები.

### *1.1. პასუხსიმგებლობის შეზღუდვის არსი და მიზანი*

საზოგადოების, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის ქონებასა და პარტნიორის ქონებას შორის მკვეთრი ზღვარია გავლებული იმ დროიდან, რა დროიდანაც იურიდიული პირი არსებობს, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი.[7] თუმცა, სამეწარმეო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობა არ გამომდინარეობს მისი დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობიდან, ვინაიდან, საკორპორაციო სამართალი იცნობს ისეთი ტიპის სამეწარმეო საზოგადოებებს, რომელთა პარტნიორების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეუზღუდავია.[8]

სამეწარმეო საზოგადოებებში პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი

---

[1] ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი 2009. გვ. 237;

[2] John H. Matheson, Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, 2009 Berkeley Business Law Journal, Berkeley Business Law Journal p.3;

[3] John H. Matheson, Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, 2009 Berkeley Business Law Journal, Berkeley Business Law Journal p.3;

[4] John H. Matheson, Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, 2009 Berkeley Business Law Journal, Berkeley Business Law Journal p.3;

[5] Macey, Jonathan R. and Mitts, Joshua, Finding Order in the Morass: The Three Real Justifications for Piercing the Corporate Veil (February 18, 2014). Cornell Law Review, Forthcoming; Yale Law & Economics Research Paper No. 488.-12;

[6] იხ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კაონი, მუხლი 3, პუნქტი 6;

[7] ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი 2009. 236

[8] ზუბიტაშვილი ნ., მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის ჭრილში, სამართლის ჟურნალი N2 2014, უნივერსიტეტის გამომაცემლობა, თბილისი 2014, გვ. 33;

1800-იანი წლების შუიდან იღებს სათავეს.[1] აღნიშნული თავის თავში გულისხმობს სამეწარმეო საზოგადოებისა და მასში ინვესტიციის განმახორციელებლის ქონებისა და შესაბამისად პასუხისმგებლობის სრულ გამიჯვნას.[2] სწორედ აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ქვაკუთხედს.[3] ასეთი შესაძლებლობა არის მნიშვნელოვანი იარაღი ეკონომიკის განვითარებისათვის. სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა იმ რისკის განსაზღვრა, რომელსაც ცალკეული ინვესტორები გაწევენ მენეჯერების მოქმედებისათვის.[4] აღნიშნული განსაკუთრებით შეეხება მცირე ინვესტორებს, რომელთაც საზოგადოების კონტროლზე მცირე, ან იშვიათ შემთხვევაში ნულოვანი კონტროლი გააჩნიათ. ასეთ პირობებში, პასუხისმგებლობის შეზღუდვა ავტომატურად იძლევა შესაძლებლობებს მრავალი მცირე ინვესტორისაგან მოზიდულ იქნას დამატებითი კაპიტალი.[5]

პასუხისმგებლობის შეზღუდვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ცალკეული პორტფოლიოს რისკის განსაზღვრა, რადანაც თოთოეული ინვესტიცია მიბმული იქნებოდა არა მხოლოდ ინვესტირებულ კაპიტალზე, არამედ პირად ქონებაზე, რაც ავტომატურად დაგვაყენებდა რისკის წინაშე, რომ თითოეული ინვესტიცია ავტომატურად იქნებოდა პოტენციურად გამკოტრებელი.[6] დამატებით, პასუხისმგებლობის შეზღუდვა ამცირებს პარტნიორთა ხარჯებს მენეჯერების კონტროლისათვის, ზრდის აქციათა ბრუნვის შესაძლებლობებს, შესაბამისად ზრდის აქციათა ბაზრის ეფექტურობას.[7]

პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვა აძლევს ინვესტორს საშუალებას სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში გაწიოს აუცილებელი რისკი, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მსხვილ კაპიტალდაბანდებებს და ქმნის საბაზრო ეკონომიკას.[8] შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების უმთავრეს სტიმულატორს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ეკონომიკურ თვალსაზრისით მნიშვნელობას, საკუთარ გადაწყვეტილებაში აგრეთვე ხაზი გაუსვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ იურიდიული პირის დაფუძნების ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა სწორედ ქონების გამიჯვნის პრინციპია, რაც მიზნად ისახავს, კომპანიის დამფუძნებელთა პირადი ქონების დაცვას კომპანიის კრედიტორთა მოთხოვნებისაგან. ასევე, სასამარლომ ხაზი გაუსვა ქონების ურთიერთგამიჯვნის მნიშვნელობას უშუალოდ საზოგადოებისთვისაც, რომელიც აღნიშნულის შედეგად ხდება დაცული პარტნიორის პირადი ვალდებულებებისთვის პასუხისგებისგან.[9]

### *1.2. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის არსი და მიზანი*

პასუხისმგებლობის გამიჯვნა ხშირად წარმოშობს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობების შემცირებას, რომლებიც თავის მხრივ, ორიენტირებულნი არიან მიიღონ საკუთარი დანაკარგების შევსება ზიანის ანაზღაურების ფორმით სხვა

[1] Spiro, Peter S., Clarifying the Rules for Piercing of the Corporate Veil (December 4, 2013) p. 4;

[2] Macey, Jonathan R. and Mitts, Joshua, Finding Order in the Morass: The Three Real Justifications for Piercing the Corporate Veil (February 18, 2014). Cornell Law Review, Forthcoming; Yale Law & Economics Research Paper No. 488.p.9;

[3] Hameed, Irshad, The Doctrine of Limited Liability and the Piercing of the Corporate Veil in the Light of Fraud: A Critical Multi-Jurisdictional Study (November 18, 2012) p.3;

[4] Spiro, Peter S., Clarifying the Rules for Piercing of the Corporate Veil (December 4, 2013) p.9;

[5] გულაშვილი ნ., კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კორპორაციათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), საკორპორაციო სამართლის კრებულში, რედ. ბურდული ი., 2011, გვ. 78;

[6] Hameed, Irshad, The Doctrine of Limited Liability and the Piercing of the Corporate Veil in the Light of Fraud: A Critical Multi-Jurisdictional Study (November 18, 2012) p.7;

[7] იქვე; გვ. 6;

[8] McPherson, T. Richmond and Raja, Nader S., Corporate Justice: An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider When Piercing the Corporate Veil (March 1, 2010). Wake Forest Law Review, Vol. 45, No. 3, 2010. P. 933;

[9] იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატა, გადწყვეტილება №ას-1158-1104-2014 (2015);

წყაროებიდან, რისთვისაც სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორები ყველაზე მიმზიდველი სამიზნეები არიან.[1] სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, კაპიტალური ტიპის სამეწარმეო საზოგადოებებში პასუხისმგებლობის შეზღუდვა არ არის აბსოლუტური უფლება და დროდადრო სასამართლო აღნიშნავდა შესაძლებლობის აუცილებლობას, რომლითაც მოხდებოდა კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, რითაც მოხდებოდა პარტნიორთა არაკანონიერი მიზნების პრევენცირება.[2] სწორედ ამ დროს, როდესაც საჭირო ხდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება კორპორაციის ვალდებულებებისათვის, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა სასამართლოებს აძლევს შესაძლებლობას გვერდით გადადოს კორპორაციული ფიქცია და პარტნიორს პასუხი აგებინოს საზოგადოების ქმედებებისა და ვალებისათვის.[3]

სასამართლოების მიერ კორპორაციული საფარველის გაჭოლვას გარდა რეპრესიული მიზნისა, რომლითაც მან უნდა შეძლოს კრედიტორისათვის მისი კუთვნილი ვალის დაბრუნება, გააჩნია პარტნიორთა მიერ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო ქცევის პრევენცირების მიზანი.[4]

ცნობილია, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში კორპორაციული საფარველის გაჭოლვასთან დაკავშირებული სასამართლო დავები საკორპორაციო სამართალში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ დავის სახეს წარმოადგენს.[5] ამასთან, კორპორაციული საფარველი და მასთან დაკავშირებული საკითხები, განცალკევებული პიროვნულობა და შეზღუდული პასუხისმგებლობა, ყველაზე შესწავლადი საკითხია საკორპორაციო სამართალში მეოცე საუკუნის დასაწყისიდან.[6] მიუხედავად აღნიშნულისა, კორპროაციული საფარველის გაჭოლვის დოქტრინა ყველაზე ქაოტური დოქტრინაა და არ არსებობს საერთაშორისო ერთიანად აღიარებული სტანდარტები, რომლის არსებობის შემთხვევაშიც დგება გამჭოლი პასუხისმგებლობა.[7]

თუმცა, ზოგიერთი სასამართლო გადაწყვეტილებებს, სამეცნიერო ლიტერატურისა და საკანონმდებლო აქტების საფუძველზე მაინც შესაძლებელია ცალკეულ მიდგომათა განზოგადება. სწორედ ასეთებად შეგვიძლია მივიჩნიოთ გაბატონებული და ყველაზე გავრცელებული: ალტერ ეგოსა და ინსტრუმენტალური თეორიები, რომელსაც სასამართლოები ყველაზე ხშირად იყენებენ პარტნიორის მხრიდან საზოგადოებაზე დომინირებისა და კონტროლის შეფასებისას, რაც თავის მხრივ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის წინაპირობას წარმოადგენს.[8]

ამასთან, თავის მხრივ, მხოლოდ საზოგადოებაზე დომინაცია და კონტროლი არ წარმოადგენს კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ერთადერთ წინაპირობას. მასთან ერთად მნიშვნელოვანია თაღლითობის არსებობა, რომელიც კორპორაციული საფარველის გაჭოლვის

[1] Macey, Jonathan R. and Mitts, Joshua, Finding Order in the Morass: The Three Real Justifications for Piercing the Corporate Veil (February 18, 2014). Cornell Law Review, Forthcoming; Yale Law & Economics Research Paper No. 488. p.11;

[2] HOMAS K. CHENG, THE CORPORATE VEIL DOCTRINE REVISITED: A COMPARATIVE STUDY OF THE ENGLISH AND THE U.S. CORPORATE VEIL DOCTRINES, Boston College Law School Boston College International and Comparative Law Review, 2011; p. 9;

[3] McPherson, T. Richmond and Raja, Nader S., Corporate Justice: An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider When Piercing the Corporate Veil (March 1, 2010). Wake Forest Law Review, Vol. 45, No. 3, 2010.-931;

[4] Jonathan Macey, Joshua Mitts, FINDING ORDER IN THE MORASS: THE THREE REAL JUSTIFICATIONS FOR PIERCING THE CORPORATE VEIL, 2014 Cornell Law Review Cornell Law Review, p. 3;

[5] John H. Matheson, Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, 2009 Berkeley Business Law Journal, Berkeley Business Law Journal p.3;

[6] HOMAS K. CHENG, THE CORPORATE VEIL DOCTRINE REVISITED: A COMPARATIVE STUDY OF THE ENGLISH AND THE U.S. CORPORATE VEIL DOCTRINES, Boston College Law School Boston College International and Comparative Law Review, 2011-1

[7] Kathryn Hespe, PRESERVING ENTITY SHIELDING: HOW CORPORATIONS SHOULD RESPOND TO REVERSE PIERCING OF THE CORPORATE VEIL, Journal of Business & Securities Law Journal of Business & Securities Law 2014, 4

[8] იქვე;

კონტექსტში გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე თუნდაც ქართული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალიწინებული – სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ქონების დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით.[1]

ქართული სასამართლო პრაქტიკისათვის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებზე მსჯელობა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა. მაგალითისათვის, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებისას მიუთითა საერთაშორისო პრაქტიკისათვის დამახასიათებელ ისეთ კრიტერიუმებზე, როგორებიცაა ალტერ ეგო და დომინაცია.[2] ასევე, ქართული სასამართლო პრაქტიკისათვის კორპორაციული საფარველის გაჭოლვისას ნაცნობია ისეთი კრიტერიუმების შეფასება, როგორებიცაა ქვეკაპიტალიზაცია, საზოგადოების გამოშრობა კაპიტალისაგან, თაღლითობა და სხვ.[3]

## დასკვნა

ზემოთ განხორციელებული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია გამოვყოთ კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში პასუხისმგებლობის შეზღუდვის ცალკეული ეკონომიკურ-სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, სამეწარმეო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობა არ გამომდინარეობს მისი დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობიდან, თუმცა კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში მისი, როგორც სამართალის დამოუკიდებელი სუბიექტისა და მისი პარტნიორის, როგორც ინვესტორის, ქონება მკვეთრადაა გამიჯნული, რაც წარმოადგენს თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ქვაკუთხედს.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის აუცილებლობის ნაწილში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ასეთი ტიპის შეზღუდვა განაპირობებს მცირე ინვესტორების მიერ გასაწევი რისკის პროგნოზირებას, რაც მთლიანობაში ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შეზღუდვის კიდევ ერთი ეკონომიკური საფუძველი ტრანზაქციულ ხარჯების შემცირებაა. კერძოდ, საზოგადოებით დაინტერესებულ პირებს უმცირდებათ მენეჯერული კონტროლის საფრთხეებს, რაც შესაძლებელს ხდის ამგვარი სისტემის შექმნისას თანხების დაზოგვას.

ამასთანავე, მიუხედავად ასეთი შეზღუდვის მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-სამართლებრივი საფუძვლებისა სტატიის ფარგლებში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სასამართლოების მიერ კორპორაციული საფარველის გაჭოლვა ზოგიერთ შემთხვევაში გამართლებულია. კერძოდ, ასეთმა ჩარევამ გარდა რეპრესიული მიზნისა, რომლითაც მან უნდა შეძლოს კრედიტორისათვის მისი კუთვნილი ვალის დაბრუნება, ასევე უნდა უზრუნველყოს პარტნიორთა საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო ქცევის პრევენცირება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


<u>ქართულენოვანი:</u>

1. ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი 2009.
2. გულაშვილი ნ., კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კორპორაციათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), საკორპორაციო სამართლის კრებულში, რედ. ბურდული ი., თბილისი, 2011.


[1] იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 180;
[2] იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატა, გადწყვეტილება №ას-1158-1104-2014 (2015);
[3] იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატა, გადწყვეტილება, №ას-286-272-2013 (2013);

3. ზუბიტაშვილი ნ., მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის ჭრილში, სამართლის ჟურნალი N2 2014, უნივერსიტეტის გამომაცემლობა, თბილისი, 2014.

<u>უცხოენოვანი:</u>

4. Hameed, Irshad, The Doctrine of Limited Liability and the Piercing of the Corporate Veil in the Light of Fraud: A Critical Multi-Jurisdictional Study (November 18, 2012);
5. HOMAS K. CHENG, THE CORPORATE VEIL DOCTRINE REVISITED: A COMPARATIVE STUDY OF THE ENGLISH AND THE U.S. CORPORATE VEIL DOCTRINES, Boston College Law School Boston College International and Comparative Law Review, 2011;
6. John H. Matheson, Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, 2009 Berkeley Business Law Journal, Berkeley Business Law Journal;
7. Jonathan Macey, Joshua Mitts, FINDING ORDER IN THE MORASS: THE THREE REAL JUSTIFICATIONS FOR PIERCING THE CORPORATE VEIL, 2014 Cornell Law Review Cornell Law Review;
8. Kathryn Hespe, PRESERVING ENTITY SHIELDING: HOW CORPORATIONS SHOULD RESPOND TO REVERSE PIERCING OF THE CORPORATE VEIL, Journal of Business & Securities Law Journal of Business & Securities Law 2014;
9. Macey, Jonathan R. and Mitts, Joshua, Finding Order in the Morass: The Three Real Justifications for Piercing the Corporate Veil (February 18, 2014). Cornell Law Review, Forthcoming; Yale Law & Economics Research Paper No. 488;
10. McPherson, T. Richmond and Raja, Nader S., Corporate Justice: An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider When Piercing the Corporate Veil (March 1, 2010). Wake Forest Law Review, Vol. 45, No. 3, 2010;
11. Spiro, Peter S., Clarifying the Rules for Piercing of the Corporate Veil (December 4, 2013).

<u>ნორმატიული აქტები:</u>

1. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3, პუნქტი 6;
2. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 180;

<u>სასამართლო გადაწყვეტილებები:</u>

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატა, გადწყვეტილება №ას-1158-1104-2014 (2015);
2. საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატა, გადწყვეტილება №ას-286-272-2013 (2013);
3. საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატა, გადწყვეტილება №ას-1158-1104-2014 (2015);
4. საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატა, გადწყვეტილება, №ას-286-272-2013 (2013).

**გივი ლუაშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, დოქტორანტი
**Givi Luashvili**
**Tbilisi State Univeristy, PhD Candidate**

## საქართველოს მთავრობის შეცვლილი შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადების პრობლემური საკითხები
## Problematic Issues of Approval for Renewed Cabinet of the Georgian Government

**რეზიუმე:** მოცემული სტატია ეხება მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების პროცედურის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს, რომლის მიხედვითაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ცვლის მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთ მესამედს (არანაკლებ 5 წევრისა) და იწყება კონსტიტუციით დადგენილი ნდობის ხელახალი გამოცხადების პროცედურა. სტატიაში მიმოხილულია არსებული რეგულაციის პრობლემური საკითხები საქართველოში მიმდინარე კონსტიტუციური რეფორმების ფონზე. ასევე, განხილულია რეგულაციის განვითარების საკითხი და 2017 წლის კონსტიტუციური რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული სამართლებრივი მოცემულობა, რომლის მიხედვითაც არსებული რეგულაცია არათუ კორექტირდება, არამედ საერთოდ ქრება კონსტიტუციიდან.

**Abstract:** This article deals with one of the challenging issues of approval procedure for renewed Cabinet of the Georgian government. According to the procedure Prime Minister of Georgia changes one third of the government cabinet (at least 5 members) and reopens approval procedurebased onthe Constitution.The article discusses problematic issues of existing regulation in the light of ongoing constitutional reforms in Georgia. Moreover, the article reviews future development of the regulation and established legal environment in result of 2017 year's constitutional reform. According to the reform regulation is notcorrected but it is vanished from the constitution.

### შესავალი

მოცემულ სტატიაში ჩვენ შევეხებით მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების პროცედურის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს. როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ცვლის მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთ მესამედს (არანაკლებ 5 წევრისა) იწყება კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურები. ეს პროცედურა კი ნდობის ხელახალ გამოცხადებაში გამოიხატება. სამეცნიერო წრეებში ცნობილია, რომ არსებობდა გარკვეული ხარვეზები ამ პროცედურაში, მაგრამ ეს პრობლემა თავისი სრული სიმწვავით 2014 წელს გამოვლინდა, როდესაც ფაქტის წინაშე დავდექით და რეალობაში ამოქმედდა კონსტიტუციის $81^1$-ე მუხლი.

### მთავრობის ნამდვილ აღმასრულებელ ხელისუფლებად ჩამოყალიბება

საქართველოს მთავრობა, როგორც ინსტიტუტი, 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ ჩამოყალიბდა ნამდვილ აღმასრულებელ ხელისუფლებად. რეფორმის შედეგად აღმოიფხვრა ყოველგვარი ბიცეფალიზმის პრობლემები. მოიხსნა მთავრობის ორმაგი პასუხისმგებლობის საკითხი. დღეს საქართველოს მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება პასუხს აგებს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. რეფორმის შედეგად ასევე გაიზარდა პარლამენტის როლი მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხში.

მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება ეს არის ძალაუფლების დანაწილების იდეის ერთ-ერთი მთვარი გამოხატულება (2, 238). საპარლამენტო რესპუბლიკებში, საითკენაც მიემართება (ამას ადასტურებს 2017 წლის კონსტიტუციური რეფორმა) საქართველოს სახელმწიფო მოწყობა, აღმასრულებელი ხელისუფლება ლეგიტიმაციას საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან იღებს.

ლეგიტიმაციის გარეშე კი ვერ იარსებებს ვერცერთი ხელისუფლების შტო. ლეგიტიმაცია ეს არის ხელისუფლების წყარო (ლეგიტიმაციას იძლევა ხალხი). მთავრობა კი ლეგიტიმაციას სწორედ ნდობის გამოცხადებით იღებს.

### მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საფუძვლები

საქართველოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების პროცედურას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის მე-80 მუხლი. როდესაც ნდობის გამოცხადებაზე ვსაუბრობთ, უნდა გამოვყოთ შემდეგი შემთხვევები: 1) პირველი შემთხვევა დაკავშირებულია ახლად არჩეულ პარლამენტთან, ასეთ დროს ახალი მთავრობა ყალიბდება. ეს გათვალისწინებულია კონსტიტუციის მე-80 მუხლით; 2) მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტა. გათვალისწინებულია კონსტიტუციის მე-$80^{1}$ პრიმა მუხლით; 3) ნდობის გამოცხადება ასევე დაკავშირებულია უნდობლობის კონსტრუქციულ ვოტუმთან; 4) მეოთხე შემთხვევა გვაქვს სახეზე, როდესაც მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედი, მაგრამ არა ნაკლებ ხუთი წევრი განახლდება. ასეთ დროსაც აუცილებელია ნდობის გამოცხადება. აღნიშნული განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის $81^{1}$-ე მუხლით. აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში ბოლოს მაინც მე-80 მუხლით გათვალისწინებულ რეგულაციამდე მივდივართ.

ნდობის გამოცხადების სხვადასხვა პრაქტიკა არსებობს, მათ შორის აღსანიშნავია ინდივიდუალური ნდობის მიღება და კოლექტიური ნდობის მიღება. ინდივიდუალურის დროს მთავრობის ყველა წევრი ცალ-ცალკე იღებს ნდობას, კოლექტიურისას კი ნდობას იღებს მთელი მთავრობა ერთად. ინდივიდუალურის დროს ერთი მინისტრის ჩანაცვლებაც კი უნდა განმტკიცდეს ნდობის გამოცხადებით. კოლექტიურისას კი შესაძლებელია მინისტრების ცვალებადობა, ნდობის გამოცხადების გარეშე, მაგრამ არის რაღაც ზღვარი რის შემდეგაც იცვლება მთავრობის, როგორც გუნდის მნიშვნელოვანი შემადგენლობა. ასეთ დროს კი აუცილებელი ხდება ხელახალი ნდობის გამოცხადება, რათა მთავრობამ არ დაკარგოს ესოდენ მეტად ძვირფასი ლეგიტიმაცია. სწორედ ამ საკითხს ითვალისწინებს კონსტიტუციის $81^{1}$-ე მუხლი.

### საქართველოს კონსტიტუციის $81^{1}$-ე მუხლის მოკლე ისტორია

საქართველოს კონსტიტუციის $81^{1}$-ე მუხლი 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ გაჩნდა. ეს მუხლი მოქმედებს მას შემდეგ, რაც მთავრობამ რეალურ აღმასრულებელ ხელისუფლებად ჩამოყალიბება დაიწყო. 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად გადაწყვიტეს, რომ ეს მუხლი არ იყო მიზანშეწონილი ახალი საკონსტიტუციო რეალობისათვის და მის მაგიერ სხვა რეგულაცია ჩნდებოდა, მაგრამ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ 2013 წლის 4 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით ამ მუხლმა ისევ განაგრძო არსებობა (1, 167). ჩვენი აზრით აღნიშნული ნაბიჯი სრულიად გამართლებული იყო, რადგან თუ აღნიშნული ბერკეტი კონსტიტუციიდან ამოვარდებოდა, სახეზე მივიღებდით უფრო ძლიერ და უკონტროლებელ აღმასრულებელ ხელისუფლებას. შეიძლებოდა ახლად არჩეულ პარლამენტს ნდობა გამოეცხადებინა მთავრობისათვის და ოთხი წლის განმავლობაში ისე შეცვლილიყო მინისტრების უმრავლესობა, რომ პარლამენტი ამაში ვერ ჩაერეოდა. სახეზე ვიღებდით ლეგიტიმაციაგამოცლილ და ამ მხრივ უკონტროლებელ მთავრობას (3, 237).

### საქართველოს კონსტიტუციის $81^{1}$-ე მუხლის რეგულაცია

საქართველოს კონსტიტუციის $81^{1}$-ე მუხლი გვეუბნება, რომ თუ შეიცვალა მთავრობის შემადგენლობის ერთიმესამედი არანაკლებ 5 წევრისა, საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს, ერთი კვირის ვადაში პარლამენტს, მთავრობის ახალ შემადგენლობას. ნდობის გამოცხადება კი ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლით გათვალისწინებული პროცედურით.

აუცილებლად უნდა ვისაუბროთ იმ განსხვავებებზე, რაც ამ სპეციალურ რეგულაციას შეაქვს კონსტიტუციის მე-80 მუხლში. მთავრობა სახეზეა, როგორც უფლებამოსილი მოქმედი

ორგანო და არა მოვალეობის შემსრულებელი. სქართველოს პრეზიდენტი არ წამოაყენებს საპარლამენტო შედეგებში საუკეთესო შედეგების მქონე პოლიტიკური ძალის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რადგან არათუ პრემიერობის კანდიდატი არამედ სახეზე გვყავს თავად უფლებამოსილი პრემიერი. შეუსაბამობა შემდეგაც გრძელდება. თუ მოხდა ისე, რომ პირველ ჯერზე პარლამენტმა ნდობა არ გამოუცხადა მთავრობის ახალ შემადგენლობას, კიდევ არ გამოუცხადა ნდობა მეორედაც, ამის შემდეგ იწყება კონსტიტუციის მე-80 მუხლის მეექვსე პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა. პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წამოაყენებს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორიმეხუთედის მიერ წარდგენილ კანდიდატს. ვიღებთ შემთხვევას, როდესაც სახეზე გვყავს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი და მოქმედი პრემიერ-მინისტრი. ფაქტობრივად, ასეთ დროს საქმე გვაქვს ნდობის გამოცხადებასთან ერთად უნდობლობის გამოცხადებასთანაც. საინტერესოა ისიც, რომ მინისტრებს, რომელთაც პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა და უფლებამოსილების შეჩერების გარეშე უცხადებენ ახლიდან ნდობას. ფაქტია, რომ აღნიშნული ქეისი ძალიან უცნაურ კონსტიტუციურ რეალობაში აყენებს ნდობის გამოცხადების პროცედურას.

საზოგადოებაში ასევე დაისვა კითხვა პრემიერ-მინისტრმა ხომ არ უნდა წარუდგინოს პარლამეტს ნდობის გამოსაცხადებლად ახალი მთავრობის შემადგენლობა? ამ აზრს ამართლებ-დნენ იმით, რომ მთავრობა და პრემიერ-მინისტრი ჯერ კიდევ უფლებამოსილნი არიან. აღნიშნული მოსაზრება ლოგიკურია, თუმცა საქართველოს კონსტიტუციის $81^1$-ე მუხლი პირდაპირ გვეუბნება, რომ მთავრობის შემადგენლობას ნდობის გამოსაცხადებლად პარლამენტს წარუდგენს პრეზიდენტი. გაისმა მოწოდებაც, რომ თურმე $81^1$-ე მუხლში პრეზიდენტის მაგიერ პრემიერ-მინისტრმა უნდა წარუდგინოს პარლამენტს მთავრობის ახალი შემადგენლობა, ისე როგორც მე-80 მუხლის მესამე პუნქტითაა გათვალისწინებული. აღიშნულ იდეას ჩვენ არ ვეთანხმებით. ჩვენი აზრით ამ პროცესში პრეზიდენტიც უნდა იყოს ჩართული. აღნიშნული ხელს შეუწყობს მთავრობასა და სახელმწიფოს მეთაურს შორის უფლებამოსილებების გადანაწილებას.

## დასკვნა

ჩვენ ვისაუბრეთ იმ საკითხებზე, რომლებიც კონსტიტუციის $81^1$-ე მუხლთან მიმართებით განსაკუთრებით აქტუალურია. მსჯელობისას გამოვლინდა რიგი პრობლემატური საკითხები. ფაქტია, რომ კონსტიტუციაში სახეზე გვაქვს ხარვეზები და აუცილებელია მათი გამოსწორება.

რაც შეეხება გამოსწორებას – 2017 წლის კონსტიტუციური რეფორმის შემდეგ, მივიღეთ ზუსტად ისეთივე სიტუაცია, რაც 2010 წელს, კერძოდ მთავრობის შემდგენლობის განახლება არ იწვევს ნდობის განახლების პროცედურის საკითხის დაწყებას. ვიღებთ სიტუაციას, რომლის მიხედვითაც პრემიერ-მინისტრს შეუძლია ისე განაახლოს მთავრობის სრული შემადგენლობა, რომ ის ვალდებული არ იქნება ხელახლა მიიღოს პარლამენტის, როგორც ლეგიტიმაციის გამტარის ნდობა. აღნიშნული რეგულაციის არარსებობა ეწინააღმდეგება ყველანაირი პარლამენტარიზმის პრინციპებს. ამ რეგულაციის არარსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილების საკითხს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბაბეკი ვ., ფიში ს., რაიჰენბეჰერი ც., კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისკენ, თბ., 2012.
2. მდივანი ალ., მთავრობა და მისი პასუხისმგებლობა, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, თბ., 2016.
3. შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა (კონსტიტუციონალიზმის შესვალი), ქართული თარგმანის რედ. თ. ნინიძე, თარგმანი მ. მაისურაძის, თბ., 2003.

# სამედიცინო მეცნიერებანი და ჯანმრთელობის დაცვა
# Medical and Health Sciences

**მარინე შაქარაშვილი**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი,*
*ასოცირებული პროფესორი*
**Marine Shakarashvili**
Tbilisi State University,
International Teaching University of Georgia,
Associate Professor

## მეტაბოლური სინდრომი – XXI საუკუნის პანდემია
## Metabolic Syndrome – Pandemic of the XXI Century

**რეზიუმე:** მეტაბოლური სინდრომი (MS) არის სინდრომი, რომელიც მოიცავს აბდომინალურ სიმსუქნეს, ინსულინის მიმართ პერიფერიული მგრძნობელობის შემცირებას, ჰიპერინსულინემიას, დისლიპიდემიას, რასაც მივყავართ მეტაბოლიზმის გაუარესებამდე, მე-2 ტიპის შაქრიანი დიაბეტისა და ჰიპერტენზიის განვითარებამდე. ამჟამად, მეტაბოლური სინდრომის საკითხი, რომელიც იწვევს სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას და მის დაბალ ხარისხს, მიიჩნევა თანამედროვე საზოგადოების სამედიცინო, სოციალური და ეკონომიკური ორიენტირების ერთ-ერთ მთავარ საკითხად. ეს მიმოხილვა ეხება თანამედროვე შეხედულებებს ამ პრობლემის შესახებ. მეტაბოლურ სინდრომს შეაქვს მნიშვნელოვნად უარყოფითი წვლილი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებასა და მათ გართულებებში.

**Abstract:** Metabolic Syndrome (MS) is a syndrome including abdominal obesity, reduction of peripheral insulin sensitivity, hyperinsulinemia, dyslipidemia, which leads to matabolic impairment, Type 2 diabetes and the development of hypertension. Currently, the issue of the metabolic syndrome is considered one of the main in the medical, social and economic orientation of the modern society, leading to reduced life expectancy and poor quality. This review deals with modern views on the problem. Metabolic syndrome is making a substantial negative contribution to the development of cardiovascular diseases and complications.

მეტაბოლური სინდრომი დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი აქტუალური სამედიცინო-სოციალური პრობლემაა (3). მეტაბოლური სინდრომი არის ორგანიზმში აღმოცენებულ იმ ცვლილებათა ერთობლიობა, რომელიც ნივთიერებათა ცვლის ღრმა დარღვევებს იწვევს. მასთან ასოცირებული დაავადებები მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჯანმრთელობის სისტემებისათვის. თემის აქტუალობას განაპირობებს არაგადამდები (არაინფექციური) დაავადებების გლობალური ეპიდემია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მეტაბოლური სინდრომის კომპონენტებთან. რამდენიმე ათწლეულია, რაც მკვლევარებმა შეამჩნიეს, რომ მეტაბოლური დარღვევები – სიმსუქნე, არტერიული წნევის მომატება, ნახშირწყლოვანი ლიპიდური ცვლის დარღვევა და/ან რამდენიმე მათგანის თანაარსებობა მკვეთრად ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს. ამ უკანასკნელს კი როგორც მთლიანად

მსოფლიოში, ისე ცალკეულ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც) პირველი ადგილი უკავია სიკვდილიანობის მიზეზებს შორის და ყველაზე მეტი ეკონომიკური ტვირთის მქონეა. მეტაბოლურ სინდრომს ხშირად "ახალი მსოფლიოს დაავადებას" და XXI საუკუნის პანდემიას უწოდებენ, ვინაიდან მათმა გავრცელებამ მკვეთრად იმატა დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობას შორის.

ტერმინი მეტაბოლური სინდრომი 1988 წელს შემოიღო ცნობილმა მეცნიერმა ჯერალდ რავენმა. მან შეამჩნია, რომ არტერიული ჰიპერტენზიის, სიმსუქნისა და შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში სისხლში ქოლესტერინის ერთდროული არსებობა უკავშირდებოდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს, მიოკარდიუმის ინფარქტსა და ინსულტს. ყველაზე ოპტიმისტური გამოთვლით მეტაბოლური სინდრომი აღენიშნება მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედს (3,4). უფრო ხშირად გვხვდება მამაკაცებში. ქალებში ხშირდება მენოპაუზის პერიოდში. მისი გავრცელება დამოკიდებულია პოპულაციის ეთნიკურ მდგომარეობაზე, სქესზე, ასაკზე. ამერიკული სტატისტიკით, 20-30 წლის ასაკში ეს სინდრომი მოსახლეობის 10%-ზე ნაკლებს აქვს, ხოლო 60 წლის შემდეგ – 42%-ზე მეტს, თუმცა, ზოგიერთი გამოკვლევის თანახმად, მეტაბოლური სინდრომის ცალკეული კომპონენტები სკოლის მოსწავლეებს შორისაც კი გვხვდება.

მიუხედავად ამისა, მეტაბოლურ რისკ-ფაქტორთა ერთიანობის (კლასტერის) სახელდებამ და კონცეფციის დეფინიციამ ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია. მეცნიერებმა, სულ მცირე, სამი დასახელება შემოგვთავაზეს: ინსულინრეზისტენტობის სინდრომი, სინდრომი X და მეტაბოლური სინდრომი. ეს უკანასკნელი გახდა ძირითადი ტერმინი მას შემდეგ, რაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ და აშშ-ს ქოლესტეროლის საგანმანათლებლო პროგრამის ზრდასრულთა მკურნალობის სამუშაო ჯგუფმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიმუშავეს მეტაბოლური სინდრომის კრიტერიუმები. სახელწოდებაზე შეთანხმდნენ, მაგრამ განმარტებაზე, თუ რა კრიტერიუმების ერთობლიობას შეგვიძლია ვუწოდოთ მეტაბოლური სინდრომი – საერთო აზრი დღემდე არ არსებობს, ვინაიდან სულ უფრო მატულობს ამ სინდრომის განმსაზღვრელი კრიტერიუმების რიცხვი. მაგალითად, ამერიკის დიაბეტის ასოციაცია, საერთოდ ვერ ხედავს სინდრომის ცალკე გამოყოფის აუცილებლობას. მათი აზრით, საკამათო არ არის, რომ ყოველი ცალკეული კომპონენტი ზრდის შაქრიანი დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს, მაგრამ ჯერ კიდევ დასამტკიცებელია, რომ მათი ერთობლიობა მეტია, ვიდრე შემადგენელ ნაწილთა უბრალო ჯამი. კლინიცისტთა ნაწილი მას მხოლოდ პოტენციური რისკის მატარებელ ფიზიოლოგიურ გადახრად მოიაზრებდა. კლინიცისტთა სხვა სკოლები მეტაბოლურ სინდრომს ცალკე დაავადებად მიიჩნევენ. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციამ (IDF) უნიფიცირების მიზნით დეფინიცია შემოგვთავაზა, რომელთაც შეუერთდა ბევრი ექსპერტი (5). მეტაბოლური სინდრომის მართვის ქართული გაიდლაინიც ამ განმარტებას იზიარებს (1). კერძოდ, მეტაბოლური სინდრომის ძირითად კრიტერიუმად მიიჩნევა ცენტრალური (მუცლის ტიპის) სიმსუქნე, წელის გარშემოწერილობის ნორმები ეთნიკური ფაქტორის გათვალისწინებით არის შემუშავებული. მაგალითად: ევროპეიდული რასის მამაკაცებისათვის 95 სმ-ზე, ქალებისათვის კი 81 სმ-ზე მეტია(6). საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად, ექიმს აქვს უფლება პაციენტს დაუსვას მეტაბოლური სინდრომის დიაგნოზი, თუ ჩამოთვლილ სიმპტომთაგან სამი მაინც აღინიშნება:

1. წელის გარშემოწერილობა 88 სმ-ზე მეტია ქალებში და 102 სმ-ზე მეტია მამაკაცებში;
2. არტერიული წნევა მეტია ან ტოლია 130/85 მმ.ვწყ.სვ-ისა;
3. უზმოზე სისხლში შაქრის შემცველობა 6,1 მმოლ/ლ-ზე მეტია;
4. სისხლში ტრიგლიცერიდების შემცველობა მეტია ან ტოლია 1,7 მმოლ/ლ-ისა;
5. მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების შემცველობა მამაკაცებში 1 მმოლი/ლ-ზე ნაკლებია, ქალებში – 1,3 მმოლ/ლ-ზე ნაკლები.

მეტაბოლური სინდრომი მჭიდრო კავშირშია ინსულინორეზისტენტობასთან – მდგომარეობასთან, რომლის დროსაც უჯრედები სათანადოდ არ რეაგირებენ ინსულინზე,

შესაბამისად გლუკოზა ვეღარ ახერხებს უჯრედში შეღწევას. ამის შედეგად სისხლში მატულობს გლუკოზის დონე, რაც თავის მხრივ ჯაჭვური რეაქციის სახით იწვევს ინსულინის სულ უფრო მეტი რაოდენობის გამოთავისუფლებას (6). მომატებული ინსულინი სისხლში ტრიგლიცერიდებისა და ცხიმისმაგვარი ნივთიერებების სხვა ფრაქციებსაც ზრდის და არტერიული წნევის მომატებასაც განაპირობებს, ანუ ცხიმოვანი მასის მატებასთან ერთად ძლიერდება ინსულინრეზისტენტობა. დროთა განმავლობაში საკომპენსაციო მექანიზმები ამოიწურება და ჯერ პრედიაბეტი, მერე კი შაქრიანი დიაბეტი – ტიპი 2 ვითარდება. სანამ დიაბეტი – ტიპი 2 ჩამოყალიბდება, გამოხატულია პრედიაბეტური მდგომარეობა, როდესაც უზმოზე სისხლში შაქრის კონცენტრაცია მატულობს ან საკვების მიღების შემდეგ სისხლში გლუკოზის ოდენობა ნორმას დროულად არ უბრუნდება, რაც შესაძლოა წლობით გაგრძელდეს. ამერიკის დიაბეტოლოგთა ასოციაციის მონაცემებით, პრედიაბეტის მქონეთა 11%-ს მომდევნო 3 წლის განმავლობაში შაქრიანი დიაბეტი -ტიპი 2 უვითარდება. სხვა გამოკვლევებით უმრავლესობას 10 წლის განმავლობაში დაავადების მანიფესტური ფორმა უყალიბდება. ბოლო პერიოდში დიაბეტი არაინფექციური პანდემიის სახეს იძენს (6). დადგენილია, რომ მსოფლიოში შაქრიანი დიაბეტით 170 მლნ-ზე მეტი ადამიანია დაავადებული.

რაც შეეხება ცხიმოვან ქსოვილს, უნდა აღინიშნოს, რომ ცხიმოვანი ქსოვილი აღარ მიიჩნევა ჭარბი კალორიების ინერტულ დეპოდ. იგი სხეულის ენდოკრინულ ორგანოდაა აღიარებული (9). ვისცერული ცხიმოვანი ქსოვილი იწვევს ინსულინ-რეზისტენტობას, ხოლო კანქვეშა – არა. ცხიმოვანი უჯრედები გამოიმუშავებს ნივთიერებებს, რომელთაც ადიპოკინები უწოდეს. მათი სიჭარბე იწვევს მრავალ არასასურველ პროცესს, მათ შორის – ანთებას, ხელს უწყობს ღვიძლის, კუნთებისა და თვით ადიპოციტის ინსულინისადმი რეაქტიულობის დაქვეითებას

განსაკუთრებით თვალსაჩინოა აღნიშნული კორელაცია ჰიპერინსულინემიასა და მუცელზე დაგროვილ ცხიმს შორის-აბდომინალურ სიმსუქნეზე. ცხიმი, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სასქესო ჰორმონებზე. ამ ტიპის სიმსუქნეს ვაშლის ფორმისას უწოდებენ, ზოგჯერ კი მამაკაცური ტიპის სიმსუქნით მოიხსენიებენ. ინსულინ რეზისტენტობის განვითარების მექანიზმებია: 1) საკვების დიდი რაოდენობით მიღება, ინსულინის მომატება, რაც იწვევს რეცეპტორების მგრძნობელობის შემცირებას; 2) თავისუფალი ცხიმოვანი მჟავები ამცირებენ ინსულინის მოქმედებას; 3) ინტრაცელულარული ცხიმები ასუსტებენ ინსულინის მგრძნობელობას; 4) რამდენიმე სახის პეპტიდები, რომლებსაც გამოიმუშავებს ადიპოციტები ცვლიან ინსულინის მოქმედებას.

ცხიმებისა და ქოლესტეროლის დონის მომატება, მისი ცალკეული ფრაქციების ცვლილებები სისხლძარღვთა დაზიანების საშიშროებას ზრდის. მეტაბოლური სინდრომი ათეროსკლეროზული პროცესების სწრაფ განვითარებას განაპირობებს.

მრავალრიცხოვანი სტატისტიკური მონაცემები არსებობს, რომელთა მიხედვით მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად 12 მილიონზე მეტი ადამიანი ათეროსკლეროზის მსხვერპლი ხდება. გარდა იმისა, გულ-სისხლძარღვთა გართულებების რისკი პრედიაბეტური მდგომარეობიდანვე 1,5-ჯერ იმატებს (10). სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ არტერიული ჰიპერტენზია სიმსუქნის დროს 6-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება. სიმსუქნისა და არტერიული ჰიპერტენზიის დროს გულის კორონარული დაავადებების რისკი 2-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მაშინ, როცა არტერიული ჰიპერტენზიის დროს სიმსუქნე არ აღინიშნება . მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, დედამიწის მოსახლეობის 30 პროცენტს ჭარბი წონა აქვს. მათ შორის 16,8 პროცენტს მამაკაცები შეადგენენ, 14,9 პროცენტს – ქალები. მეტაბოლურ სინდრომის დროს მდგომარეობა, როგორც წესი კომპლექსურია და ერთი გამოკვეთილი მიზეზი არა აქვს. ცხოვრების წესს დიდი გავლენა აქვს მეტაბოლური სინდრომის ყველა კომპონენტზე და მნიშვნელოვანია, რომ მეტაბოლური სინდრომის მქონე ადამიანთა რისკის მენეჯმენტში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს ცხოვრების წესის ცვლილების მართვაზე, განსაკუთრებით ჭარბი წონის შემცირებასა და ფიზიკური აქტიურობის მომატებისაკენ (11). მკურნალობის მთავარ ფაქტორს ცხოვრების წესის ცვლილება წარმოადგენს. მეცნიერული მტკიცებულების მიხედვით ჭარბი წონა ნებისმიერ ასაკში წარმოადგენს ინსულინ-

რეზისტენტობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს. ინსულინ – რეზისტენტობა მატულობს წონის მატებასთან ერთად და კლებულობს მის დაქვეითებასთან ერთად. ცხოვრების წესის შემსწავლელი ორი დიდი რანდომიზებული საკონტროლო კვლევით ნაჩვენებია წონის დაქვეითების მნიშვნელოვანი სარგებელი ინსულინ – რეზისტენტობის პროგრესირებაზე მოზრდილებში.

რეკომენდაცია: მეტაბოლური სინდრომით დაავადებულ პირებს უნდა შევთავაზოთ ფიზიკური აქტივობა და წონის კონტროლი . ხშირად მეტაბოლური სინდრომი უსიმპტომოდ მიმდინარეობს და გარდა ცენტრალური სიმსუქნისა, ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი კრიტერიუმი კლინიკურად შეიძლება არ გამოვლინდეს. თუმცა კონტროლისა და ადეკვატური მკურნალობის გარეშე ზემოხსენებული მეტაბოლური დარღვევების შედეგები ძალიან მძიმეა (12). აუცილებელია მეტაბოლური დარღვევების იმ ეტაპზე გამოვლენა, როცა ცვლილებები ჯერ კიდევ შექცევადია, ან როცა შესაძლებელია მათი პროგრესირების შეჩერება. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების დროულად დაწყებისათვის, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ათეროსკლეროზული გართულებებით დაინვალიდებისა და სიკვდილიანობის შემცირებას. მიზანშეწონილია როგორც პრევენცია საწყის ეტაპზე, ისე პროგრესირების შეჩერება. მეტაბოლური სინდრომის მედიკამენტური თერაპიის მიზანია წონის დაქვეითება და ინსულინისადმი სენსიბილიზაცია ან ორივე ერთად. დიეტოლოგია ორიენტირებული უნდა იყოს წონის დაკლებაზე. ხშირად აუცილებელი ხდება წნევის, შედარებით იშვიათად, ლიპიდების ცვლილებების ნორმალიზაცია. უკვე ჩამოყალიბებულ გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიებისა და შაქრიანი დიაბეტის დროს ტარდება ინტენსიური თერაპია.

მეტაბოლური სინდრომის მქონე პაციენტთა გამოვლინებისა და სამედიცინო მეთვალყურეობის პროცესში არსებითი მნიშვნელობა აქვს ბაზისურ-ეთიკური პრინციპების დაცვას. განსაკუთრებით, პაციენტის ავტონომიის პატივისცემას და კლინიკური გადაწყვეტილების პროცესში მისი მონაწილეობის უზრუნველყოფას, ინფორმირებულ თანხმობასა და კონფიდენციალობას. აუცილებელია პაციენტს დეტალურად განემარტოს იმ გამოკვლევების სარგებელი და რისკი, რომლებსაც ვთავაზობთ მეტაბოლური სინდრომის დიაგნოსტიკის მიზნით. ასევე, პირადად ეცნობოს გამოკვლევათა შედეგები და მასთან ერთად შემუშავდეს მომდევნო მოქმედების გეგმა (2).

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი. „მეტაბოლური სინდრომის გამოვლენა და მართვა“ „მედიცინის სიახლეები“, 2008, გვ.13-26. საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი.
2. საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, 2000. www.parliament.ge
3. The metabolic syndrome, Diabetes Voice special issue, May 2006, 51;
4. European health report 2005: Public health action for healthier children and populations.
5. Kahn R.A., Buse J.Y., Ferrannini E.B., Stern M.Y. Metabolic syndrome: time for critical evaluation // Hypertension. – 2006. – V.12, N2. – P. 99-106;
6. Janssen Ian, Katzmarzyk Peter T and Ross Robert., Waist circumference and not body mass index explains obesity-related health risk., The American journal of clinical nutrition, 2004 vol:79 iss:3 pg:379;
7. Reaven G.M., Role of insulin resistance in human disease // Diabetes. – 1988. – V.37, N3. – P. 1595-1607;
8. 7.Чазова И.Е., Мычка В.Б. Метаболический синдром – М.:Медиа Медика, 2004. -168;
9. Свеклина Т.С., Метаболический синдром и воспаление: актуальные вопросы патогенеза // Клиническая лабораторная диагностика;
10. Correia M.L., Obesity-associated hypertension: new insights into mechanisms // Hypertension. – 2005. – V.45, N1. – P. 9-14;
11. Sheridan D. J. // Amer. J. Cardiol.- 1996.- Vol. 77.- P. 17B-19B;
12. Diabetes Prevention Program Research Group. Reduction in the incidence of type 2 diabetes with lifestyle intervention or metformin. N Engl J Med. 2002;346(6):393-403.

**Бесик Карлович .Кочламазашвили**
ТГМУ, департамент патологической анатомии
**Лиана Евтихиевна Гогиашвили, Кетеван Николаевна Джандиери**
Институт морфологии им. А.Н.Натишвили при ТГУ им. И.А.Джавахишвили
**ბესიკ კოჭლამაზიშვილი,**
თსსუ, პათანატომიის დეპარტამენტი
**ლიანა გოგიაშვილი, ქეთევან ჯანდიერი**
თსუ-ს ა. ნათიშვილის სახ. მორფოლოგიის ინსტიტუტი
**Besik Kochlamazishvili,**
TSMU, Department of Pathanatomy
**Liana Gogiashvili, Ketevan Jandieri**
TSU A. Natishvili Institute of Morphology

## Изучение морфологических особенностей микроциркуляторного русла сердца крыс при различных уровнях антигенной нагрузки
## ვირთხის გულის მიკროცირკულარული ქსელის მორფოლოგიური თავისებურებების შესწავლა ანტიგენური დატვირთვის სხვადასხვა დონეზე
## Morphological Features of Rats Heart Microcirculatory Bed at Different Levels of Antigenic Load

**Резюме:** Было изучено микроциркуляторное русло миокарда двух различных групп лабораторных крыс путём введения инъекций разных антигенов: исследовали (по 30 животных в каждой группе) 1) гнотобионтов, полученных из лаборатории экспериментально – биологических моделей лаборатории Iffa-Credo (Лион, Франция); 2) Нормальных стандартных животных из той же лаборатории, которые находились в условиях нормальной микробной среды вивария (контрольная группа) тойже лаборатории.. Исследования показали зависимость сложного неоднозначного процесса морфофункциональных показателей микроциркуляторного русла сердца крыс от микробного статуса, направление которого совпадает с первоначальной антигенной нагрузкой.

**რეზიუმე:** შესწავლილ იქნა ლაბორატორიული ვირთაგვების სხვადახვა ჯგუფიდან მიოკარდიუმის მიკროცირკულატორული კალაპოტი ორი სხვადასხვა ანტიგენით. შეისწავლეს (30-30 ცხოველი თითოეულ ჯგუფში) 1) გნოტობიონტები, მიღებული Iffa-Credo-ს ლაბორატორიის ექსპერიმენტულ-ბიოლოგიური მოდელების ლაბორატორიიდან (ლიონი, საფრანგეთი); 2) ჩვეულებრივი სტანდარტული ცხოველები იმავე ლაბორატორიიდან, რომლებიც იმყოფებოდნენ ვივარიუმის ნორმალური მიკრობული გარემოს პირობებში (საკონტროლო ჯგუფი). კვლევა ცხადყოფს ვირთხის გულის მიკროცირკულატორული კალაპოტის მორფოფუნქციური მახასიათებლების კომპლექსური არაერთმნიშვნელოვანი პროცესის დამოკიდებულებას მიკრობულ სტატუსზე, რომლის მიმართულებაც ემთხვევა საწყის ანტიგენურ დატვირთვას.

**Abstract:** It was studied the myocardium microcirculatory bed from 2 different groups of laboratory rat's with different antigen load: studied (30 animals in each group). 1) Gnotobionts received from laboratory of experimental – biological models Iffa-Credo laboratory (Lyon, France); 2) Ordinary conventional animals from the same laboratory, contained in standard conditions of vivarium microbial environment (control group). The study demonstrates the dependence of complex ambiguous process of the rat heart microcirculatory bed morphofunctional features on microbial status, which is unidirectional with the original antigenic load.

Для выяснения ведущих морфофункциональных механизмов, ответственных за патогенез безмикробных некоронарогенных повреждений микроциркуляторного русла миокарда, на наш взгляд, весьма интересным является применение в качестве экспериментальных моделей

безмикробных организмов – гнотобионтов, которые еще не получали неадекватной (можно сказать патогенной) информации, и не имели опыта общения с ней; а также с целью дифференциации так называемых «чистых» морфологических изменений от истинных аутоиммунных повреждений при модификации аутоиммунной (некоронарогенной) патологии сердца. Несмотря на повышенный интерес, вопрос о роли аутоиммунных процессов в возникновении и развитии безмикробной патологии сердца и в особенности, его микроциркуляторного русла до настоящего времени не решен.

В связи с вышесказанным, целью настоящей работы является изучение влияния антигенной нагрузки различной интенсивности на морфологические особенности микроциркуляторного русла сердца крыс. Поражения сердца у так называемых «Germ free» животных представляют определенный интерес, так как при данном воздействии, существует возможность исследовать аутоиммунный механизм возникновения разнообразных повреждений сердца и его микроциркуляторного русла как в нативном состоянии, так и при введении гетеро и гомологичных субстратов. Исследования проводились на половозрелых белых крысах обеих полов зрелого возраста (8-12 месяцев, согласно периодизации развития белых крыс В.И.Махинько и В.Н.Никитина (1)). Экспериментальные животные были разделены на три группы (по 15 животных в каждой), в соответствии с интенсивностью антигенной нагрузки: пониженная (гнотобионты), обычная (конвенциональные) и повышенная (моделирование экспериментальной аутоиммунной кардиомиопатии – ЭАК). Первая группа – гнотобионты, животные, полученные из лаборатории экспериментально-биологических моделей "Iffa-Credo" (Лион, Франция), отличались от обычных, конвенциональных животных, не только отсутствием микрофлоры, но и характерными морфофункциональными особенностями (2-5). Животные этой группы содержались в определенных, строго соблюдаемых условиях, уже описанных в наших предыдущих работах (6,7). Питание, уход и микробиологический контроль гнотобиотов осуществлялся по специально подобранной методике, в полном соответствии со всеми технологическими требованиями гнотобиологии, исключающей возможность их случайной контаминации (загрязнения непатогенной микрофлорой). Вторая группа – обычные конвенциональные животные, которые содержались в стандартных условиях микробного окружения вивария той же экспериментально-биологической клиники (контрольная группа). Третья группа – обычные конвенциональные животные с экспериментальной аутоиммунной кардиомиопатией, то есть находящиеся под воздействием антигенной нагрузки высокой интенсивности. Эти животные подвергались 10-кратной иммунизации антигенами водно-солевого экстракта (концентрация белка – 20 мг/мл по Лоури) гомологичного сердца в равной смеси с полным адьювантом Фрейнда (ПАФ) в количестве 0,2 мл на инъекцию, проводимую один раз в неделю. В качестве контроля использовались животные с введением лишь ПАФ по аналогичной схеме. Все болезненные процедуры, а также методы эвтаназии животных проводились в соответствии с рекомендациями комиссии по этике, ТГМУ и ТГУ, а также международных стандартов. Животных выводили из опыта спустя три недели после последней инъекции путем тотального обескровливания через стеклянный капилляр, вставленный в ретроорбитальный венозный синус, под эфирным наркозом (8).

Для электронномикроскопического исследования кусочки сердца фиксировали в 1,6% растворе глутаралдегида (фирмы «Merck», Германия) на 0,067М фосфатном буфере (pH – 7,9) с 1% сахарозой с последующей дофиксацией в 1% растворе четырехокиси осмия, приготовленном на том же буфере, и заключали в аралдит. Срезы изготовляли на ультрамикротоме фирмы «LKB-8800», контрастировали двойным контрастированием цитратом свинца и изучали в электронном микроскопе «ЭМВ-100А», «JEM-100C» и «Tesla-500». В процессе микроморфологического исследования кусочки ткани, блоки, срезы, электронограммы были отобраны случайным методом.

Электронномикроскопическое исследование микроциркуляторного русла сердца экспериментальных животных показало, что как у гнотобионтов, так и у животных, находящихся под воздействием антигенной нагрузки высокой интенсивности (ЭАК) ультраструктура микроциркуляторного русла сердца несколько отличается от таковой, наблюдаемой у обычных конвенциональных животных. У крыс – гнотобионтов наблюдается истончение стенок микрососудов, увеличение их просвета и большое количество агрегированных форменных элементов крови, заполняющих даже этот увеличившийся просвет капилляров, замедляя ток крови о котором уже упоминалось в наших

ранних работах (9,10). В капиллярах микроциркуляторного русла миокарда животных III группы наблюдается истончение эндотелия, на их фоне изредка встречаются резко отечные эндотелиальные клетки, Изменения, возникающие в эндотелии капилляров микроциркуляторного русла сердца, ведут к увеличению проницательности сосудистой стенки для жидкости и макромолекул. Сосудистый отек стимулирует образование миоцитами сосудов коллагена, эластина и веществ, аналогичных тем, которые входят в состав базальных мембран, что подтверждается наблюдаемыми нами скоплениями коллагенновых волокон в интерстициальном пространстве. Внутрисосудистые агрегаты эритроцитов в сочетании со значительными изменениями эндотелия капилляров значительно затрудняют кровоток, нередко приводя к полной окклюзии микроциркуляционного отдела сосудов миокарда, что способствует развитию дистрофических изменений в сердце, в результате чего формируется ишемия, связанная с внутрисосудистой агрегацией эритроцитов под воздействием ЭАК. Эндотелиальные клетки животных третьей группы резко отечны, в них отмечаются деструктивные изменения. Митохондрии с просветленным матриксом и уменьшенным количеством фрагментированных крист, расширенные цистерны эндоплазматического ретикулума, которые нередко представлены большими вакуолями. Базальная мембрана набухшая и просветленная, в ней отмечаются очаги деструкции. Отмечается большая гетерогенность изменений. Все это согласуется с литературными данными, в которых указывается на ослабление сердечной деятельности и основного обмена у безмикробных крыс, по сравнению с обычными конвенциональными животными и резко усиливается с повышением уровня антигенной нагрузки.

Таким образом, проведенные исследования демонстрируют сложный неоднозначный процесс зависимости морфофункциональных особенностей микроциркуляторного русла сердца крыс от микробного статуса, который, как уже было показано выше описанными экспериментами, носит однонаправленный характер с исходной антигенной нагрузкой.

**Литература:**


1. Махинько В.И., Никитин В.Н. – Константы роста и функциональные периоды развития постнатальной жизни белых крыс. В кН.: Молекулярные и физические механизмы возрастного развития – Киев, Наукова Думка, 1975, с. 308-26.
2. Подопригора Г.И., Кафарская Л.И., Байнов Н.А. – Гнотобиология в медико-биологических исследованиях – Вестник РАМН, 2012, №5, 63-70.
3. Киселева Е.П. – Акцептивный иммунитет – основа симбиотических взаимоотношений. – Инфекция и иммунитет, 2015, тю5, №2, 113-130.
4. Michelle G. Rooks, Wendy S. Garrett – Gut microbiota, metabolites and host immunity – Nature Reviews Immunology, 2016, 16, 341-352.
5. Thomas Luckey – Germfree life and Gnotobiology, 2012, 526p.
6. Кочламазашвили Б.К., Гогиашвили Л.Е., Джандиери К.Н. – Структурная реакция периферических органов иммунитета крыс при различных уровнях антигенной нагрузки с учетом возраста – Georgian Medical News, 2006, 3, 109-12.
7. Кочламазашвили Б. К. , Гогиашвили Л. Н., Джандиери К. Н. – Морфологические особенности периферических лимфоидных органов крыс при различных уровнях антигенной нагрузки с учетом возраста. – GMN, 2013, N12 (225), 104-109.
8. Yarderi T.L., Eckaus M., Morris D.H., Huiring M. et al. – Retro-orbital infections in mice Lab. Anim (NY), 2011, 40 (5), 155-160.
9. Кочламазашвили Б. К., Гогиашвили Л. Н., Джандиери К. Н. – Ультраструктурные особенности сердца животных – гнотобионтов с различным уровнем антигенной интоксикации в возрастном аспекте. – “Georgian Medical News” 2006, 3, 109-112.
10. Кочламазашвили Б. К., Гогиашвили Л. Н., Джандиери К. Н. – Субмикроскопические особенности сердца при различных уровнях антигенной нагрузки крыс в процессе старения. – GULUSTAN-BSSJAR ACCEPTED BY JOURNAL, 2013, 18.10.

**ხათუნა კუდავა**
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი,
ასისტენტ-პროფესორი,
კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი
ეროვნული ცენტრის დერმატო-ვენეროლოგი
**Khatuna Kudava**
Ph.D; International University of Georgia,
Assistant Professor;
National Center of Dermatology and Venereology,
Dermatovenereologist
**თინა ქიტუაშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი,
კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული
ცენტრის დირექტორი სამეცნიერო-სასწავლო დარგში
**Tina Kituashvili**
Tbilisi State University,
Associate Professor;
National Center of Dermatology and Venereology,
Director in the field of Science and Training.

## თავის თმიანი არის მიკოზები: მნიშვნელოვანი ეპიდემიოლოგიური ფაქტორები
## Tinea Capitis: Important Epidemiological Factors

**რეზიუმე:** თავის თმიანი არის მიკოზები, დერმატოფიტებით გამოწვეული სოკოვანი ინფექციაა, რომელიც ჯანდაცვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ის ფართოდ გავრცელებული ინფექციაა ბავშვებში. კვლევის მიზანი იყო თავის თმიანი არის მიკოზების მნიშვნელოვანი ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების შესწავლა. კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა ამ დაავადების გამომწვევთა სპექტრის განსაზღვრა, თავის თმიანი არის მიკოზების სქესთან და ასაკთან კავშირის დადგენა, ასევე დაავადების წყაროს გამოვლენა. კვლევა ჩატარდა კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევით ეროვნულ ცენტრში 191 პაციენტზე. გამომწვევთა სახეობრივი იდენტიფიკაციისათვის გამოყენებულ იქნა კულტურალური გამოკვლევა საბუროს ნიადაგი ქლორამფენიკოლით. დაავადება მეტად გავრცელებული აღმოჩნდა მამრობითი სქესის პაციენტებში 141(73,8%), 5-9 წლის ასაკოვან ჯგუფში 103 (53,9%). ყველაზე ხშირი ეტიოლოგიური აგენტები იყო Trichophyton mentagrophytes 51(41,1%) და Microsporum canis 49 (39, 5%).

**Abstract:** Tinea Capitis, fungal infection caused by dermatophytes, represents a significant health care problem. It is a widely spread infection among children. The aim of the study was to research epidemiologic characteristics of the scalpmycoses. Following objectives were set to accomplish the aim: to study a specter of the disease causatives to identify prevailing etiological agents, to study scalp mycoses in relation to gender and age. The study was undertaken on 191 patients in Scientific-Research National Center of Dermatology and Venereology. Identification of the causative species was done by culturing on Saburo growth medium with antibiotic chloramphenicol. Evaluation of luminescence under the Wood lamp was used as a supplementary method. Most of the patients were male 141(73,8%)and of 5-9 age group103 (53,9%). In the 1-4 and 10-14 age groups distribution of the patients was 51(26,7%) and 37(19,4%) respectively. Most frequent etiological agents turned out to be Trichophyton mentagrophytes 51(41,1%) and Microsporum canis 49 (39, 5%). Less frequent were Trichophyton violaceum 11(8,9%), Microsporum ferrugineum 7(5,7%) and Trichophyton verrucosum 6(4,8%).

**პრობლემის აქტუალურობა.** თავის თმიანი არის მიკოზები, დერმატოფიტებით გამოწვეული სოკოვანი ინფექცია, ჯანდაცვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. დაავადება გავრცელებულია მთელს მსოფლიოში. ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში კანის ზერელე სოკოვანი ინფექციების შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ მის 1%-ს თავის თმიანი არის მიკოზები წარმოადგენდა (1). ევროპაში მისი ფართო გავრცელება ასევე დადასტურდა საფრანგეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საბერძნეთში ჩატარებული კვლევების შედეგად (2,3). კონკრეტულ ქვეყნებში კი, როგორიცაა ეგვიპტე, ეთიოპია და აღმოსავლეთ ნიგერია, ეს დაავადება დომინანტ დერმატოფიტოზს წარმოადგენს (4,5,6). ბოლო დროს მეტად აქტუალურია მსოფლიოში თავის თმიანი არის მიკოზების ზოოფილური ეტიოლოგიური აგენტის Microsporum canis ფართო გავრცელება. ეს გამომწვევი დომინანტი აღმოჩნდა ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა ავსტრია, პოლონეთი, ესპანეთი, ბრაზილია და ჩინეთი (7,8,9,10,11). გავრცელების შედარებით ნაკლები სიხშირით ხასიათდება ზოოფილური Trichophyton mentagrophytes-ით გამოწვეული ინფექციები (12,13). თავის თმიანი არის მიკოზები ყველაზე ხშირად გვხვდება ბავშვთა ასაკში. მრავალი კვლევა ადასტურებს მის განსაკუთრებით ფართო გავრცელებას 12 წლამდე ბავშვებში (14,15,16,17,18 ), ხშირად 4-9 წლის ასაკოვან ჯგუფში (9,19). არ არსებობს ერთიანი მონაცემები დაავადების სქესთან კავშირის შესახებ. რიგი კვლევების მიხედვით თავის თმიანი არის მიკოზები უფრო გავრცელებულია მამრობითი სქესის პირებში (12,20).

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** კვლევის მიზანი იყო თავის თმიანი არის მიკოზების მნიშვნელოვანი ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების შესწავლა. კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა ამ დაავადების გამომწვევთა სპექტრის განსაზღვრა, თავის თმიანი არის მიკოზების სქესთან და ასაკთან კავშირის დადგენა, ასევე დაავადების წყაროს გამოვლენა.

**მასალა და მეთოდები:** კვლევა ჩატარდა კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევით ეროვნულ ცენტრში. ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა თავის თმიანი არის მიკოზებით დაავადებული 191 პაციენტი. ყველა მათგანს აღენიშნებოდა დაავადების კლინიკური სიმპტომები. დიაგნოზის დადასტურება ხდებოდა მიკროსკოპული და კულტურალური გამოკვლევებით. ამ კვლევებისათვის მასალას წარმოადგენდა დაზიანების კერებიდან აღებული ქერცლი და თმის ღერები. მიკროსკოპული გამოკვლევის შემთხვევაში მასალა თავსდებოდა ერთჯერად სასაგნე მინაზე და მუშავდებოდა KOH-ის 20%-იანი ხსნარით. შემდეგ ხდებოდა პრეპარატის დათვალიერება მიკროსკოპის ქვეშ, სოკოს მიცელიუმებისა და სპორების გამოსავლენად. ამავე მეთოდით ხდებოდა თმის დაზიანების ფორმის განსაზღვრა, ენდოტრიქსისა და ექტოტრიქსის გამოვლენა. გამომწვევთა სახეობრივი იდენტიფიკაციისათვის გამოყენებულ იქნა კულტურალური გამოკვლევა. პათოლოგიური კერიდან აღებული მასალა ითესებოდა სპეციალური ნიადაგის (საბუროს ნიადაგი ქლორამფენიკოლით) შემცველ პეტრის ფინჯნებსა და სინჯარებში. შემდეგ თავსდებოდა სპეციალურ თერმოსტატში 25-30C ტემპერატურაზე. გამომწვევის ზრდის შეფასება ხდებოდა კვირაში ერთხელ, დათესვიდან მე-7, მე-14, 21-ე და 28-ე დღეებში. თუ ამ ხნის განმავლობაში აღინიშნებოდა კოლონიის ზრდა, პასუხი ითვლებოდა დადებითად. დამატებით გამოყენებულ იქნა ვუდის ნათურით გამოკვლევა, დაზიანებულ კერებში ლუმინესცენტური ნათების გამოსავლენად და მიკროსპორუმებით გამოწვეული პათოლოგიების საიდენტიფიკაციოდ.

**კვლევის შედეგები:** თავის თმიანი არიდან აღებული მასალის მიკროსკოპული გამოკვლევის შედეგად ექტოტრიქსის ტიპის ეტიოლოგიური აგენტი გამოვლინდა 166(86,9%) შემთხვევაში, ენდოტრიქსის ტიპის – 25(13,1%)-ში. კულტურალური გამოკვლევის შედეგად ეტიოლოგიური აგენტი გამოვლინდა 124 (62,3%) შემთხვევაში. მათგან 106(85,5%) აღმოჩნდა ზოოფილური, 18 (14,5%) კი-ანთროპოფილური. ყველაზე გავრცელებულ ეტიოლოგიურ აგენტებს წარმოადგენდა Trichophyton mentagrophytes და Microsporum canis. ეს გამომწვევები გამოვლინდა შესაბამისად 51(41,1%) და 49(39,5%) შემთხვევებში. სხვა ეტიოლოგიური გამომწვევების განაწილება იყო შემდეგი: Trichophyton violaceum-11(8,9%), Microsporum ferrugineum- 7(5,7%) და Trichophyton verrucosum-6(4,8%). პაციენტთა ვუდის ნათურით დათვალიერების დროს მწვანე ნათება გამოვლინდა 59(30,9%) შემთხვევაში. ყველა მათგანი

გამოწვეული იყო Microsporum ჯგუფის ეტიოლოგიური აგენტით. დაავადების გამომწვევი 46 (77,9%) შემთხვევაში იყო Microsporum canis, 7-ში (11,9%)–Microsporum ferrugineum, დანარჩენ 6 (10,2%) შემთხვევაში ეტიოლოგიური ფაქტორის გამოვლენა ვერ მოხდა.

გამოკვლეული 191 პაციენტი იყო ბავშვი. მათი ასაკი მერყეობდა ერთიდან თხუთმეტ წლამდე. ასაკის გათვალისწინებით პაციენტები დაიყო სამ ჯგუფად: ერთიდან ხუთ წლამდე, ხუთიდან ათ წლამდე და ათიდან თხუთმეტ წლამდე. პირველ ჯგუფში გაერთიანდა 51 პაციენტი, რაც შეადგენდა საერთო რაოდენობის 26,7%-ს, მეორე ჯგუფში 103 პაციენტი, საერთო რაოდენობის 53,9%, ხოლო მესამეში-37 პაციენტი, საერთო რაოდენობის 19,4%. შესწავლილი 191 პაციენტიდან 141(73,8%) იყო მამრობითი სქესის, ხოლო 50 (26,2%)-მდედრობითი.

ჩვენი კვლევით მოხდა ინფექციის წყაროს დადგენაც. Trychophyton mentagrophytes-ისა და Trychophyton verrucosum-ის ყველა შემთხვევაში დაავადების წყარო იყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. Microsporum canis-ით გამოწვეული ინფექციის 49 შემთხვევიდან დაავადების წყაროს დადგენა მოხდა 38(77,6%)-ში და ყველა მათგანში იყო კატა. დანარჩენ 11-ში (22,4%) წყაროს გამოვლენა ვერ მოხერხდა. ასევე ვერ გამოვლინდა წყარო Trichopyton violaceum-ით გამოწვეულ შვიდ და Microsporum ferrugineum-ით გამოწვეულ ხუთ შემთხვევაში. Trichophyton violaceum-ის ოთხ და Microsporum ferrugineum-ის ორ შემთხვევაში დაავადების წყარო იყო კონტაქტში მყოფი დაავადებული ბავშვი.

**დასკვნა:** კვლევის შედეგად მოხდა თავის თმიანი არის მიკოზების მნიშვნელოვანი ეპიდემიოლოგიური ფაქტორების შეფასება. ეტიოლოგიური აგენტების სპექტრის განხილვით გამოვლინდა დაავადების დომინანტი გამომწვევები: Trychophyton mentagrophytes და Microsporum canis. დაავადება ყველაზე გავრცელებული აღმოჩნდა 5-9 წლის ასაკოვან ჯგუფში, მამრობითი სქესის პირებში. გამოიკვეთა ზოოფილური ჯგუფის სიჭარბე. დაავადების ძირითად წყაროდ გამოვლინდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და კატა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Ginter-Hanselmayer G, Weger W, Ilkit M, Smolle J. Epidemiology of tinea capitis in Europe: current state and changing patterns. Mycoses. 2007; 50 Suppl 2:6-13.
2. Simonnet C, Berger F, Gantier JC.Epidemiology of superficial fungal diseases in French Guiana: a three-year retrospective analysis. Med Mycol. 2011; 49(6):608-11.
3. Tsoumani M, Jelastopulu E, Bartzavali C, Vamvakopoulou S, Dimitracopoulos G, Anastassiou ED, Christofidou M.Changes of dermatophytoses in southwestern Greece: an 18-year survey.Mycopathologia. 2011; 172(1):63-7.
4. Zaki SM, Ibrahim N, Aoyama K, Shetaia YM, Abdel-Ghany K, Mikami Y. Dermatophyte infections in Cairo, Egypt. Mycopathologia. 2009; 167(3):133-7.
5. Woldeamanuel Y, Mengistu Y, Chryssanthou E, Petrini B. Dermatophytosis in Tulugudu Island, Ethiopia. Med Mycol. 2005; 43(1):79-82.
6. Ngwogu AC, Otokunefor TV. Epidemiology of dermatophytoses in a rural community in Eastern Nigeria and review of literature from Africa. Mycopathologia. 2007; 164(4):149-58.
7. Binder B, Lackner HK, Poessl BD, Propst E, Weger W, Smolle J, Ginter-Hanselmayer G. Prevalence of tinea capitis in Southeastern Austria between 1985 and 2008: up-to-date picture of the current situation. Mycoses. 2011; 54(3):243-7.
8. Jankowska-Konsur A, Dylag M, Szepietowski JC. Tinea capitis in southwest Poland. Mycoses. 2009; 52(2):193-4.
9. Del Boz J, Crespo V, Rivas-Ruiz F, de Troya M. A 30-year survey of paediatric tinea capitis in southern Spain. J Eur Acad Dermatol Venereol. 2011; 25(2):170-4.
10. Moraes MS, Godoy-Martínez P, Alchorne MM, Boatto HF, Fischman O. Incidence of Tinea capitis in São Paulo, Brazil. Mycopathologia. 2006; 162(2):91-5.

11. Zhu M, Li L, Wang J, Zhang C, Kang K, Zhang Q. Tinea capitis in Southeastern China: a 16-year survey. Mycopathologia. 2010; 169(4):235-9.
12. Fulgence KK, Abibatou K, Vincent D, Henriette V, Etienne AK, Kiki-Barro PC, Yavo W, Koné M, Hervé Menan EI. Tinea capitis in schoolchildren in southern Ivory Coast.Int J Dermatol. 2013; 52(4):456-60.
13. Saghrouni F, Bougmiza I, Gheith S, Yaakoub A, Gaïed-Meksi S, Fathallah A, Mtiraoui A, Ben Saïd M.Mycological and epidemiological aspects of tinea capitis in the Sousse region of Tunisia.Ann Dermatol Venereol. 2011;138(8-9):557-63.
14. Patel GA, Schwartz RA. Tinea capitis: still an unsolved problem? Mycoses. 2011; 54(3):183-8.
15. Chapman JC, Daniel CR 3rd, Daniel JG, Daniel MP, Sullivan S, Howell D, Elewski BE, Thames LC.Tinea capitis caused by dermatophytes: a 15-year retrospective study from a Mississippi Dermatology Clinic.Cutis. 2011;88(5):230-3.
16. Cortez AC, de Souza JV, Sadahiro A, de oliveira JA.Frequency and etiology of dermatophytosis in children age 12 and under in the state of Amazonas, Brazil. Rev Iberian Micol. 2012; 29(4):223-6.
17. Grover C, Arora P, Manchanda V. Tinea capitis in the pediatric population: a study from North India. Indian J Dermatol Venereol Leprol. 2010; 76(5):527-32.
18. Zaraa I, Hawilo A, Aounallah A, Trojjet S, El Euch D, Mokni M, Ben Osman A. Inflammatory Tinea capitis: a 12-year study and a review of the literature. Mycoses. 2013; 56(2):110-6.
19. Raccurt CP, Dorsainvil D, Boncy M, Boncy J, Auguste G. The emergence of Trichophyton tonsurans in Port-au-Prince, Haiti. Med Mycol. 2009; 47(2):197-200.

**ზურაბ ქუთათელაძე**
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი
**Zurab Kutateladze**
International Teaching University of Georgia,
Associate Professor

## სამედიცინო დეონტოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხი
## Important Issue of Medical Deontology

**რეზიუმე:** როგორც ცნობილია, მედიცინაში არსებობს ტერმინი "იატროგენია", რომელიც გულისხმობს სამედიცინო პერსონალის მიერ უნებლიედ პროვოცირებული პირის ფიზიკური ან ემოციური მდგომარეობის გაუარესებას. ჯანმრთელობის დარღვევის გარდა, იატროგენიის შედეგია: მენტალური კომპლექსების ჩამოყალიბება, ყოველდღიური სტერეოტიპების შეცვლა, ინვალიდობა და სიკვდილიც კი. მედიცინის პარალელურად, უძველესი დროიდან სულსა და ხორცს რელიგიურ ინსტიტუტებში მკურნალობენ. მაგრამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული ათეისტური რეჟიმის მემკვიდრეობის წყალობით, ღირსეულ პირებთან ერთად მსახურობენ სასულიერო პირები, რომლებიც არაკომპეტენტურად ერევიან სამკურნალო მანიპულაციებში, აქვთ უარყოფითი პიროვნული მაგალითები, გამოირჩევიან უტაქტობით, უწესრიგობით, სიტყვიერი შეურაცხყოფით და მუქარით. მათი „მითითებები" ხშირად ისეთ შედეგებს იწვევს, როგორიცაა იატროგენია. იმისათვის, რომ დავახასიათოთ ასეთი ქმედებები, ჩვენ შემოვიღეთ ტერმინი "სასულიერო გენეზისი", რომელიც განსაზღვრავს საეკლესიო პირების მიერ უნებლიედ გამოწვეულ დაავადებებს, ამგვარად, ჩვენ ნიადაგს ვამზადებთ ახალი მიდგომებისთვის, რათა აღმოვფხვრათ უარყოფითი პროცესები საეკლესიო მსახურებაში.

**Abstract:** As is known, in medicine there is a term "iatrogenia", implying deterioration of the physical or emotional state of a person involuntarily provoked by a medical worker. The consequence of iatrogenic, in addition to the violation of health, can be: the formation of mental complexes, changing of everyday stereotypes, disability and even death.Parallel to medicine, from time immemorial, the soul and flesh are treated in religious institutions. But in the post-Soviet country, with the legacy of the atheistic regime, together with worthy persons serve: clericals with incompetent interventions in medical manipulation, with negative personal examples, with tactlessness, disorderlyness, verbal abuse and threats. Their "instructions" often bring results like iatrogenia. In order to characterize such actions, we enter the term "clerical genesis", which defines diseases involuntarily caused by church persons, and thus we pave the way for a new definition, to eradicate the negative processes of pastoral ministry.

მედიცინა მოწოდებულია ადამიანთა ფსიქიკური და ფიზიკური სნეულებების სამკურნალოდ. მაგრამ ხდება, რომ მედიცინის მუშაკი არათუ კურნავს დაავადებას, არამედ თავად აღმოჩნდება ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზის რანგში. ამ საკითხის მსაზღვრელად მედიცინაში არსებობს სპეციალური ტერმინი, რომელსაც იატროგენია ეწოდება.

იატროგენია არის პაციენტის ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობა, გამოწვეული ექიმის დაუდევარი სიტყვით ან გაუფრთხილებელი ქმედებით, ხოლო თუ მსგავსი საქციელის მიზეზია ექთნის არასწორი საქციელი – ეს კვალიფიცირდება სოროროგენიად. იატროგენიას, ჯანმრთელობის გაუარესების გარდა, შედეგად მოსდევს ფსიქიკური კომპლექსების ფორმირება, ავადმყოფის ცხოვრების ჩვეული ყოფის შეცვლა, მისი დაინვალიდება და თვით სიკვდილიც კი.

იატროგენიის მიზეზები შეიძლება გახდეს: ავადმყოფთან ურთიერთობაში ზედმეტად მკაცრი ტონი, ან პირიქით – ფამილარული დამოკიდებულება; ექიმის უტაქტო შენიშვნა ან უხეში მოპყრობა; პაციენტთან ზერელე საუბარი; საზიანო მედიკამენტოზური დანიშნულება; მედიკოსებს შორის ავადმყოფის თანდასწრებით წარმართული კამათი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე; ავადმყოფის ხელში მისი დაავადების ისტორიის მოხვედრა; ავადმყოფისათვის გადაცემული ინფორმაციის გაურკვევლობა და მისთ.

თუ იატროგენიად კვალიფიცირდება დაავადება, გამოწვეული ექიმთან კონტაქტის შედეგად მიღებული ღრმა ფსიქოლოგიური ტრავმით, მსგავსი ტრავმის მიღება დღეს მოქალაქეებს შეუძლიათ არა მარტო საავადმყოფოს კედლებში.

მას შემდეგ, რაც ქვეყნის მოსახლეობამ განვლო საბჭოური ათეიზმის პერიოდი, მრევლი დადის მართლმადიდებლურ ტაძარში „საკურნებლად სულისა და ხორცისა“, როგორც ამას აღიარებს და წარმოთქვამს ზიარების შემდეგ. და, არცთუ იშვიათად, თვით ფიზიკური სნეულების დროსაც ის ჯერ ეკლესიას აკითხავს საკურნებლად, და მხოლოდ ამის შემდეგ მიდის საავადმყოფოში. სამწუხაროდ, ისევე, როგორც იატროგენიის შემთხვევაში საავადმყოფოდან, არცთუ იშვიათად ბრუნდება იქიდან არა სულიერად და ფიზიკურად გაჯანსაღებული, არამედ ვნებული და დაზიანებული.

რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

1. საეკლესიო მსახურთა გადაჭარბებული თვითშეფასება – ეგრეთ წოდებული „მლადოსტარჩესტვო“ – ბრძანებითი რჩევებითა და მკაცრი ეპიტიმიებით;
2. არაკომპეტენტური ჩარევა სამედიცინო მანიპულაციებში;
3. პირადი ნეგატიური მაგალითები;
4. პიროვნული უტაქტობები: დაუდევრობები, სიტყვიერი შეურაცხყოფები, მუქარა.

**1. „მლადოსტარჩესტვო“.** საეკლესიო მსახურთა გადამეტებულ მოწადინებათა გარკვეული სახეობის აღსანიშნავად სლავურ საეკლესიო სივრცეში არსებობს ტერმინი „მლადოსტარჩესტვო“ (ცრუსულიერების აღმნიშვნელი ტერმინი) – საეკლესიო ცხოვრების არაჯანსაღი მოვლენა, როდესაც ახალგაზრდა ან სულიერად გამოუცდელი საეკლესიო პირები მიიწერენ სულიერების განსაკუთრებულ მადლმოსილებას, ისეთს, როგორიც სინამდვილეში აქვთ მხოლოდ განსაკუთრებული მადლის მქონე სასულიერო მოღვაწეებს. ცრუსულიერების მქონეთა მთავარი

შეცდომა მდგომარეობს საკუთარი გონებისა და ნებისყოფის სულიწმინდის მადლად წარმოდგენაში და ამ ნიადაგზე საერო პირების მცდარი გზით დამოძღვრაში.

არცთუ იშვიათად ეს პირები აპოკალიფსური განწყობილებით მწყემსავენ მრევლს და ცდილობენ მათ სრულ დამორჩილებას და მათზე საკუთარი ზეგავლენის დღითიდღე გაფართოებას. მათ აქვთ მსმენელთა მრავალრიცხოვნობაზე მოთხოვნილება, ატარებენ ბელადობის შეფარულ ტენდენციებს, რასაც ხშირად მათი ქადაგების სიტყვები მოწმობს: „როდესაც ტაძარში შემოსილი ვდგავარ, ჩემი პირით თვით უფალი გესიტყვებათ და ჩემი ნების ასრულებით თვით ღმერთის ნებას ასრულებთ!“

მათ იოლად შეუძლიათ გადაჭრან ადამიანთა ბედი – მაგალითად, საკუთარი უფლებების მაღალი საკარცხულიდან პირდაპირი მითითება მისცენ მრევლის წევრებს ერთმანეთზე დასაქორწინებლად, სამსახურის მიმართ სამომავლო დამოკიდებულების განსასაზღვრავად თუ იმ „საზეო“ საკითხთან დაკავშირებით, იყოლიონ თუ არა სახლში კატა, რომელმაც შეიძლება მადლი გაიტანოს ოჯახიდან.

თუ პიროვნებას ვერ დაიყოლიებენ, არ გაუჭირდებათ, დაემუქრონ „შეკვრით“ – უკეთუ ეს უფლება თვით მაცხოვრისაგან აქვთ ბოძებული („ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა“.), რაიმე სნეულებით, რომელიც თავისუფალ ნებას შეუზღუდავს მათ. ან სულაც ტაძრიდან გასტუმრებით.

ასე და ამგვარად, „მლადოსტარცები“ ემსგავსებიან წარმართობის დროინდელ ქურუმებს და თანამედროვე ექსტრასენსებს, რომელთაც, სხვათა შორის, თვითონ განაქიქებენ.

ამრიგად, მართლმადიდებლური ტრადიციები თანდათან იქცევა სექტანტობად, გარეგნულ მზრუნველობას ამოფარებული მკაცრი და გულგრილი დამოკიდებულებით მოყვასისადმი. შესაბამისად, „მლადოსტარცების“ მიერ მოტანილი ზიანი საკმაოდ მრავალსახოვანია და მედიცინასა და ფსიქოლოგიაში ის შეიძლება გამოიხატოს ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის შერყევით – დეპრესიულობით, გუნება-განწყობის დაქვეითებით, უძილობით ან შფოთიანი ძილით, ფორიაქიანი სიზმრებით, გაღიზიანებადობით.

როდესაც მღვდელი თვით არის მიდრეკილი ისტეროიდული, პატივმოყვარული ამბიციებისაკენ, არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ იგი იოლად მოექცევა ე. წ. „მლადოსტარცების“ რიგებში. ამგვარი სენის ნაადრევი გამოვლინება გახლავთ გადამეტებული ყურადღება საკუთარი ჩაცმულობის მიმართ – თუნდაც მასში სამღვდელო სამოსი იგულისხმებოდეს; დაუოკებელი მიდრეკილება ადამიანების დამოძღვრისა და ჭკუის სწავლებისაკენ – „ეს გააკეთე, ის არ გააკეთო“ – როდესაც მისთვის თვით შეგონების შინაარსსა და მოსაუბრისათვის სარგებლიანობას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ ტკბობას საკუთარი სიტყვაკაზმულობითა და ოქროპირობით; სწრაფვას თავმოწონებისა და თავისდა შეუმჩნევლად სხვა ავტორიტეტების სიბრძნეთა თავისად გასაღებით.

ასეთი ადამიანების ხელდასხმა შეიძლება ნიშნავდეს მათი მაღალი პრეტენზიულობის დაკმაყოფილებას. როგორც ნეტარი ანტონ სუროჟელი ამბობს, ასეთი სასულიერონი: „წარმოიდგენენ, ვითომცდა ხელდასხმა მათ მიჰმადლებს ჭკუასაც და გამოცდილებასაც, თვით სულის შეცნობის უნარსაც კი. და ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მათ არ გააჩნიათ სულიერი სიმწიფე და თვით ისეთი სულიერი ხედვაც კი, რასაც იძლევა სულ უბრალო ცხოვრებისეული გამოცდილება, ისინი თვლიან, რომ უკვე აღჭურვილნი არიან იმ უნარით, რომლის მეოხებითაც შეუძლიათ ხელი ჩასჭიდონ მონანიე ცოდვილს, და მიწიდან პირდაპირ ზეცად აღამაღლონ“.

ხიბლიდან გამოსვლის საშუალებას მოძღვარს აძლევს თვით უფალი – თავს მოწეული განსაცდელებით, ფიზიკური თუ ფსიქიკური შეჭირვებების მეოხებით, რომლებიც დაბრკოლებებს უქმნიან მას ცდუნების გზებზე სასიარულოდ!

**2. არაკომპეტენტური ჩარევა სამედიცინო მანიპულაციებში.** ხშირად მღვდელმსახურნი თავს ნებას აძლევენ, უცოდინრად და საკუთარ სულიერ ძალებზე დაყრდნობით ჩაერიონ სამედიცინო მანიპულაციებში. მათ შეუძლიათ უაპელაციოდ აუკრძალონ ავადმყოფს ოფიციალურ კლინიკურ სტაციონარში მოტეხილი კიდურის მკურნალობა და დააჯერონ

არტაშანსა და შინაურ მალამოებს, დასთხოვონ ავადყოფი პრეპარატს, რომელიც რკინას შეიცავს („რკინა – სატანის ლითონია“), გადაუყარონ სამკურნალო აბები ავადმყოფს („აბებში ეშმაკია ჩაბუდებული“) და ა.შ.

**3. პირადი ნეგატიური მაგალითები.** ადამიანები, რომლებსაც ჯერ არ შეუცვნიათ უზენაესი, მხოლოდ ახლა შესდგომიან უფლისკენ სავალ გზებს, სწორედ სასულიერო პირების მიხედვით აკეთებენ დასკვნას, როგორი შეიძლება იყოს ღმერთი. ამ დროს მათთვის ეკლესიურობის პირველსავე ნეოფიტობის ხანაში უმთავრესი წარმმართველია სასულიერო პირის არა ქადაგებები და შეგონებანი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, პირადი ცხოვრების მაგალითი.

როდესაც საყოველთაო გაჭირვების წლებში მღვდელმსახური ძვირადღირებული სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილდება, ეს, შეიძლება არ იყოს მკაცრად დასაძრახი, მაგრამ, როდესაც ის, წითელ შუქზე გასული სასიკვდილოდ დააზიანებს ბავშვს და მერე თავსაც იმართლებს, ეს უკვე მღვდლისაგან ადამიანისათვის გამოტანილი სასიცოცხლო განაჩენია.

როდესაც სასულიერო პირი წირვა-ლოცვის შემდეგ თამბაქოთი იკეთებს შესვენებას, ეს ჯანმრთელობის საზიანო გადამდები მაგალითია მრევლისათვის, ხოლო, როდესაც აბორტს გაუკეთებს თავის მიერ შეცდენილ მონაზონს, ეს – მრავალი ქალისათვის უზნეობისა და დარღვეული ქალური ჯანმრთელობის სავალალო შემთხვევა გახლავთ!

ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთში პოლიტიკური გადატრიალებების ჟამს მეოცე საუკუნის დასაწყისში რევოლუციონერთა შორის მრავლად იყვნენ სასულიერო ოჯახებიდან გამოსული პირები, რომელთა მშობლების სიტყვა და საქმე დიამეტრალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

**4. პიროვნული უტაქტობები: დაუდევრობა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარა.** ხდება ხოლმე, რომ სასულიერო პირს შინიდან გარეთ გამოაქვს თავისი გენეტიკური და აღზრდითი ნაკლოვანებანი და ყოფითი ნეგატიური უნარ-ჩვევები. დიდსულოვნების ნაცვლად ისინი იჩენენ მოუთმენლობას, უყურადღებობას, გულგრილობას, რითაც ხელს ჰკრავენ უფლის ძიებისათვის მოსულ მრევლის წევრებს. შეიძლება მავანს მღვდლის ხარისხი კი ჰქონდეს მიღებული, მაგრამ მას არ შეუთვისებია სამოძღვრებო მოღვაწეობის მთავარი ჭეშმარიტება – ზრუნვა იმ ადამიანებზე, რომლებიც უფლისაგან ჰყავს მიბარებული.

საქართველოს ეკლესიის სინამდვილეში აღწერილია შემთხვევა, როდესაც ჭარმაგი ასაკის ქალბატონს, რომელიც აგვისტოს ხვატში ეკლესიაში სახეს მარაოთი ინიავებდა, მთელი ეკლესიის გასაგონად მიაყენეს შეურაცხყოფა, სიტყვებით: „ეკლესიაში ღვთის გულისათვის ყველაფერი უნდა აიტანო, მათ შორის სიცხე და ოფლიანობაც“. შედეგი აღმოჩნდა მძიმე ნერვული სტრესი: „29 წელია ტაძარში დავდივარ და ასე დამცირებული და შეურაცხყოფილი არ გამოვსულვარ ეკლესიიდან – ტაძარში ყველა მე მიყურებდა და მთელი ღამე ვერ დავიძინე“. ასეთივე ნერვული სტრესის გადატანა უხდებათ ადამიანებს, რომლებიც იღებენ უტაქტო შენიშვნებს სამოსელის, ვარცხნილობის, ზიარებისათვის არასათანადო მომზადების, ჩამოუყალიბებელი შეკითხვების დასმისათვის.

ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში არ იგულისხმება ის შემთხვევები, როდესაც მრევლის წევრები ვერ ჰგუობენ დელიკატურად, მზრუნველობით მიცემულ შენიშვნებს და მოითხოვენ მათდამი ყველასაგან განსხვავებულ, განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობას.

ზემოთ ჩვენ მოვიხსენიეთ ორი სამედიცინო ტერმინი – „იატროგენია“ და „სოროროგენია“, რომელთა მიზეზითაც ხდება ავადმყოფობის წარმოშობა სამედიცინო დაწესებულებებში. ნიშანდობლივია, რომ არსებობს კიდევ სრულიად უნიკალური დეფინიცია – „ეგროტოგენიის“ სახით.

ეგროტოგენია – ეს არის ავადმყოფების უარყოფითი ფსიქიკური მოქმედება ერთმანეთზე, რის შედეგადაც სნეულების ახალი ფორმები წარმოიშობა. ხოლო, იმ პირობებში, როდესაც თვით რიგითი საერო ადამიანებისგან – ავადმყოფებისგან მოგვრილ სნეულებას გააჩნია თავისი ლათინური შესატყვისი, სავსებით თანაზარზომიერია მსგავსი განსაზღვრება სასულიერო წოდებისათვის. ლათინურისავე სამედიცინო ენის ხმობით ასეთ ტერმინად ჩვენ ვიყენებთ „კლერიკოგენიას“, რომელიც თავის თავში მოიცავს ტერმინ „საეკლესიოს“ (ლათ. clericalis —

«საეკლესიო»), და სათავეს უდებს ახალ დეფინიციას, ძალისხმევისათვის ზემოთ აღწერილის მსგავსი ვითარებების აღსაკვეთად, რადგან ყურადღება მახვილდება იმ დარღვევებზე, რომლებიც გამოწვეულია „მლადოსტარცობით", არაკომპეტენტური ჩარევებით სამედიცინო მანიპულაციებში, პირადი ნეგატიური მაგალითებით და პიროვნული უტაქტობებით!

რაც შეეხება უკვე მოქმედი სასულიერო პირების განსჯას, საკითხი, ცხადია, საპატრიარქოს დონეზე შეიძლება იქნეს გადაწყვეტილი, ხოლო მომავალი კადრების აღზრდის პროცესში, სასულიერო სემინარიისა და აკადემიის მხრივ განსაკუთრებული მზრუნველობით მოითხოვენ მიდგომას ისეთი სასულიერო და საერო დისციპლინები, როგორიც არის „ზნეობრივი ღვთისმეტყველება", „დეონტოლოგიური ეთიკა" და „ურთიერთობათა ფსიქოლოგია".

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გურიელიძე ლ., ისტეროიდები ეკლესიაში – კრებულში „მართლმადიდებლობა და თანამე-დროვეობა", თბ., 2012.
2. სიონის საკათედრო ტაძრიდან ქალი მარაოს დანიავების გამო გამოაგდეს 2015, 13 ივლისი, http://intermedia.ge/?ref=home
3. Антоний Сурожский – Пастырство. – Минск: Издательство Белорусского Экзархата, 2005. 460 с. 4. Игумен Нектарий – «Если обидел священник» – https://igumen-nektariy.livejournal.com/116182.html
4. Иерофей Влахос – «Православная психотерапия», – М. 2015 г. 368 с. 6. И. В. Силуянова. «Руководство по этико-правовым основам медицинской деятельности». М. МЕДпресс-информ, 2008. – 224 с.
5. Священника, сбившего в Одессе мальчика, не посадят, 19.09.2012 http://newsland.com



**მანია არაბული**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი და

საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი,

ასოცირებული პროფესორი

**Mania Arabuli**

Grigol Robakidze University and

International Teaching University of Georgia,

Associate Professor


## ეპიფიზი და ჯანმრთელობის ქრონობიოლოგია
## Epiphysis and Health Chronobiology


**რეზიუმე:** ადამიანის მულტიფაქტორულ დაავადებათა გენეზისში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორგანიზმის ბიორიტმების შენარჩუნებას, რაშიც წამყვანი როლი აკისრია ეპიფიზს და მის ძირითად ჰორმონებს: მელატონინსა და სეროტონინს. მელატონინის სეკრეციის დღე-ღამური და სეზონური ცვლილება არეგულირებს ცალკეულ ორგანოთა მუშაობის ციკლურობასა და მათ ურთიერთშეთანხმებულობას. ეკოლოგიური და გენეტიკური ფაქტორები, ცხოვრების რეჟიმის შეუსაბამობა სადღეღამისო ციკლთან იწვევს „ცირკადულ სტრესს". ბიორიტმების გარკვეულ დიაპაზონში ცვლილება ფიზიოლოგიური ადაპტაციაა, მაგრამ რიტმის მკვეთრად დამახინჯება პათოლოგიურ დესიქრონოზზე მიუთითებს და ხელს უწყობს სხვადასხვა პათოლოგიების განვითარებას. ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის საჭიროა ფრთხილად მოვეპყროთ ჯანმრთელობის „ბიოსაათს", რისთვისაც მკაცრად უნდა დავიცვათ ძილის, ფხიზლობისა და კვების რეჟიმი.

**Abstract:** Among other factors, human biorhythms paly an important role in the development of diseases, while biorhythms are being driven by hormones melatonin and serotonin secreted in epiphysis.

Seasonal and daily changes in the secretion of melatonin determine cyclic nature of functioning of certain organs and this coordination. Ecological and genetic factor, discrepancy of daily activities with day-night changes cases the development of "Circadian Stress". Some range of change in biorhythms is a part of physiological adaptation process. However, dramatic alteration of the rhythms signifies pathological desynchronization and may cause a development of number of disorders. In order to maintain health, human "biological clock" should be given an attention and sleep-awake and eating rhythms should be strictly synchronized.

## შესავალი

ცოცხალი სისტემის ნორმალური მდგომარეობა ანუ ჯანმრთელობა ორი ძირითადი ფაქტორით განისაზღვრება: 1. ორგანიზმის შინაგანი გარემოს მუდმივობის შენარჩუნება ანუ ჰომეოსტაზი და 2. გარემო ფაქტორების ზემოქმედება ორგანიზმზე. ამ ორი ფაქტორიდან, ერთ-ერთი – ჰომეოსტაზი რეგულირდება რთული, იერარქიული სისტემით, რომელიც ჩამოყალიბდა ევოლუციის პროცესში და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მუშაობაზე. რაც შეეხება, ორგანიზმზე ზემოქმედ გარემო ფაქტორებს, ისინი მრავალფეროვანია, მაგრამ ერთადერთი მუდმივი, ფართო სპექტრისა და მკაცრად განმეორებადი ქრონოლოგიური ბუნებისა არის სინათლე, რომლის წყაროც დედამიწაზე არის მზე. განათების ხანგრძლივობასა და ინტენსივობაზეა დამოკიდებული დღე-ღამური და სეზონური ციკლურობა. ევოლუციის პროცესში ორგანიზმს ჩამოუყალიბდა ბუნებრივი მექანიზმები, რომლითაც შესაძლებელია სინათლის აღქმა და მისი გარდაქმნა სიგნალებად. ამ პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეპიფიზი.

თანამედროვე სამყაროში, ცხოვრების რითმი მნიშვნელოვანწილად არის აცდენილი ბუნებრივ დღე-ღამურ და სეზონურ რიტმებთან, რადგან დროის ნებისმიერ მონაკვეთში ხელმისაწვდომია ხელოვნური განათება, ხოლო სწავლის, მუშაობისა და დასვენების რეჟიმები არ ემთხვევა მზის ჩასვლა-ამოსვლის ციკლებს. ეს აცდენა მნიშვნელოვან ცვლილებებსა და დარღვევებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი დღესდღეობით აქცენტირებულად ასახული არ არის სამედიცინო სწავლების პროგრამებში საქართველოში, რაც ერთი მხრივ, დადებით წვლილს შეიტანდა მომავალი სამედიცინო კადრის განათლებაში, ხოლო მეორე მხრივ, მოახდენდა ამ თემის აქტუალიზაციას.

აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, ჩაგვეტარებინა ქრონობიოლოგიისა და ცირკადული რიტმების შესახებ ლიტერატურაში არსებული თანამედროვე მონაცემებისა და შეხედულებების მიმოხილვა და სტუდენტების დაინტერესების, მათ მიერ თემის უკეთ ათვისებისა და გააზრების მიზნით, მიმოხილვის შედეგად შერჩეული ინფორმაცია, აქ წარმოდგენილი სახით, ჩაგვერთო ჰისტოლოგიის სალექციო კურსში.

## მეთოდოლოგია

წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა ქრონობიოლოგიისა და ცირკადული რიტმების შესახებ თანამედროვე მონაცემებისა და შეხედულებების შესახებ არსებული სამეცნიერო პუბლიკაციების ანალიზს. ამასთან, ინფორმაციის ორგანიზება სასწავლო პროცესის ეფექტურად და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფორმით წარმართვის მიზნით, განხორციელდა რალფ ტაილერის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, რომელიც აღიარებულია და ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი მიდგომაა სასწავლო მასალების შემუშავებისთვის (13). ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად, 4-ეტაპიანი მიდგომით, მოხდა (1) სწავლების მიზნების განსაზღვრა, (2) სწავლების პროცესში სტუდენტების გამოცდილების შეფასება, (3) ამ შეფასების შედეგების ორგანიზება და ბოლოს (4) სწავლების პროგრამის შინაარსის განსაზღვრა.

ამასთან, გამოყენებული იყო კრუგერისა და ტენანტის მიერ ადაპტირებული მეთოდოლოგია მედიცინის სფეროში სასწავლო პროგრამების შემუშავებისას მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების შესახებ (14).

ძირითადი ტექსტი

ცოცხალი ორგანიზმების ნორმალური ფუნქციონირების უნიკალობა მათ რიტმულობაში მდგომარეობს. ჰომეოსტაზის რიტმულობის მარეგულირებელი ფაქტორების ცოდნას უდიდესი და წამყვანი მნიშვნელობა აქვს არაგადამდებ, ქრონიკულ, მულტიფაქტორულ დაავადებათა გენეზისის გარკვევაში, მათ პროფილაქტიკასა და მკურნალობაში. ადამიანის ორგანიზმში 100 მეტი ცირკადული როტმია ცნობილი: გულის ცემა, სუნთქვა და ა.შ. აღმოჩნდა, რომ ჩვენს ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები და პათოლოგიები, ინტელექტი და ხასიათიც კი მჭიდროდ არის დაკავშირებული წელიწადის დროებისა და დღე-ღამური რიტმების მონაცვლეობასთან (1).

ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე პროცესების რიტმულობის განსაზღვრას გენეტიკური საფუძველი გააჩნია, მაგრამ მასზე მაინც დიდ გავლენას ახდენს აბიოტური ფაქტორები, განსაკუთრებით სინათლისა და სიბნელის ცირკადული მონაცვლეობა.

გარემოს რიტმულობის აღქმაში მნიშვნელოვანია თავის ტვინის ზედა დანამატი – ეპიფიზი (გირჩისებური – პინეალური ჯირკვალი). მისი დახმარებით გარე გარემოს სინათლის შესახებ ინფორმაცია ორგანიზმის შიდა გარემოს გადაეცემა და ხდება ფიზიოლოგიური რიტმულობის ფორმირება და რეგულაცია. ძუძუმწოვრებში სინათლის სიგნალის მიღება დაკავშირებულია თვალის ბადურასთან, საიდანაც რთული ნერვული რკალის გავლით მიეწოდება პინეალოციტებს (ეპიფიზის პარენქიმული უჯრედები). ეპიფიზი ერთადერთი ჯირკვალია, რომელსაც შეუძლია თვალის ბადურიდან მიღებული ნერვული იმპულსის ტრანსფორმაცია, რაც გამოიხატება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (მელატონინი, სეროტონინი და ბევრი სხვა) სინთეზსა და გამოყოფის ციკლერობით (4, 10).

ეპიფიზი ორგანიზმის ენდოკრინული სისტემის ნაწილია. ადამიანში იგი მდებარეობს თავის ტვინის ზუსტად ცენტრში, ქმნის ტვინის მე-3 პარკუჭის სახურავს. მცირე ზომისაა, მაქსიმალურ ზომას აღწევს პუბერტულ ასაკში, შემდეგ კი განიცდის ინვოლუციას. წვრილი ფეხებით უკავშირდება მხედველობის ბორცვს. სტრომას და კაპსულას შემაერთებელი ქსოვილი ქმნის, პარენქიმას კი – პინეალური და გლიური უჯრედები. ძირითადი უჯრედები – პინეალოციტები ტრანსფორმირებული ფოტორეცეპტორული უჯრედებია, გლიურს – დამხმარე ფუნქცია აქვს, ასტროციტებია. სეკრეტორული უჯრედები – პინეალოციტები თავმოყრილია ორგანოს ცენტრში, არის ასაკობრივად და ფუნქციური აქტივობით განსხვავებული ორი ტიპის: ნათელი და ბნელი უჯრედები, ნათელში – სეროტონინი სინთეზდება, ბნელში კი – მელატონინი წარმოიქმნება (7, 11).

პინეალოციტებში სინთეზირებული მელატონინი ეპოფიზში არ გროვდება, მას გააჩნია ამფიფილური თვისებები, ამიტომ ადვილად გადის უჯრედულ ბარიერს, უკავშირდება პლაზმის ალბუმინებს და ტრანსპორტირდებიან ორგანიზმში, გვხდება ყველა ქსოვილსა და ორგანოში. მელატონინის 90% მეტაბოლოზდება ღვიძლში და შარდით გამოიყოფა. ნახევრადდაშლის პერიოდი 30 წთ-ია. მის სეკრეციას თრგუნავს სინათლე, ხოლო სიბნელე ასტიმულირებს (3, 11).

მელატონინი ეპიფიზის ძირითადი ჰორმონია, მისი სინთეზი მკვეთრად ცირკადული და სეზონური რიტმით ხასიათდება, რითაც მთელი ორგანიზმის ნეიროენდოკრინული სისტემის რიტმულობას განსაზღვრავს (2, 9). ძირითადად გამომუშავდება ღამით, შუა ღამიდან დილის ხუთ საათამდე მისი რაოდენობა ორგანიზმში განსაკუთრებით მომატებულია, ხოლო დღისით – მისი რაოდენობა სისხლში საგრძნობლად მცირდება. შებინდებისას ისევ მატულობს, რაც მოთენთილობასა და ძილის სურვილს იწვევს (1, 8). განათებულ ოთახში ძილის დროს ეპიფიზის მიერ მელატონინი არ გამომუშავდება და, შესაბამისად, ასეთი ძილი არ არის სრულფასოვანი და ადამიანი იღვიძებს გამოუძინებელი. ამასათან, ეპიფიზის ფუნქციონირების რიტმულობისათვის ასევე მნიშვნელოვანია დღის განათება. თუ ადამიანი მცირე დროს ატარებს დღის საათებში მზეზე და გვიან ღამემდე იმყოფება განათებულ ოთახში, მას, შესაძლოა, მელატონინის ნორმალური გამომუშავება დაერღვეს (6).

აღინიშნება მელატონინის სეკრეციის სეზონური ცვლილებაც. ჰორმონის დონე ადამიანის ორგანიზმში მინიმალურია მაისიდან ივლისამდე. ეს სეზონური ცვლილებები ახდენს გავლენას ადამიანის საერთო საქმიანობასა და ემოციურ მდგომარეობაზე. აღინიშნება კორელაცია ადამიანის ზოგიერთი დაავადების სეზონურ გამწვავებასთან. მაგ., დეპრესიები, გულის იშემიური დაავადებები და სხვ. (5; 7).

როგორც აღვნიშნეთ, ეპიფიზი განიცდის ასაკობრივ ინვოლუციას, რადგან პინეალოციტების რაოდენობა და ფორმა დაკავშირებულია ასაკთან, ნაწილობრივ სქესთანაც. შესაბამისად მელატონინის ბიოსინთეზიც ასაკობრივად იცვლება: მკვეთრად მატულობს ბავშვებში და საკმაოდ მაღალია პუბერტულ პერიოდამდე, (ახანგრძლივებს ძილსა და თრგუნავს სასქესო ჰორმონებს). სქესობრივი მომწიფების პერიოდიდან კი სისხლში მისი რაოდენობა მცირდება. თუმცა, მიუხედავად ამის, ეპიფიზის პარენქიმა ღრმად მოხუცობამდე ფუნქციონირებს. მოხუცებში დაფიქსირებული ძილისა და ზოგიერთი ქცევით ფუნქციის მოშლა შეიძლება დაკავშირებულია სწორედ ამ მოვლენასთან. მელატონინის ნაკლებობის პირველი ნიშანია უძილობა, მოუსვენრობა, შიშის შეგრძნება და მაღალი არტერიული წნევა (1,3,4). მელატონინის ნაკლებობა სისიხლში კონკრეტულად ხელს უწყობს სხვადასხვა პათოლოგიების განვითარებას, როგორიცაა სიმსივნეები, შიზოფრენია, დიაბეტი, ჭარბი წონა, იმუნოპათოლოგიური პროცესები, დეპრესიები, ნევროზები, ინფარქტი, ათეროსკლეროზი და სხვ. (3).

ოდითგანვე ცნობილი იყო ადამიანის აქტიურობის ცვლილების დღე-ღამური და სეზონური რიტმულობა. ამ დაკვირვებების საფუძველზე აღმოცენდა ბიოლოგიის ახალი მიმართულება ქრონობიოლოგია, რომელიც შეისწავლის სადღეღამისო ცირკადულ რიტმებს. ეს დამოკიდებულია დღე-ღამურ რიტმთან, განათებულობაზე, დღისა და ღამის ხანგრძლივობის თანაფარდობის ცვლილებებთან. ცირკადული რიტმები ჩვენი პლანეტის ყველ ცოცხალს გააჩნია, ერთუჯრედიანებსაც კი.

ორგანიზმებს გააჩნიათ ბიორიტმების ცვალებადობის გარკვეული დიაპაზონი, რომელიც ფილოგენეზურად გამომუშავდა და გენეტიკურად განმტკიცდა. ბიორიტმების გარკვეულ დიაპაზონში ცვლილება დასაშვებია – ფიზიოლოგიური დესინქრონოზი, და ადაპტაციაზე მიუთითებს. მაგრამ რიტმის მკვეთრად დამახინჯება პათოლოგიურ დესიქრონოზზე მიუთითებს. ყველა ბიოლოგიური რიტმის მოლეკულურ მექანიზმს „ბიოსაათის“ გენები ქმნიან. ეს გენები აკონტროლებენ უჯრედულ ციკლს – მიტოზისა და აპოპტოზის გენების აქტიურობას (2,9). დადგენილია, რომ ბიორიტმების გონივრული მართვით არა მხოლოდ დღის ოპტიმიზება, არამედ სიბერის პროცესთა შენელებაც კია შესაძლებელი, ხოლო მათი უგულებელყოფით შესაძლოა ადამიანი ისეთი ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდეს, რამაც იმუნიტეტის სერიოზული დაზიანება გამოიწვიოს (1, 3, 4).

ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების ევოლუციურად ჩამოყალიბებული რიტმულობა, რაც საშუალებას იძლევა შეეგუოს დღე-ღამის ნათელი და ბნელი პერიოდების მონაცვლეობას, სიცოცხლის განმსაზღვრელი ფაქტორია. ამიტომ ის არ არის დაკავშირებული სინათლის უშუალო აღქმასთან. სრულ სიბნელეშიც კი სადღეღამისო რიტმი სტაბილური რჩება, მხოლოდ იცვლება ხანგრძლივობა (10). სრულ სიბნელეში ცირკადული პერიოდი უფრო ხანგრძლივი ხდება ასტრონომიულთან შედარებით ნახევარი საათით.

„ძილ-სიფხიზლის“ პერიოდი გარეულ ცხოველებში და მცენარეებში ემთხვევა ასტრონომიულ რიტმს. მაგრამ ადამიანს ამ რიტმის დაცვა უჭირს. ცივილიზაცია გარდუვლად ანადგურებს მის ბიორიტმს: ხელოვნური შუქი, გამომაფხიზლებელი ან დამამშვიდებელი საშუალებები, ინტერნეტის შეუზღუდავი მოხმარება და სხვა. ცხოვრების რეჟიმის შეუსაბამობა სადღეღამისო ციკლთან იწვევს „ცირკადულ სტრესს“, რომელიც მრავალი დაავადებების განვითარების მიზეზი ხდება. ცნობილია, რომ ღამის ცვლაში ხანგრძლივად მომუშავე ქალებში ძუძუს კიბო 60%-ით უფრო მაღალია. ასევე, აღინიშნება ძილის, მეტაბოლიზმის, კუჭ-ნაწლავებისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადების, დიაბეტის განვითარების მომატება. უფრო ხშირია სიმსუქნე, მსხვილი და სწორი ნაწლავის კიბო და სხვ. (3).

ცირკადულ ასპექტში დღის განმავლობაში ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური პროცესები ძირითადად საკვების გადამუშავებაზეა განწყობილი, რათა აქტიური ცხოვრებისათვის ენერგია დაგროვდეს. რადგან მელატონინის მოქმედების მექანიზმი უჯრედთა პროლიფერაციისა და დიფერენცირების რეგულაციის კონტროლში მდგომარეობს, ამიტომ ღამის ბნელ პერიოდში აქტიურდება უჯრედების პროლიფერაცია და ქსოვილების რეპარაცია. შესაბამისად ღამით იზრდება მუტაციების საშიშროება. ამ დროს ორგანიზმში მელატონინის დონე ბუნებრივად მატულობს, რომელიც ამავე დროს ძლიერი ანიოქსიდანტიცაა. იგი აქტიურად იცავს გენეტიკურ აპარატს თავისუფალი რადიკალების დამაზიანებელი ზემოქმედებისგან – მუტაციებისგან (8,10, 11. 12). შესაბამისად, ეკოლოგიურმა და გენეტიკურმა ფაქტორებმა, რომლებიც აზიანებენ სისტემურ და ადგილობრივ ცირკადულ რიტმს, შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს უჯრედების გაყოფის რეგულაციასა და ამ გზით ხელი შეუწყონ კანცეროგენეზს.

ბიორიტმების დარღვევის უარყოფითი გავლენა ორგანიზმზე სტუდენტების ნაწილმა სკეპტიკურად აღიქვა. მეტი დამაჯერებლობისათვის მარტივი ექსპერიმენტი შევთავაზეთ; შევადგინეთ მოკლე კითხვარი, სადაც ძირითადად ძილისა და სიფხიზლის დროებს ეხებოდა. გამოკითხვა ანონიმური იყო, მაგრამ სტუდენტებისაგან ფარულად იყო კითხვარები მონიშნული. ერთ ნაწილი დავურიგეთ კარგი მოსწრების, მოტივირებულ და ლექციაზე აქტიურად ჩართულ სტუდენტებს (შეფასება სუბიექტურად მოხდა), კითხვარების მეორე ნაწილი მივაწოდეთ დაბალი აკადემიური მოსწრების, არამობილიზებულ სტუდენტებს. შედეგები ერთად შევაფასეთ. შედეგებით გამოვლინდა ტენდენცია, რომ პირველ ჯგუფში გაერთიანებული სტუდენტების 10%-ით მეტი იცავდა დღე-ღამურ ბუნებრივ რიტმს.

**დასკვნა**

ცირკადული სტრესები თანამედროვეობის განუყოფელი ნაწილია, რთულია მათთან დაპირისპირება. ევოლუციის პროცესში არაერთი საფრთხე დააუმარცხებია ადამიანს გონიერებით და ცოდნით. დღეს ახალი გამოწვევის წინაშე ვართ. ფრთხილად უნდა მოვეპყროთ ჯანმრთელობის „ბიოსაათს“, რისთვისაც მკაცრად უნდა დავიცვათ ძილის, ფხიზლობისა და კვების რეჟიმი.

ცირკადული რიტმების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს სიახლეს მედიცინის დარგის სტუდენტებისათვის საქართველოში და მისი ეფექტური მიწოდების შედეგად არა მხოლოდ ხდება სტუდენტების ინდივიდუალური ცხოვრების რიტმისეული დარღვევების შესახებ ინფორმირებულობის მომატება, არამედ ასევე, იზრდება მათი ცოდნის დონე. სწავლების პროცესში მიზანშეწონილია ინტერაქტიული მეთოდის გამოყენება, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, შეაფასონ ცირკადული რიტმების დარღვევა მათი ცხოვრების რეჟიმში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. თავართქილაძე ა., მელატონინი, ბიოლოგიური ასპექტები და კლინიკური პერსპექტივები, თბ., 2008, 257 გვ.
2. ყოლბაია დ., ბიოლოგიური საათის ბიოქიმიური ასპაქტები, თბ., 1995.
3. Комаров Ф.И., Рапопорт С.И., Малиновская Н. К., Анисимов В. Н. – Мелатонин в норме и патологии. М., 2004; 308 с.
4. Анисимов В.Н.- Молекулярные и физиологические механизми старения, СПБ, Наука, 2003. 468 с.
5. Виноградова И.А., Анисимов В.Н. Световой режим Севера и возрастная патология. – Петрозаводск: ПетроПресс, 2012.- 128 с.
6. Виноградов И.А. и др. – Световой режим, мелатнин и качество жизни. Сборник научно-популярных статей и фото материалов РФФИ Биология и медицинские науки, М, 2016. с. 76 -86.

7. Young, Barbara, John W. Heath, and Paul R. Wheater. Wheater's Functional Histology. Edinburgh: Churchill Livingstone, 2000. Print.
8. Cipolla-Neto J., Amaral F. G., Afeche S. C., Tan D. X., Reiter R. J. Melatonin, energy metabolism, and obesity: a review. Journal of pineal research. — 2014. — Vol. 56, no. 4. — P. 371-381.
9. Lincoln G., Andersson H., Laudon A. – Clock genes in calendar cells as the basis of annual tinekceeping in mammals – a unifying hypothesis; 2003; J Endocrinol 179 (1): 1 – 13.
10. Richarson G. – The human circadian system in normal and disordered sleep; 2005; J Clin Psychiatry 66 Suppl 9: 3-9 , quiz 43-2.
11. “Adult attention-deficit hyperactivity disorder is associated with alterations in circadian rhythms at the behavioural, endocrine and molecular levels” – Molecular Psychiatry, (22 November 2011) doi:10.1038/mp.2011.149 (PubMed ID: 22105622).
12. Van der Heijden KB, Smits MG, Van Someren EJ, Gunning WB (2005). "Idiopathic chronic sleep onset insomnia in attention-deficit/hyperactivity disorder: a circadian rhythm sleep disorder". Chronobiology International. 22 (3): 559–70. PMID 16076654. doi:10.1081/CBI-200062410.
13. Tyler, R. W., & Hlebowitsh, P. S. (2013). Basic principles of curriculum and instruction. Chicago: The University of Chicago Press.
14. Kruger, E., & Tennant, M. (2012, March). Curriculum information models in health professions education in Australia: an innovative approach to efficient curriculum design, development, and maintenance. Retrieved December 1, 2017.

**მარინე კალანდარიშვილი**
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი,
ასისტენტ-პროფესორი,
ექიმი-ბაქტერიოლოგი
**Marine Kalandarishvili**
International Teaching University of Georgia,
Assistant Professor
Doctor-bacteriologist
Viral and fungal infections of the oral cavity

## პირის ღრუს ვირუსული და სოკოვანი ინფექციები
## Oral Cavity and Fungal Infections

**რეზიუმე:** ადამიანის პირის ღრუ წარმოადგენს უნიკალურ ეკოლოგიურ სისტემას სრულიად სხვადასხვაგვარი მიკროორგანიზმებისათვის, რომლებიც ქმნიან ავტოქთონურ მიკრო-ფლორას. პირის ღრუში მიმდინარე ინფექციების ხასიათი განისაზღვრება მისი ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებებით. უფრო ხშირად გვხვდება შერეული ინფექციები, გამოწვეული ბაქტერიების, სპიროქეტების, სოკოების, ვირუსების ასოციაციებით (კარიესი, გინგივიტი, სტომატიტი). სწორი დიაგნოსტიკა და დროული მკურნალობა, ამ დაავადებების თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის საშუალებას იძლევა.

**Abstract:** The oral cavity of a person is a unique ecological system for different kind of microorganisms, which create an autochthonic micro flora. The character of oral cavity infections is determined by its anatomic- physiological features. Predominantly are encountered fixed infections, caused by bacteria, spirochetes, fungus, viruses associations (caries, gingivitis, and stomatitis). Correct diagnosis and timely treatment are the main preconditions for avoiding and prevention of these illnesses.

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებანი აღინიშნება მრავალი ვირუსული ინფექციის დროს. ვირუსული ინფექციების მიმდინარეობა რთულდება თანმდევი დისბაქტერიოზით, სოკოვანი ან მედიკამენტოზური სტომატიტით.

პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და ტუჩების წითელი ქობის დაზიანებისას ყველაზე ხშირად გვხვდებიან ჰერპესვირუსები. მარტივი ჰერპესის ვირუსები ანტიგენური სტრუქტურის მიხედვით იყოფიან 2 ტიპად – ჰვ-1 და ჰვ-2. მათ გააჩნიათ ჯვარედინად მორეაგირე და ტიპოსპეციფიური ანტიგენები. ჰვ-1 ვლინდება ჰერპესული ციებ-ცხელების დროს – ადამიანის ყველაზე გავრცელებული ჰერპესული ინფექცია. ეს ვირუსი გვხვდება აგრეთვე გინგივოსტომატიტის, ჰერპესული ეგზემის, კერატოკონიუქტივის, მენინგოენცეფალიტისა და სხვა დაავადების დროს. მწვავე ჰერპესული გინგივოსტომატიტით ყველაზე ხშირად ავადდებიან ბავშვები (6 თვიდან 3 წლამდე). ბავშვებში 6 თვემდე ჩვეულებრივ ნარჩუნდებიან დედიდან მიღებული ანტისხეულები, რომლებიც იცავენ მათ დასნებოვნებისაგან. ანტისხეულების არარსებობისას დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროცესის გენერალიზაციას.

მორეციდივირე ჰერპესული სტომატიტის განვითარების პათოგენეზი არასაკმარისადაა შესწავლილი, თუმცა მას უკავშირებენ იმუნოდეფიციტურ მდგომარეობას, რამდენადაც ჰერპესული სტომატიტის გამწვავება მიმდინარეობს T და B – ლიმფოციტების შემცირების, IgG-ს რაოდენობის დაქვეითებისა და ლეიკოციტარული ინტერფერონის დონის მკვეთრი დაწევის ფონზე. რეციდივები დაკავშირებულნი არიან ნერვულ განგლიებში ლატენტური ინფექციის შენარჩუნებასთან, სადაც ხდება ვირუსის პერსისტირება.

ჩუტყვავილა და სარტყელისებური ჰერპესი – გამომწვევი მიეკუთვნება ჰერპესვირუსებს. გამონაყარი ლოკალიზდება პირის ღრუში, სახეზე, ტანზე და კიდურებზე. ხველის, ცემინებისა და ლაპარაკის დროს ვირუსი გამოიყოფა გარემოში. ჩუტყვავილიან ავადმყოფებში წარმოიქმნება ვირუსის **გამანეიტრალებელი ანტისხეულები, რომლებსაც მწვავე სტადიაში არ გააჩნიათ** პროტექტული თვისებები. იმუნიტეტის უჯრედული ფაქტორებიც აგრეთვე ვერ უზრუნველყოფენ ლატენტური ინფექციის განვითარების თავიდან აცილებას, რის შედეგადაც ვირუსი პერსისტირებს მრავალი წლის განმავლობაში ზურგის ტვინის უკანა ფესვების ნერვულ განგლიებში. სპეციფიკური თერაპიისათვის გამოიყენება იმუნოგლობულინი, უკეთესია თუ იგი მიღებულია იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც გადატანილი აქვთ სარტყელისებური ჰერპესი, რადგანაც იგი იცავს ორგანიზმს ჩუტყვავილის განვითარებისაგანაც. იყენებენ აგრეთვე ინტერფერონს.

სტომატოლოგებისათვის პიკორნავირუსებიდან საინტერესოა კოკსაკი A ვირუსი, რომელიც წარმოადგენს ჰერპესული ანგინის გამომწვევს, იგი ვლინდება ვეზიკულური გამონაყარის სახით პირის ღრუს ლორწოვანი ზოგადი ჰიპერემიის ფონზე. ბუშტულები სწრაფად სკდებიან და მათ ადგილზე წარმოიქმნება მორუხო-თეთრი ფერის მქონე აფთები. როგორც წესი პროცესის მიმდინარეობა სასიკეთოა და მთავრდება გამოჯანმრთელებით დაავადების პირველი კვირის ბოლოსათვის.

სხვა პაპოვავირუსებისაგან განსხვავებით პაპილომის ვირუსები იწვევენ მეჭეჭების (სიმსივნეების) განვითარებას. ინფექციური მეჭეჭი – ეს არის კეთილთვისებიანი წარმონაქმნები, რომლებიც ვლინდებიან ბრტყელი მეჭეჭების წამახვილებულ ბოლოებიან კონდილომების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის პაპილომების ფორმით. ეს ვირუსები ხშირად აზიანებენ ბავშვებსა და მოზარდებს. დასნებოვნება ხდება ავადმყოფებთან პირდაპირი კონტაქტის შედეგად ან საერთო სარგებლობის ნივთებით. ბოლო წლებში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ჰერპესვირუსების ჯგუფის ვირუსების შესწავლა, რაც დაკავშირებულია ვირუსოლოგიის პრაქტიკაში ახალი და სრულყოფილი მეთოდების დანერგვასთან.

ადამიანის ციტომეგალოვირუსული ინფექცია პირველად აღწერილი იყო „სანერწყვე ჯირკვლების ინფექციის" სახელწოდებით 1932 წელს და აღმოჩენილი იყო სხვადასხვა მიზეზით დაღუპული ბავშვების სანერწყვე ჯირკვლების გიგანტური უჯრედების ბირთვებში. ციტომეგალოვირუსულმა ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს სისტემური დაავადებები (მაგ.

ციტომეგალოვირუსული მონონუკლეოზი, გენერალიზებული ციტომეგალია), ასევე დააზიანოს სხვადასხვა ორგანო (ღვიძლი, ფილტვები, თავის ტვინი, გული და სხვ.). ახასიათებთ რა ციტოპროლიფერაციული აქტივობა, ციტომეგალიის ვირუსებს ზოგჯერ შეუძლიათ გამოიწვიონ ლიმფური ქსოვილების ჰიპერპლაზია, რის შედეგადაც ზიანდება ადენოიდები და ნუშურები, ზოგიერთ შემთხვევაში ვითარდება მეზენტერიალური ლიმფადენიტი, რაც შემდეგ ხდება ნაწლავური გაუვალობის მიზეზი. ციტომეგალოვირუსულ ინფექციას შეუძლია შარდ-სასქესო ტრაქტის (მამაკაცებში) დაზიანება და გადაცემა ხდება სქესობრივი გზით.

ტრანსპლაცენტარული გზით შეჭრილი ვირუსი იწვევს ნაყოფის მძიმე მანკების ფორმირებას, სიმახინჯეებს, რაც შეიძლება გამოიხატოს ჰეპატოსპლენომეგალიით, ჰემოლიზური სიყვითლით, მიკროცეფალიით, მხედველობის ნერვის ატროფიით, ქორიომენინგიტით, მკვდრად შობადობით. ახალშობილების 1% ვირუსმატარებელია. პერინატალურად ახალშობილის ინფიცირება შესაძლებელია მშობიარეს საშვილოსნოს ყელზე ვირუსის არსებობისას. ასეთ შემთხვევებში სიცოცხლის პირველ წლებში ბავშვებს უვითარდებათ ქრონიკული გენერალიზებული ვირუსემია. ვირუსი ლატენტურად პერსისტირებს სანერწყვე სადინარებში, თირკმელებში, ლეიკოციტებში, თვეობით და წლობით შეიძლება გამოიყოფოდეს შარდთან და ნერწყვთან ერთად. წარმოადგენენ ინფექციის წყაროს გარშემომყოფთათვის, რომლებიც ინფიცირდებიან ალიმენტური ან რესპირატორული გზით.

გამოკვლევებმა დაადასტურა ციტომეგალიის ვირუსის უნარი დიდხანს შენარჩუნდნენ ლეიკოციტებში. უჯრედული ვირუსემია ვირუსის ლეტაციის ერთ-ერთი ფორმაა და დაკავშირებულია რეციპიენტებში ციტომეგალოვირუსული მონონუკლეოზის განვითარების საშიშროებასთან. ეს კლინიკური ფორმა შეიძლება მიეკუთვნოს ლიმფოპროლიფერაციულ დაავადებებს. ანალოგიური პრობლემა დგას ტრანსპლანტაციის დროსაც.

ციტომეგალიის ვირუსი არ იჩენს მგრძნობელობას ინტერფერონის მიმართ. ამასთან დაკავშირებით იქმნება პრობლემა მთელი რიგი ვირუსული დაავადებების სპეციფიკურ მიმდინარეობასთან ციტომეგალოვირუსული ინფექციის ფონზე. მაგ., გრიპი ციტომეგალოვირუსული ინფექციით დაავადებულებებში უფრო მძიმე ფორმით მიმდინარეობს. ზოგიერთი მეცნიერი თვლის რომ ფეხმძიმობა იწვევს ლატენტური ინფექციის აქტივაციას. სისხლში აღმოჩენილია სპეციფიკური ანტისხეულები.

ციტომეგალიის ვირუსი მიეკუთვნება Herpetoviridae–ს ოჯახს. Herpesvirus–ის გვარს. იწვევს ფარულად და ხანგრძლივად მიმდინარე ინფექციას ბავშვებსა და ახალგაზრდებში.

მორფოლოგიურად და ბიოლოგიური თვისებებით ვირუსი ჰგავს მარტივი ჰერპესის ვირუსს. მრავლდება მხოლოდ ქსოვილთა კულტურებში. ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ემყარება ვირუსის გამოყოფას ადამიანის ემბრიონის ფიბრიობლასტების კულტურაზე და მის შემდგომ იდენტიფიკაციას.

სხვა ვირუსები. პირის ღრუს ლორწოვანი გარსი შეიძლება ხანმოკლე დროით დააზიანონ სხვა ვირუსებმა, მაგრამ ასეთ პროცესს აქვს ხანმოკლე ხასიათი და არ უქმნის განსაკუთრებულ უსიამოვნებებს ავადმყოფს. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ადგილობრივი დაზიანება, რომელიც ლოკალიზდება პირის ღრუს ლორწოვან გარსზე. პირის ღრუში შეიძლება ლოკალიზდნენ ბევრი ვირუსები: პიკორნავირუსების ოჯახიდან – თურქულის ვირუსები და რინოვირუსები, ორთომიქსოვირუსებიდან – გრიპის ვირუსი, პარამიქსოვირუსებიდან – პარაგრიპის ვირუსები, რესპირატორულ-სინციტიალური ვირუსი, ყბაყურას ვირუსი, წითელას ვირუსი, ადენოვირუსებიდან – ადენოვირუსები და ა.შ. ისინი ძირითადად არიან რესპირატორული ინფექციების გამომწვევები, მაგრამ შეიძლება ლოკალიზდნენ, როგორც პირის ღრუში, აგრეთვე ლიმფოიდურ ქსოვილში.

შიდსის ერთ-ერთი ადრეული კლინიკური სიმპტომი არის პირის ღრუს ლორწოვანი გარსის კანდიდოზი. ამასთან დაკავშირებით არცთუ იშვიათად დაავადებულნი მიმართავენ სტომატოლოგს კანდიდოზური სტომატიტის ან სხვა დაზიანებების: ატიპიური მიკობაქტერიოზი, გამოწვეული ycobacterium avium-ით,

ჰერპესული პირველადი და მორეციდივე ბუშტუკოვანი გამონაყარი ერითრომატოზულ საფუძველზე, რაც იწვევს პირის ღრუში წყლულების წარმოქმნას. არცთუ იშვიათად ადგილი აქვს შერყეულ ინფექციებს ბაქტერიების, საფუარის მსგავსი სოკოების, ვირუსების მონაწილეობით, რომლებიც ვლინდებიან ნეკროზული გინგივიტის სახით.

შიდსის კლინიკური გამოვლინების მეორე ჯგუფია ავთვისებიანი სიმსივნეები, რომლებიც ასევე შეიძლება გამოვლინდნენ პირის ღრუში. შიდსით ავადმყოფთა 30%-ზე მეტს უვითარდება კაპოშის სარკომა – ლიმფოენდოთელური წარმოშობის სისხლძარღვოვანი სიმსივნე, რომელიც შესაძლებელია დაკავშირებულია ციტომეგალოვირუსთან.

ამ დაავადების დროს ზიანდება პირის ღრუს ლორწოვანი გარსი და რეგიონალური ლიმფური კვანძები. შიდსის მქონე ავადმყოფებს ხშირად უვითარდებათ ვირუსული წარმოშობის პაპილომები და კონდილომები, აგრეთვე ქერცლისებური კარცინომები პირის ღრუსა და საყლაპავში.

### სოკოვანი ინფექციები

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანების გამომწვევი მიკოზების უმეტესობა გამოწვეულია Candidas-ს გვარის საფუარისმაგვარი სოკოებით. ადამიანის პირის ღრუს პირველადი ინფიცირება ხდება მშობიარობის დროს, რადგანაც ძალიან ხშირად სამშობიარო გზები დაინფიცირებულნი არიან candida-ს გვარის საფუარის მსგავსი სოკოებით. დაბადების შემდეგ ეს სოკოები შეიძლება მოხვდნენ ბავშვის პირის ღრუში სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნებით ჰიგიენური ნორმების დარღვევისას. საფუარის უჯრედების რაოდენობა ბავშვში მატულობს და მაქსიმუმს აღწევს მე-4 კვირისათვის, შემდეგ კი ქვეითდება. სიბერეში საფუარების რაოდენობა კვლავ მატულობს, განსაკუთრებით იმ პირებში, რომლებიც სარგებლობენ კბილის პროთეზებით.

საფუარის უჯრედების პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ეპითელურ უჯრედებთან ურთიერთობის პროცესი იწყება მათი ადგეზიით. საქაროზა, მალტოზა, გლუკოზა და სხვა ნახშირწყლები იწვევენ ადგეზიის აქტივობის მატებას. ადგეზიის უნარი წარმოადგენს სახეობრივ თვისებას, მაგრამ მისი ინტენსივობა მერყევია. Candidas-ს გვარის საფუარისმაგვარი სოკოების ადგეზიურობა ბევრად განაპირობებს მათ ვირულენტობას. ასე მაგ.: ყველაზე დიდი პათოგენეტიკური მნიშვნელობის მქონე C. albicans ადამიანის ეპითელურ უჯრედებზე ადგეზირდება 1,5-ჯერ სწრაფად, ვიდრე სხვა სახეობები. ანტიბაქტერიული ანტიბიოტიკების გამოყენება აძლიერებს საფუარის უჯრედების ადგეზიას. კომპლემენტის სისტემა, რომელიც აქტივიზირდება საფუარების უჯრედული კედლის მანანით, ახდენს მათი ადგეზიის ინჰიბირებას. Candidas-ს გვარის წარმომადგენლებით გამოწვეული დაავადების პათოგენეზში განსაზღვრულ როლს თამაშობენ ისეთი ფერმენტები, როგორიცაა ნეირამინიდაზა, მჟავე პროტეაზა და სხვ. საფუარის მსგავსი სოკოები ხელს უწყობენ კბილის ემალის დაშლას და კარიესის განვითარებას. კარიესული კბილები, რომლებშიც ვეგეტირებენ საფუარის სოკოები, შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი ეკოლოგიური ნიში, რის შედეგადაც მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მიკოზური ტონზილიტებისა და სტომატიტების განვითარებაში.

როგორც წესი Candidas-ს გვარის საფუარის მსგავსი სოკოები ადამიანის პირის ღრუში ასოცირდებიან სხვა მიკროორგანიზმებთან. მათი სინერგიული ურთიერთობა აიხსნება ზოგიერთი ზრდის ნივთიერების პროდუქციით – ვიტამინებით, რომლებიც ხელს უწყობენ ბევრი მიკროორგანიზმის, კერძოდ ლაქტობაქტერიების ზრდას. მეორე მხრივ, ლაქტობაქტერიების მიერ გამოყოფილი რძის მჟავა თრგუნავს საფუარის მსგავსი სოკოების გამრავლებას, როგორც წესი, საფუარის მსგავსი სოკოები ახდენენ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის კოლონიზაციას და არ იწვევენ პათოლოგიურ ცვლილებებს. მაგრამ იმუნოდეფიციტური მდგომარეობისა და ხანგრძლივი ანტიბიოტიკოთერაპიის, განსაკუთრებით ფართო სპექტრის ანტიბიოტიკების გამოყენებას (ტეტრაციკლინი, ლევომიცეტინი და სხვ.), რომელთაც მივყავართ დისბაქტერიოზამდე, ფონზე ისინი იწვევენ კანდიდოზებს. ეს უკანასკნელნი

მიმდინარეობენ ან პირის ღრუს ადგილობრივი დაზიანების სახით, ან გენერალიზებული კანდიდოზის სახით ადამიანის შინაგანი ორგანოების მრავლობითი დაზიანებით.

კანდიდოზის ადგილობრივი გამოვლინებანი ან პირის ღრუს პირველადი კანდიდოზი მიმდინარეობს მწვავე ფსევდომემბრანოზული კანდიდოზის (რძიანა), მწვავე ან ქრონიკული კანდიდოზისა და ჰიპერპლაზიური კანდიდოზის ფორმით.

ფსევდომემბრანოზული კანდიდოზი (რძიანა) ხასიათდება მოთეთრო-რუხი ხაჭოსებური ნადების განვითარებით, რომელიც ადვილად სცილდება ქვეშმდებარე ქსოვილებს. დაავადება ხშირად აზიანებს ახალშობილებს, განსაკუთრებით დღენაკლულ და სამშობიარო ტრამვის მქონე ბავშვებს. ფსევდომემბრანოზული კანდიდოზი მოზრდილებში გვხვდება იშვიათად და უპირატესად აზიანებს მძიმე მეორადი იმუნოდეფიციტური მდგომარეობის მქონე პირებს კიბოს დროს, სტეროიდული თერაპიის რადიო – და რენტგენოთერაპიის, ციტოსტატიკების გამოყენებისას.

მწვავე ატროფიული კანდიდოზი ხშირად ვითარდება პროთეზების ხმარების შედეგად. დაავადება ხშირად აზიანებს პირის იზოლირებულ უბნებს (კანდიდოზური ჰეილიტი), პირის კუთხეებს (ზაედა), ენას (გლოსიტი).

ჰიპერპლაზიური კანდიდოზი ხასიათდება ჰიპერემიულ ლორწოვან გარსზე მსხვილი, ხანდახან შერწყმული თეთრი პაპულების განვითარებით. უპირატესად ზიანდება ტუჩების კუთხეების გვერდით მდებარე ლოყების ლორწოვანი გარსი, ენის ზურგი და სასის უკანა ნაწილი. დაავადება ხშირად ღებულობს ქრონიკულ მიმდინარეობას და ხანდახან განიხილება, როგორც კიბოს წინა მდგომარეობა.

### ოდონტოგენური ანთებითი დაავადებანი

ყბა-სახის ანთებად დაავადებებს მიეკუთვნებიან: პერიოდონტიტი, ყბის პერიოსტიტი, ყბის ოსტეომიელიტი და ანთებითი პროცესები ყბის ახლომდებარე რბილ ქსოვილებში (აბსცესები და ფლეგმონები). ყველა ეს მწვავე ჩირქოვანი ანთებითი პროცესები ურთიერთკავშირშია, რადგანაც ადგილი აქვს ინფექციის თანდათანობით გადანაცვლებას კბილის არხიდან პერიოდონტზე, პერიოდონტიდან ძვლის საზრდელაზე, ყბის ძვლოვან ქსოვილზე, ყბის ახლომდებარე ქსოვილებზე. როგორც წესი ოდონტოგენური ანთებითი პროცესების გამომწვევები არიან პირის ღრუს ნორმალური მიკროფლორის წარმომადგენლები: სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები, გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიები. ყველაზე ხშირად ისინი გვხვდებიან მიკრობული ასოციაციების სახით, რომლებიც იწვევენ შერეულ ინფექციებს. ამ ასოციაციებში წამყვან როლს თამაშობენ სპორაარწარმომქმნელი გრამუარყოფითი ანაერობები და პათოგენური სტაფილოკოკები, რომლებიც ხასიათდებიან ანტიბიოტიკებისადმი მრავლობითი რეზისტენტობით. ოდონტოგენური ანთებითი პროცესების განვითარება განისაზღვრება ანატომო-ტოპოგრაფიული თავისებურებების შეფარდებით ინფექციის კარიბჭე – ოდონტოგენურ კერასა და ირგვლივმდებარე ქსოვილებს, ყბა-სახის არის ძვლისაზრდელა, ძვალი და რბილი ქსოვილებს შორის. სისხლძარღვებისა და ლიმფური სადინარების სიჭარბე ქმნიან ინფექციის სწრაფი გავრცელებისათვის საუკეთესო პირობებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Jawetz, Melnick ,&Adelberg's "Medical Microbiology" 24 th Edition, San Francisco 2007.
2. W. Levinson Review of Medical Microbiology and immunology Ninth edition 2006.
3. Alfred E. Brown, Benson's Microbiological Applications, The McGraw-Hill Companies, 2001.
4. Kenneth J. Ryan/C. George Ray. ,,Sherris Medical Microbiology An Introduction to Infectous Diseases", Fourth Edition. 2005.
5. Fitz H.Kayser, M.D, Kurt A. Bienz, Ph.D.Johannes Eckert, D.V.M "Medical Microbiology". Kayser, Medical Microbiology 2005 Thieme.

6. Lakshman Samaranayake, Essential Microbiology for Dentistry, 4th edition, Churchill Livingstone Elsevier, 2012.

**ლელა სერებრიაკოვა**
კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვისა და ეკონომიკის
სკოლის დოქტორანტი
**Lela Serebriakova**
PhD Candidate of School of Health and Economics of Caucasus University

## ათასწლეულის განვითარების მიზნების გავლენის შეფასება ჯანდაცვის ეროვნულ მაჩვენებლებზე: საქართველოს შემთხვევა
## The Impact of the Millennium Development Goals for Health Care National Indices: the Case of Georgia

**რეზიუმე:** გაერთიანებული ერების ათასწლეულის განვითარების მიზნების დეკლარაციას ხელი 2000 წელს მოეწერა და მას 189 ქვეყანა შეუერთდა, მათ შორის, საქართველოც. ის 8 მიზანს მოიცავდა, მათ შორის 4 მიზანს ჯანმრთელობის სფეროდან, რომელთა მიღწევაც დაგეგმილი იყო 2015 წლისათვის. ეს დეკლარაცია თავისი შინაარსით ამბიციური და უპრეცედენტო იყო. დღეს აქტუალურია საკითხი, თუ რა გავლენა იქონია უშუალოდ ამ დეკლარაციამ არსებული სიტუაციის გაუმჯობესებაზე და როგორ შეიძლება მოხდეს ამ გავლენის გაზომვა. საქართველოში მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა ამ მიზნების მიღწევის კუთხით, თუმცა ყველა მათგანი მიღწეული არ იყო. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, კრიტიკულად გაანალიზდეს არსებული მონაცემები, რათა განისაზღვროს წარმატებისა და წარუმატებლობის ფაქტორები, რაც ქვეყანას დაეხმარება სამომავლო ინტერვენციების დაგეგმისათვის. ამ მიზნით, შესაძლებელია სამი მეთოდოლოგიური მიდგომის ცალ-ცალკე და კომბინაციაში გამოყენება.

**Abstract:** Declaration of the Millennium Development Goals of the United Nations was signed in 2000 and 189 countries joined, including Georgia. It comprised 8 goals, including 4 goals from health, which were planned to be achieved for 2015. This declaration was ambitious and unprecedented in its contents. Today, evaluation and valuation of the direct impact of the declaration on the progress made by the countries is very topical. Georgia has made a significant progress in terms of achieving MDG goals, but not all of the targets were achieved. At this stage it is important to critically analyze existing data to determine the success and failure factors and this will help the country to plan future interventions. For this purpose, it is possible to use three methodological approach proposed here separately and in combination.

### შესავალი

გაერთიანებული ერების ათასწლეულის განვითარების მიზნების (Millennium Development Goals – MDG) დეკლარაციას ხელი მოეწერა 2000 წლის სექტემბერში და ამ დეკლარაციას 189 ქვეყანა შეუერთდა (UN General Assambly, 2000), მათ შორის, საქართველოც.

ეს დეკლარაცია თავისი ფორმითა და შინაარსით ამბიციური იყო, ხოლო გლობალური თანამშრომლობა ამ მიზნების მიღწევისათვის – უპრეცედენტოდ მაღალი. ათასწლეულის დეკლარაციით გათვალისწინებული მიზნები 2015 წლისათვის უნდა ყოფილიყო მიღწეული. ამ ეტაპისათვის, ეს პროგრესი უკვე შეფასებულია და მსოფლიო შემდეგ ნაბიჯზე, კერძოდ კი, მდგრადი განავითარების ამოცანების (Sustainable Development Goals) მიღწევაზეა ორიენტირებული 2030 წლისათვის.

მიუხედავად ამისა, ისმის კითხვა, რამდენად იყო ეს პროგრესი განპირობებული ათასწლეულის განვითარების დეკლარაციის არსებობით, თუ ეს ქვეყნების ბუნებრივი განვითარების შედეგია? ამ კითხვას პასუხი ყველა ქვეყნისათვის ინდივიდუალურად უნდა გაეცეს. ამ ნაშრომის მიზანია, არსებული საერთაშორისო დისკურსის ფონზე, მოახდინოს იმ მეთოდოლოგიური მიდგომების შეფასება, რომელიც საქართველოს დაეხმარება, განსაზღვროს, რა გავლენა მოახდინა ჯანდაცვის სფეროში დაფიქსირებულ წინსვლაზე გლობალური სამიზნეების არსებობამ, რაც თავის მხრივ, სასარგებლოა ათასწლეულის განვითარების დეკლარაციის, ანუ 2015 წლის შემდგომი გლობალური თუ რეგიონული განვითარების მიზნების მიღწევისათვის დაგეგმილი ინტერვენციების რეალისტურობის შეფასებისათვის.

**ძირითადი ნაწილი:**

ათასწლეულის განვითარების მიზნები მოიცავს საერთაშორისო განვითარების 8 მიზანს, რომელთა მიღწევაც დაგეგმილი იყო 2015 წლისათვის. თითეული მიზანი შედგებოდა ქვე-ამოცანებისა და ინდიკატორებისაგან, რომლებიც აფასებდა მდგომარეობის ცვლილებას საბაზისო 1990 წელთან შედარებით.

დღეს, როდესაც ათასწლეულის განვითარების მიზნების პერიოდი უკვე დასრულებულია, აქტუალურია, თუ რა გავლენა იქონია ამ დეკლარაციამ მსოფლიოში მიმდინარე პროგრესზე. უდავოა, და ამას ადასტურებს გაეროს ანგარიში MDG მიზნების მიღწევის შესახებაც (United Nation, 2015), რომ დაფიქსირდა მნიშვნელოვანი პროგრესი, თუმცა სამიზნეების უმეტესობა არ იყო მიღწეული. პროგრესის დიდი წილი დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში დაფიქსირდა, სადაც საბაზისო მონაცემები მეტად არასახარბიელო იყო, ხოლო მაღალი შემოსავლების ქვეყნების დიდმა ნაწილმა ამ მიზნების რეალიზება 2015 წლამდე ვერ შეძლო. ამასთან, რიგი კვლევებით, დასტურდება სიტუაციის გაუარესებაც. იმის გათვალისწინებით, რომ ამ კითხვაზე პასუხს გავლენა აქვს ათასწლეულის მიზნების დეკლარაციის შემდგომი პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირებაზე (მაგალითად, მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში დაგეგმილ ინტერვენციები), მნიშვნელოვანია საქართველოს მასშტაბითაც განხორციელდეს მსგავსი შეფასება.

წარმოდგენილი სტატია ფოკუსირებულია ათასწლეულის მიზნებზე ჯანდაცვის სფეროში და განიხილავს იმ ძირითად გამოწვევებსა და კრიტიკას, რაც ათასწლეულის სამიზნეების მიღწევის შეფასების შესახებ არსებობს თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციებსა და ე.წ. „რუხ ლიტერატურაში" (სხვადასხვა რეპუტაბელური ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, რომელთა შედეგებიც არ არის დაბეჭდილი რეცენზირებადი პუბლიკაციების სახით) და აყალიბებს, საქართველოს შემთხვევაში, ათასწლეული მიზნების ეფექტის შეფასებისათვის რელევანტურ მეთოდოლოგიურ მიდგომებს. ამ მიზნით, განხორციელდა საქართველოში არსებული სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვა, მათი სანდოობისა და ხელმისაწვდომობის დადგენის მიზნით, და სამეცინიერო და არასამეცნიერო ლიტერატურის ძიება, რელევანტური მეთოდოლოგიური მიდგომების იდენტიფიკაციის მიზნით.

ათასწლეულის განვითარების დეკლარაცია 8 მიზანს მოიცავდა, აქედან 3 მიზანი უშუალოდ იყო დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან. ესენია:

- მიზანი 4: ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება
- მიზანი 5: დედის ჯანმრთელობის გაუმჯობესება
- მიზანი 6: აივ-ინფექცია/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა.

გარდა ამისა, სხვა ათასწლეულის განვითარების სამიზნეებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ჯანმრთელობასთან, რადგან ემსახურება ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, როგორიცაა სიღარიბის აღმოფხვრა, განათლება, თანასწორობა და ქალთა გაძლიერება, გარემოს დაცვა და გლობალური თანამშრომლობა.

გლობალურად, ჯანდაცვის სამ მიზანთან მიმართებაში სტატუსი შემდეგია (United Nations, 2015):

**ბავშვთა სიკვდილიანობა:** 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირდა 90-დან 43-მდე 1000 ცოცხალშობილში. თუმცა მიზანი (2/3) მხოლო 78%-ით იყო მიღწეული.

**დედათა სიკვდილიანობა** გლობალურად განახევრდა, თუმცა ესეც ჩამორჩენაა 2/3-ით შემცირებასთან მიმართებაში.

**აივ-ინფექცია/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა.** აივ-ინფექციასთან მიმართებაში მიზანი ასევე არ იყო მიღწეული (აივ/შიდსის გავრცელებისა და არსებული შემთხვევების რაოდენობის შემცირება), თუმცა პროგრესი (40%-ით შემცირებული ახალი შემთხვევები), ძალიან შთამბეჭდავია.

საქართველოს შემთხვევაში, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის 2015 წლის სტატისტიკური ანგარიშის მიხედვით ათასწლეულის სამიზნეები ცალკეული ინდიკატორების მიმართ მიღწეულია, ხოლო სხვა ინდიკატორების მიმართ, მნიშვნელოვანი პროგრესია დაფიქსირებული. მაგალითისათვის, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებასთან დაკავშირებით შემდეგი სიტუაციაა: ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების სამიზნესთან მიმართებაში, დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ წარმოდგენილია ანგარიშგება ორი ინდიკატორის მიხედით (1) 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის 2/3-ით შემცირება 1990-2015 წლებში, და (2) 12-23 თვის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა. თუმცა, ათასწლეულის განვითარების მიზნების მონიტორინგის ჩარჩო ასევე მოიცავს ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობას.

ბავშვთა სიკვდილიანობა საქართველოში, გარდა ოფიციალური სტატისტიკისა, კიდევ რამდენიმე კვლევითი მეთოდოლოგიით არის გაზომილი საქართველოში. სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, სამიზნის მიღწევის შედეგიც განსხვავებულია. საქსტატის მონაცემების მიხედვით ეს ინდიკატორი არ არის შესრულებული, რადგან 1990 წლის საბაზისო მონაცემი იყო 25 შემთხვევა 1000 ცოცხალშობილზე, ხოლო 2015 წლის მდგომარეობით ეს არის 10,2 (მიღწევის შემთხვევაში უნდა ყოფილიყო 8,3), ხოლო კვლევითი მონაცემებით, მაგალითად, ბავშვთა სიკვდილიანობის შესახებ გაეროს სააგენტოთაშორისი ჯგუფის (ICMG) მიერ 2017 წელს გამოცემული ანგარიშის მიხედვით, საბაზისო წლის მონაცემი იყო 47,4, ხოლო 2016 წლის მაჩვენებელი – 11,9), რაც ასევე თავისთავად არ ნიშნავს, რომ 2015 წლის მდგომარეობით სამიზნე მიღწეულია.

რაც შეეხება წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვას, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოცვა აღემატება 95%-ს, ანუ სამიზნე მიღწეულია.

თანამედროვე სამეცნიერო წრეებში ათასწლეულის დეკლარაციის გავლენის შეფასებისათვის სამი ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომაა გამოყენებული. პირველი ითვალისწინებს პროგრესის გაზომვას ორ პერიოდად – დეკლარაციამდე და დეკლარაციის შემდგომ (ანუ 1990-2000 და 2001-2015) (Cha, 2017). მეორე მიდგომა, ითვალისწინებს პროგრესის შეფასებას შედარებით/მსგავს ქვეყნებში/რეგიონში, ხოლო მესამე მიდგომა გულისხმობს ათასწლეულის სამიზნის მიღწევასთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა ინდიკატორების შეფასებასაც (მაგ., ბავშვთა სიკვდილიანობასთან მიმართებაში, მცირეწონიანი ახალშობილების რაოდენობა). არსებულ კვლევებში ეს სამივე მიდგომა კომბინირებული სახით გამოიყენება (McArthur & Rasmussen, 2017).

დღემდე MDG დეკლარაციით განსაზღვრული სამიზნეების შეფასება ხორციელდებოდა კუმულაციურად 1990 წლიდან 2015 წლამდე. თუმცა, რეალისტურად თუ შევხედავთ ამ საკითხს, MDG დეკლარაცია 2000 წელს იყო მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ

დეკლარაციაში ასახული მიზნები არ იყო დე ნოვო, და წარმოადგენდა არსებული პოლიტიკის გაგრძელებას, მაინც რთული სათქმელია, როგორ შეეძლო ამ დეკლარაციას გავლენა ჰქონოდა რეტროსპექტულად, ანუ 1990 წლიდან 2000 წლამდე პერიოდზე. შესაბამისად, შედეგების ანალიზისას, მინიშვნელოვანია, რომ ცალ-ცალკე იყოს განხილული ეს ორი პერიოდი:

• პერიოდი 1: 1990 წლიდან 2000 წლამდე, ანუ ვიდრე გაფორმდებოდა MDG დე-კლარაცია.

• პერიოდი 2: 2000 წლიდან 2015 წლამდე, როდესაც დაიწყო აქტიური კამპანია სამიზნეების მიღწევისათვის და წევრ ქვეყნებსაც გაუჩნდათ შესაბამისი მოტივაცია, სწორედ ამ სამიზნეების მიღწევისათვის ელვაწათ.

MDG სამიზნეების მიღწევის პროცესში გამოყენებულ მიდგომებზე კრიტიკა უამრავია. მაგალითად, ვანდემორტელი (Vandemoortele, 2011) ამტკიცებს, რომ გაეროს მიერ გამოყენე-ბული მეთოდები პროგრესის შეფასებისათვის მცდარი იყო. ფუკუდა-პარი და კოლეგები (Fukuda-Parr, 2013 & 2011) საუბრობენ, რომ 2015 წლის შემდეგ, გლობალურად აღარ გაკეთებულა შეფასება, თუ როგორ შეიცვალა ტენდენციები დეკლარაციის პერიოდის გასვლის შემდეგ. ასევე, ცალკეული მეცნიერების მიერ შესწავლილი იყო MDG-ების გავლენა სხვადასხვა რეგიონზე, განსაკუთრებით კი აფრიკაზე, და ისტერლისა (2009) და კლემენსის (2007) მოსაზრებებით, ეს მიდგომები არ მუშაობდა აფრიკისათვის.

Cha კვლევის თანახმად (Cha, 2017) მე-4 და მე-5 სამიზნეებთან მიმართებაში გაეროს მიერ დასმული შეკითხვა – შემცირდა თუ არა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა, თავისთავად იყო მცდარი. სწორი შეკითხვა იქნებოდა, ამ შემცირებაზე რა წილი იყო დეკლარაციის დამსახურება.

ათვლის ჯგუფის მიერ (WHO, 2012), რომელიც ახორციელებდა ათასწლეულის სამიზნეების მიღწევის მონიტორინგს, შერჩეულ იქნა 8 წარმატებული ქვეყანა, რომლებმაც მიაღწიეს სამიზნეს, ანუ 2/3-ით ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას. ეს ქვეყნებია: ბანგლადეში, ბრაზილია, ჩინეთი, ეგვიპტე, ლაოსი, ლიბერია, მექსიკა და პერუ. ამ ქვეყნების მოდელზე, გამოითვალა ათასწლეულის სამიზნეების მიღწევისათვის საჭირო პროგრესის ტემპი – ანუ ყოველწლიურად, რამდენით უნდა შემცირებულიყო ბავშვთა სიკვილიანობა, რათა მათ 2015 წლისათვის მიეღწიათ სამიზნესათვის. მონაცემების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ შემცირების ტემპი ამ ქვეყნებში 1990 წლიდან 2000 წლმადე აღმოჩნდა უფრო მაღალი, ვიდრე ეს დეკლარაციით განსაზღვრული სამიზნეს მიღწევისათვის იყო საჭირო, რაც სავარაუდოდ მიუთითებს, რომ ამ ქვეყნების წარმატების ფაქტორი არ იყო დამოკიდებული ათასწლეულის დეკლარაციის არსებობაზე. ასევე, სენეგალის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი პროგრესი, სწორედ 2000 წლის შემდეგ ფიქსირდება, რის საფუძველზეც შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ სწორედ ათასწლეულის დეკლარაციაა და ამ დეკლარაციის ირგვლივ მობილიზაცია იყო მიზეზი პროგრესის აჩქარებისა (Cha, 2017).

ბუნებრივია რომ, რომ არა ათასწლეულის მიზნები, ბევრ ქვეყანაში მაინც დაფიქსირ-დებოდა პროგრესი ადამიანების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების კუთხით. სწორედ ამ განსხვავების გათვალისწინებით, ბრუკინგის ინსტიტუტის მიერ 2017 წელს გამოქვეყნებული კვლევა (MsArthur & Rasmussen, 2017) აანალიზებს ათასწლეულის განვითარების მიზნების შედეგებს. გლობალურად, ამ კვლევის მიხედვით, ათასწლეულის მიზნებს საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში დადებითი ეფექტი ჰქონდა მხოლოდ შიდსის მკურნალობაზე, ხოლო ევროპისა და აზიის რეგიონის ქვეყნებში – ბავშვთა სიკვდილიანობისა და შიდსის მკურნალობაზე.

**დასკვნა**

ათასწლეულის განვითარების დეკლარაცია მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ჯანდაცვის (და არა მარტო) მიმართულების გლობალური თანამშრომლობის მობილიზაციისათვის. მიუხედავად ამისა, დღეს აქტუალურია საკითხი, თუ რა გავლენა იქონია უშუალოდ ამ დეკლარაციამ არსებული სიტუაციის გაუმჯობესებაზე და როგორ შეიძლება მოხდეს ამ გავლენის გაზომვა.

საქართველოს შემთხვევაში, ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა. ამ ეტაპზე მნიშნველოვანია, კრიტიკულად გაანალიზდეს არსებული მონაცემები, რათა განისაზღვროს, წარმატებისა და წარუმატებლობის ფაქტორები, რაც ქვეყანას დაეხმარება სამომავლო ინტერვენციების დაგეგმისათვის. ამ მიზნით, შესაძლებელია სამი მეთოდოლოგიური მიდგომის ცალ-ცალკე და კომბინაციაში გამოყენება, რაც შემდგომი კვლევის საგანია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Cha, S. (2017). The impact of the worldwide Millennium Development Goals campaign on maternal and under-five child mortality reduction: “Where did the worldwide campaign work most effectively?” Global Health Action, 10(1), 1267961. http://doi.org/10.1080/16549716.2017.1267961.
2. Clemens M. The trouble with the MDGs: confronting expectations of aid and development success. World Dev. 2007;35:735–751.
3. Easterly W. How the Millennium Development Goals are unfair to Africa. World Dev. 2009;37:26–35.
4. Fukuda-Parr S, Greenstein J, Stewart D. How should MDG success and failure be judged: faster progress or achieving the targets? World Dev. 2013;41:19–16.
5. Fukuda-Parr S, Greenstein J. Accountability and MDGs: methodology for measuring government performance for global goals. UNICEF Social and economic policy working paper, 25 2011.
6. UN General Assembly. 2000. Resolution adopted by the General Assembly. United Nations Millennium Declaration. A/RES/55/2. New York: United Nations.
7. UN Inter-agency Group for Child Mortality Esstimation. Levels & Trens in Child mortality. Report 2017 UNICEF. http://www.childmortality.org/files–v21/download/IGME%20report%202017%20child%20mortality%20final.pdf [Last accessed: Dec 20, 2017]
8. Vandemoortele, J. (2011). The MDG Story: Intention Denied. Development and Change, 42(1), 1-21.
9. WHO . Building a future for women and children: the countdown 2012 report. Geneva: World Health Organization; 2012. Sep.
10. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. „ჯანმრთელობის დაცვა. სტატისტიკური ცნობარი. საქართველო“, თბ., 2015. http://www.ncdc.ge/AttachedFiles/cnobari%202016–65fb8af9-8331-4397-930f-2f65a459583a.pdf [Last accessed: Dec 20, 2017].
11. Inter-Agency and Expert Group on MDG Indicators. (2015). The Millennium Development Goals Report 2015. United Nations.
12. McArthur, J. W., & Rasmussen, K. (2017 wlis Janury). Change of Pace: Accelerations and Advances During the Millenium Development Goal Era. მოპოვებული Global Economy and Development at Brookings: https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2017/01/global–20170111–change–of–pace–executive–summary.pdf

13. United Nation. (2015). The Mellennium Development Goals Report. http://www.un.org/millenniumgoals/2015–MDG–Report/pdf/MDG%202015%20Summary%20web–english.pdf [Last accessed: Dec 20, 2017]

**Mykola Fomych**
Cherkasy Institute of Fire Safety named after Chernobyl Heroes,
National University of Civil Defense of Ukraine,
Candidate of Psychological Sciences
Associate Professor of the Department of Psychology
of Activities in Specific Circumstances
**მიკოლა ფომიჩი**
ჩერკასკის ჩერნობილის გმირთა სახელობის სახანძრო უსაფრთხოების ინსტიტუტი,
უკრაინის სამოქალაქო თავდაცვის ეროვნული უნივერსიტეტი,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
საგანგებო მდგომარეობებში მოქმედების ფსიქოლოგიის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი

## პიროვნების მენტალური ჯანმრთელობა, როგორც ფსიქოლოგიური პრობლემა
## Mental Health of the Person as a Psychological Problem

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია ინდივიდის მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მდგომარეობა ფსიქოლოგიის მეცნიერებაში. გამოკვეთილია ზოგადი მიდგომები ადამიანის მენტალური ჯანმრთელობის ბუნებისა და არსის ანალიზის მიმართ. მოცემულია მენტალური ჯანმრთელობის განმარტება და მახასიათებლები. აღმოჩნდა, რომ მენტალური ჯანმრთელობა პიროვნების სრულფასოვანი განვითარების საფუძველია, რაც ხაზს უსვამს მენტალური დაავადების არარსებობას და პასუხისმგებელია ადამიანის, როგორც მისი საკუთარი ცხოვრების ორგანიზატორისა და მმართველის თვისებების ძირითად გამოვლინებებზე. სამეცნიერო ლიტე-რატურის ანალიზმა შესაძლებელი გახადა ადამიანის მენტალური ჯანმრთელობის გარკვეული თავისებურებების გამორჩევა, რომლებიც მოიცავს: აქტიურობას, ქცევისა და აქტივობის რეგულაციას, მიზანდასახულობას, კრეატიულობას, კრიტიკულ აზროვნებას, ცხოვრებისეული გარემოებებისა და სირთულეების დასაძლევად სრული პასუხისმგებლობის აღებას, პიროვნულ ზრდას და სამყაროსთან ჰარმონიულ განვითარებას.

**Abstract:** The article deals with the state of the problem of mental health of a person individual in psychological science. General approaches to analysis of the nature and essence of mental health of a person are outlined. The definition and characteristics of mental health are given. It was found that mental health is a basis for the full development of personality, which emphasizes the absence of mental illness and absorbs the basic manifestations of a person's qualities as an organizer and manager of his/her own life. Analysis of scientific literature made it possible to distinguish certain characteristics of mental health of a person, which include: being active, regulation of behavior and activity, purposefulness, creativity, critical thinking, ability to assume full responsibility for overcoming life circumstances and difficulties, personal growth and harmonious development with the world.

**Formulation of the problem.** The problem of mental health of a person, despite its recognition in foreign and domestic psychology as one of the most significant ones, causes ambiguity of approaches to understanding its nature and essence, and therefore the solution. The peculiarities of the present socio-political life, the complexity in understanding the essential characteristics of the mental health of a person determine, on one hand, the need to solve the conceptual and terminological problem associated with understanding the concept of “mental health”, and on the other hand – to investigate the evolution of scientific approaches to the consideration of this problem and its condition at the present stage of development of scientific thought.

**Analysis of research and publications.** The phenomenon of mental health is the subject of research carried out in a significant number of scientific works. In western psychology, mental health was studied by such prominent psychologists as A. Maslow, C. Rogers, G. Allport, V. Frankl and others. In domestic psychology, such scientists as S.I. Boltivets, I.I. Haletska, V.H. Kokhan, I.Ya. Kotsan, H.V. Lozhkin, S.D. Maksymenko, Ye.M. Potapchuk, N.O. Svitlychna and R.I. Sirko dedicated their works to this problem.

**Fundamentals.** The problem of mental health of a person as a subject area of scientific research has a relatively long history, but the fundamentals on which it rests originate from the ancient Eastern practices of Indo-Tibetan medicine, such as Yoga and Ayurveda.

Yoga in the Indo-Tibetan tradition is a set of spiritual and physical practices aimed at managing the mental and physiological functions of the human body in order to attain an elevated spiritual and psychological state. As H.S. Nikiforov rightly notes, Yoga is a way to harmonize the physical and mental base of a human being (8). Hatha Yoga and Raja Yoga are the most common – or the main – styles of modern Yoga. The first is aimed primarily at supporting the physical health of a person, while the second one, Raja Yoga, or – as it is often called – intellectual Yoga, allows a learner to achieve significant results in relation to his mental health: to change the world view, to learn to control his/her thoughts, to develop a new style of life.

Ayurvedic practice was the basis of state medicine in India in the XV-VII centuries BC. Translated from Sanskrit, “Ayurveda” is a science of life. Ayurvedic science teaches that the meaning of human existence lies in the harmony of the body and the spirit; that the psyche affects the overall state of the organism; that one of the main conditions that determine health is the maintenance of mental and physical balance (8).

Yoga and Ayurveda as examples of spiritual and physical practices of Indo-Tibetan medicine are some of the oldest psychological systems, the methodical techniques of which are actively applied today in a variety of methods of mental relaxation and self-regulation, such as, for instance, autogenic training.

The deepest influence of the eastern tradition on the issue of mental health is felt in the scientific works of C. Jung, who throughout his entire life showed interest in the philosophy and traditions of the East. He studied Indian and Chinese treatises, which according to biographers, contributed to his considerable number of scientific discoveries in the field of psychology. R. Moacanin, in her book titled “Jung’s Psychology and Tibetan Buddhism”, notes that Jung was closer to the Eastern systems than to the traditional West (14). C. Jung believed that only a person who assimilated the contents of unconscious and free from being captured by any archetype could be a healthy one. According to Jung, the path to health and growth, from ego to self, is individualization (21).

Despite the fact that one of the first who drew the attention of science to the issues of mental health of a person were representatives of the psychoanalytic direction, in particular S. Freud and C.

Jung, yet the historical initiative to formulate and develop mental health as a scientific problem belongs to scientists humanistic psychology (G. Allport, A. Maslow, C. Rogers, E. Fromm).

Focusing on specific human manifestations and values, the representatives of the humanistic flow introduced a number of terms defining the quality of individual life into professional vocabulary; in particular they considered the issue of mental health, using such concepts as: "mental health" "spiritual well-being", "intrapersonal harmony", "harmony of personality", "power of self", etc. (9, 13, 17, 21, 22).

C. Rogers, a well-known representative of humanistic psychology, was one of the first who attempted to create a psychological portrait of a healthy person. In his writings, the mental health of a person is reflected through the notion of "fully functioning person". According to the scientist, such a person expresses openness to experience, an existential way of life, organismic trust, empirical freedom and creativity (17). Rogers stressed that a person is endowed with innate, natural aspirations for health.

On the basis of the theory of human motivation, A. Maslow has created the image of a self-actualized, mentally healthy person. According to the scientist, mental health characterizes the individual as a source of life activities, the manager of his/her own forces and abilities. Maslow wrote that self-actualizing person is oriented to reality, perceives himself, other people, the world of natural phenomena as they are; such person is spontaneous, centered on the problem, not on himself / herself; he/she is also autonomous and independent, his/her assessment of people, things, phenomena is not stereotyped; such person has significant creative resources (13).

G. Allport, introducing the idea of the propriety of human nature into science, formed a portrait of a mentally mature person. According to G. Allport, a psychologically mature person is capable of assuming all responsibility for his/her life, for its quality, as well as personal successes and defeats. The features characterizing personal maturity, according to the typology of G. Allport, are the central features of the proprium of a person, which cover those aspects that are important for a sense of self-identity and self-esteem (21).

In turn, E. Fromm advocating the value of positive freedom offered the image of "a person with a productive character". According to E. Fromm, such a person is free and independent from external control, guided by reason and therefore able to comprehend the essence of phenomena; perceives himself / herself as an embodiment of one's own forces and as a "creator", capable of seeing people as they are, capable of loving; capable of creating things through the power of imagination, it is characterized by the existential needs, which are the source of activity (22).

Summarizing the aforementioned approaches, there are grounds to state that humanistic psychology has made one of the first and important steps to consideration of mental health of a person. In particular, representatives of this particular scientific field have introduced mental health into a range of scientific problems, where the identity and self-sufficiency of a person, the way to health through the art of living are at the forefront. At the same time, the essential disadvantage of the humanistic paradigm is the lack of clear boundaries, which in turn implies the existence of different views on the problem.

A slightly different approach to the problem of mental health was offered by an Austrian psychiatrist V. Frankl, a well-known representative of existential psychology. In his work, "Man's Search for Meaning" V. Frankl, a former prisoner of the Nazi concentration camp, contemplated a person who strives for meaning, emphasizing that human life can not, in any circumstances, lose its meaning. The meaning of life must be found. In this search, a person is guided by his/her conscience, which for Frankl is identical to the "inner voice", that directs a person on the way to achieving health (20). According to

Frankl, in order to fill life with meaning, and therefore make it conscious, a person needs to exercise responsibility, creativity in work, and ability to feel.

Within the humanitarian-anthropological approach, which is actively developing in Russia, the studies of mental health started at the late XIX – early XX century. A significant theoretical and practical contribution to the development of ideas of mental health as a problem of age and pedagogical psychology was made by V.M. Bekhterev, who demonstrated the fundamental importance of upbringing and education for the formation of mental health of children, from early childhood to teen age and adolescence [8].

Formation of mental health based on the ontology of human life is assumed by the anthropological approach (A.V. Shuvalov, V.I. Slobodchikov). The parameters of mental health here appear as achievements of maturity (25).

Considerable dissemination of thoughts on mental health has evolved within the framework of an adaptation approach. According to O.V. Khukhlaieva, understanding mental health as the presence of a dynamic equilibrium between the individual and the environment, it should be considered a criterion for the harmony between man and society (23).

H.S. Nikiforov, one of the contemporary representatives of the scientific trend “Psychology of Health” in Russia, speaks of mental health as a person’s characteristic that determines his/her ability to overcome the complex circumstances of his/her life, while maintaining the optimal emotional background and the adequacy of his/her behavior. Continuing his opinion, the scientist adds that mental health is primarily the harmony of a human being with himself / herself (8).

O.S. Vasylieva emphasizes that mental health is defined as one of the integral characteristics of a person, associated with his/her internal world and with all the diversity of the surrounding world (4).

Analysis of literary sources suggests that in Russian psychology, the problem of mental health of a person has sufficiently developed theoretical foundations that allowed to highlight a separate scientific direction of psychological research titled “Psychology of Health”. The principles and philosophy of this direction are realized within the framework of the humanitarian-anthropological approach, which is based on the idea of a person achieving the fullness of his/her own reality and spiritual growth.

In domestic science, mental health has more than once become the subject of scientific research and is most thoroughly considered within the framework of the problems of general psychology (S.D. Maksymenko, R.I. Sirko), psychology of activities in specific circumstances (V.H. Kokhan, Ye.M. Potapchuk, N.O. Svitlychna), psychology of health (I.Ya. Kotsan, H.V. Lozhkin, O.V. Noskov), medical psychology (S.D. Maksymenko, O.S. Chaban), pedagogical and age psychology (O.I. Vasylevska, S.B. Zharikova), psychohygiene (S.I. Boltivets), national security (I.I. Haletska, O.L. Korolchuk, O.V. Ustinov).

Scientists tried to reveal the essence of the concepts of “mental health” and “mentally healthy person”, to study the effects of negative impacts on mental health and to develop appropriate measures for its development, preservation and protection.

Investigating the problem of predicting the development of mental health of a person S.D. Maksymenko defines a mentally healthy person as an integral personality in a process of constant motion and formation, where the integrity is considered by the scientist not only as an attribute of personality, but also as a system of its unity with social environment, on the one hand, and with its biological and genetic peculiarities – on the other [12]. According to the researcher, mental health is an aspect of health in general that indicates the state of emotional comfort, the absence of pathological psychic mani-

festations and the ability to work effectively and self-regulation in accordance with own (self-reflected) goals and interests of a person (15).

I.V. Sharonova, considering the state of the problem of mental health in the current conditions of life, speaks of mental health as a relatively stable condition of a person, which enables such person, consciously, taking into account his/her physical and mental capabilities, as well as the surrounding natural and social conditions, to satisfy individual, biological and social needs based on the normal functioning of psychophysical systems which ensures the achievement of emotional well-being (24).

The team of authors composed of I.Ya. Kotsan, H.V. Lozhkin, M.I. Mushkevych, in their work titled "Psychology of Human Health" [11], interpret mental health as a comprehensive development and coordinated work of all mental functions. They assume that this is an internal state of a person that ensures human behavior which is adequate to the circumstances in the real world.

Mental health was a subject of reflection for M.Ye. Andros. In the opinion of the scientist, mental health should be understood as functioning of the psyche of an individual, which ensures his/her harmonious interaction with the outside world (1).

O.I. Vasylevska, studying the peculiarities of development of mental health, defines it as a complex concept that includes the ability to live creatively, the presence of meaning in life, constructive interaction with other human beings and social reality (3).

The content analysis of literature shows that the problem of mental health often appears in the scientific research in the context of finding ways to preserve and protect it (2, 5, 7, 16, 18, 19) .

1. მაღრაძე მ., პროექტების მენეჯმენტი და მისი განხორციელების მეთოდოლოგია// შრომები: საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ "მოამბის" დამატება, თბ., 2009, N1.
2. ქეშელაშვილი გ., პროექტების მენეჯმენტი, თბ., 2010.
3. შიხაშვილი გ., ხვინთელიანი ბ., პროექტის მენეჯმნეტი, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2008, №5.
4. ჩხაიძე ი., პროექტის მართვის საფუძვლები, ბათუმი, 2009.
5. http://greenalt.org/news
6. http://gogc.ge/ge/page/baqo-tbilisi-djeihanis-milsadeni
7. http://greenalt.org/publications
8. http://nala.ge/climatechange/uploads/TrainingModules/2–4.pdf

# ტურიზმი
# Tourism

**ნათია ჯინჯოლავა**
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი,
ასისტენტ-პროფესორი
**კონსტანტინე ხიზანეიშვილი**
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი,
ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი
**Natia Jinjolava**
International Teaching University of Georgia,
Assistant Professor
**Konstantine Khizaneishvili**
International Teaching University of Georgia,
Student of Tourism Bachelor Program

## სპორტული ტურიზმის განვითარება საქართველოში
## Sports Tourism Development in Georgia

**რეზიუმე:** სპორტული ტურიზმი ჩვეული ადგილიდან მოშორებით სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობას ან მასზე დასწრებას (დაკვირვებას) გულისხმობს და სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: 1. სპორტული ღონისძიების ტურიზმი – ოლიმპიადები, მსოფლიო, ევროპისა და ქვეყნის ჩემპიონატები. 2. აქტიური სპორტის ტურიზმი – შეჯიბრებებსა და სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა (მოყვარულთა ჩემპიონატები, ჯომარდობა, ლაშქრობები, ალპინიზმი, ველოტურები და ა.შ.). 3. ნოსტალგიური სპორტული ტურიზმი – სპორტთან დაკავშირებული ადგილების (სტადიონების, სპორტული არენების, მუზეუმების) მონახულება. სპორტული ტურიზმი მნიშვნელოვნად ეხმარება ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას, აგრეთვე მისი ცნობადობის დონის ამაღლებას მსოფლიოს მასშტაბით, რაც ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის სწრაფ განვითარებას.

**Abstract:** Sports Tourism is defined as a specific travel outside of the usual environment for either passive or active involvement in competitive sport where sport is the prime motivational reason for travel and the touristic or leisure element may act to reinforce the overall experience. It is generally recognized that there are three types of sport tourism: Sport Event Tourism, Active Sport Tourism, and Nostalgia Sport Tourism. Sport and Tourism are two driving forces for the promotion and sustainable economic development of tourism destinations and fortunately, the sports tourism becomes more and more popular in Georgia.

სპორტული ტურიზმი ჩვეული ადგილიდან მოშორებით სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობას ან მასზე დსწრებას (დაკვირვებას) გულისხმობს და სამ ძირითად კატეგორიად იყოფა:

1. სპორტული ღონისძიების ტურიზმი – ოლიმპიადები, მსოფლიო, ევროპისა და ქვეყნის ჩემპიონატები.

2. აქტიური სპორტის ტურიზმი – შეჯიბრებებსა და სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა (მოყვარულთა ჩემპიონატები, ჯომარდობა, ლაშქრობები, ალპინიზმი, ველოტურები და ა.შ.)

3. ნოსტალგიური სპორტული ტურიზმი – სპორტთან დაკავშირებული ადგილების (სტადიონების, სპორტული არენების, მუზეუმების) მონახულება.

სპორტული ტურიზმის მიმდევრების რაოდენობა და მისი წილი მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიაში დღითიდღე მატულობს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში 75,3 მილიონმა ამერიკელმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა კატეგორიის სპორტულ ღონისძიებებში. სპორტულ ტურიზმს ზუსტად იმდენივე შემოსავალი მოაქვს, რამდენიც ტურიზმის ყველა სხვა სახეობას ერთად აღებულს. ამასთან, სპორტული ტურიზმით გატაცებული ადამიანების 84% ესწრება სპორტულ ღონისძიებებს, დანარჩენი 16% კი ღონისძიების უშუალო მონაწილეა. სპორტული ტურიზმით გატაცებულთა უმრავლესობა მამაკაცებია და ისიც აღსანიშნავია, რომ როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, ასეთი ტურისტების 58% პროცენტი სპორტულ ღონისძიებაზე დასწრების შემდეგ, ისევ ბრუნდება ღონისძიების ჩატარების ადგილას, უკვე დასასვენებლად, ოჯახთან ერთად. 2017 წლისათვის მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრია სპორტული ტურიზმისაგან 90,9 მილიარდი აშშ-ს დოლარის ოდენობის შემოსავალს ელის.

საქართველოში სპორტული ტურიზმის განვითარება იწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია ქვეყანაში შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა. ქვეყანას უნდა გააჩნდეს: თანამდროვე სტანდარტების შესაბამისი მრავალფუნქციური სტადიონები, საცურაო აუზები, სპორტული დარბაზები, ველო, სათხილამურო და სარბოლო ტრასები, სპორტული მოედნები, სპორტული ბაზები და სხვა სპორტული ღონისძიებებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა, დღეისათვის საჭიროა სათანადო დონის დამატებითი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და არსებულის გაუმჯობესება. საქართველოში არის რამდენიმე სეზონური კურორტი, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის სპორტული ღონისძიებების ჩატარება. მით უმეტეს, რომ არსებობს ბაკურიანში სათხილამურო, მიტარბში სატრამპლინო, გუდაურში სამთო-სათხილამურო, მალთაყვაში ოქროს ტბაზე წყლის სათხილამურო, სვანეთში ალპინისტური ადგილობრივი და საერთაშორისო დონის ღონისძიების ჩატარების გამოცდილება.

ჩვენს ქვეყანაში სპორტულ ტურიზმს რომ დიდი პერსპექტივა და კარგი პოტენციალი აქვს ამის კიდევ ერთი დადასტურებაა ორი წლის წინ თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე გამართული ევროპის სუპერთასის ფინალიც ფეხბურთში, რომელსაც დიდი რაოდენობის უცხოელი ტურისტი დაესწრო. ასეთი რანგის ღონისძიების მასპინძლობა, ნებისმიერი ქვეყნისათვის უდიდესი პატივია და უეფას თანხმობა საქართველოში ევროპული ფეხბურთის გრანდების „ბარსელონასა“ და „სევილიას“ მატჩის ჩატარებაზე კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ქვეყნის მზაობას უმასპინძლოს ასეთი მაღალი კატეგორიის სპორტულ ღონისძიებას. სტატისტიკის თანახმად, ევროპის სუპერთასის 3-დღიანი სპორტული ღონისძიების განმავლობაში საქართველოს ესტუმრა 18 ათასამდე უცხოელი სტუმარი, რომლებმაც ქვეყანაში 25 მილიონი აშშ დოლარი დატოვა. რასაკვირველია, გარდა მატერიალური წარმატებისა, მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის

პოპულარიზაციას მის ფარგლებს გარეთ და მისი ადგილის დამკვიდრებას მსოფლიო ტურიზმის რუკაზე. სუპერ თასის გათამაშებას 202 ტელევიზია აშუქებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და რაც ყველაზე მთავარია, UEFA-მ სწორედ თბილისში ჩატარებული თამაში დაასახელა სუპერთასების ისტორიაში საუკეთესო მატჩად. uefa.com-ზე ჩატარებული გამოკითხვის დროს გამოკითხულთა 45,6%-მა თბილისის თამაში აღიარა 1972 წლიდან გამართულ ყველა ფინალს შორის საუკეთესოდ. თბილისის სუპერთასის ფინალმა ასევე მოხსნა ანალოგიურ თამაშებზე სტადიონებზე დასწრების რეკორდიც – მატჩს 51 940 ადამიანი დაესწრო.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სუპერთასის ფინალმა კარგად წარმოაჩინა საქართველოს ტურისტულ ბაზარზე არსებული ისეთი პრობლემები როგორიცაა: 1. სასტუმროების ნაკლებობა მსგავსი ღონისძიებების დროს არსებულ მოთხოვნასთან შედარებით (თბილისში დღეისათვის არსებული 1200 სასტუმრო ოთახი ძალიან ცოტაა დიდი ღონისძიების დროს წარმოქმნილი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად); 2. მომსახურების დაბალი ხარისხი; 3. ბილეთების ელექტრონულად შესყიდვის ჯეროვან დონეზე უზრუნველყოფა – საიტი biletebi.ge ვერ უძლებდა ბილეთების ყიდვის მსურველთა რაოდენობას და რამდენჯერმე გაითიშა.

ქართული სპორტული ტურიზმის განვითარებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, როდესაც 2014 წლის 3 მაისს გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში გადაწყდა, რომ მძლეოსნობაში ევროპის ახალაგაზრდულ ჩემპიონატს 2016 წელს უმასპინძლებდა თბილისი. ამ ღონისძიების ფარგლებში 2016 წელს ჩვენს დედაქალაქს 1300-მდე სპორტსმენი და 800-მდე ოფიციალური პირი ეწვია. მძლეოსნობის ახალგაზრდული ჩემპიონატი ამ ტიპის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიება იყო, რომელიც თბილისში გამართულა. ტურნირი „ახალთბილისში" მდებარე სამძლეოსნო სტადიონზე მიმდინარეობდა. ასპარეზობაში 47 ქვეყნის სპორტსმენები იღებდნენ მონაწილეობას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ტურნირის მასპინძლობაზე პრეტენზიას იტალია და სლოვაკეთიც აცხადებდა, თუმცა საქართველომ შეძლო და აჯობა ევროპის ორ უდიდეს ქვეყანას. ეს ტურნირი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ ძალიან ბევრი ტურისტი ეწვია ჩვენს ქვეყანას, რაც ქვეყნის პოპულარიზაციისათვის გადადგმული კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

საქართველო და კერძოდ თბილისი 2015 წელს ევროპის ახალგაზრდულ ზაფხულის ოლიმპიურ ფესტივალს მასპინძლობდა. ამ სპორტულ ღონისძიებაში 50 ქვეყნის 3800-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ტურნირი 26 ივლისს გაიხსნა და 1 აგვისტოს დაიხურა. სპორტსმენთა ასაკი 14-დან 18 წლამდე მერყეობდა. მათთვის სპეციალურად აშენდა და მოეწყო ოლიმპიური სოფელი, რომელიც თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. გარდა ამისა, აშენდა 7 ახალი სპორტული არენა და გარემონტდა უკვე არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა. რაც ჯერ ერთი, სამომავლოდ ხელს შეუწყობს ადგილობრივ სპორტსმენებს განვითარებაში და, მეორე, შესაძლებელი იქნება უკვე არსებულ სპორტულ კომპლექსებში ანალოგიური ან ბევრად დიდი მასშტაბის საერთაშორისო სპორტული ღონისძიების ჩატარება. ასევე, სპეციალურად ამ ტურნირისათვის მოიჭრა 10-ლარიანი ვერცხლის მონეტები, რომელიც პოლონეთის ზარაფხანაში დამზადდა. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის ცეცხლი 26 მაისს, სიმბოლურად ათენში, „პანათინაიკოსის" სტადიონზე დაინთო და მისი ესტაფეტა თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დასრულდა. 1-კვირიანი ტურნირის განმავლობაში ჩვენს დედაქალაქს 60 ათასამდე უცხოელი სტუმარი ეწვია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ტურნირი თავისი მნიშვნელობით, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაშიც კი უპრეცედენტოა.

საქართველოში, მტკვარზე იმართება 2017 წლის ევროპის ჩემპიონატიც ჯომარდობაში. იგივე ადგილას გაიმართა 2016 წელს ბრძოლა ევროპის თასის მოსაპოვებლად, რომელსაც ჯომარდობის მსოფლიო ფედერაციამ უმაღლესი დონის შეფასება მისცა.

ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებს შორის, რომელიც უცხოელი და ქართველი ტურისტებისათვის ერთნაირად საინტერესოა, შეიძლება გამოიყოს ლელო – თამაში, რომელიც დაახლოებით 300 წელს ითვლის და ძალიან წააგავს თანამედროვე რაგბს. გურიის ერთ-ერთ ყველაზე წყნარ სოფელში, შუხუთში ყოველ წელს, აღდგომის წინა დღეებში „ლელობურთი" იმართება. ამ დროს შუხუთი ორ ნაწილად იყოფა – ზემო და ქვემო შუხუთად და ერთმანეთს ეჯიბრებიან. 16-კილოგრამიანი ბურთი ვისაც დარჩება, გამარჯვებულიც ის არის. „ლელობურთი" გურულების ტრადიციაა, ცხოვრების წესია და სახალხო მისი წყალობით, შუხუთი რამდენიმე საათის განმავლობაში გურიაში ყველაზე ხმაურიან ადგილად იქცევა. შეჯიბრი სრულდება სუფრით, რომელსაც არამხოლოდ ადგილობრივი, არამედ სხვა ქალაქებიდან ჩასული ჩვენი თანამემამულეებიც ესწრებიან. „ლელობურთი" ერთ-ერთი ცნობილი სპორტული ღონისძიებაა ჩვენს ქვეყანაში და მისი კარგად გარეკლამების შემთხვევაში ამ ღონისძიებაზე დასასწრებად სრულიად შესაძლებელია უცხოელი ტურისტების მოზიდვაც. მაგალითად, როგორც ესპანეთში, პამპლონაში ხარებთან ერთად რბოლაზე ან პომიდვრების დღესასწაულ „ლა ტომატინაზე", რომლიც ყოველი აგვისტოს ბოლო პარასკევს იმართება.

ჩვენი ქვეყნისათვის სპორტული ტურიზმის განვითარება განსაკუთრებულად პრიორიტეტული და აქტუალური გახდა ქართული რაგბისტების წარმატებისა და პოპულარობის ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ სპორტული ღონისძიებების უმეტესი ნაწილი თბილისზე მოდის და რეგიონებში სპორტული ტურიზმის განსავითარებლად ჯერ კიდევ ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი, მსგავსი ტიპის ღონისძიებები მნიშვნელოვნად ეხმარება ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას, აგრეთვე მისი ცნობადობის დონის ამაღლებას მსოფლიოს მასშტაბით, რაც ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის სწრაფ განვითარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2015
2. Tourism Highlights, 2017 Edition, UNWTO, 2016
3. World Tourism Organization Annual Report – 2016
4. www2.unwto.org
5. www.data.worldbank.org/indicator
6. www.eyof.org/
7. www.gnata.ge
8. www.jomardi.ge
9. www.uefa.com
10. www.world-tourism.org

**იუნონა მარგალიტაძე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი
**Yunona Margalitadze**
Georgian Technical University,
Associate Professor
**ლაშა გაბიძაშვილი**
მაასტრიხტის უნივერსიტეტი,
მაგისტრის წოდება ფინანსებში
**Lasha Gabidzashvili**
Master of Science in Finance, Maastricht University

**მოსაზრებები ანაკლიის პორტის შესახებ**
**Iscussion Points about Anaklia Port**

**რეზიუმე:** ანაკლიის პორტი, ეკონომიკის ექსპერტთა თვალსაზრისით, შეიძლება გახდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების გამშვები მექანიზმი და მისი მამოძრავებელი ღერძი. **ამასთან, პორტის დიზაინი და განლაგება ისეთი უნდა იყოს, რომ მისი ფუნქციონირება ეფექტიანიც იყოს და ბუნებას მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგეს.** პორტის პროექტის სრულფასოვანი შედგენისათვის აუცილებელია წინასწარი კვლევების ჩატარება და **ყოველმხრივი შესწავლა სპეციალისტთა ფართო წრის მიერ.** იმედია, ვითარება ადეკვატურად იქნება შეფასებული და მიღებულ იქნება ანაკლიის პორტის მშენებლობის ისეთი ვარიანტი, რომელიც ქვეყნისათვის სასარგებლოც იქნება და რაციონალურიც.

**Abstract:** According to economic experts, Anaklia port could become the driving force behind development of Georgian economy. The port should be designed and located in such a way that it is profitable and at the same time does not seriously harm nature. In order to understand the results of port the project, all-around research should be conducted by specialists. Hopefully, all aspects will be taken into account and most profitable and rational option will be chosen for construction of Anaklia port.



საქართველოს ეკონომიკური განვითარების აუცილებლობა და ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება, მისი გადაცემა მომავალი თაობებისათვის და ხანგრძლივი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა აშკარად მოითხოვს რიგი დარგებისათვის პროექტების შემუშავებასა და რეალიზებას. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენს ქვეყანას უამრავი შესაძლებლობა აქვს. მათ შორისაა

საკმაოდ მიმზიდველი პროექტების განხორციელება შავი ზღვის რესურსების (კერძოდ, სანავსადგურო ინფრასტრუქტურის) ათვისების გზით.

ზღვის სანაპირო ზონა თავისი ბუნებრივი განვითარებისას თანამედროვე ეპოქაში უზარმაზარ ანთროპოგენურ დატვირთვას განიცდის, განსაკუთრებით – პორტების მშენებლობისას, რომელიც ხშირად დაკავშირებულია ზღვის ფართო აკვატორიის დაკავებასთან, მოლოებისა (დამცავი მოლო (Breakwater) – სპეციალური ჰიდროტექნიკური ნაგებობა) და ტალღასატეხების აგებასთან, რაც სანაპირო ზონის რეჟიმის დარღვევას იწვევს და ნეგატიურ შედეგებს იძლევა. მაგალითად, მოსილვას და პორტის აკვატორიის გათავთხელებას, მიმდებარე უბნებზე ნატანის დეფიციტის შექმნას, ქვედა წარეცხვების (ხმელეთის მიმდებარე ზღვის ფსკერის ეროზია) გააქტიურებას და, როგორც შედეგი, მას მოჰყვება ძირითადი ნაპირების ნგრევა და დეგრადაცია. ამ ბუნებრივ პროცესში ადამიანის არაგონივრული ჩარევით გამოწვეული უარყოფითი შედეგების წინააღმდეგ მიმართული ნაპირდაცვითი საქმიანობის ჩატარება მეტად ძვირია. ამასთან, ის ამცირებს სანაპირო ზოლის ატრაქციულობასა და მის საკურორტო-რეკრეაციულ პოტენციალს.

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლი საზღვაო პორტების აშენების მიზნით მოხერხებული არ არის. ამის მთავარი მიზეზი ზღვის სანაპიროს გეომორფოლოგიური ნიშნებისა და გეოლოგიური აგებულების განსაკუთრებული თავისებურებებია: 1. ზღვისპირა ხმელეთი ნაკლებადაა დანაწევრებული და მდინარეების მიერ შემოტანილი ნაშალი მასალის დალექვის შედეგადაა ჩამოყალიბებული. სანაპიროც, ძირითადად, აკუმულაციური ხასიათისაა. ამიტომ მთელ პერიმეტრზე ხმელეთში ბუნებრივად შეჭრილი და მნიშვნელოვანი სიღრმის ზღვის ყურეები ფაქტობრივად არ გვაქვს.

სამაგიეროდ, ხმელეთის მიმდებარე ზღვის ფსკერი საკმაოდ რთული რელიეფით ხასიათდება და ზღვის შელფში (არცთუ იშვიათად, სანაპირო ზონაში) შეჭრილი ე.წ. წყალქვეშა კანიონების სათავეების სიმრავლით გამოირჩევა. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს ზღვისპირა სანაპიროს ზოგიერთ მონაკვეთზე საპორტო მშენებლობისათვის შედარებით ხელსაყრელ პირობებს. ამის მიუხედავად, ზემოაღნიშნული მხოლოდ ნაწილობრივი პირობაა სრულფასოვანი პორტის მშენებლობისა და ექსპლოატაციის თვალსაზრისით. ამიტომ მსოფლიოს დიდი საზღვაო პორტები ბუნებრივ, ღრმა და ღელვისგან დაცულ ყურეებშია განლაგებული. ხაზგასასმელია, რომ ასეთ პორტებში თითქმის არ შეიმჩნევა მათი ფუნქციონირებისათვის შემაფერხებელი აკუმულაციური მასალის (ალევრიტი, წვრილი ქვიშა) არსებობა და მისი გადაადგილება.

საქართველოს ვერც ერთი საზღვაო პორტი ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს სრულად ვერ აკმაყოფილებს. სრულფასოვანი საზღვაო პორტის მოწყობისათვის საჭიროა ვრცელი, ტალღებისაგან დაცული ღრმა აკვატორიისა და ზღვის დიდი სიღრმეებიდან ხმელეთამდე მისასვლელი ღრმა ბუნებრივი „არხის" მქონე პორტი-ყურესათვის სათანადო პირობების (ნაწილობრივად მაინც) ხელოვნურად შექმნა.

საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე ასეთი ხელსაყრელი პირობები რამდენიმე ადგილზე გვაქვს. ერთ-ერთი ხელსაყრელი ადგილი მდინარე ენგურის ძველი შესართავია, სადაც წყალქვეშა კანიონის სათავეები სანაპირო ხაზთან ძალიან ახლოსაა (ნაპირიდან 150-200 მ) შემოჭრილი. ამასთანავე, ვრცელი აკვატორიის შექმნა შედარებით მარტივად სწორედ აქაა შესაძლებელი. როგორც ჩანს, დასაპროექტებელი პორტის მიმდებარე ხმელეთთან საკმაოდ ახლოსაა ბუნებრივი დიდი სიღრმეები. ამის გამო, პორტის აკვატორიასა და ზღვის დიდ სიღრმეებს შორის მოქცეული წყალმარჩხი ზოლის სიგანე აშკარად მცირეა. ამ ფაქტორს

უდიდესი მნიშვნელობა აქვს პორტის მშენებლობის ღირებულებისა და მოძრაობის შემაფერხებელი ლითოდინამიკური პროცესების რეგულირების თვალსაზრისით.

დარგის სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ საპორტო და ჰიდროტექნიკური ნაგებობების ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რელიეფსა და სანაპირო პროცესებს. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ აკუმულაციური მასალის უარყოფითი გავლენა პორტების ფუნქციონირების საქმეში. **ამ თვალსაზრისით, ენგურის ზღვის შესართავი მომგებიანია, რადგან მდინარე ენგურის მაღლივი კაშხლის აშენების შემდეგ მისი თხევადი ჩამონადენი მდინარე ერისწყალში იქნა გადაგდებული და მყარი ნატანიც თითქმის 4-ჯერ შემცირდა.** ამიტომ, ენგურის შესართავში პორტის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკური აღორძინების იდეა, ბუნებრივ-ეკოლოგიური თვალსაზრისით, მიზანშეწონილი, სოციალურად გამართლებული და ეკონომიკურად ეფექტიანია. ეკონომიკის ექსპერტთა თვალსაზრისით, ის შეიძლება გახდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების გამშვები მექანიზმი და მისი მამოძრავებელი ღერძი.

**ამასთანავე, დგება პრობლემა, როგორი უნდა იყოს პორტის დიზაინი და განლაგება, მისი ფუნქციონირება ეფექტიანიც რომ იყოს და ბუნებას მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგეს. თანამედროვეობის ურთულესი საკითხი სწორედ ესაა. ამ პრობლემას ნათლად აჩვენებს ამჟამინდელი ფოთისა და ყულევის პორტების ფუნქციონირებისას შექმნილი ახალი პრობლემები.**

რადგან ეს პორტი ქვეყნის სასარგებლოდ უნდა აშენდეს, საჭიროა, დეტალურად გაანალიზდეს ნებისმიერი ასეთი პროექტი, გრანდიოზულმა პროექტმა გრანდიოზული კატასტროფა რომ არ მოგვიტანოს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მარტივი ჭეშმარიტება: ჩვენ ვერ შევცვლით ბუნების კანონზომიერებას, ის უნდა გავითვალისწინოთ და მხოლოდ ასე ვიმოქმედოთ.

პროექტი დაპროექტებულია მდ. ენგურის კალაპოტში და გადადის მის მარჯვენა ნაპირზეც – ზუგდიდის რაიონის (ს. განმუხურის) ტერიტორიაზე, საიდანაც ჩრდილოეთის მიმართულებით თითქმის 3 კმ-ზე, სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრამდე ვრცელდება და ამიტომ პორტი ებჯინება გალის რაიონის საზღვარს. აღსანიშნავია, რომ ენგურის საზღვაო პორტის მნიშვნელობის შესახებ ორი საპირისპირო მოსაზრება არსებობს. პირველი მათგანის მიხედვით, პორტის უშუალოდ საოკუპაციო ზოლთან აშენება მეტად სარისკოა, ხოლო მეორე თვალსაზრისით, მას დადებითი როლი აკისრია, რადგან არ არის გამორიცხული, ეკონომიკური ეფექტიანობით აფხაზეთის მესვეურების დაინტერესება გამოიწვიოს და სასიკეთო აღმოჩნდეს კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

ამ გეგმის მიხედვით, იქ, ძირითადად, თავისუფალ მიწებზე, ახალი საპორტო დასახლების გაშენებაა გათვალისწინებული და არა გადასახლება. ისე, ამგვარი მასშტაბის ობიექტის მშენებლობისას ვერ ავცდებით გარკვეული რაოდენობის მოსახლეობის სხვა ადგილზე გადაყვანასა და მათთვის კომპენსაციის მიცემას, რაც ცალკე გადაწყვეტას საჭიროებს.

რა ვითარება გვაქვს დღეს ყულევში? სამწუხაროდ, გამართლდა თითქმის ყველა ის უარყოფითი პროგნოზი, რომლებიც ყულევის პორტის პროექტის შეფასებისას აღინიშნა. კერძოდ, მშენებლებმა არ გაითვალისწინეს და არც აშენდა ყულევის პორტის აკვატორიის შემომსაზღვრელი მოლოები. შედეგად მივიღეთ ტალღებისაგან დაუცველი აკვატორია და რამდენიმე კატასტროფული ინციდენტი ადამიანის დაღუპვის ჩათვლით. პორტის ფუნქციონირებისათვის (ისევე, როგორც ფოთში) მისასვლელი არხი მუდმივ წმენდასა და დაღრმავებას მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ზღვის ნაპირზე მდ. ხობისწყლის შესართავის როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით დაიწყო

ზღვის ნაპირის ძლიერი გარეცხვა. ზღვის შემოტევის შესაჩერებლად მდინარის მარჯვენა ნაპირზე ე. წ. ფლეთილი ქვა დაყარეს, რის გამოც დამახინჯდა ნაპირი. ამგვარი ღონისძიება ქვიშა-კენჭოვან ნაპირებზე არც მომავალში მოიტანს შედეგს. ეს მეთოდი ნაპირების ე. წ. გამაგრებისათვის განვლილი პრაქტიკის უარყოფითი გამოცდილებაა და მასზე სპეციალისტებმა ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში თქვეს უარი.

ზღვის ნაპირის გარეცხვის ძირითადი მიზეზი სანაპირო ზონაში ნატანი მასალის ბალანსის მკვეთრი დარღვევაა, რაც ზღვის ფსკერზე გაჭრილმა მისასვლელმა არხმა გამოიწვია. გაჭრილი წყალქვეშა არხის მეშვეობით, შტორმის დროს ზღვის მძლავრი ტალღები შეუფერხებლად გადაადგილდებიან ნაპირისაკენ და იქ ძლიერ ეროზიას იწვევენ. შტორმის შედეგად ნაპირიდან და ზღვის ფსკერის მეზობელი უბნებიდან ნატანი, დიდი რაოდენობის მასალა არხში ილექება. არხის გაწმენდის შემდეგ ამოღებული მასალა სანაპირო ზონის ნატანის ბალანსიდან ამოვარდნილია და ნაპირს ვერ კვებავს, რადგან ის ნაპირიდან შორს, ღია ზღვაში იყრება. სავალალო მდგომარეობაა მდ. ხობისა და მდ. ჭურიას შორის სანაპირო მონაკვეთზე. იქ არსებული რელიქტური ნაპირგასწვრივი ზვინული, რომელიც იცავს ჭურიის ჭაობებს ზღვისაგან, შტორმებით ირეცხება.

**აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჭურიის ჭაობები რამსარის კონვენციითაა დაცული. თუ აღნიშნული ზვინულის წარეცხვა არ შეწყდა, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ზღვის შეჭრა (ინგრესია) ჭურიის ჭაობებში. ეს კი ეკოლოგიურ კატასტროფას ნიშნავს. ზვინულის დეგრადაციის შემთხვევაში ზღვა შეიჭრება ხმელეთის შიგნით, სულ ცოტა, ორი კილომეტრით. ასეთია ის უარყოფითი შედგები, რომელიც ყულევის პორტი-ტერმინალის არასწორ დაპროექტებასა და ექსპლოატაციას მოჰყვა.**

პორტის პროექტის სრულფასოვანი შედგენისათვის აუცილებელია წინასწარი კვლევების ჩატარება. **საქართველოს შავი ზღვისპირეთი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეა და მას მოვლა-პატრონობა სჭირდება. ნებისმიერი ასეთი მასშტაბის პროექტის მომზადებისას საჭიროა მისი ყოველმხრივი შესწავლა სპეციალისტთა ფართო წრის მიერ. მხოლოდ ასეთი კომპლექსური მიდგომა აგვაცილებს დიდ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ზარალს.** იმედს ვიტოვებთ, რომ ვითარება ადეკვატურად იქნება შეფასებული და მიღებული იქნება აგრეთვე ანაკლიის პორტის მშენებლობის ისეთი ვარიანტი, რომელიც ქვეყნისათვის სასარგებლოც და რაციონალურიც იქნება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს მთავრობა „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2012-2015 წლებისათვის", (გადამუშავებული ვარიანტი), თბ., 2011.
2. მასალები ინტერნეტიდან
3. მარგალიტაძე ი., გეგეშიძე ე., სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციები და საზღვაო საქმე, თბ., 2017.

# საინჟინრო საქმე და ტექნოლოგიები
# Engineering and Technology

**Serhiy Stas**
PhD of Engineering, Associate Professor
of Department of Fire Engineering and Civil Defense Equipment,
Cherkasy Institute of Fire Safety named after Chornobyl Heroes,
National University of Civil Defense of Ukraine
**სერგი სტასი**
ინჟინერიის დოქტორი, სახანძრო ინჟინერიისა და სამოქალაქო თავდაცვის
აღჭურვილობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
ჩერკასკის ჩერნობილის გმირთა სახელობის სახანძრო უსაფრთხოების ინსტიტუტი,
უკრაინის სამოქალაქო დაცვის ეროვნული უნივერსიტეტი
**Сергий Стас**
Доктор инжинерии, ассоциированный профессор
департамнта пожарной инженерии и гражданской обороны
Черкасского института пожарной безопасности
имени Героев Чернобыля Национального университета
гражданской защиты Украины

## Безопасность спасателей в зонах интенсивного испарения воды и водных растворов пенообразователей
## მაშველთა უსაფრთხოება წყლისა და ქაფიანი ნივთიერებების წყალხსნარების ინტენსიური აორთქლების არეალში
## Safety of Rescuers in Areas of Intensive Evaporation of Water and Water Solutions of Foaming Agents

**Резюме:** Рассмотрены вопросы безопасной работы спасателей в зонах интенсивного испарения средств пожаротушения, воды и водных растворов пенообразователей. Уменьшение зоны теплового воздействия является ключевым условием обеспечения безопасной работы пожарных, поскольку процесс горения большинства материалов обеспечивает температуру, существенно превышающую безопасную для человека, а пожар является серьезной угрозой для его жизни и здоровья. Рассмотрены течения, в которых пожарные стволы и насадки являются элементами систем формирования струй при проведении аварийно-спасательных работ, обозначен процесс отрыва капель от струй, экспериментально проверены известные зависимости дальности боя ствола от угла наклона ствола при различных значениях давления. Сделана попытка разбития задачи возникновения испарений огнетушащих веществ в зоне теплового воздействия на ряд более мелких задач.

**რეზიუმე:** განიხილება მაშველების ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხო ოპერაციის საკითხები ინტენსიური აორთქლების ზონაში, წყლისა და წყალში გამხსნელი ქაფწარმომქმნელი საშუალებები, სითბოს შემცირება დაზარალებულ ზონაში წარმოადგენს ცეცხლის უსაფრთხო ფუნქციონირების საკვანძო გარემოებას მაშველების უსაფრთხო მუშაობისათვის, ვინაიდან მასალების უმრავლესობის წვის პროცესი იწვევს იმ ტემპერატურას, რომელიც საგრძნობლად აღემატება ადამიანის უსაფრთხოების ნიშნულს, ხოლო ცეცხლი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ხანძრის ჩამქრობი იარაღი ქმნის წყლის ჭავლს, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შხეფების განვრცობას. სტატიაში ავტორი

შეეცადა ძირითადი მიზანი დაენაწევრებინა უფრო დეტალურ, ცეცხლჩამქრობ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ამოცანებად.

**Abstract:** It is discussed the issues of fire-safe operation of rescuers in areas of intensive evaporation of water and water solutions of foaming agents. Heat reduction in the affected area is the key issue for safe operation of firefighters, since the combustion of most materials leads to the temperature, which significantly exceeds the human security benchmark, and the fire is a serious threat to life and health. The fire extinguisher creates a water jet, in which a spray expansion has a great importance. In the article, the author tried to divide the main aim into more detailed issues, related to fire extinguishing substances.

**Формулирование проблемы.**

Вопросы сохранения жизни и здоровья людей являются первоочередной задачей, которая стоит перед службами, всесторонне обеспечивающими безопасность жизнедеятельности и защиты населения. Среди таких служб особое место занимают подразделения, которые непосредственно занимаются вопросами возникновения чрезвычайных ситуаций и ликвидации их последствий. Чаще всего они входят в состав Министерства внутренних дел или Министерства по чрезвычайным ситуациям, либо отдельной государственной службы. Важно, что фактически во всех развитых странах мира наблюдается тенденция к численному росту количества практических работников указанных министерств, ведомств, служб.

Причиной указанной тенденции прежде всего является рост количества чрезвычайных ситуаций практически во всех сферах деятельности человека. Интенсификация производства, применение новых материалов, повсеместная роботизация, а также несоблюдение правил труда и другие факторы становятся главными причинами роста числа пострадавших, травмированных и погибших.

Среди самых распространенных типов чрезвычайных ситуаций (в процентном соотношении) почти всегда можно говорить о пожарах. Согласно определению, пожар – это неконтролируемый процесс горения, причиняющий материальный ущерб, опасность жизни и здоровью людей и животных (1).




Рис. 1. Зоны горения и теплового воздействия внутри зоны жизнедеятельности и трехэлементное представление условий возникновения и развития пожара

Пространство вокруг зоны горения, в котором температура в результате теплообмена достигает значений, вызывающих разрушающее воздействие на окружающие предметы и опасных для человека, называют зоной теплового воздействия. (2). Принято считать, что в зону теплового воздействия, окружающую зону горения, входит территория, на которой температура смеси воздуха и газообразных продуктов сгорания не меньше 60 °С. Поскольку процесс горения большинства материалов обеспечивает температуру, существенно превышающую 60 °С, пожар фактически всегда является серьезной угрозой для жизни и здоровья человека. Соответственно, ликвидация зоны горения или ее уменьшение влияет на уменьшение зоны теплового воздействия.

Уменьшение зоны теплового воздействия для вышеуказанного случая обеспечивается проведением работ пожаротушения. В подавляющем количестве случаев в качестве средства пожаротушения используется вода и водные растворы пенообразователей. Эффективность их

использования непосредственно зависит от средств, обеспечивающих подачу огнетушащих веществ в нужном виде и необходимом количестве в зону горения. Среди таких средств прежде всего отметим пожарные стволы и насадки на них.

Хотя конструктивно пожарные стволы и насадки на них чаще всего не являются сложными изделиями, и, казалось бы, можно создать общие рекомендации к их проектированию и использования с целью создания универсальных огнетушащих устройств, однако пока не удается создать такие устройства, которые обеспечили бы эффективное пожаротушение в каждом конкретном случае (3).

**Анализ исследований.**

Созданием и применением различного типа устройств для нужд гражданской защиты в целом и пожарного дела в частности, с позиций рассматриваемых в работе вопросов, занимались И. М. Абдурагимов, В. М. Жартовский, А. В. Антонов, С. Ю. Огурцов, А. А. Сизиков, Н. Г. Шкарабура, А. Г. Виноградов, В. В. Ковалишин, В. И. Желяк, А. В. Лазаренко, В. Ф. Кравчуновский, В. П. Ольшанский, Ю. А. Абрамов, А. Е. Басманов, И. М. Грицына, С. А. Виноградов, В. Л. Потеха, И. В. Карпенчук.

Эффективное пожаротушение в каждом конкретном случае должны обеспечивать различные пожарные стволы и насадки на них, фактически они позволяют формировать различные типы струй и подавать их в зоны горения и теплового воздействия. Использование водяных струй получило широкое использование в самых различных областях деятельности человека, одной из древнейших среди которых есть пожаротушение. Особенность применения интересующих нас струй определяется их характеристиками. Так, в большинстве случаев речь идет о расходах жидкости 0,2 ... 7,0 л/с, давление генерирования струи 0,2 ... 1,0 МПа, а струеформирующими элементами являются стволы и насадки с различными формами выходного отверстия (чаще всего применяются элементы с круглой формой поперечного сечения струеформирующего отверстия). В гидравлических машинах и гидроприводах широкое распространение получили нестационарные течения в трубах и каналах. В нашем исследовании, прежде всего, интерес представляли течения, в которых пожарные стволы и насадки используются как элементы систем формирования струй, необходимых для проведения аварийно-спасательных работ, а также процесс отрыва капель от струй.

**Результаты исследований**

. В работе показаны результаты, полученные при исследовании процессов струеформирования, которые обеспечивают простейшие современные пожарные стволы и насадки, применяемые при пожаротушении (3,4). Для эффективного пожаротушения важнейшее значение имеет обеспечение такого режима работы пожарного ствола, когда сформированная им струя позволит получить в нужном месте определенное количество огнетушащих средств с нужными характеристиками. Не углубляясь в особенности пожаротушения, отметим, что наиболее значимыми факторами эффективности пожаротушения являются, как дальность подачи получаемой струи, так ее интенсивность (расход) и дисперсность. Дисперсность, как характеристика размеров частиц (капель) огнетушащего вещества, распределенных в объеме воздуха, определяемая как отношение общей поверхности всех капель к их суммарному объему, тем выше, чем меньше их размер.

Капли, попадая в зоны горения и теплового воздействия, могут частично либо полностью испаряться, отбирая тепло от очага пожара. Это одно из важнейших условий эффективного пожаротушения. Вместе с этим, следует отметить, что разогретые испарения могут нести опасность получения травм у спасателей, которые находятся в непосредственной близости от зон испарения.

Также были проведены пакеты экспериментов зависимости дальности подачи огнетушащего раствора от угла наклона ствола относительно горизонта, дальности струи в зависимости от давления на входе ствола, наличия или отсутствия пульсатора давления в гидравлической схеме

установки. В целом, результаты экспериментов совпадали с известными литературными данными. Кривая зависимости дальности подачи огнетушащего раствора от угла наклона ствола была более выпуклой, чем принято считать, кроме того, максимальная дальность подачи водяной струи наблюдалась при α≈30°, что также не совсем соответствует данным, приведенным в литературе данной тематике.

Проведен ряд экспериментов по исследованию различных типов насадок для формирования водяных струй. Базовыми типами выбранные насадки, представленные на рис. 2. При этом осуществлено изучение эффективности и перспектив применения насадок для использования в различных условиях каждого конкретного типа пожара. Экспериментально проверено теоретические результаты, полученные при моделировании движения водных потоков в каналах стволов и насадок. Получены результаты для насадки «классического» типа (фото на рис. 2).



Рис. 2. Базовые типы насадок, выбранных для проведения экспериментов




Рис. 3. Представление процесса отрыва капель от компактной части струи

В случае сравнительно малых скоростей движения компактная часть струи достаточно велика. Распад струи (его дробление) происходит под действием капиллярных сил. В этом случае поверхностная энергия цилиндрической струи жидкости не является минимальной. При распаде на капли эта энергия уменьшается, поскольку происходит приближение к оптимальной (с позиции минимальности энергии) фигуре жидкости со сферической поверхностью.

Процесс отрыва капель (рис. 3) приводит к их дальнейшему дроблению и получению облака, тумана, что может быть предметом изучения с позиций особенностей его воздействия на людей, находящихся в зоне генерирования струй. Последнее замечание особенно важно, поскольку в научной литературе крайне мало работ, посвященных вопросам влияния испарений огнетушащих веществ на пожарных в зоне теплового воздействия.

**Выводы.**

Проведенные эксперименты с выбранными типами насадок, позволили получить кривые зависимости дальности подачи огнетушащего раствора от угла наклона ствола. Отметим, что они имели более выпуклый характер, чем принято считать (рис. 4, абсцисса – дальность струи, ордината – угол наклона ствола) (5).




Рис. 4. Зависимость дальности боя ствола от угла наклона ствола при различных значениях давления *H*

Таким образом, в случае использования простейших современных пожарных стволов и насадок, применяемых при пожаротушении, обеспечиваемая дальность подачи огнетушащих средств не превышает 30 м. Зона распыления при этом начинается не далее как в 20 м от ствола. Для многих реальных пожаров указанные значения существенно меньше, особенно для случаев применения огнетушащих струй в помещениях. Естественно, что при этом возникает вероятность, выполняя пожаротушение травмироваться потоками испарений, исходящих от охлаждаемой зоны горения. И, хотя полностью избежать подобных явлений не удастся, пусть созданы специальные костюмы пожарных, разрабатываются особенные технологии пожаротушения и тактические

решения для конкретных случаев пожаротушения, однако следует продолжать исследования для минимизации рисков в чрезвычайно опасной работе пожарных-спасателей.

Кроме того, важным выводом проведенных исследований является возможность и необходимость создания постановочных задач обеспечения безопасной работы спасателей в зонах интенсивного испарения огнетушащих веществ. Корректная постановка задач позволит создать наиболее безопасные технологии пожаротушения. На данном этапе прогнозируется создание группы исследователей (гидравликов, теплофизиков, медиков и др.), которая позволила бы всесторонне рассмотреть вышеизложенную проблему и наработать решения, позволяющие приблизиться к переводу проблемы в заряд решаемых задач.

**Литература:**

1. Brushlinskij N.N. Sistemnyj analiz deyatel'nosti Gosudarstvennoj protivopozharnoj sluzhby. – M.: MIPB MVD Rossii, 1998. – 255 s.
2. Pozhar. Prichiny vozniknoveniya pozharov.[Elektronnyi resurs]. Rezhym dostupu do storinky https://ru.wikipedia.org/wiki/пожар, 2018.
3. System design of fire-rescue equipment and its components. Stas S. / Izvestia. Journal of the Technical University of Gabrovo, Vol. 47'2014 – p.8-12.
4. Rheological peculiarities of surfactants additives used to foaming. Stas S. / Visnyk natsionalnoho tekhnichnoho universytetu Ukrainy «Kyivskyi politekhnichnyi instytut». Seriia: mashynobuduvannia. 2013. № 2 (68). S. 19-24.
5 Shkarabura M. H. Vstup do hidrostrumynnykh tekhnolohii / Cherkaskyi in-t pozhezhnoi bezpeky im. Heroiv Chornobylia. — Chernihiv: RVK Desnianska pravda, 2006

# ჰუმანიტარული მეცნიერებები
# Humanitarian Sciences

**ნინო სანაია**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი
**Nino Sanaia**
Sukhumi State University,
Associate Professor

## აზროვნების გამომხატველი შესიტყვებების სემანტიკური კლასიფიკაცია თანამედროვე ფრანგულსა და ესპანურ ენებში

## Semantic Classification of Idioms Expressing Thinking in Contemporary French and Spanish

**რეზიუმე:** აზროვნების ფენომენი, როგორც ადამიანის ფსიქიკური აქტიურობის ერთ-ერთი გამოვლინება, ორგვარად აისახება ადამიანის ბუნებრივ ენაში: ერთი მხრივ, ცნებებისა და მსჯელობების სახით და მეორე მხრივ, ნომინაციის (სახელდების) ობიექტის, აზროვნების ტიპური სიტუაციისა და მისი ელემენტების სახით. აზროვნების ფენომენის ზმნური მეტაფორული შესიტყვებების ფაქტები, რომლებიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, უხვადაა თანამედროვე ფრანგულ და ესპანურ ენებში. აქ ეს შესიტყვებები მნიშვნელობით ზმნას უტოლდება და მათი აღწერის ჩვენს მიერ არჩეული მეთოდიც ზმნის სემანტიკური კლასიფიკაციის ცდას წარმოადგენს. ზმნური მეტაფორული შესიტყვებების სემანტიკური კლასიფიკაცია ისევე შესაძლებელია, როგორც პირდაპირი, ზმნური ნომინაციებისა. ადამიანის მიერ ენაზე გაშუალებულად, სამყაროს შემეცნებასა და სახელდების პროცესში სივრცის შეგრძნებას ცენტრალური ადგილი უჭირავს, რაც „აზროვნების“ მეტაფორულ სახელდებაში მოძრაობისა და გადაადგილების ზმნების სახით მჟღავნდება. წარმოდგენილ სტატიაში მათ შემდეგი სემანტიკური პარამეტრებით ვახასიათებთ: დინამიკური / სტატიკური; საზღვრული, დასრულებული / არასაზღვრული, დაუსრულებელი; წერტილოვანი, მომენტური / განგრძობითი.

**Abstract:** The phenomenon of thinking as one of the expressions of the human mental activity is reflected in the language on the one hand, in the form of concepts andstatements, and on the other hand by means of nominating, situational thinking as its elements. The verbal and metaphorical idioms of thinking is well presented in the modern French and Spanish languages, among the examples we can find: Les pensées viennent, tournent (autour de... ); assiègent, obsèdent qn (French) ; Dejar los pensamientos, sofocaser los pensamientos (Spanish). These type of metaphoric groups, are the subject of our research. The idioms are equaled to verbs description of which is the attempt of their semantic classification. Semantic classification of verbal metaphorical terms is as simple as direct verbal nominations. The feeling of space in the process of knowledge and cognition of the world, for the language is in the central place, which is revealed in the metaphorical naming of "thinking" in the form of movement verbs. In the article they are characterized by the following semantic parameters: dynamic / static; Boundary, completed / progressive, momentary / continuous.

„აზროვნების" ფრანგულ შესატყვისს "Penser"- ს ასე განმარტავენ ფრანგულ განმარტებით ლექსიკონებში:

– Appliquer l'activité de son esprit aux élements fournis par la connaissance: Former, combiner des idées et des jugements /P.D.R/,

– Former dans son esprit, concevoir, imaginer /P.D.L/.

ესპანურ ენაში ამ ცნებას გამოხატავს ზმნა "Pensar".

ამ განმარტებათა სიმრავლიდან საერთო ელემენტებს თუ გამოვყოფთ, მივიღებთ შემდეგ არსებით ნიშნებს: „ტვინის, გონების აქტიურობა, ფუნქცია" ერთი მხრივ, ანუ „აზროვნებისა" და სხვა ამგვარი ფსიქიკური აქტიურობის ზოგადი აღნიშვნა: აზრთა ფორმირება, მსჯელობა მეორე მხრივ, ანუ ის ლოგიკური ასპექტი, რომელიც მას განასხვავებს სხვა ფსიქიკური აქტებისაგან, როგორიცაა „ოცნება" („იმის წარმოდგენა, რის შესრულებაც სასურველია") და „მოგონება" („მეხსიერებაში წარსულის აღდგენა"); ზოგიერთ განმარტებაში მოცემულია „აზროვნების" რამდენიმე დამაკონკრეტებელი ნიშანი, როგორიცაა: აღქმა, წარმოდგენა და აზრების ფორმირების პროცესი.

აზროვნების აღმნიშვნელი ენობრივი ნიშნები შესაბამისი ტიპური ლოგიკური სიტუაციის ლექსიკურ უზრუნველყოფას წარმოადგენენ. თანამედროვე ფრანგულ და ესპანურ ენებში აზროვნების პროცესების აღსანიშნად არსებული ნეიტრალური ნომინაციური ერთეულების (პირდაპირი ნომინაციების) გვერდით მეტაფორული აღნიშვნაც პროდუქტიულია. ამგვარი ნომინაციური ხერხი, მოცემულ კულტურებსა და ენებში, აზროვნების ევოლუციური კონცეპტუალური რიგის ისტორიულ უზრუნველყოფას წარმოადგენს.

ჯერ კიდევ ფრანგული ენის ისტორიის მკვლევარი ალბერ დოზა (1, 605) წერდა იმის შესახებ, რომ ენებში აბსტრაქტული ცნებების შექმნას კაცობრიობის განვითარების საწყის ეტაპზე ეყრებოდა საფუძველიდა ეს პროცესი კონკრეტულად რომანულ, ფრანგულსა და ესპანურ ენებში ლათინურიდან შემოსული სიტყვების მეტაფორიზაციის გზით ხორციელდებოდა. ამგვარად, დღევანდელ ფრანგულში გვაქვს აზროვნებისა და აზრის გამომხატველი სიტყვები penser, pensée, რომელთაგან ზმნა ლათინურიდანაა ნასესხები, სადაც იგი „აწონას" ნიშნავდა, ხოლო ესპანურში ამავე ლათინური ძირიდან წარმომდგარი "pensar", « pensamiento ».

აბსტრაქტული ცნებების მეტაფორული სახელდების პროცესი თანამედროვე ენებშიც მიმდინარეობს, რაც ბუნებრივი ენის საშუალებით სამყაროს შეცნობის დახვეწით აიხსნება.

აზროვნების ფენომენის ზმნური მეტაფორული აღნიშვნის ფაქტები თანამედროვე ფრანგულ და ესპანურ ენებშიც სახეზეა. მათ შორისაა Les **pensées** viennent, tournent (autour de... ); assiègent, obsèdent qn (ფრანგ.) ; Dejar los **pensamientos,** sofocaser los **pensamientos** (ესპ.) ტიპის ზმნური მეტაფორული ჯგუფები, რომლებიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს. ამგვარ ნომინაციურ ერთეულებს ჩვენს ნაშრომში ანალიტიზმსა და ფრაზეოლოგიზმებს შორის გარდამავალი ერთეულების სტატუსს ვანიჭებთ (იქიდან გამომდინარე, რომ ორივე კლასის ნიშნებს შეითავსებენ), რის არგუმენტირებასაც გთავაზობთ და რითაც საერთოდ დონეთა შორისი გარდამავალი კლასების არსებობას ვადასტურებთ.

ზმნური ჯგუფებისადმი ჩვენი ინტერესი იმით განისაზღვრა, რომ გამონათქვამში სინამდვილის ობიექტები ზმნის საშუალებით ამჟღავნებენ თავის არსებობას. სწორედ ამიტომაა, რომ პრედიკატს ცენტრალური ადგილი უჭირავს გამონათქვამში და მის მოტივაციას ანუ პროპოზიციას (პროპოზიციულ მნიშვნელობას), სხვანაირად რომ ვთქვათ, მუდმივას ანუ კონსტანტას წარმოადგენს.

ერთი მხრივ, იმის გამო, რომ ჩვენს საკვლევ მასალას ზმნური შესიტყვებები წარმოადგენენ, ხოლო, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ აზროვნების კონსტანტას აღმნიშვნელი შინაარსის

ამსახველი სემანტიკური სტრუქტურის აღწერისას დადგინდა, რომ სინამდვილის ეს მონაკვეთი პროცესს წარმოადგენს და, შესაბამისად, მათი მნიშვნელობის დენოტაციური მაკროკომპონენ-ტის სემა – კატეგორიული ნიშანი – პრედიკატული ტიპის მნიშნელობას ასახავს, შემდგომ კლასიფიკაციას სწორედ მნიშვნელობის პრედიკატულობის (ტერმინს „პრედიკატულობა" ვიყენებთ კატრინ ფუშის შრომებზე დაყრდნობით ზმნური მნიშვნელობის ნაცვლად) კრიტერიუმი უდევს საფუძვლად.

„პროცესი" უფრო ფართოდ „ხდომილების" ერთ-ერთი სახეობაა, რომლის სემანტიკური კლასიფიკაცია მრავალმა ენათმეცნიერმა სცადა. ჩვენ კი ფრანგი ენათმეცნიერების კატრინ ფუშის მიერ აღწერილი დღეს არსებული ტიპოლოგიებისა და როჟე მარტენის კლასიფიკაციის შეჯერებულ ვარიანტს წარმოვადგენთ.

კ. ფუშმა შემოგვთავაზა კრებული (2), სადაც მოთავსებულია ზმნების არსებული უნივერსალური კლასიფიკაციები. ამგვარი კლასიფიკაციები ძირითადად სემანტიკურ და ასპექტუალურ დახასიათებებს და ხან სამწევრიან, ხან კი ოთხწევრიან სისტემებს წარმოადგენენ.

სამწევრიან კლასიფიკაციებს წარმოადგენენ:

– état / processus / événement

– état / activité / performance

– compact / dense / discret

მდგომარეობა / პროცესი / მოვლენა

მდგომარეოობა / მოქმედება / შედეგობრიობა

შემოსაზღვრული / ხანმოკლე / წყვეტილი

კრებულში ასევე წარმოდგენილია ოთხწევრიანი კლასიფიკაციები:

– état / activité / accomplissement / achèvement

– état / processus / developpement / occurences ponctuelles

état / processus / activité / accomplissement

მდგომარეობა /მოქმედება / შესრულება / დასრულება

მდგომარეობა / პროცესი / განვითარება / წერტილოვნება

მდგომარეობა / პროცესი / მოქმედება / შესრულება

თუმც, ზმნების უფრო თანამედროვე სხვა ოთხწევრიანი კლასიფიკაციაც არსებობს და ეს არის დომინიკ ვილემსის ზმნათა ინტეგრირებული კლასიფიკაცია (8),

იმის გამო, რომ ამ კლასიფიკაციაში გამოყენებული ინტეგრირებული (სემანტიკური, სინტაქსური და ლექსიკური) ჯერ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მეთოდოლოგიაა, ამიტომ ჩვენს კვლევაში მას არ ვიყენებთ. გარდა ამისა, მოცემულ კლასიფიკაციაში წერტილოვანი სახეობა არ არის ასახული, რაც მის ნაკლს წარმოადგენს.

ამავე კრებულში კ. ფუში გვთავაზობს პრედიკაციული მნიშვნელობის სრულიად განსხვავებულ, რ. მარტენის ტიპოლოგიას. ზმნების მისეული კლასიფიკაცია ურთიერთსაწინააღმდეგო წყვილების გამოყოფას ეყრდნობა და ამდენად, ორ-ორ ოპოზიციურ კლასად არის წარმოდგენილი (3) :

„dynamique" (ou „changement") / statif

„borné" (ou „terminatif ", ou „hétérogène") /„non-borné " (ou „non-terminatif ", „homogène"

„ponctuel" (ou „momentané" / „duratif"

დინამიკური / სტატიკური

საზღვრული, დასრულებული / შემოუსაზღვრავი, დაუსრულებელი

წერტილოვანი, მომენტური / განგრძობითი.

ვინაიდან კატრინ ფუშის მიერ კრებულში აღწერილი 4-ბაზიანი კლასები და როჟე მარტენის კლასიფიკაცია ყველაზე სრულყოფილად ჩავთვალეთ, ეს სისტემები შევაჯერეთ და შედეგად შემდეგი სურათი მივიღეთ:

A კლასი: სტატიკური, საზღვრული, არაწერტილოვანი,
B კლასი: დინამიკური, არასაზღვრული, არაწერტილოვანი,
C კლასი: დინამიკური, არასაზღვრული, არაწერტილოვანი,
D კლასი: დინამიკური, არასაზღვრული, წერტილოვანი.

პრედიკატული მნიშვნელობის უნივერსალური ტიპოლოგიური კლასიფიკაციების ამგვარი სქემატური წარმოდგენა ხელს უწყობს ენის მოდელირების პროცესსა და დასმული პრობლემის მანქანურ ლინგვისტურ კვლევას.

„აზროვნების“ პროცესის აღმნიშვნელ მეტაფორულ სტრუქტურებში ეს კლასები შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

– A კლასი არ დასტურდება ჩვენს მიერ მოძიებულ ენობრივ მასალაში.

– B კლასი, რომელიც საკუთრივ პროცესს წარმოადგენს შემდეგი შესიტყვებითაა წარმოდგენილი rouler des pensées dans la tête, les pensées vont (vers), tournent (autour de) viennent, reviennent; se perdre, s'enfoncer, s'abandonner, s'absorber, s'abîmer, se plonger dans les pensées, dans une idée, dans ses réflexions, dans la méditation; se livrer à de (longues) méditations; nourrir, mûrir des pensées (criminelles, malfaisantes); les pensées vagabondent, errent, cheminent; les pensées assiègent, obsèdent qn... la pensée s'assoupit.

– C კლასი წარმოდგენილია შემდეგი ანალიტიკური სტრუქტურებით: chasser, balayer des pensées de l'esprit; laver son imagination des pensées..., perdre (le fil) de ses pensées.

– D კლასი დადასტურებულია შემდეგი მაგალითებით: une pensée passe par l'esprit, traverse l'esprit.

ამგვარად, ზმნური მეტაფორული შესიტყვებების სემანტიკური კლასიფიკაცია ისევე შესაძლებელია, როგორც პირდაპირი ზმნური ნომინაციებისა.

ენაში აზროვნებისა და საერთოდ აბსტრაქტული ცნებების გამომხატველი მეტაფორული სტრუქტურები ამ ენის არა მხოლოდ ექსპრესიულ არსენალს, არამედ სამყაროს არაგრძნობადი მონაკვეთების შესახებ ცოდნისა და საზოგადოებაში გამომუშავებული შეხედულებების ვერბალიზაციის იარაღს წარმოადგენს.

ზმული ანალიტიკური სტრუქტურების წარმოქმნა ბუნებრივია ისეთი ანალიტიკური ტიპის ენებისათვის, როგორიცაა თანამედროვე ფრანგული და ესპანური. აქ ეს შესიტყვებები მეტწილად, პირდაპირი ნომინაციების მსგავსად, აღსანიშნი ობიექტის მაიდენტიფიცირებელ ფუნქციას ასრულებენ. მნიშვნელობით ზმნას უტოლდებიან და მათი აღწერაც ზმნის აღწერას უტოლდება.

ადამიანის მიერ ენაზე გაშუალებულად, სამყაროს შემეცნებასა და სახელდების პროცესში სივრცის შეგრძნებას ცენტრალური ადგილი უჭირავს, რაც „აზროვნების“ მეტაფორულ სახელდებაში მოძრაობისა და გადაადგილების ზმნების სახით მჟღავნდება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Доза А., История французского языка, М., 1956.

2. Fuchs C., Les typologies de procès. Un carrefour théorique interdisciplinaire.// Les typologies de procès, Travaux de linguistique et de philologie, Paris : Klincksieck, 1991.
3. Martin R., Temporalité et classe de verbes // L'information grammaticale, – dans Les typologies de procès, Travaux de linguistique et de philologie, Paris : Klincksieck, 1991.
4. Mounin G., Clef pour la sémantique, Paris : « Didier », 1972.
5. Mounin, G La sémantique, Paris, : « Petite Bibliothèque Payot », 1997.
6. Picoche J., Précis de lexicologie, Paris : Ed. « Fernand Nathan », 1977.
7. Picoche J., Structures sémiques du lexique français. Paris : Ed. « Fernand Nathan », 1986.
8. Willems D., Syntaxe, lexique et sémantique. Les constructions verbales, Gand : Publication de l'Universite de Gand, 1991.
9. Willems D., Classes et relations verbales. A la recherche d'une typologie intégrée. Colloque: Morphosyntaxe du lexique, 2001, 1-2 juin. http//www. CerLiCo.fr.
10. Petit Dictionnaire Robert, par Paul Robert, A. Rey et J. Rey-Debove, Montréal, Canada : « Les Dictionnaires Robert », 1988.
11. Robert P., Dictionnaire alphabétique et analogique de la langue française. Les mots et les associations d'idées. Ouvrage couronné par l'Académie Française, T. 1-7, Paris : « Société de nouveau Littré, Le Robert », 1980.

**ქეთო გალობერი**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი
**Keto Galoberi**
Sukhumi State University,
Associate Professor

## მთარგმნელობითი ტრადიციები ევროპაში
## European Translation Traditions

**რეზიუმე:** ევროპული მთარგმნელობითი საქმიანობის პირველი პერიოდის მასალების განხილვა ადასტურებს, რომ თარგმნა და მისი თეორიული გააზრება მჭიდროდაა დაკავშირებული მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებასთან, რაც აისახა ენებზე, რომლებიც ვითარდება როგორც იარაღი სამყაროს მხატვრული და მეცნიერული აღქმისა და სულ უფრო ძლიერდება ადამიანთა საზოგადოებრივი პრაქტიკის გართულების კვალდაკვალ. ამ ეპოქაში მთარგმნელებს თავიანთ პრაქტიკასა და თეორიულ გააზრებაში არც ჰქონდათ საყრდენი თეორიები: ჯერ კიდევ არ არსებობდა არც ენათმეცნიერება, არც ლიტერატურათმცოდნეობა, ხოლო არისტოტელეს ყოვლისმომცველი ნაწერების შესწავლა, რომლებშიც განზოგადებულია ანტიკური ხანის მიღწევები ჰუმანიტარული მეცნიერების დარგში, ევროპელების მიერ ხდება საკმაოდ გვიან, ევროპული მთარგმნელობითი საქმიანობის მეორე, ან მესამე პერიოდში .
**Abstract:** The review of the 1st period materials confirms that the translation activities and its theoretical interpretation – historical categories are closely related to the development of material and spiritual culture, which are reflected in languages, also develop as a product and tool of artistic and scientific

perception, which intensifies more in accordance with complication of human's social practices. In the 1st period the translators in their practice and theoretical understanding had no support: still there was neither linguistics, no literary studies, while the study of Aristotle's comprehensive writings by the Europeans happens late enough in which are summarized the achievements of humanitarian science of the antiquity epoch, in the 2nd or the 3rd periods of European translation traditions.

მხატვრული თარგმანის ისტორია და თეორია მთელი თავისი სირთულითა და ნაირსახეობით ერთი მხრივ დაკავშირებულია ყოველი ქვეყნისეროვნულ-ისტორიულ თავისებურებებთან, ხელოვნებასთან, მეცნიერებასთან მეორე მხრივ. ის წარმოადგენს კაცობრიობის მხატვრული განვითარების ერთიან პროცესს, და თავის მხრივ, უზრუნველყოფილია ენების, ლინგვისტური და სხვა მეცნიერებების არანაკლები განვითარებით, რომლებიც სწავლობენ ენას ზოგადად, ასევე სხვადასხვა კონკრეტულ ენებს.

არამხატვრული ტექსტების თარგმანი არც ისე დიდ ადგილს იკავებს თარგმანის ისტორიასა და თეორიაში. უძველესი ხანა მას იცნობს მხოლოდ სპორადულ ურთიერთობაში შუმერულ, ასირიულ-ბაბილონურ, ხეთურ და ეგვიპტურ ცივილიზაციებს შორის III – ათასწლეულის II ნახევარსა და II და I – ათასწლეულებში ჩვ.წ-მდე. შუასაუკუნეებში კი არაბები ინტერესდებიან და იწყებენ ამ სწავლებათა თარგმნას. არამხატვრული ტექსტების თარგმნა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს აღორძინებისა და, განსაკუთრებით, განმანათლებელთა ეპოქაში. თუმცა, თარგმანის ამ სახეობას უდიდესი მნიშვნელობა მხოლოდ მე-20 საუკუნეში ენიჭება, გლობალური მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გამო.

რაც შეეხება მხატვრული თარგმანის ისტორიისა და თეორიის შესწავლას, სულ უფრო აშკარა ხდება, რომ თარგმანის მეთოდებისა და პრობლემატიკის ევოლუცია, მათი თეორიული გააზრება ხორციელდება ხანგრძლივი ტრადიციებისა და ისტორიული ნოვაციების საფუძველზე, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების განვითარებასთან, ენასთან, მხატვრულ ხელოვნებასთან და შესაბამის მეცნიერებებთან. არასდროს არ შეწყვეტილა მთარგმნელობითი პრაქტიკა, ისევე როგორც თეორიული აზროვნება. ამ მხრივ, ძალიან მდიდარი და მყარი აღმოჩნდა უშუალოდ ევროპული მთარგმნელობითი საქმიანობა: პირველ რიგში, არსად არ გაკეთებულა იმდენი მხატვრული თარგმანის თეორიისათვის და პრაქტიკისათვის, როგორც ევროპული მთარგმნელიბითი ტრადიციების ქვეყნებში, სადაც დაგროვდა უზარმაზარი მასალა სხვადასხვა სახის შეპირისპირებისათვის; მეორე მხრივ, არსად არ მიმდინარეობდა ამდენი დავა თეორიაში და შეჯიბრებები პრაქტიკაში როგორც აქ იყო და დღესაც გრძელდება ყველანაირი მცდელობა მხატვრული თარგმანისა ერთი ენიდან მეორეში ინდოევროპული ენების ფარგლებში, ასევე არანაკლებ ინტენსიურია თარგმანები სხვა ოჯახების ენებიდან ინდოევროპულზე და ინდოევროპულიდან სხვა ოჯახების ენებზე. აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ევროპაში თარგმანით იყვნენ დაკავებულნი მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის მთელი რიგი გამოჩენილი წარმომადგენლები. გამონაკლისს წარმოადგენენ ძველი ბერძნები. არ არის პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ კულტურა და ლიტერატურა ძველი ბერძნებისა თავდაპირველად ვითარდებოდა ასევე თარგმანის გზით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება შემდეგი პრინციპული დებულებები, რომლებიც ეხება როგორც ენებისა და ენათშორისი კომუნიკაციების განვითარებას, ასევე თარგმანის თეორიის განვითარებასაც:

1. თავდაპირველად ენები ვითარდება უფრო მეტად დიფერენციაციის გზით მათი სხვადასხვა ლინგვოსტატიკური და ლინგვოსტილისტური სისტემურობის მიხედვით.

2. მაგრამ თავის მხრივ, თარგმანიც სულ უფრო იხვეწება, რაც შესაძლებელი გახდა: ა) სიტყვიერ-ცნებითი აზროვნების განვითარებით, რომელიც საერთოა, ერთნაირია ყველა ხალხებისათვის და ბ) ორიგინალური ლიტერატურის განვითარების წყალობით, რომელიც საგრძნობლად ახდენს ზემოქმედებას თარგმნილი ლიტერატურის განვითარებაზე;

3. აუცილებლობის შემთხვევაში თარგმანის პრაქტიკის ახსნისა და თარჯიმნის დახმარებისას თეორია იყენებს და აგროვებს უფრო მეტ მიღწევებს ლიტერატურათმცოდნეობის, ლინგვისტურ და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. თარგმანის პრაქტიკისა და თეორიის სრულად და მხატვრული თარგმანის ნაწილობრივ კონკრეტულ-ისტორიული განხილვის პროცესში უფრო ნათლად იკვეთება კაცობრიობის სულიერი განვითარებისა და მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ქრონოლოგიური ეტაპები, რაც ძირითადად ემთხვევა მსოფლიოს სოციალურ-ისტორიული ქრონოლოგიის ეტაპებს. შესაბამისად, ზემოთ თქმულისა, კაცობრიობის დამწერლობით ისტორიაში გამოიკვეთა ცნობილი ოთხი პერიოდი:

პირველი – ისტორიამდელის შემდგომი, ანუ უძველესი პერიოდი (მონობა და ფეოდალიზმი).

მეორე, ანუ საშუალო პერიოდი (კაპიტალის პირველდაწყებითი დაგროვებიდან მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციამდე მე-18 ს-ის ჩათვლით).

მესამე, ანუ ახალი პერიოდი(მე-18 ს-ის ბოლოდან – მე-19 ს-ის ბოლომდე).

მეოთხე, ანუ უახლესი პერიოდი (მე-19 ს-ის ბოლოდან დღემდე).

აღნიშნული პერიოდების განხილვას დიდი ინტერესით ეკიდება ყველა მკვლევარი.

პირველ, ანუ უძველეს პერიოდამდე და მერეც კაცობრიობამ შექმნა გვართა და ტომთა ენების უსასრულო მრავალფეროვნება თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის პერიოდში ქვის ხანის თემების პირობებში. ხდება ფორმირება ბევრი, დღეს არსებულ ენათა ოჯახებისა, სავარაუდოდ ნეოლითურ პერიოდში და განსაკუთრებით ენეოლითის დროს. ენათშორისი კომუნიკაციების დარგში ქურუმებმა თარგმანი ჩააყენეს როგორც თავის, ასევე, უცხო ხალხთა რელიგიურ სამსახურში. უკვე პრეისტორიამდე არსებობდა ხალხთა ცოცხალ მეხსიერებაში სიტყვასიტყვითი თარგმანი ეგრეთწოდებული ,,ღვთიური ენიდან ადამიანურ ენაზე“, რომელშიც დაფიქსირებული იყო უძველესი მითები, ხოლო ბევრად მოგვიანებით ხდება მათი ჩაწერა.

როგორც ცნობილია, კლასობრივმა დაქსაქსვამ და სახელმწიფოებრიობამ პრეისტორია-მდელთან შედარებით, გამოიწვია მრავალი, ფრიად მნიშვნელოვანი სიახლეები და მათ შორის დამწერლობა – ეს საოცარი მიღწევა კაცობრიობისა, უდიდესი საზოგადოებრივი გადა-ტრიალება, რომელიც წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი რთული განვითარების შედეგს. ის ვითარდებოდა თანმიმდევრობით, შემთხვევითი პიქტოგრაფიული ჩანაწერებიდან დალაგე-ბული ლოგოგრაფიულ სისტემაზე გადასვლით, რაც განპირობებული იყო სახელმწიფოების შექმნით, რომლებიც საჭიროებდნენ დალაგებულ მიმოწერას მართვისა და რელიგიური კულტის მიზნით, კანონებისა და ისტორიული მოვლენების აღსანუსხად. ეს დასტურდება შემდეგში:

1. უძველესი ლოგოგრაფიული სისტემის ფორმირებით, როგორიცაა ეგვიპტური, შუმერული, ჩინური და სხვ., რომელიც ხდება ერთდროულად პირველი მონათმფლობელური სახელმწიფოების შექმნასთან ერთად (IV ათასწლეულის დასასრული და III ათასწლეულის დასაწყისი ჩვ.წ.-მდე).

2. მარცვლოვანი დამწერლობის შექმნით ლოგოგრაფიულის შემდეგ II ათასწლეულის ნახევრიდან ჩვ.წ.-მდე, რომელიც თითქმის თავისუფალია ლოგოგრამებისაგან.

3. ასო-ბგერითი დამწერლობის მიხედვით ზოგადისტორიული თვალსაზრისით, რომელიც გამოჩნდა მარცვლოვანის შემდეგ და სუფთა სახით მისი კონსონანტურ-ბგერითი დამწერლობის ფორმირება ხდება II ათასწლეულში ჩვ.წ.-მდე (ბერძნებთან).

მოგვიანებით, სესხების საფუძველზე და ზემოაღნიშნული სისტემების დახვეწით ვითარდებიან სხვა დამწერლობის სისტემები (დაახლოებით 400), რომლებსაც ენები იყენებდნენ უძველეს დროში და, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი დღესაც გამოყენებაშია თანამედროვე ენებში. მთელი პირველი პერიოდის განმავლობაში და მის დასასრულს საბოლოოდ ხდება ხალხთა ენების ჩამოყალიბება თავისი სემანტიკურ-გრამატიკული სტრუქტურით. ისინი გამოხატავენ უძველეს ხელოვნებას, არა მარტო პოეტური მომხიბვლელობით, არამედ აზროვნების სიღრმით. უკვე ძველი აღმოსავლეთის არქიტექტურა, სკულპტურა და სიტყვიერი ხელოვნება, როგორიცაა შუმერული, ასირიულ-ბაბილონური, ხეთური, ეგვიპტური, ინდური და ჩინური ცივილიზაციებისა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს კაცობრიობის სოციალურ და კულტურულ განვითარებას, ადასტურებენ ადამიანთა მხატვრული განვითარების უდიდეს მიღწევებს.

დამწერლობის განვითარებით შეიქმნა ლიტერატურული ენები და გამოჩნდა ინდივიდუალური ხელოვნება, რომელსაც წინ უძღოდა ხალხთა ხანგრძლივი სიტყვიერი ხელოვნება. ასე, მაგალითად, ,,ილიადამდე“ ათასზე მეტი წლის წინ გამოჩნდა შუმერული ეპოსი ჰილგამეშეზე (,,ყოვლის მნახველზე“), რომელიც წარმოადგენს ადრინდელი ცივილიზაციის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების უმაღლეს მიღწევას და მოგვიანებით ის გავრცელდა ბაბილონურ, აკადურ, ჰურიტულ და ხეთურ ენებზე. უძველესი ინდოევროპული ძეგლი ,,ანდერძი“, მიეკუთვნება ხეთების მეფეს ჰათუსილის I-ს, (დაახლ. 1650 წ.ჩვ.წ.-მდე), ,,ლოცვა შავი ჭირის დროს“, რომელიც დაწერილია ხეთების მეორე მეფის მურსილისის მიერ (1345წ. ჩვ.წ-მდე), გვაოცებს ადამიანთა ტანჯვის გამოხატვის სიძლიერითა და ლექსის ფორმით. ცნობილია აგრეთვე, ხეთი ავტორი კილასი, რომელიც ჰომეროსამდე ცხოვრობდა 300 წლის წინ და, რომელმაც შექმნა ეპოსი ღმერთების ბრძოლაზე ხელისუფლებისათვის ზეციურ სამეფოში.

პირველ პერიოდში უდიდეს წინსვლას განიცდიან ენები, როგორც სამყაროს მეცნიერული აღქმის იარაღი და რომელთა საშუალებით კაცობრიობას შთამომავლობით გადმოეცა ძველი აღმოსავლეთის სწავლულებისაგან მათემატიკა, რომლის ფორმულებსაც მიაგნეს ჯერ კიდევ პითაგორამდე, არქიმედემდე და ევკლიდემდე 15 საუკუნის წინ. ასევე, სამართლისა და კანონმდებლობის დარგში ჰამურაპის კოდექსი, ხეთების კოდექსი, რომის სამართალი და ა.შ. დღემდე გვაოცებენ უძველესთა აღმოჩენები ასტროლოგიაში, შუმერების მიღწევები მიწათმოქმედებაში და ა.შ. არაფერს ვამბობთ ძველ ბერძნებზე, მათ მეცნიერებაზე, ხელოვნებასა და მხატვრულ ლიტერატურაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მიღწევებზე ინტენსიურ ზემოქმედებას ახდენდნენ ენათშორისი კომუნიკაციები. ამ პერიოდში ვითარდება წერითი თარგმანის ორი სახე – სიტყვასიტყვითი და თავისუფალი. სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმანის ზეპირი ტრადიციის ნიმუშის მიხედვით, რომელიც გადმოვიდა ისტორიამდელი ეპოქიდან და ვითარდება მთელი პირველი პერიოდის განმავლობაში.

ამგვარად, მოკლე და ფრაგმენტული განხილვიდან ჩანს, რომ მთელი პირველი, უძველესი პერიოდის განმავლობაში ხდება ენის ლინგვისტური გააზრება ზოგადად. ასევე, ვლინდება ენათა ლინგვოსტატისტიკური და ლინგვოსტილისტური ნაირსახეობანი, რომლებიც ართულებენ ენათშორის კომუნიკაციას, ისახება მომავალი თარგმანის თეორიის ზოგიერთი ნიშანი. ციცერონის, ჰორაციუსის, კვინტილიანეს, პლინიუს უმცროსის და ა.შ. გამონათქვამებში შესწავლილია მხატვრული თარგმანის შესაძლებლობათა დიაპაზონი, რომლის საზღვრებად დახასიათებულია სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმანები; დადგინდა, რომ უკვე იმ

დროში მიმდინარეობს ბრძოლა საკუთრივ თარგმანებზე, რომლის დაფუძნების მცდელობა ჰქონდა იერონიმს ლიტერატურათმცოდნეობისა და ლინგვისტური თვალსაზრისით. ამავე თვალსაზრისით ხდება ანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების თეორეტიკოსების მიერ ენის გამოყენების სხვადასხვა ხარისხის გამოვლენა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. D. Diderot. Œuvres Complètes. Paris , 1875.
2. J. Caiford. A. Linguistic Theory of Translation. Oxford – London, 1995.
3 E. Cary. Pour une théorie de la traduction. ‚Diogène'', Paris, 2000.

**Tamar Karakozova**
Ph.D. of Philology
Assistant Professor
International Teaching University of Georgia

**თამარ კარაკოზოვა,**
ფილოლოგიის დოქტორი,
ასისტენტ – პროფესორი
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

## არის თუ არა „ქორწინება“ ან „კომპანიონობა“ „ინსტიტუციონალიზაციის“ ეკვივალენტი ეუდორა ველთის მოკლე მოთხრობებში: *Lily Daw and the Three Ladies, Livvie;* და ნოველაში *The Ponder Heart*?

## Is '*Marriage*' or '*Companionship*'–An Equivalent to 'Institutionalization' in Eudora Welty's Short Stories: *Lily Daw and the Three Ladies, Livvie;* and in the novel *The Ponder Heart*?

**რეზიუმე:** სტატიაში მოცემულია ევდორა უელტის მიერ შერჩეული ისტორიების მიმოხილვა. სამივე სიუჟეტი აჩვენებს პერსონაჟებს, რომლებიც ხაიმანის ობლიგაციებით არიან ხაფანგში. გენდერისა და რასის გარშემო უელტი ხედავს "ქორწინებას", როგორც პატიმრობას. ეს არის მხოლოდ კვლევის დასაწყისი და უფრო დიდი ნაწილის მოკლე გეგმა.

**Abstract:** The article contains an overview of the selected stories by Eudora Welty. All three stories show characters who somehow are trapped by the bonds of Hymen. Across the gender and race Eudora Welty seems to see "marriage" as an imprisonment. This is just the beginning of the research and a brief plan of the work on a larger piece.

The selected stories show characters somehow trapped by the bonds of Hymen. It can be argued that in all three stories, marriage represents the exchange of one "institution" to another. All three ex-

amples contain the characters representing capital, authority, and power (the three ladies, Solomon, and Grandpa Ponder). Characters that stand in direct opposition to the ones in power are Lily Daw, Livvie, Uncle Daniel, and later his wife- Bonnie Dee. There are also characters that float in-between the power structure.

In the analysis of the politics of sex, Gayle Rubin discusses the history of the hierarchical power structure of the old patriarchal societies and the reasons behind some current modern traditions. She argues with Marx, who once said: “A woman is a woman. She only becomes a domestic, a wife, a chattel, a playboy bunny, a prostitute, or a human Dictaphone in certain relations” (533). Rubin also stands in opposition to Freud and Levi-Strauss, who acknowledge that Marx’s statement can be perceived differently from the feminist prospective. Rubin calls the roles of women, described by Marx a ‘sex or gender system,’ which represents a “set of arrangement by which a society transfers biological sexuality into products of human activity, and in which these transformed sexual needs are satisfied” (534).

Eve Kosofsky Sedgwick sees this system as necessary for men to bond. Thus if a father gives a daughter away in marriage, this act is justified by the father’s will to gain a relationship with a new son-in-law. This critical framework as well as Rubin’s opposition to the treatment of women as capital can serve as a framework for this literary analysis.

In Welty’s works, it seems that Welty had a similar system in mind. Authority and power dictate the norms by which everyone should live, even if this means that it would restricts everyone from living fully. The characters of power decide that mental institution or other imprisonment is suitable for their dependents. However, Welty’s weaker characters choose marriage for themselves instead without authoritative hand pushing them into it.

Lily Daw’s marriage is compared to the mental institution she just happens to escape by marrying the xylophone player. Suddenly overcoming her shyness, Lily states her will to the three ladies, who come to send her off to the Ellisville Institute for the Feeble Minded of Mississippi: “Going to get married, and I bet you wish you was me now” (9). In the comical circles it takes all three ladies to convince Lily to go to the mental institution in stead, and after her potential husband is found on the train station, Lily needs another set of convincing to change her mind back to marriage.

Livvie marries Solomon thus finding herself trapped in the undesirable companionship. She does it willingly, and on Solomon’s question whether she will be happy, Livvie’s answer is “yes” (276). Solomon is old, rich, and thus powerful. He can be compared to the biblical Solomon, the king of Israel. Welty’s Solomon is the king of his property, his great house, where Livvie is brought after the wedding. Welty even describes Solomon’s bed, which is “like a throne” to give him the authoritative position in the story.

Welty’s choice of words is very precise: “Solomon carried Livvie twenty-one miles away from her home when he married her” (276). In the very first sentence of the story as well as in the question of the Solomon about happiness is the request to do the same for him. Solomon wants comfort in his old days, which can be reached through the care and company. Like all authoritative figures, Solomon needs to protect his source for comfort and happiness. Livvie is much younger than him and more things tempt her in life: “Solomon had never let Livvie go any farther than the chicken house and the well” (281).

In *The Ponder Heart,* Uncle Daniel escapes from the mental institution and marries Bonnie Dee. Bonnie Dee, on the other hand finds herself in the full ownership of Uncle Daniel. Edna Earle finds herself responsible for the fate of Uncle Daniel, whose companionship seems to trap her within it.

Barbara Harrell Carson argues against the popular reading of Eudora Welty's *The Ponder Heart* as the story of the Dionysian-Apollonian conflict. The common reading, according to Carson, suggests the battle of two forces: first, of rather 'Apollonian' Edna Earle, "the advocate of order and reason," with the second of her Uncle Daniel, a representative of *Dionysian* lifestyle. These characteristics of Edna and Uncle Daniel are rather limiting, in Carson's words, since both of them are very complex in order to advocate for one 'force' only.

Carson calls Grandpa Ponder a representative of the side of reason, who, just like Uncle Daniel's Dionysianism, has as many flaws in his Apollonianism. Edna Earle, on the other hand, is a "balancer of reason and feeling, either of which in isolation is deadly to humanness" (609). Carson sees Edna Earl as a character, who is open for the constant growth and "extension of her humanity," however, this very openness makes her vulnerable and thus at risk, no matter which side she is to represent. Edna Earl is the narrator of the story and introduces both her Uncle "just like your uncle, if you've got one- only …he loves society and gets carried away" (339); and Grandpa, who "regarded getting married as a show of weakness of character" (350). Edna's place between the two poles is defined and strongly positioned by her ownership of the Beulah Hotel, which Uncle Daniel gave to her, and which would have been hers anyway, according to her Grandma Ponder's will. Grandma Ponder was Edna Earl's predecessor and had a character, which was in direct opposition from her husband's. She wanted Edna to inherit her role within the society and family as well, the role of a balancer. Carson notices, that topographically and symbolically Beulah Hotel is not only in between the cave and the mountain, but also is "a balance sociologically as well" (611).

Across the gender and race Eudora Welty seems to see "marriage" as an imprisonment. There is a distinct "third" between the people of reason and power in patriarchal societies, who transfer the burden of weaker dependable men or women to a marital institution. In this paper, I would like to explore (1) the characters of the companions; (2) their mental state; (3) the type of the situation they find themselves in; and (4) possible reasons for Welty's associations of "marriage" and "companionship" with "institutionalization".

**Reference:**


1. Carson, Barbara Harrell. "In the Heart of Clay: Eudora Welty's The Ponder Heart."*American literature,* 1987, 609-625.
2. Rubin, Gayle. "The" Political Economy" of Sex."*Feminist Anthropology: a reader* 8, 2009, 87.
3. Sedgwick, Eve Kosofsky. *Between men: English literature and male homosocial desire*. Columbia University Press, 1992.
4. Eudora Welty. *Stories, Essays, Memoir.* New York: Library of America, 1998.
5. Eudora Welty. *The Complete Novels: The Robber Bridegroom, Delta Wedding, The Ponder Heart, Losing Battles, The Optimists Daughter*. New York: Library of America, 1998.

ნაირა ბერია
ფილოსოფიის დოქტორი
Naira Beria
Doctor of Philosofy

## ზნეობრივი პრობლემები საზოგადოებაში
## Moral Problems in Society

**რეზიუმე:** ადამიანს ბუნებით მოსდგამს მოთხოვნილება სრულყოფისა და განვითარებისადმი. ზნეობრივი მოთხოვნილება ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მოთხოვნილებას წარმოადგენს. ამიტომ ადამიანი დაინტერესებულია, იხელმძღვანელოს იმ ზნეობრივი ნორმებით, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნებისა და საზოგადოების პროგრესს. ზნეობა განმასპეტაკებელ ზეგავლენას ახდენს ადამიანის სულზე, აფაქიზებს მას, ხელს უწყობს მის ჰუმანიზაციას და ადამიანთმოყვარეობის განვითარებას. სტატიაში განხილული ზნეობის ფუნქციების ანალიზი ნათელს ჰფენს მის ადგილსა და როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
**Abstract:** Human beings need to be naturalized with the need for perfection and development. Moral demands are one of the fundamental needs of a person. So people are interested in guiding the moral standards that promote the progress of the person and society. The morality of the man affects the human mind, affects it, promotes its humanization and humanity. Analysis of the moral features discussed in the article clearly shows its place and role in public life.

მეცნიერებასა და პრაქტიკულ ცხოვრებაში ზნეობა და მორალი იგივეობრივი მნიშვნელობით იხმარება. კერძოდ, საზოგადოების ზნეობრივი ცნობიერების, პრაქტიკული ზნეობრივი ურთიერთობის, ზნეობრივი მოღვაწეობისა და იმ ქცევის აღსანიშნავად, რომელიც გამოხატავს ადამიანის შეგნებულ დამოკიდებულებას საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების, ოჯახის, საზოგადოების, ერის, სამშობლოს, კაცობრიობის მიმართ. ზნეობის შინაარსში იგულისხმება პიროვნებისა და საზოგადოების ბედით ურთიერთდაინტერესება, ურთიერთპატივისცემა, სიყვარული, ზრუნვა, დახმარება, თანაგრძნობა, თანატანჯვა, თანადგომა და განსაკუთრებულ შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში თავგანწირვა სხვა ადამიანებისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ. ზნეობაში იგულისხმება აგრეთვე ადამიანის შეგნებული დამოკიდებულება სამყაროსადმი, კოსმოსისადმი. ამასთანავე, საყურადღებოა ზრუნვა საკუთარი პიროვნული სრულყოფისადმი, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოების კეთილდღეობა. მხოლოდ ადამიანური არსობრივი ძალების (ზნეობრივი, ინტელექტუალური, ესთეტიკური) სრულყოფა იძლევა შესაძლებლობას ჭეშმარიტების, სიკეთისა და მშვენიერების შესაქმნელად, რაც აუცილებელი პირობაა საზოგადოების წინაშე მოვალეობის სრულფასოვნად შესასრულებლად.

ზნეობის საფუძველია სიკეთის დამკვიდრება და ბოროტების გამორიცხვა. ზნეობრივია ის ქცევა, რომელიც სიკეთეს, ხოლო უზნეოა, რომელიც ბოროტებას თესავს ადამიანებს შორის. ამგვარად, ზნეობრივსა და უზნეოს შორის გამიჯვნის კრიტერიუმია განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის. მაგრამ სიძნელე სწორედ აქაა: როგორ განვასხვავოთ სიკეთე ბოროტებისაგან? რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება? ეს არის კითხვები, რომლებიც დასაბამიდან აწუხებს ადამიანს და მათზე ნათელი და ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჯერ კიდევ არ მოუპოვებია. ეთიკა არის ის ფილოსოფიური დისციპლინა, რომელიც ცდილობს ამ

საკითხების გარკვევას. ის არის მეცნიერული თეორია ზნეობის შესახებ, მისი ბუნების, სპეციფიკის, მისი ძირითადი კრიტერიუმების შესახებ.

ისტორიულ წარსულში ეთიკა ყოველთვის მიჩნეული იყო ფილოსოფიურ დარგად. ის წარმოადგენდა განუყოფელი ფილოსოფიური ცოდნის სფეროს, უფრო მეტიც, ითვლებოდა ფილოსოფიის ბირთვად. ხსნიდნენ რა მსოფლმხედველობრივ პრობლემებს (რას წარმოადგენს გარემომცველი სამყარო? როგორია მასში ადამიანის ადგილი? შეუძლია თუ არა ადამიანს შეიმეცნოს ეს სამყარო? როგორია შემეცნების გზები და საშუალებანი? და სხვ.), ფილოსოფოსები ცდილობდნენ აეხსნათ აგრეთვე ისეთი საკითხები, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს და იქცეოდეს ადამიანი საზოგადოებაში, როგორია მისი სოციალური დანიშნულება, ადამიანთა თანაცხოვრების წესები და ა.შ. ე.ი. მიეცათ პასუხი ადამიანური ყოფიერების ყველაზე უფრო საჭირბოროტო კითხვებზე. ეთიკა, როგორც მოძღვრება ზნეობის შესახებ, იყო და რჩება ფილოსოფიური ცოდნის იმ სფეროდ, რომელიც ყველაზე მეტადაა დაკავშირებული ადამიანთა პრაქტიკულ ამოცანებთან.

სიკეთის კრიტერიუმად ფილოსოფიის ისტორიაში სხვადასხვა კრიტერიუმი იყო წამოყენებული. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი. ერთ-ერთი იყო ბედნიერების პრინციპი. სიკეთეა ის, რასაც ბედნიერება მოაქვს ადამიანისათვის. ეთიკას, რომელიც ამ პრინციპს ემყარება, ეწოდება ევდემონისტური. „ევდამონია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ბედნიერებას, ნეტარებას. მეორე იყო სიამოვნების პრინციპი. ეთიკას, რომელიც მას ემყარება ეწოდება ჰედონისტური. „ჰედონ“-ი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ტკბობას. სიკეთეა ის ქცევა, რასაც ადამიანისათვის სიამოვნება მოაქვს, ათავისუფლებს ტანჯვისაგან და ანიჭებს სულის სიმშვიდეს. მესამე არის უტილიტარული ეთიკა („უტილიტას“ ლათინური სიტყვაა და სარგებლობას ნიშნავს), რომელსაც სიკეთის საფუძვლად მიაჩნია სარგებლობის პრინციპი.

რა გინდ განსხვავებული არ უნდა იყოს აქ წარმოდგენილი თვალსაზრისები, მათ საერთო საფუძველი აქვთ. ეს არის ის, რომ ისინი ემყარებიან ადამიანის მიდრეკილებებს, ლტოლვებს. ადამიანი ესწრაფვის ბედნიერებას, ცდილობს მიანიჭოს სულს სიმშვიდე და გამოიყენოს ის, რაც მისთვის სასარგებლოა. სამივე ადამიანის ბუნების დაფარულ და დაუფარავ სურვილებს ეფუძნება. განსხვავებას ქმნის მხოლოდ ის, თუ კერძოდ რომელ პრინციპს ირჩევენ ისინი ეთიკის საფუძვლად: ევდამონიზმი – ბედნიერებას, ჰედონიზმი – სიამოვნებას, ხოლო უტილიტარიზმი – სარგებლობას ირჩევს ამოსავალ პრინციპად.

კანტი იყო ის ფილოსოფოსი, რომელიც რადიკალურად დაუპირისპირდა ეთიკის ამგვარ დაფუძნებას. გერმანელი მოაზროვნის მიხედვით ეთიკა უნდა ემყარებოდეს ადამიანის არა მიდრეკილებებსა და მისწრაფებებს, არამედ მოვალეობას. მან დასაბამი მისცა სრულიად ახალი ტიპის – მოვალეობის ეთიკას. ამ მოძღვრების მიხედვით ეთიკური მხოლოდ ისეთი ქცევაა, რომელიც სრულდება მორალური კანონის შესაბამისად. რა აიძულებს ადამიანს, როდესაც აღნიშნულ ქმედებას ახორციელებს? არა გრძნობები და მიდრეკილებები, რა გინდ კეთილშობილური არ უნდა იყოს ისინი, არამედ კანონის პატივისცემა. მაგალითად, ადამიანმა დახმარების ხელი გაუწოდა დაჩაგრულს. ზნეობრივია თუ არა მისი ქცევა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გავარკვევთ თუ რა მოტივით გადადგა მან ეს ნაბიჯი. თუ მან ეს გააკეთა დაჩაგრულის სიყვარულის ან სიბრალულის გამო, მაშინ მისი ქცევა არ არის მორალური. სიყვარული და სიბრალური სუბიექტური გრძნობებია, რომლებიც შეიძლება გქონდეს ერთის, მაგრამ არა მეორის მიმართ. თუ შენ დაჩაგრულს იმიტომ ეხმარები, რომ გიყვარს ან გებრალება იგი, ხომ შეიძლება სხვის (ვთქვათ, მტრის) მიმართ ამგვარი გრძნობები არ გაგიჩნდეს, მაშინ მას არ დაეხმარები. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში შენი ქცევა ვერ შეფასდება როგორც მორალური. ზნეობრივი ქცევა ყველას მიმართ ერთნაირია,

დამოუკიდებლად იმისა შენი მოძმეა თუ მტერი იგი. დაჩაგრულს, თუნდაც მტერი იყოს და გძულდეს, ისევე უნდა დაეხმარო, როგორც შენს ახლობელს, რომელიც გიყვარს. ამას მოითხოვს ზნეობრივი კანონი, რომელიც კანტმა ჩამოაყალიბა კატეგორიული იმპერატივის სახით: „მოიქეცი ისე, რომ კაცობრიობას, გინდ შენი, გინდ ნებისმიერი სხვა ადამიანის სახით, მოეპყრა ისე, როგორც მიზანს და არასოდეს არ მოეპყრა ისე, როგორც მხოლოდ საშუალებას". ეს ნიშნავს, რომ მორალური ქცევა მოითხოვს ნებისმიერი ადამიანი განიხილო როგორც მიზანი და არა როგორც მხოლოდ საშუალება. ზნეობრივია ადამიანის ისეთი ქმედება, როდესაც იგი სხვა ადამიანზე ზრუნავს, როგორც მიზანზე.

ნიცშემ გაილაშქრა საერთოდ მორალის, კერძოდ, კანტის ეთიკისა და მისი კატეგორიული იმპერატივის წინააღმდეგ. იგი თვლის, რომ „სათნოება", „მოვალეობა", „სიკეთე", თავისთავად, რომლებიც ატარებენ უპიროვნო და საყოველთაო ხასიათს, ქიმერებია, რომლებშიც მჟღავნდება ადამიანის დაცემა, სიცოცხლის დაუძლურება. არ არსებობს სიკეთე და მოვალეობა პირადი დაინტერესების გარეშე. მათ პიროვნული და სუბიექტური ხასიათი აქვთ. მისი აზრით მორალი, საზოგადოდ, სუსტების მოგონილია. მათ ძალა არ შესწევთ, რომ თავი დაიცვან, ამიტომ ჩამოაყალიბეს მოთხოვნები და შეგონებები, რომლებიც კრძალავენ ძალას, ძალაუფლების ნებას. ძლიერებს მორალი არ სჭირდებათ. ზეკაცი, რომელიც მომავლის ადამიანია, სიკეთისა და ბოროტების მიღმაა.

სიკეთის გაგების წარმოდგენილი თვალსაზრისების მოკლე მიმოხილვა ნათლად გვიჩვენებს, რომ არ არსებობს ამ საკითხის გადაწყვეტის ყველასათვის მისაღები ერთი თეორია. ყოველი მათგანი ცალმხრივია და სიკეთის ერთი რომელიმე მხარის ხაზგასმით ვერ წვდება მის არსს. ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ უაღრესად რთული ფენომენის ისეთი განსაზღვრა, რომელსაც ყველა გაიზიარებდა. დღემდე ეს ვერავინ მოახერხა და, ცხადია, ჩვენთვისაც მიუწვდომელია. ჩვენ მხოლოდ ზნეობის ზოგიერთ მომენტს დავახასიათებთ:

1) **ზნეობრივი ქცევა უანგაროა.** იგი გამორიცხავს არა მხოლოდ მატერიალური სარგებლობის მიღებას, არამედ ადამიანის ბუნებრივი ლტოლვის – ჟინის ან სურვილის დაკმაყოფილებას. თუ ადამიანი უმწეოს ეხმარება იმ მოტივით, რომ აქედან რაღაც სარგებლობა მიიღოს ან თავისი ჟინი აღისრულოს, მაშინ მისი ქცევა არაზნეობრივია.

2) **ზნეობის მიზანი – ადამიანი, მისი ღირსება და ბედნიერებაა.** ამასთან, მას მხედველობაში აქვს ადამიანი საზოგადოდ, დამოუკიდებლად მისი მრწამსისა, რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილებისა, სოციალური თუ კლასობრივი წარმოშობისა. რომელიმე კონკრეტულ ადამიანზე ვზრუნავთ არა იმიტომ, რომ იგი ჩვენთვის ნაცნობია, საყვარელი კაცია, არამედ იმიტომ, რომ ადამიანია. ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის იდეალების დამკვიდრება – აი ზნეობის უმაღლესი მიზანი.

3) **ზნეობა გამორიცხავს ყოველგვარ ძალადობას.** ეს უკანასკნელი არ გამოიყენება არა მხოლოდ სიკეთის დასამკვიდრებლად, არამედ თვით ბოროტების წინააღმდეგ. თუ მომავალი სიკეთის რეალიზაციისათვის მივმართავთ ძალადობას, მაშინ თვითონ ჩვენ ვამკვიდრებთ ბოროტებას. ყოველი თეორია, რომელიც ძალადობის მეშვეობით მოითხოვს სიკეთისათვის ბრძოლას, უზნეობის პრინციპს ემყარება, რა გინდ კეთილშობილური მიზნები არ უნდა ამოძრავებდეთ მათ. პრაქტიკულად თუ რა ტრგიკული შედეგები მოაქვთ ამგვარ თეორიებს ადამიანისათვის, ჩვენ ეს საკუთარი გამოცდილებიდანაც კარგად ვიცით, რომ არაფერი ვთქვათ ისტორიულ გამოცდილებაზე. თუ ბოროტებას ძალადობით ვებრძვით, მაშინ ჩვენ თვითონ ვთესავთ მას. ბოროტებას ძალადობით ვერ აღმოფხვრი, პირიქით, კიდევ უფრო გაამრავლებ – ასეთია ზნეობის პრინციპი. ამიტომ კრძალავს იგი ყოველგვარი ძალისმიერი საშუალებების გამოყენებას, რა მაღალი იდეალებითაც არ ხდებოდეს მათი გამართლება.

მაშ, რით ვებრძოლოთ ბოროტებას? ისევ სიკეთით, სათნოებით და ქველმოქმედებით – ასეთია ზნეობის მოთხოვნა. რა ვუყოთ შურისგების გრძნობას, რომელიც ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. იგი არაზნეობრივია და უნდა შეიცვალოს მიტევებით, შენდობით. სხვათა დანაშაულს ისევ დანაშაულით კი არ უნდა ვუპასუხოთ, არამედ დავგმოთ და გავკიცხოთ.

მაგრამ თუ ახსოვს ისტორიას, რომ ვინმეს ამგვარი მეთოდებით დაეძლია ბოროტება? მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა, რომელიც სიყვარულის რელიგიაა, უკვე ორი ათას წელზე მეტია არსებობს, ბოროტება მაინც ბატონობს და მძლავრობს სიკეთეზე. „ღმერთი სიყვარული არს" – ამბობს წმინდა მოციქული იოანე. „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი" – არის ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მცნება. მაგრამ შედეგი? არა სიყვარული და კაცთმოყვარეობა, არამედ სიძულვილი და მტრობა, არა ჭეშმარიტება და სათნოება, არამედ სიცრუე და ბოროტება მართავს კაცობრიობას. უფრო მეტიც, ქრისტიანობა, როდესაც შუა საუკუნეებში გაბატონებული იდეოლოგია გახდა, თვითონ იქცა ბოროტების წყაროდ. ჯვაროსნული ომები, ინკვიზიცია, ერეტიკოსების დევნა და ა.შ. ამის ნათელი დადასტურებაა, რადგან მათი განხორციელება ხდებოდა ქრისტეს სახელით. ეს რეალობაა, რომელსაც ვერსად გაექცევი. რაზე მეტყველებს იგი? იმაზე, რომ მხოლოდ ზნეობა და სიკეთე უძლურია დაძლიოს უზნეობა და ბოროტება. პირიქით, ბოროტება უფრო ძლიერია სიკეთესთან შედარებით, რადგან იგი ყოველგვარ საშუალებებს იყენებს თავისი მიზნის მისაღწევად, მაშინ როდესაც სიკეთეს არ შეუძლია ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ბოროტებასთან ბრძოლაში. ნეოპლატონიზმის იდეა, რომელიც რუსთაველმა ხატოვნად გამოთქვა – „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია" – უფრო სურვილია, ვიდრე რეალობა. სინამდვილე საწინააღმდეგოს ამტკიცებს და ჩვენ აქ მივადექით ზნეობის ერთ თავისებურებას, რომლის ნათლად გაცნობიერება აუცილებელია.

**4) ზნეობა გამოხატავს არა იმას, რაც არის, ესე იგი რეალობას, არამედ იმას, რაც უნდა იყოს.** ეს ნიშნავს, რომ ზნეობა არა არსის (რეალობის), არამედ ჯერარსის (უნდა-ს) გამოხატულებაა. ბიბლიური მცნებები – არა კაც-ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილი სწამო – მოთხოვნებია, რომლებიც ადამიანმა უნდა განახორციელოს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამგვარ უზნეობებს სინამდვილეში ადგილი არა აქვს. პირიქით, რეალობა, გინდ ისტორიული, გინდ თანამედროვე, სავსეა ამ უმსგავსოებებით. დღიდან დასაბამისა ადამიანი დაუნდობლად ებრძვის მათ, მაგრამ კლების ნაცვლად ისინი მატულობენ, უფრო დახვეწილნი და მასობრივნი ხდებიან. ზნეობა მოგვიწოდებს, რომ ვიყოთ კეთილნი და სათნონი, ქველმოქმედნი და გულმოწყალენი. იგი იმას კი არ ამტკიცებს, რომ ჩვენ ასეთები ვართ, არამედ იმას, რომ უნდა ვიყოთ ასეთები, არა ვართ, მაგრამ უნდა გავხდეთ კეთილნი. ეს არის ჯერარსი (უნდა), რომელიც, მართალია, არ არსებობს, მაგრამ სავალდებულოა, აუცილებელია, რომ არსებობდეს.

**5) ზნეობა გამოხატავს არა იძულებას, არამედ თავისუფლებას.** თუ ადამიანს არ სურს, მაგრამ იძულებულია სხვას დაეხმაროს, მაშინ მისი ქცევა არაზნეობრივია; მორალური მხოლოდ ისეთი ქცევაა, როდესაც ადამიანი იმას აკეთებს, რაც მას სურს. ეს ნაბიჯი მისი არჩევანის შედეგია. მას შეუძლია დაეხმაროს ან არ დაეხმაროს უმწეოს, მაგრამ იგი ზნეობრიობის პრინციპის გამო ირჩევს, თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რომ მას დაეხმაროს და გვერდში ამოუდგეს. ეს მისი კეთილი ნების გამოვლენაა, რომელიც თავისუფალი არჩევანის შდეგია.

**6) ზნეობრივ ქცევას საფუძვლად უდევს ადამიანის გულის კარნახი, მისი შინაგანი ხმა – სინდისი. იგი კარნახობს ადამიანს მოიქცეს ასე და არა და არა სხვაგვარად.** გადაწყვეტილება, რომელიც მან მიიღო, სინდისისმიერია. სინდისმა უკარნახა, ასე ვთქვათ, ურჩია მას, რომ ასე ემოქმედა. თუ ადამიანი ზნეობრივია, მაშინ უზნეობის ჩადენისას განიცდის სინანულსა და სინდისის ქენჯნას. მორალის თვალსაზრისით უზნეობის სასჯელის ზომა მხოლოდ ერთია:

საზოგადოების მხრიდან დამნაშავის გაკიცხვა, მაგრამ მისთვის მიტევება, ხოლო დამნაშავის მხრიდან – მონანიება და სინდისის ქენჯნა. სხვა სასჯელი, რომელიც ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას ემყარება – სიკვდილით დასჯა, პატიმრობა, ჩაქოლვა და ა.შ. – არაზნეობრივია, ამიტომ გაუმართლებელია და მიუღებელი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბანძელაძე გ., ეთიკა, თბ.,1980.
2. ეთიკა (ავტორთა კოლექტივი), თსუ, 2001.
3. ერქომაიშვილი ვ., ფილოსოფია, თბ., 1998.
4. კაკაბაძე ზ., ფილოსოფიური საუბრები, თბ. 1988.
5. კვარაცხელია ნ., ადამიანი და მეტაფიზიკა, თბ., 2005.



**თინათინ ჯაჭვაძე**
სკოლა „ალბიონის" მასწავლებელი
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი,
მოწვეული პედაგოგი
**Tinatin Jachvadze**
Teacher of School "Albioni"
Invited Teacher of International Teaching University of Georgia "


## აღზრდისა და განვითარების რომანი
## (გერმანული რომანის მაგალითზე)
## The Novel of Upbringing and Development
## (On the example of the German novel)


**რეზიუმე:** აღზრდის რომანის ჟანრი ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მიმართულებაა რომანისტიკის ისტორიაში. იგი განვითარების რომანის ჟანრის ერთგვარი გაგრძელებაა, რომელმაც გარკვეული ადგილი დაიმკვიდრა მრავალ მწერალთა შემოქმედებაში და ეს ხაზი საკმაოდ კარგად გაატარა გერმანულმა ლიტერატურამაც. ეს არის პიროვნების ზრდა-განვითარებისა და სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესის ჩვენება, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანია ნებისმიერ ეპოქაში, მათ შორის – დღევანდელობაში.

**Abstract:** The educational novel genre is one of the most important movements in the history of novels. It followed the development novel genre, which was widely reflected in the works of many writers including German ones. It's the exposure of the personality development and completion process of an individual, which is has been so important in one century and these days as well.


განვითარების რომანი, ეს არის რომანი, რომელიც ძლიერ გაცნობიერებულ და გააზრებულ კომპოზიციაში ფსიქოლოგიური თანმიმდევრობით განიხილავს ადამიანის შინაგანი და გარეგანი განვითარების გზას დასწყისიდან პიროვნების გარკვეულ მომწიფებამდე და ასახავს ამა თუ იმ ადამიანში უნარის ფორმირებას გარესამყაროსთან ხანგრძლივ ურთიერთობაში. საზღვრები განვითარებისა და აღზრდის რომანისა არამყარია. ხშირად რომელიმე ნაწარმოებში ორივეს ერთად ვხვდებით. გმირი მიდის წარმატებისა და შეცდომების გზით და საბოლოო ჯამში შინაგანი სრულყოფის გარკვეულ საფეხურს აღწევს, რომელიც მწერლისა და მისი დროის

სუბიექტურ იდეალს შეესაბამება. ხშირად განვითარების რომანს მკვეთრად გამოხატული ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს და სწორედ ამიტომ იგი ფორმის თვალსაზრისით ხშირად პირველ პირში თხრობას (Ich-Erzahlung), ანუ „მე" – ფორმას ანიჭებს უპირატესობას. განვითარების რომანს აღსარების ფერი დაჰკრავს ხოლმე. შინაარსი განსხვავებული ინტერპრეტაციით არის გადმოცემული, რაც ადამიანის იდეალის ცვლილებასთან არის დაკავშირებული. როგორც დამოუკიდებელი ფორმა, განვითარების რომანი სპეციფიკურად გერმანული ჟანრია (გამონაკლისს წარმოადგენენ: ჩ. დიკენსის "დავით კოპერფილდი", ჰ. ფილდინგის "ტომ ჯონსი", რ. როლანის "ჟან კრისტოფი"). განვითარების რომანის წინა პირობას წაროადგენს გაცნობიერებული, გააზრებული, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ადამიანის წარმოსახვის სურვილი. არსებითად აღრზდის რომანის ფორმა ჩამოყალიბდა პიეტიზმის ხანის მწერლობაში, როდესაც ადამიანის სულიერი ცხოვრებისადმი ინტერესმა და მისი შინაგანი ცხოვრების აღწერამ წინა პლანზე წამოიწია.

აღზრდისა და განვითარების რომანს გერმანულ ლიტერატურაში მდიდარი ტრადიცია აქვს და ასეთი სახის ნაწარმოებებმა აქ იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

სოციალურ-კრიტიკულმა რომანმა ვერ მოიკიდა ფეხი გერმანულ ლიტერატურაში. ალბათ გერმანელი რომანისტების შემოქმედებითი პრაქტიკიდან გამოდიოდა არტურ შოპენჰაუერი, როცა შენიშნავდა: „რომანი მით უფრო მაღალი და კეთილშობილურია, რაც უფრო ნაკლებად გამოხატავს გარეგან ცხოვრებასო".

გერმანული რომანი იმთავითვე იყო უპირატესად „განვითარების", „აღზრდის", „ჩამოყალიბების" რომანი, რომელშიც წინა პლანზე ინდივიდი, სუბიექტი, პიროვნება და მისი ჩამოყალიბება, ზრდა-განვითარება იდგა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ განვითარების რომანი მოკლებული იყოს სოციალური რომანის ელემენტებს. „აღზრდის" რომანი წარმოსახავს ერთი პიროვნების ქმნადობის, ჩამოყალიბების, მომწიფების, განვითარების თანდათანობით პროცესს და აქცენტი სწორედ ამ განვითარებაზე კეთდება. გერმანული რომანისტიკის მთელი რიგი რომანები განვითარების რომანებს წარმოადგენენ.

შეგვიძლია დავასახელოთ მთელი რიგი რომანებისა, რომლებიც აღმზრდელობითი ხასიათისაა. ასეთი რომანების გმირები მოგზაურობენ ერთი ადგილიდან მეორეში, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში. ისინი მრავალ დაბრკოლებას გადალახავენ, სანამ სინამდვილეს შეიცნობდნენ და ბოლოს სავსებით ჩამოყალიბებულნი მოგვევლინებიან. გმირის ბედი დაკავშირებულია ხალხისა და ქვეყნის ბედთან.

ახალი ადამიანის აღზრდის პრობლემას თანამედროვე გერმანული სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ადრე გერმანიაში ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა გერმანული ფილისტერობისაგან და იდეალიზმისაგან თავის დაღწევა, მაგრამ ნაცისტების ბატონობის შემდეგ და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის პირველ და მთავარ ამოცანად იქცა ფაშისტური იდეოლოგიის ძირეული აღმოფხვრა და თითოეული გერმანელის ხალხთან მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდა (განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოფილი გდრ და ზუსტად ამასვე ეფუძნება გდრ-ის მწერალთა რომანების წერის ასეთი ფორმა. ეს ცვლილება აისახა „აღზრდის რომანის" განვითარებაშიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ).

რა თქმა უნდა, გერმანულ ლიტერატურაში აღზრდის რომანის ტრადიცია მხოლოდ იმაში როდი ვლინდება, რომ პომანის სიუჟეტი და კომპოზიცია იმაზე აიგოს, თუ როგორ მოგზაურობს გმირი და როგორ აღიქვამს იგი სინამდვილეს, არამედ უპირველეს ყოვლისა, იგი გულისხმობს თვით აღზრდის მოტივის შემდგომ განვითარებასა და სახეცვლას.

გერმანული აღმზრდელობითი რომანი მეტად თავისებურია. მისთვის დამახასიათებელია გმირის იდეური ძიების წინ წამოწევა. აღზრდის რომანის გმირი სიმართლის მაძიებელია, იგი მიილტვის, მიისწრაფვის თვითშემეცნებასა და სამყაროს რეალური შეცნობისაკენ. გმირის შინაგან სამყაროში მომხდარი ძვრების აღწერა გერმანული აღზრდის რომანის ერთ-ერთი მთავარი და დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. ამასთან ერთად საქმე ეხება არა მარტო რომანის გმირის ანუ ცალკეული და ერთეული პირის აღზრდას, არამედ საერთოდ ადამიანის ბედს და კაცობრიობის ბედს (ასე თუ შევხედავთ, გოეთეს „ფაუსტიც“ გარკვეული თვალსაზრისით აღმზრდელობითი ხასიათის მატარებელია).

გერმანულ აღმზრდელობით რომანში გმირის აღზრდა ერთობ სპეციფიკურ ხასიათს ატარებს, საკუთარი თავის სრულქმნისაკენ ისწრაფვის. გერმანული აღმზრედელობითი რომანის გმირი მიისწრაფვის გახდეს ადამიანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ისე, რომ ხშირად აღზრდის პროცესის სოციალური მხარე, საზოგადოების როლი გმირის პიროვნების ჩამოყალიბებაში ავტორებს სათანადოდ არა აქვთ გაშუქებული. თუმცა ერთ ხანს აღზრდის რომანმა აქაც ადგილი დაუთმო სოციალური ჟანრის რომანს. გარკვეულ პერიოდში აღზრდის რომანი შეიცვალა და XIX-XX საუკუნის მიჯნაზე სოციალური რომანის ჟანრმა ღრმად გაიდგა ფესვები გერმანულ რომანისტიკაშიც. გოეთეს აღმზრდელობითი ტრადიციებიდან მოყოლებული გმირის იდეური ძიების მომენტმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და წინ წამოიწია სოციალური სინამდვილის მხატვრულმა გააზრებამ. თომას მანმა თავისი რომანი „ბუდენბროკებს“ მიუძღვნა ბურჟუაზიული ოჯახის დეგრადაციას, ჰაინრიხ მანის რომანებში „მასწავლებელი უნრატი“ და „ქვეშევრდომი“ აისახა ვილჰელმურ გერმანიაში ადამიანის სულიერი დაცემა. მაგრამ ეს გარკვეულ პერიოდში, შემდგომ კი კვლავ წინ წამოიწია აღზრდის რომანმა და არა ერთი და ორი რომანი შეიქმნა ასეთი ხასიათისა. ამ ახალი ტიპის რომანებისათვის სპეციფიკურია ინდივიდის, უმთავრესად ერთი ადამიანის ბედის, სულიერ-ინტელექტუალური, მორალურ-ემოციური ცხოვრების გამოსახვა. ასეთ სულიერ-ინტელექტუალურ ისტორიას კი შედარებით მარტივი და დაუხლართავი სიუჟეტი შეესაბამება.

განვითარების რომანისაგან სოციალური რომანი იმით განსხვავდება, რომ მასში გამოსახულია ადამიანთა რთული ურთიერთობანი, სოციალური კავშირ-მიმართებანი, საზოგადოებრივი კონფლიქტები, ეკონომიური, პოლიტიკური მოვლენები და ყოველივე ეს გამოხატულია საკმაოდ რთული სიტუაციებით.

ცხოვრებით აღზრდა (mit dem Leben erzihen) – ამ მოტივმა თავისი განვითარება 30-40-იანი წლების ანტიფაშისტურ გერმანულ ლიტერატურაში ჰპოვა. მასში კვლავ ახლებურად გაცოცხლდა კლასიკური გერმანული განვითარების რომანის ტრადიციები.

ერვინ შტრიტმატერის რომანი „სასწაულმოქმედიც“ ამ ნაციონალურ ტრადიციებს აგრძელებს. ჩვენს წინაშეა ახალი ტიპის აღზრდის რომანი. იგი მკითხველისა და ლიტერატურული კრიტიკის დიდ ყურადღებას იპყრობს. იგი გერმანული ლიტერატურის სოციალისტური რეალიზმის განვითარების ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Erwin Strittmatter “Der wundertaeter” Roman. Berlin 1975.
2. Eva Strittmatter “Briefe aus Schulzenhof”. Berlin und Weimar, 1977.
3. Зуев А. Н., Традиции немецкого воспитательного романа, М. 1951.
4. История немецкой литературы. М. 1975.

**ნანი ლეონიძე**
ფილოლოგიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მოწვეული პედაგოგი
**Nani Leonidze**
Doctor of Filology
Sokhumi State University
Envited Professor
**იზა მანძერაშვილი**
ფილოლოგიის დოქტორი
**Iza Mandzerashvili**
Doctor of Filology

## ემილ ზოლას ცხოვრება და მოღვაწეობა
## Emir Zola's life and Work

**რეზიუმე:** სტატია ეძღვნება ფრანგ მწერალ ემილ ზოლას, მისი ბიოგრაფიის ირგვლივ დღესდღეობით შეგროვილ ცნობებსა და იმ ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელსაც მან საფუძველი ჩაუყარა და რომელიც „ნატურალიზმის" სახელწოდებით შევიდა ლიტერატურის ისტორიაში.
**Abstract:** The article is dedicated to a french writer Emir Zola which is about some collected information and the literary progress of his biography that he established and the literary progress entered through the history of literature as "Naturalism".

მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრის რეალიზმის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალი. ე.წ. „ნატურალისტური" მოძრაობის თავკაცი და თეორეტიკოსი ემილ ზოლა /ემილ ედუარდ შარლ ანტუან ზოლა/ საუკუნის ბოლო 30 წლის განმავლობაში საფრანგეთის ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში იდგა და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ გამოჩენილ მწერლებთან, გუსტავ ფლობერთან, ალფონს დოდესთან, ედმონ გონკურთან, ივანე ტურგენევთან, გი დე მოპასანთან. იტალიური წარმოშობის ინჟინრის შვილმა ლიტერატურული საქმიანობა ჟურნალისტის ამპლუაში დაიწყო, თანამშრომლობდა ისეთ ცნობილ გამოცემებთან, როგორიცაა l'Evenement, le Figaro, le Rappel, Tribune.

ზოლას სამწერლო ბიოგრაფია 60-იან წლებში იწყება. სრულიად ახალგაზრდამ ჩაიფიქრა საკუთარი შემოქმედების მთავარი ქმნილება – ოცტომიანი სერია „რუგონ-მაკარები". როგორც თვითონ აღნიშნავდა, ამ სერიით სურდა „მეორე იმპერიის ეპოქის ერთი ოჯახის ბუნებრივი და სოციალური ისტორია" გადმოეცა. პირველ წიგნებს დიდი რეზონანსი არ გამოუწვევია. განსაკუთრებული წარმატება რიგით მეშვიდე რომანმა „ხაფანგმა" მოუტანა, რასაც მატერიალური კეთილდღეობაც მოჰყვა. მწერალმა პარიზის მახლობლად სახლი იყიდა, თანამოაზრე ახალგაზრდა კოლეგების წრე შემოიკრიბა და ე.წ. „ნატურალისტური სკოლა" ჩამოაყალიბა. ემილ ზოლა პირველი ევროპელი მწერალი იყო, რომელმაც ერთი ოჯახის შესახებ რომანების მთელი სერია შექმნა. შემდგომში მას ბევრმა გამოჩენილმა კოლეგამ მიჰბაძა.

ზოლას შემოქმედებაში მთელი სისავსით გამოვლინდა ნატურალისტური მეთოდის ძირითადი ნიშნები. მის დასაწყისად მიჩნეულია 1867 წელს გამოქვეყნებული ზოლას ნაწარმოები „ტერეზა რაკენი". ეს იყო პრინციპი – ადამიანის ფიზიოლოგიური თვისებების განვითარების ანალიზის მიხედვით ეჩვენებინა ხასიათი.

ნატურალიზმის მხატვრული მეთოდი შემუშავებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზეგავლენით. ნატურალიზმის თვალსაზრისით, საზოგადოებისა და ბუნების განვითარებას ერთი და იგივე კანონები განაგებს. აქედან გამომდინარეობს ნატურალისტი მწერლების გადამეტებული ინტერესი ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფსიქო-ფიზიკური პროცესების ანალიზისადმი. სინამდვილის ყოველი მხარე ნატურალიზმში წარმოდგენილია მიზეზობრივ კავშირს მოკლებულ ფენომენად. მისი ინტერესი გადატანილია ემოციურ-ინტელექტუალურ პიროვნებებზე, მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, არა გამოჩენილ გმირზე, არამედ ერთ უბრალო ადამიანზე. ნატურალიზმის პერსონაჟი მიდრეკილია მემკვიდრეობითი პრინციპებისადმი. ამაში იგრძნობა იტალიელი ფსიქიატრისა და კრიმინალისტის ლომბროზოს რეაქციული თეორიის გავლენა, რომლის მიხედვითაც დანაშაულის ჩადენა წინასწარაა განპირობებული დამნაშავის ცუდი მემკვიდრეობით. ასე რომ, შეუძლებელია გაექცე იმ საშინელებასა თუ ბედნიერებას, რაც კაენმა თუ აბელმა ჩაიდინა.

ინტერესი დასავლეთ ევროპის ლიტერატურისადმი საქართველოში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან იღვიძებს, თანდათან ძლიერდება და მრავალფეროვან ხასიათს იღებს. ცნობილი ქართველი სოციოლოგები ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, დავით მიქელაძე/მეველე/, იონა მეუნარგია, კიტა აბაშიძე და სხვ. საფრანგეთში ცხოვრობდნენ და იქ აქტიურ სოციალურ და ლიტერატურულ ცხოვრებას ეწეოდნენ. ივანე მაჩაბელი, ესტატე მჭედლიძე /ზოსლეველი/, რომანოზ ფანცხავა/ხომლელი/, ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია დიდად იყვნენ დაინტერესებული ფრანგული ლიტერატურით. ხშირად აქვეყნებდნენ ფრანგული ლიტერატურული სიახლეებისა და ფრანგ ავტორთა თარგმანების შესახებ სტატიებს.

ცნობილ ქართველ პოეტს ალ ჭავჭავაძეს ეკუთვნის ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები /ლაფონტენის იგავ-არაკები, რასინის ტრაგედიები ,,ესთერი“, „ფედრა“, კორნელის „ცინა“, ჰიუგოს ლექსი „A une femme“. ეს ცხოველი ინტერესი მოჩანს აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ 1841 წლის 28 მარტს გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში – „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა კიპიანმა/ დ. ყიფიანმა/ გადმოთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“ შექსპირის ტრაღედია და მე ვთარგმნე „Юлий Таретский“, ტრაღედია ლეიზევიცისა, მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც ასე განსაჯე, იტირეს“ /ბარათაშვილი. წერილები გვ.78/

თანდათან იზრდება მთარგმნელთა და თარგმანების რიცხვი. განსაკუთრებით აღსანიშნა-ვია საზოგადოების ინტერესი შექსპირის, ჰიუგოს, ბალზაკის, ზოლას, დოდეს, იბსენის, გოეთეს, შილერის, ჰაინეს, ჰაუპტმანისა და სხვათა ნაწარმოებების მიმართ. მათ შორისაა ემილ ზოლაც.

ემილ ზოლას მამა წარმოშობით იტალიელი იყო. მას ფრანსუა ერქვა. ფრანსუას ახალგაზრდობა სამხედრო სამსახურში გაუტარებია. ვენეციაში ავსტრიელთა ბატონობის დროს, იგი სამშობლოს ევლინება როგორც მხურვალე პატრიოტი და თავდადებული მამულიშვილი, რის გამოც მას ციხეში სვამენ. იგი მალე აღწევს თავს პატიმრობას და მოგზაურობს ჰოლანდიაში, ინგლისში, ალჟირსა და საფრანგეთში, სადაც საბოლოოდ მკვიდრდება კიდეც. ფრანსუა ცნობილი იყო როგორც მუყაითი და მეტად ენერგიული კაცი. სწორედ ამ თვისებების გამო მოიხვეჭა მან განათლებული სპეციალისტის სახელი. ,,ერთ თვალსაჩინო თხზულებისათვის პადუას აკადემიამ თავის წევრად მიიღო, ხოლო ჰოლანდიის მეფემ მედლით დააჯილდოვა“.

საფრანგეთშიც არ შეუწყვეტია მას ნაყოფიერი მუშაობა. ფრანსუას ექსში გაჰყავს გრანდიოზული არხი და უწყლობით გატანჯული მოსახლეობის მადლობას იმსახურებს. ექსიდან ფრანსუა მიემგზავრება პარიზს და 1839 წელს იქ ცოლად ირთავს ფრანგ ქალს. 1840 წლის 2 აპრილს მათ შეეძინებათ ემილი, მომავალი რომანისტი. 1847 წელს, მგზავრობის დროს, მარსელის ერთერთ სასტუმროში გარდაიცვლება ფრანსუა ზოლა. უპატრონოდ დარჩენილი

ოჯახი პარიზიდან ისევ ექსში ბრუნდება. „პატარა ემილი ცქვიტი, ცოცხალი, გონიერი და მოუსვენარი ბავშვი იყო. პატარაობა ემილმა თავისუფლებაში გაატარა, მის ცელქობას, ქუჩაში სირბილსა და ლაზღანდარობას ხელს არავინ უშლიდა“.

რვა წლის ზოლა „ღვთისმშობლის პანსიონში“ მიაბარეს, სადაც დაუახლოვდა პოლ სეზანს და ბატისტ ბეილს. სხვა ამხანაგები მას არც ჰყოლია. ,,დანარჩენებს მაგრე რიგად არ ეკარებოდა და უფრო განზე ეჭირა თავი. სამაგიეროდ ეს სამნი განუშორებელნი იყვნენ. ერთად კითხულობდნენ წიგნებს, წერდნენ ლექსებს, კამათს ეძლეოდნენ ამა თუ იმ საგანზე. ათასში ერთხელ თეატრშიც დადიოდნენ. მაგრამ ყველაზე მეტად სამივეს ბუნება იზიდავდა. ზაფხულში იშვიათი დღე იყო, რომ შინ გაეტარებინათ. მიჰქონდათ დღის საგზალი, ორი-სამი წიგნი, გიუგოს ან მიურეს თხზულებანი და მიდიოდნენ მინდორსა და ტყეში“.

ზოლამ ბავშვობა სრულ თავისუფლებაში გაატარა და ამის გამო მას პატარაობიდანვე განუვითარდა სწრაფვა დამოუკიდებლობისადმი.

1852 წელს თორმეტი წლის ემილი კოლეჯში მიაბარეს, სადაც ყველას ყურადღება მიიპყრო თავისი თხზულებებით. კოლეჯის დამთავრებამდე ერთი წელი რჩებოდა, როცა მისი ოჯახი მძიმე ეკონომიკური პირობების გამო პარიზს დაბრუნდა. პარიზში, ერთი კეთილი ვექილის ლაბოს დახმარებით, ზოლა წმინდა ლუის ლიცეუმში ეწყობა. ამ პერიოდში წერს ლექსებს, ისტორიულ რომანს და სამმოქმედებიან კომედიას. რომანის ხელნაწერი დღესაც ინახება მის არქივში.

პარიზში ზოლა ბაკალავრის ხარისხის მისაღებად გამოცდებს აბარებს, მაგრამ მისი ეს ცდა მარცხით მთავრდება. უდიპლომო, უნათესავო და მფარველის გარეშე მყოფი ახალგაზრდისათვის ადვილი არ იყო სამსახურის შოვნა. ზოლა ხშირად მშიერი იჯდა სახლში, თავის ტანსაცმელს ნაცნობს გაატანდა დასაგირავებლად, თავად კი საბანში გამოხვეული იჯდა ოთახში, სანამ ტანსაცმლის გამოსასყიდ ფულს არ იშოვნიდა. სიღარიბის გამო იგი იქ ცხოვრობდა, სადაც მასავით უპოვარნი სახლობდნენ, ამიტომ ზოლა ბურჟუაზიული წყობილებისთვის დამახასიათებელი საშინელი შევიწროების, გარყვნილებისა და სხვა მრავალი ნაკლოვანების მოწმე გახდა. სწორედ ამიტომ ასე სასტიკად, ნატურალისტურად ამხელს იგი ბურჟუაზიული ფენის მანკიერებებს თავის ნაწარმოებებში. სწორედ ამიტომ ჩაუყარა მან საფუძველი ლიტერატურის ახალ მიმართულებას – „ნატურალიზმს“.

ემილ ზოლა იყო ის გამორჩეული მწერალი, რომელსაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი ინტერესით კითხულობდნენ და ასევე თარგმნიდნენ მრავალ ქვეყანაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ,,კვალი“, 1898, N9, N10, N50
2. ,,ივერია“, 1893, N152, N254
   1894, N198
   1890, N237
   1898, N32, N44
   1895, N279
3. ,,დროება“, 1877წ. N17
4. ,,ცნობის ფურცელი“, 1902, N1931, N1928

**ნანი ლეონიძე**
ფილოლოგიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მოწვეული პედაგოგი
**Nani Leonidze**
Doctor of Filology
Sokhumi State University
Envited Professor
**იზა მანძერაშვილი**
ფილოლოგიის დოქტორი
**Iza Mandzerashvili**
Doctor of Filology

**ემილ ზოლა ქართულ პერიოდულ პრესაში**
**Emil Zola in the Georgian Periodical Press**

**რეზიუმე:** სტატია ეძღვნება ფრანგ მწერალს, ემილ ზოლას, რომელიც მეტად პოპულარული ავტორი იყო არა მარტო საფრანგეთში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, კერძოდ საქართველოში. ქართულ პერიოდულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა ე.ზოლას ნაწარმოებების შესახებ სტატიები, ქართველი მკითხველი მუდმივად ეცნობოდა ზოლას ბიოგრაფიულ მომენტებსა და მისი ნაწარმოებების ბედს მწერლის სამშობლოში.
**Abstract:** The article is devoted to a famous French writer Emil Zola whose works are paid much attention with love by Georgian newspapers ,,Kvali'', ,,Droeba'', ,,Iveria'', ,,Tsnobis Furtseli''. There have been published a great number of letters about E.Zola. Due to the letters Georgian society got acquainted closer with the writer's life, activity and work.

ინტერესი დასავლეთ ევროპის ლიტერატურისადმი საქართველოში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან იღვიძებს, თანდათან ძლიერდება და მრავალფეროვან ხასიათს იღებს. ცნობილი ქართველი სოციოლოგები ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, დავით მიქელაძე/მეველე/, იონა მეუნარგია, კიტა აბაშიძე და სხვ. საფრანგეთში ცხოვრობდნენ და იქ აქტიურ სოციალურ და ლიტერატურულ ცხოვრებას ეწეოდნენ. ივანე მაჩაბელი, ესტატე მჭედლიძე /ზოსლეველი/, რომანოზ ფანცხავა/ხომლელი/, ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია დიდად იყვნენ დაინტერესებული ფრანგული ლიტერატურით. ისინი ხშირად აქვეყნებდნენ ფრანგული ლიტერატურული სიახლეებისა და ფრანგ ავტორთა თარგმანების შესახებ სტატიებს.

რით აიხსნება ასეთი ინტერესი დასავლეთ ევროპის ლიტერატურასადმი? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ამავე პერიოდის გაზეთ „დროებაში" მოთავსებული შენიშვნა ემილ ზოლას მოთხრობის ,,საფრანგეთის სამღვდელოების" თარგმანის შესახებ, რომელიც ამ გაზეთის რედაქტორს, ს. მესხს ეკუთვნის.

ამ სათაურით რუსულ ჟურნალში – ,,ევროპის მოამბეში" დაბეჭდილია რამდენიმე პატარ-პატარა მოთხრობა ნიჭიერი ფრანცუზის მწერლის ემილ ზოლასი. ამ მოთხრობებში ხელოვნური კალმით აწერილია თუ რა ძალა და გავლენა აქვს საფრანგეთის სამღვდელოებას სხვადასხვა საზოგადოების ნაწილში. მაგალითად, სოფელში, ქალაქის მუშებში, ვაჭრებში, არისტოკრატებში

და სხვა. ჩვენ გადმოვიღეთ ის მოთხრობა, რომელის სოფლის მღვდელს ეხება, იმ ჰაზრით, რომ ყველა ის რაც აქ არის ნათქვამი, ცოტათი ჩვენს სოფლის მღვდელსაც შეიძლება მიაწეროს კაცმა“ („დროება“ 1877 N17).

საქართველო თავიდანვე დიდი სიყვარულით მოეკიდა ზოლას ნაწარმოებებს. XIX საუკუნის ქართულ ჟუნრალ-გაზეთებში არაერთი წერილი დაიბეჭდა ზოლას შესახებ, ქართული საზოგადოება საკმაოდ ახლოს იცნობდა მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. 1902 წელს, ზოლასა და მისი შემოქმედების შესახებ, ,,ცნობის ფურცელი“ აქვეყნებს წერილს. ამ წერილში მოცემულია მისი მშობლების ბიოგრაფიული ცნობებიც. ,,ფრანსუა ზოლა (ემილის მამა), მამით იტალიელი იყო, ხოლო დედით ბერძენი. ფრანსუა, ისევე როგორც მომავალი რომანისტი, შესანიშნავი კაცი იყო. დიდი ჭკუა, დამოუკიდებელი ხასიათი, საოცარი მხნეობა, – აი განსაკუთრებული თვისებანი იმ ადამიანისა, რომელმაც კაცობრიობას დიდებული მწერალი უძღვნა (,,ცნობის ფურცელი“ 1902 წელი, N1931). ფრანსუას ახალგაზრდობა სამხედრო სამსახურში გაუტარებია. ვენეციაში ავსტრიელთა ბატონობის დროს, იგი სამშობლოს ევლინება როგორც მხურვალე პატრიოტი და თავდადებული მამულიშვილი, რის გამოც მას ციხეში სვამენ. იგი მალე აღწევს თავს პატიმრობას და მოგზაურობს ჰოლანდიაში, ინგლისში, ალჟირსა და საფრანგეთში, სადაც საბოლოოდ მკვირდრდება კიდეც. ფრანსუა ცნობილი იყო როგორც მუყაითი და მეტად ენერგიული კაცი. სწორედ ამ თვისებების გამო მოიხვეჭა მან განათლებული სპეციალისტის სახელი. ,,ერთი თვალსაჩინო თხზულებისათვის პადუას აკადემიამ თავის წევრად მიიღო, ხოლო ჰოლანდიის მეფემ მედლით დააჯილდოვა“.

საფრანგეთშიც არ შეუწყვეტია ემილ ზოლას ნაყოფიერი მუშაობა. ფრანსუას ექსში გაჰყავს გრანდიოზული არხი და უწყლობით გატანჯული მოსახლეობის მადლობას იმსახურებს. ექსიდან ფრანსუა მიემგზავრება პარიზს და 1839 წელს იქ ცოლად ირთავს ფრანგ ქალს. 1840 წლის 2 აპრილს მათ შეეძინებათ ემილი, მომავალი რომანისტი. 1847 წელს, მგზავრობის დროს, მარსელის ერთ-ერთ სასტუმროში გარდაიცვალა ფრანსუა ზოლა. უპატრონოდ დარჩენილი ოჯახი პარიზიდან ისევ ექსში ბრუნდება. ,,პატარა ემილი ცქვიტი, ცოცხალი, გონიერი და მოუსვენარი ბავშვი იყო. პატარობა ემილმა თავისუფლებაში გაატარა. მის ცელქობას, ქუჩაში სირბილს და ლაზღანდარობას ხელს არავინ უშლიდა“.

რვა წლის ზოლა ,,ღვთისმშობლის პანსიონში“ მიაბარეს, სადაც დაუახლოვდა პოლ სეზანს და ბატისტ ბეილს. სხვა ამხანაგები მას არც ჰყოლია. ,,დანარჩენებს მაგრე რიგად არ ეკარებოდა და უფრო განზე ეჭირა თავი. სამაგიეროდ ეს სამნი განუშორებელნი იყვნენ. ერთად კითხულობდნენ წიგნებს, წერდნენ ლექსებს, კამათობდნენ ამა თუ იმ საკითზე, ათასში ერთხელ თეატრშიც დადიოდნენ. მაგრამ ყველაზე მეტად სამივეს ბუნება იზიდავდა. ზაფხულში იშვიათი დღე იყო, რომ შინ გაეტარებინათ. მიჰქონდათ დღის საგზალი, ორი-სამი წიგნი, გიუგოს ან მიურეს თხზულებანი და მიდიოდნენ მინდორსა და ტყეში“.(იქვე)

ზოლამ ბავშვობა სრულ თავისუფლებაში გაატარა და ამის გამო მას პატარაობიდანვე განუვითარდა სწრაფვა დამოუკიდებლობისადმი.

1852 წელს თორმეტი წლის ემილი კოლეჯში მიაბარეს, სადაც ყველას ყურადღება მიიპყრო თავისი თხზულებებით. კოლეჯის დამთავრებამდე ერთი წელი რჩებოდა, როცა მისი ოჯახი მძიმე ეკონომიკური პირობების გამო პარიზს დაბრუნდა. პარიზში, ერთი კეთილი ვექილის – ლაბოს დახმარებით, ზოლა წმინდა ლუის ლიცეუმში ეწყობა. ამ პერიოდში წერს ლექსებს, ისტორიულ რომანს და სამმოქმედებიან კომედიას. რომანის ხელნაწერი დღესაც ინახება მის არქივში.

ზოლას პირველ ლიტერატურულ ცდებს აშკარად ეტყობოდათ რომანტიზმის, კერძოდ ალფრედ დე მიუსეს გავლენა. 1864 წელს გამოდის ზოლას ,,ნინონის ზღაპრები“, ხოლო ერთი

წლის შემდეგ, 1865 წელს ,,მარსელის საიდუმლოებანი", წმინდა რომანტიკული ხასიათის რომანი, რომელსაც საზოგადოების ყურადღება არ მიუქცევია. სამაგიეროდ დიდი მოწონება დაიმსახურა ,,ნინონის ზღაპრებმა", რომელიც მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ქართულ ენაზეც ითარგმნა. 1897 წელს ქართულ ჟურნალ ,,მოამბეში" გამოქვეყნდა პატარა მოთხრობა სათაურით ,,ნინონასათვის ნათქვამ ზღაპრებიდან", ,,სისხლი", რომელიც რედაქციისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო სრულად არ დაბეჭდილა. მისი სრული თარგმანი შესრულებულია თედო სახოკიას მიერ.

60-იან წლებში ზოლა განიცდის ძმები კონგურების გავლენას. ამ გავლენის უშუალო ნაყოფია მისი რომანი ,,ტერეზა რაკენი" (1868წ.), რომლითაც ზოლას შემოქმედებაში იწყება ახალი ეტაპი. ამავე პერიოდში ზოლა ქმნის ნატურალისტური რომანის თეორიას, ე.წ. ექსპერიმენტულ მეთოდს. ჯერ ,,ტერეზა რაკენის" წინასიტყვაობაში, ხოლო შემდეგ კი ცაკლეულ სტატიებში ზოლამ მოგვცა თავისი ახალი მეთოდის დასაბუთება. ,,რაში მდგომარეობდა ზოლას ახალი მიმართულება? ზოლას მიზანია ხელოვნება მეცნიერებად გადააქციოს, ხელოვნება უტყუარ და ჭეშმარიტ საფუძველზე დაამკვიდროს, მეთოდი ბუნების მეტყველებისა ზოლამ ხელოვნებაში გადაიტანა და გამოაცხადა: ,,რომანისტი არ უნდა გასცილდეს ფაქტებს, ცხოვრების დაკვირვებულ შესწავლას. დაკვირვება და ექსპერიმენტი მისი ერთად-ერთი იარაღია" (,,კვალი" 1901, N51).

როგორ იყენებდა ზოლა თავის მეთოდს? რომანის დაწერამდე ზოლა კრებდა მასალებს, მათი შესწავლის შემდეგ კი თხზავდა სხვადასხვა დამოკიდებულებას თავისი გმირებისათვის და ასე გამოჰყავდა ისინი სამოქმედო ასპარეზზე. ამას უწოდებდა ზოლა ექსპერიმენტს, მთელ ნაწარმოებს ექსპერიმენტულ ანუ ნატურალისტურ რომანს. ზოლა მწერლისაგან სინამდვილის ობიექტურ ასახვას მოითხოვს. ხელოვნების მნიშვნელობას იგი სარგებლობაში ხედავს, ე.ი. ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და ადამიანის ზნეობრივ ამაღლებაში. ზოლა ყოველი ნაწარმოების შექმნისას ამ მიზანს ითვალისწინებდა.

ზოლამ სიტყვა ,,ნატურალიზმი" პირველად იხმარა რომანში ,,ერთი სიყვარულის ისტორია". ამ რომანმა დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კრიტიკოსთა შორის. გაზეთმა ,,ფიგარომ" პირდაპირ განაცხადა, რომ ამგვარ რომანებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ლიტერატურაშიო, მაგრამ ახალგაზრდა მწერალი არ ფიქრობდა შეეცვალა თავისი გზა. მას უნდოდა ნატურალისტური თეორიის მიხედვით დაეწერა ნაწარმოებები გარყვნილებითა და ალკოჰოლიზმით შეპყრობილი ერთი ოჯახის შესახებ. ეს იყო ,,რუგონ-მაკარების" ოცტომიანი სერია, რომლის გეგმა ზოლამ 1804 წელს შეადგინა. 8 თვის განმავლობაში აგროვებდა ზოლა მასალებს. მან სპეციალურად შეისწავლა ფიზიოლოგია და ზოგიერთი თხზულება მემკვიდრეობის შესახებ. დამატებითი ცნობების შესაკრებად იგი თვითონ დადიოდა ბაზრებსა და ღარიბთა უბნებში, სტუმრობდა გარყვნილ ქალებს (,,ნანაზე" მუშაობის დროს), იკვლევდა ისტორიულ ადგილებს. ,,რუგონ-მაკარების" გამოცემა დაიწყო 1870 წელს და დასრულდა 1893 წელს. ეს სერია ნაპოლეონ მესამის დროინდელი ცხოვრების საუკეთესო ისტორიაა. ამ სერიის შემდეგ ზოლა აქვეყნებს ტრილოგიას ,,სამი ქალაქი", ,,ლურდი", ,,რომი", ,,პარიზი", სადაც ამტკიცებს, რომ კათოლიციზმი იმ დროისათვის უკვე დრომოჭმულ მოვლენას წარმოადგენდა, რომელიც ვეღარ აკმაყოფილებდა ადამიანის სულსა და გულს. ახალ სარწმუნოებას ზოლა მეცნიერებაში ხედავს. ტრილოგიას მოჰყვა ,,ოთხთავი", ,,ნაყოფიერება", ,,შრომა", ,,ჭეშმარიტება" და ,,სამართლიანობა".

ზოლას ნაწარმოებების უმთავრესი და თითქმის ერთადერთი თემაა მისი თანამედროვე საფრანგეთის ცხოვრების აღწერა. ზოლა დაიბადა და გაიზარდა ბურჟუაზიულ წყობილებაში. ბურჟუაზიული ცხოვრების მახინჯი მხარეები მან საკუთარი თვალით ნახა და გამოსცადა.

,,ზოლა თავის გარშემო ხედავდა ერთის მხრით გარყვნილ არისტოკრატოკრატიას და ფულით გაუმაძღარ ბურჟუაზიას, რომელთაც ,,საფრანგეთის რევოლუციის მიერ ნაანდერძევი ძმობა სასაცილოდ აეგდოთ, სამართლიანობა და პატიოსნება ფეხქვეშ გაეთელათ, რომელნიც ცხოვრების მიზანს მხოლოდ ფუფუნებასა და გარყვნილებაში ხედავდნენ და მრავალ უმანკო არსებებს, რომლებსაც სრული უფლება ქონდათ ბედნიერი ყოფილიყვნენ, შეუბრალებლად მსხვერპლად წირავდნენ თავის გახრწნილებას“(,,კვალი“, 1901, N51).

,,თანამედროვე ცხოვრების მსხვერპლთ ზოლა ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხდებოდა და მან განიზრახა ხმა აემაღლებინა ცხოვრების გასაწმენდათ; ბილწთა ასალაგმავად და ჩაგრულთა დასაცავად. მან თავის რომანებში საუცხოვო და უტყუარი სურათები შექმნა თანამედროვე საფრანგეთის ცხოვრებისა და რა თქმა უნდა ასეთი მწერლის წინააღმდეგ ენერგიულად გაილაშქრებდნენ საფრანგეთის რეაქციული წრეები. ზოლას ბევრი მოწინააღმდეგე და მომხრეც გაუჩნდა. აკადემიკოსები ზოლას კიცხავდნენ იმის გამო, რომ თითქოს მან გარყვნილება შეიტანა მწერლობაში. სამაგიეროდ საზოგადოების ფართო ნაწილი გატაცებით კითხულობდა მის რომანებს. ზოლას რომანები 100 და 200 ათასობით იყიდებოდა და ითარგმნებოდა სხვა ენებზე“ (,,ცნობის ფურცელი“ 1902წ. N1931).

,,ზოლა ჯერ იმდენად არ იყო ცნობილი, როდესაც წიგნის გამომცემელმა შარპანტიემ, რომელმაც კარგად დაინახა მისი ნიჭი, ხელწერილი ჩამოართვა ემილი ზოლას. ამ ხელწერილის თანახმად, ზოლას მისთვის წლის განმავლობაში ორი ხელნაწერი უნდა მიეტანა და ამისთვის თვეში 500 ფრანკს მიიღებდა.ამ პირობის შემდეგ შარპანტიემ გამოსცა ,,პარიჟის სტომაქი“, ,,პლასანის დაპყრობა“, ,,აბატ მურეს დანაშაული“. ზოლას თხზულებანი ხელსატაცებელი გახდა და ზოლა ნანობდა, ასეთი პირობის ქაღალდი რისთვის მივეცი შარპანტიესო“ (,,ივერია“, 1893წ. N152).

ნაწილმა მწერლებისამ და თითქმის მთელი ევროპის საზოგადოებრიობამ, უდიდეს რომანისტად აღიარეს ზოლა, თუმცა საფრანგეთის ,,უკვდავთა აკადემიას“ დღესაც არ მიაჩნია იგი თვალსაჩინო მწერლად (,,ცნობის ფურცელი“, 1902, N1931) – წერდა გაზეთი ,,ცნობის ფურცელი“.

მართალია საფრანგეთში ზოლა აკადემიის წევრობის ღირსად არ სცნეს, მაგრამ სამაგიეროდ მას დიდი დაფასება ჰქონდა სამშობლოს საზღვრებს გარეთ.

ქართული საზოგადოება ზოლას იცნობს როგორც სიმართლისათვის მებრძოლ საზოგადო მოღვაწეს. ისტორიაში ცნობილი დრეიფუსის საქმით ზოლამ არა მარტო პიროვნება, არამედ მთელი საფრანგეთი იხსნა საფრთხისაგან. ,,მან ხელიდან გამოჰგლიჯა სამშობლო იმ უთვალავ კონსერვატორ-კლერიკალებს, რომელნიც სვავ-ყორნებივით დაჰხვეოდნენ და რეაქციისკენ მიაჭენებენ საფრანგეთს“ (,,ცნობის ფურცელი“, 1902, N1931).

საფრანგეთ-პრუსიის ომმა, შემდეგ პარიზის კომუნამ და მისმა დამარცხებამ დიდი არეულობა შექმნა ქვეყანაში. ნაციონალური კრების რეაქციული უმრავლესობა მონარქიის აღდგენას მოითხოვდა. მათ მხარს უჭერდა კათოლიკური ეკლესია. მთავრობის ხელმძღვანელი ტიერი, მიუხედავად იმისა, რომ თავად მონარქისტი იყო, შიშით უყურებდა მონარქიის აღდგენას, რადგან ეს ცდა შეიძლებოდა ხალხის აფეთქებისა და კომუნის განმეორების სიგნალი გამხდარიყო. 1875 წელს საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. ამის შესახებ გაზეთ ,,ფიგაროს“ ერთ-ერთ ნომერში ზოლა წერდა: ,,ჩემს სიცოცხლეში ორი რესპუბლიკა ვნახე; ერთი მათგანი ივლისის მონარქის შედეგი იყო, ხოლო მეორე – მეორე იმპერიას მოჰყვა. პირველი რესპუბლიკის დროს მეტად ყმაწვილი ვიყავი, სამაგიეროდ ნათლად ჩამრჩა ხსოვნაში ის ენთუზიაზმი, რომელიც მან დაჰბადა, – ის დიდი იმედები, რომელიც მას ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალივით მოჰქონდა თანა. შემდეგ მოვესწარი 4 ოქტომბერსაც. ორსავე დროს

ფსიქოლოგია ერთი და იგივე იყო. ერთი და იგივე ცვლილებები იყო მოსალოდნელი“. („ივერია, 1895 წ., N279 ზოლას აზრი საფრანგეთის რესპუბლიკის შესახებ).

რესპუბლიკის მტრებს არც ახლა ეძინათ და ყოველნაირად ცდილობდნენ ჩირქი მოეცხოთ რესპუბლიკისათვის. ამის გამო ზოლა წერდა: „რესპუბლიკის მოწინააღმდეგეებს რესპუბლიკა ყოვლად წმინდა და ჩირქმოუცხებლად წარმოედგინათ. თანახმა ვარ, რომ საფრანგეთის პატიოსნება თეატრ „Ambigu“-ს სალოცავ პრიმადონას უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც ვერცერთი მაყურებელი ვერ შესწამებს ცუდს ვერაფერს. მაგრამ გამოტყდით, რომ ჩვენს შორის, ამ ცოდვილს ქვეყანაზე, არავითარი საქმე არ იქმნებოდა შესაძლებელი, რომ მათის აღსრულებისათვის მელოდრამული ქალწულობისა და პატიოსნების გამოყენებული წარმოდგენებით ვხელმძღვანელობდეთ“ („ივერია“, 1895, N279).

მაგრამ მესამე რესპუბლიკამ არ გაამართლა ხალხის იმედი. ეს იყო წმინდა ბურჟუაზიული რესპუბლიკა. მან სულ მალე გამოამჟღავნა თავისი ე.ი. მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების წარმომადგენლების კლასობრივი ბუნება. მწვავდება მდგომარეობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. თვით რესპუბლიკელთა პარტიის რიგებშიც განხეთქილება იჩენს თავს. ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმში იმედგაცრუებული ზოლა წერდა: „რესპუბლიკას, რომელმაც „თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობის'' პრინციპებისათვის თავისი ნებით დაჰყარა იარაღი, ძვირად უჯდება ის გარემოება, რომ კაცობრიობა ჯერ კიდევ კაცობრიობად დარჩა, მთლად თავისი ნაკლითა და იარებით“ („ივერია“, 1895წ. N279).

ამ საკითხს მიუძღვნა ზოლამ 1880-81 წლების პუბლიცისტური წერილების კრებული. ამგვარმა არეულობამ ხელი შეუწყო ქვეყნის შიგნით რეაქციული ელემენტებისა და გარეშე მტრების გამოცოცხლებას. პრუსიამ, რომელმაც მიაღწია გერმანიის გაერთიანებას, ახლა საფრანგეთის მიწების ხელში ჩაგდება მოისურვა. პარიზში, გერმანიის საელჩოში შემთხვევით იპოვნეს ბარათი, რომელიც მოწმობდა, რომ საფრანგეთის ერთ-ერთ ოფიცერს კავშირი ჰქონდა გერმანიის ორ სამხედრო წარმომადგენელთან და მათ სამხედრო საიდუმლოებებს აწვდიდა. ბორდერო ასე იწყებოდა: „Cette canaille de D“ (ეს საძაგელი დ...) ბორდეროს ხელნაწერი ერთ-ერთი ოფიცრის, გრეიფუსის ხელნაწერად მიიჩნიეს. დრეიფუსი დააპატიმრეს და 1894 წელს გადაასახლეს ეშმაკის კუნძულზე. იმავე წლის მაისის თვეში პოლკოვნიკმა პიკარმა (როგორც ეს მისი ჩვენებიდან ირკვევა) სრულიად შემთხვევით ხელთ იგდო ერთი წერილი, რომელიც მაიორ ესტერჰაზთან უნდა გაეგზავნათ. პიკარმა ამ ხელნაწერსა და ბორდეროს შორის მსგავსება დაინახა და სწორედ ამიტომ ორივე საბუთი ცნობილ ექსპერტს, ბერტელონს წარუდგინა, რომელმაც სავსებით დაადასტურა პიკარის მოსაზრება. ცხადი იყო, რომ ბარათისა და ბორდეროს ავტორს ერთგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან. პიკარმა გააგრძელა ძიება და მართლაც, დანაშაულის ყველა გზამ ესტერჰაზთან მოიყარა თავი. პიკარი გენერალ გონზისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „მრავალმა ახალმა საბუთმა მე დამარწმუნა, რომ 1894 წლის განჩინება შეცდომაა. სხვები ამაზე დიდ ალიაქოთს ასტეხენ და ჯობს სიმართლე ახლავე გამოირკვეს, თუ არა, იცოდეთ დიდი სკანდალი მოგველის“ („კვალი“, 1898წ. N10).

პიკარმა და გონზმაც კარგად იცოდნენ თუ რას ნიშნავდა ასეთი საქმის წამოწყება და გონზმა ერთხელ კიდეც ურჩია პიკარს თავი დაენებებინა ძიებისათვის. სასამართლო შედგა, მაგრამ ესტერჰაზმა ათასი ხრიკების და კერძოდ „document liberateur“-ის (განმათავისუფლებელი საბუთის) წყალობით შეძლო გაქცეოდა პასუხისმგებლობას. პიკარი, თავიდან რომ მოეცილებინათ, დააპატიმრეს და აფრიკაში გადაასახლეს. ცხადია თავად მართლმსაჯულებამ მოითხოვა მართალი ადამიანის გამტყუნება და დამნაშავის გამართლება. ესტერჰაზის გამართლება აშკარა ძალმომრეობა იყო, რომელმაც ყოველი პატიოსანი ადამიანი აღაშფოთა. მართლმსაჯულების ასეთი აღვირახსნილობის გამო ცხადია ხმას აიმაღლებდა

საფრანგეთის ჭეშმარიტი შვილი, იმ დროისათვის უკვე სახელგანთქმული მწერალი ემილ ზოლა. მან მთავრობის, მხედრობისა და მართლმსაჯულების ძალადობა ამხილა. ზოლამ განაცხადა: ,,ბრალს ვდებ (I'accuse) მეორე სამხედრო სამართალს, რომელმაც გაასამართლა ესტერჰაზი და მით განზრახ ხელი დააფარა წინეთ, 1894 წელს ჩადენილ უსამართლობას დრეფუსის საქმეში" (,,კვალი", 1891, N9).

,,ვინ არის ზოლა?" – წერს გაზეთი ,,კვალი", – ზოლა არის ის, რომელმაც თავის რომან ,,ფულში" ბუჟუაზიული წყობილება სასტიკ კრიტიკის დარჯავში გაატარა, ,,ჟერმინალში" მომავალი წყობილება ქვეყანას აუწყა, ,,ლურდში" კლერიკალური სასწაულმოქმედება უბრალო ,,ფოკუსათ" დასახა და ბოლოს ღენერლობის ძალადობას შეებრძოლა. მაშასადამე ყველა ეს ზოლას წინააღმდეგ უნდა შეერთებულიყო. ბურჟუაზია, ბიუროკრატია, კლერიკალები და მხედრები – აი, ვინ გამოვიდნენ ზოლასთან საბრძოლველად" (იქვე).

კაპიტანი დრეიფუსი ისე დასაჯეს, რომ თავის მართლების საშუალებაც არ მისცეს, არც მას და არც მის ვექილს არ უჩვენეს საიდუმლო ბარათი, რის საფუძველზეც იგი დააპატიმრეს. ,,მაშასადამე, – ამბობს ზოლა,-დაირღვა უფლება ადამიანისა, საფრანგეთში დაირღვა კანონი" (,,ივერია", 1898, N32).

ზოლა სამართალში მისცეს. მთავრობამ უმაგალითო ძალდატანება გამოიჩინა ნაფიც მსაჯულებზე. გენერალმა პელიემ სასამართლოზე განაცხადა: ,,თუ თქვენ ზოლა გაამართლეთ, ატყდება ომი და თქვენი შვილები გაგზავნილ იქნებიან საომრადო" (,,კვალი", 1898, N10). ეს ხომ მართლმსაჯულების აშკარა გათელვა იყო. მთავრობამ ისე აიყოლია ხალხის გარკვეული ნაწილი, რომ ქუჩებში გაჰკიოდნენ ,, à bas'' და ,, à L'eau'' ზოლა! აქედან ადვილი წარმოსადგენია, როგორ დააბრმავეს საზოგადოება.

როგორც გაზეთი ,,კვალი" გავამცნობს, ,,მთავრობამ მართლმსაჯულებაში, სამართალში პარტიობა შეიტანა, იქ პოლიტიკა გადაიტანა და ეს მეტად საშიშია ყველგან და განსაკუთრებით იქ, სადაც პარტიათა ბრძოლა გამწვავებულია. ასე გასინჯეთ, თვით სასამართლო, სადაც საქმე მიუდგომლად უნდა გარჩეულიყო, თავიდანვე ისეთ გზას დაადგა, რომ ყველა გაოცებაში მოდის და ასეთმა უკიდურესმა მიდგომილებამ და ცალმხრივობამ ძალაუნებურად ათქმევინა ზოლას: ,,ვთხოვ სასამართლოს, რომ მე მომენიჭოს ის თავისუფლება თავის დაცვისა, რომელიც მკვლელებს და ქურდებს ენიჭება ხოლმეო", რაც იმას ამტკიცებს, რომ მარტო ჩვენში არ ყოფილა ძალა აღმართის მხვნელი".

ზოლას სიტყვები აშკარად მეტყველებენ თუ რა პირობებში უხდებოდა მას სასამართლო პროცესზე გამოსვლა. ცხადია, როცა ყველა ერთის წინააღმდეგ გაერთიანდა, ზოლას გაამტყუნებდნენ. მას ერთი წლით პატიმრობა და ჯარიმის გადახდა მიუსაჯეს. პატიმრობისგან თავის დასაღწევად ზოლა ინგლისს მიემგზავრება. ამ გარემოებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია არა მარტო საფრანგეთის, არამედ ყველა ქვეყნის პატიოსან ადამიანში. ინგლისის გაზეთები, მიუხედავად მათი სხვადასხვა მიმართულებისა, აშკარად იცავდნენ ზოლას. კონსერვატიული გაზეთი ,,Standard"-ი წერდა: ,,მთავრობას, სასამართლოს თავმჯდომარეს, ბრალდების მოწმეთ ერთი მხარე ეჭირათ და იმდენი ეცადეს, რომ მართლმსაჯულება დააკოჭლეს, დააყრუეს და დააბრმავეს"... იმავე დროს გაზეთი ,,Daily Mail" წერდა: ,,ზოლა ერთი წლით საპატიმროში წავა, ხოლო საფრანგეთი ამოფხეკავს თავის სახელს განათლებული ქვეყნების სიიდან, ვიდრე არ მოიშორებს, არ გამოფხიზლდება და არ მიხვდება რამდენად უმართებულო იყო ეს სასამართლოს მანქანები". იგივეს მეტყველებან ლიბერალური გაზეთები. ,,Daily News"-ი წერდა: ,,განაჩენი სასტიკი და ბარბაროსულია... თავმჯდომარე ადმინისტრაციის საცოდავ იარაღად იყო გადაქცეული. სამხედრო მოწმეთა ყოფაქცევა ჩირქსა სცხებდა როგორც სასამართლოს, აგრეთვე

თვით მეომართაც. ამ განაჩენით სამხედრო ძალამ განაჩენი დაიქვემდებარა" („ივერია", 1898წ. N56).

ზოლას ყველა განათლებული ქვეყნის ჟურნალ-გაზეთი გამოეხმაურა. ისინი ქება-დიდებითა და ღრმა პატივისცემით იხსენებდნენ მას და ყოველი კუთხიდან გამამხნევებელ წერილებს უგზავნიდნენ. ზოლა თამამად წარსდგა სასამართლოს წინაშე, რითაც კიდევ ერთხელ დაუდასტურა ყველას თავისი მხნე ბუნება და მხურვალე პატრიოტიზმი: „ჩემი პიროვნება ამ საქმეში არაფერს ნიშნავს, მე მზადა ვარ თავი მსხვერპლად დავდო. მე მხოლოდ ერთი საგანი მქონდა და ეს საგანი ის იყო, რომ თქვენ ხელთ ყოფილიყო მარტო ჯარისა კი არა, მთელი საფრანგეთის ერის სახელისა და პატიოსნების დაცვა. მე ვეძიებდი სინათლეს. ეს ჩემი გულითადი სურვილი იყო და არის. მაგრამ აქ თქვენ წინაშე ნება არ მოგცეს, რომ ეს სიმართლე სავსებით გამოგვეაშკარავებინა. თქვენ ბ-ნო მოსამართლენო, წარმომადგენელნი ხართ იმ დიდის პარიჟისა, სადაც მე დავიბადე, რომელიც განუსაზღვრელად მიყვარს, რომელიც დაწვრილებით შვისწავლე და რომელშიც ორმოცი წელიწადია ვმუშაობ. მე სრულიად არ მსურთ თავის დაცვა. მე მხოლოდ სიმართლეს ვეძებ. თუ დამსჯით, ამით დამცირების ნაცვლად, ერთი ორად უფრო ამამაღლებთ. სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის დასჯილნი მუდამ ამაღლებულან. შემომხედეთ ბ-ნო მოსამართლენო, ნუთუ მე გამყიდველის სახე მაქვს, სახე მატყუარისა, მოღალატისა? რა მაღლვებს მე? რამ გამომადებინა თავი? მე არც საპოლიტიკო მოღვაწე ვარ, არც რომელიმე დასს ვეკუთნი. მე ვარ თავისუფალი მწერალი, რომელმაც მუშაობაში გაატარა სიცოცხლე და რომელიც ხვალ ისევ ამ მუშაობას დაუბრუნდება. მთავრობას უნდა, რომ მე დამსაჯონ, რადგანაც სამშობლო განსაცდელში ვნახე და სიმართლისთვის ხმა ამოვიღე. დამსაჯეთ! მისი წუხილი არა მაქვს. იმ მრავალ შცდომას ამით ერთსაც მიუმატებთ. მე მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ ჩემი დასჯით სიმშვიდეს ვერ ჩამოაგდებთ, სამშობლოს ვერ დააწყნარებთ, არამედ უფრო ააღელვებთ და ააშფოთებთ. ჩვენ გვსაყვედურობენ, სამშობლოს აღელვებენო! ჩვენ კი არ ვაღელვებთ, ისინი აღელვებენ, ვინც სიმართლეს ხელს აფარებს.

ყველგან გაისმის დრეიფუსის საქმეო! არა ბატონებო, დრეიფუსი და მისი საქმე აღარსად მოჩანს. ეხლა სულ სხვა რამ არის გამოსარკვევი და დასამტკიცებელი. ეხლა უნდა გავიგოთ საფრანგეთი ის საფრანგეთია, სადაც ყოველთვის დაცული იყო კაცის უფლება? ის საფრანგეთი, რომელმაც თავისუფლების, სიმართლის და პატიოსნების დროშა ააფრიალა? არის თუ არა ჩვენი ერი ისევ ისე ყველაზე თავისუფალი, ყველაზე უფრო ძმათა მოყვარული და ყველაზე უფრო გულუხვი ერი, როგორც წინათ იყო? თქვენს ჭეშმარიტსა და სიმართლით აღსავსე მსჯავრს ბ-ნო მოსამართლენო ამის დამტკიცება შეუძლია. ხოლო თუ თქვენც სიბნელეს სიბნელე მიუმატეთ, მაშინ საქმე ერთი ორად უფრო გაძნელდება და საფრანგეთის სახელი უფრო დამცირდება. მარტო მე არა ვარ ამ აზრისა. ბევრი უხცო ერიც კი ჩვენსავით ჰფიქრობს. იქნება ჰფიქრობდით და მოელოდით ბატონებო, რომ დრეიფუსის გამამართლებელი საბუთები ზემოდან ჩამოვარდნენ. ყველამ კარგად იცის, დრეიფუსი დამნაშავეა თუ არა...

ვფიცავ ყველაფერს, რომ დრეიფუსი დამნაშავე არ არის. მე ვფიცავ თქვენს, ერის წარმომადგენელთა წინაშე, ამ სიმართლის ტაძარში, ვფიცავ ჩემს პატიოსნებას, ჩემს სიცოცხლეს, ვფიცავ იმ ორმოც წელს, რომელიც მე მუშაობაში გავატარე, რომ დრეიფუსი მოღალატე არ არის. ყველანი ჩემი წინააღმდეგნი არიან: პარლამენტი, სასამართლო, სამხედრო მთავრობა, გაზეთები და უმიზეზოდ აღელვებული საზოგადოება, მაგრამ მე ამას არ შევუშინდები, ის მანუგეშებს, რომ სიმართლეს, ჭეშმარიტებას ვეძიებ და ამიტომ დამშვილებული ვარ.

მე მინდოდა, რომ ჩემი სამშობლო უსამართლობასა და სიცრუეს ამეცდინა. შეგიძლიათ ახლა დამსაჯოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ოდესმე საფრანგეთი მადლობას მეტყვის: მე იმისი პატიოსნება დავიცავი."(„ივერია'', 1898წ. N44) – ასე დაამთავრა ზოლამ თავისი სიტყვა.

სავსებით სამართლიანი იყო, როდესაც სიმართლისათვის დაუღალავ მებრძოლსა და თვალსაჩინო რომანისტს, ემილ ზოლას, მისმა თანამედროვე ფრანგმა მწერალმა ანატოლი ფრანსმა ,,კაცობრიობის სინდისი'' უწოდა.

დრეიფუსის პროცესით ზოლამ ყველას დაუმტკიცა, რომ იგი საფრანგეთის ჭეშმარიტი შვილი იყო. ,,მე იტალიელს მეძახდნენ, ნამდვილად კი საფრანგეთში აღვიზარდე და იტალიაში პირველად მხოლოდ მაშინ ვიყავი, როდესაც 54 წლისა შევსრულდი, ისიც მასალების შესაკრებად. ნუთუ ის 40 ტომი, რომელიც მე დავწერე და რომელსაც ჩემი სიცოცხლე შევწირე, არ ამტკიცებს, რომ ფრანგი ვარ და საფრანგეთის დიდებისა და სახელისათვის ვმუშაობ?'' (იქვე)

დრეიფუსის საქმემ დიდი მღელვარება გამოიწვია ყველა ქვეყანაში. საქართველო ამ პერიოდისათვის უკვე კარგად იცნობდა ემილ ზოლას და ქართული საზოგადოებრიობა დიდ თანაგრძნობას იჩენდა მისდამი. 1898 წელს ქართული ჟურნალ-გაზეთები თითქმის ყოველდღიურად აქვეყნებდნენ პროცესის მიმდინარეობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთების ,,კვალისა" და ,,ივერიის" გამოძახილი. კერძოდ ,,ივერიამ" თორმეტამდე წერილი უძღვნა დრეიფუსის პროცესს. გაზეთი ,,კვალი" ერთ-ერთ თავის წერილში აღშფოთებული წერდა: ,,ღენერალმა ბუადეფრმა (საფრანგეთის შტაბის უფროსმა) განაცხადა: ,,...თუ თქვენ ზოლა გაამართლეთ, მთელი შტაბი სამსახურიდან გამოვაო". განა ასეთი მუქარა არ მოწმობს რეაქციონულ პარტიათა სრულ ზნეობრივ დაცემას? ეს არის მართლმსაჯულება?არა და ათასჯერ არა. ეს ძალადობა, თავის აგდება, უსირცხვილო მიდგომა და პარტიობაა და სხვა არაფერი და ან რომელი მსაჯულნი გაუძლებდნენ ამდენ მუქარას ქვეყნის მეთაურთა და მმართველთა? გაამტყუნეს ზოლა. საქმე იმაში კი არ არის დრეიფუსია თუ ესტერჰაზი დამნაშავე. არა, ეს ახლა მეორე ხარისხოვანია. საქმე თვით პრინციპშია, მართლმსაჯულების გათელვაშია" (,,კვალი", 1898, N10).

ზოლამ, როგორც პატრიოტმა და სიმართლისათვის დაუღალავმა მებრძოლმა პარიზის სინდიკატის მუშებისაგან 31 ოქტომბერს საჩუქარი მიიღო დრეიფუსის საქმის გამო. ეს იყო ქანდაკება, რომელიც გამოხატავდა სიმართლის გამარჯვებას. ჭეშმარიტება გამარჯვებული სახით ამოდის ბნელი ჭიდან, სადაც იგი მილიტარიზმს და კლერიკალიზმს ჩაუგდიათ. მილიტარიზმის სახით გამოქანდაკებულია ოფიცერი, ხოლო კლერიკალიზმის სახით კი აბატი. აბატი ლოცულობს, ოფიცერი კლდეს ებღაუჭება, მაგრამ ჭეშმარიტება ზიზღით და ხელის კვრით იგერიებს მათ და თვალები მზის სხივებით მოლაპლაპე მომავალ ჰორიზონტისკენ მიუპყრია" (,,კვალი", 1899, N50).

ქანდაკებას მიმაგრებული ჰქონდა ვერცხლის ფირფიტა წარწერით: ,,შეერთებული მოწმეები გონებისა და მუსკულის შრომისა. ემილ ზოლას". ქანდაკება შესრულებული იყო მუშის, ედუარდ ბომეს მიერ. როცა საჩუქარი მიართვეს მწერალს, მან აღფრთოვანებულმა მიმართა მუშებს: ,,დიახ, ეს მშვენიერება რამ არის, საუცხოვო! დავდგამ ამ საჩუქარს გამოჩენილ ადგილას და იგი განსაკუთრებით მომაგონებს ხოლმე იმ როლს, რომელიც მუშათა პარტიამ შეასრულა ჩვენს მიერ მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის სახელით აღძრულ ბრძოლაში. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ ეს მხოლოდ თქვენი მეოხებით, მეგობრებო, თქვენი პარტიის შემწეობით და მე აუწერელ ბედნიერებას ვგრძნობ ამის გამო, რომ თქვენ, ე.ი. მუშებს და ჩვენ, ე.ი. მეცნიერებსა და პოეტებს შორის მჭიდრო ურთიერთობა მყარდება"(იქვე).

დრეიფუსის საქმის შემდეგ ზოლა წერს რომანს ,,სიმართლე", რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. ეს რომანი მისი ოთხთავის უკანასკნელი ნაწილი იყო.

1891 წელს გაზეთ ,,ივერიაში" გამოქვეყნდა წერილი ,,ემილ ზოლა – მქადაგებელი ომიანობისა და ძალმომრეობისა". წერილის ავტორია ვინმე პ.ნ.ობნინსკი, რომელიც ცდილობდა ზოლა მალთუსიანელად გამოაცხადოს. წერილი მეტყველებს ავტორის სუბიექტურ

განწყობილებაზე ზოლას მიმართ. ასეთი მცდარი შეხედულების სრული უარყოფაა ზოლას მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო სხვადასხვა სახელმწიფოთა კორესპოდენტთა სადილზე: ,,მწერლობას, ხომ საფიქრებელია, ძალუძს მოითხოვოს იარაღის აყრა. ამიტომ ვსვამ სადღეგრძელოს კეთილს ამხანაგობისას ყოველ ერთა შორის დედამიწის ზურგზედ და საერთო მშვიდობიანობისას (,,ივერია", 1893წ. N254).

ქართველი საზოგადოება აფასებდა ზოლას არა მარტო როგორც საზოგადო მოღვაწეს, არამედ როგორც შესანიშნავ მწერალს. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩნდება ემილ ზოლას ნაწარმოებთა პირველი ქართული თარგმანები. 1877 წელს გაზეთი ,,დროება" აქვეყნებს ემილ ზოლას მოთხრობას ,,საფრანგეთის სამღვდელოება". ეს იყო ზოლას პირველი მოთხრობა ქართულ ენაზე. როგორც თვით გაზეთის რედაქტორის (ს.მესხის) შენიშვნიდან ჩანს, თარგმანი შესრულებულია რუსული ტექსტიდან. ცოტა ხნის შემდეგ ჩნდება ფრანგული ენიდან შესრულებული თარგმანები. ასეთია 1882 წელს გაზეთ ,,დროებაში" გამოქვეყნებული ანასტასია თუმანიშვილის თარგმანი ემილ ზოლას მოთხრობისა ,,თილისმის სარკე", რომელსაც 1883 წელს მოჰყვა ილ.ბახტაძის თარგმანი ,,სიკვდილი ოლივიე ბეკაილისა". ზოლას ნაწარმოებებით დიდადაა დაინტერესებული გაზეთი ,,ივერია", რომელიც 1890 წელს აქვეყნებს მოთხრობას ,,ნანეტა", რომელსაც თან ახლავს მთარგმნელის შენიშვნა, სადაც ნათქვამია, რომ ეს მოთხრობა ზოლას პირველი ნაწარმოების, რომელიც შემდეგ მან დიდ რომანად გადააკეთა და დაარქვა ,,ძაღლებისადმი მიგდებული ლუკმა" (,,ივერია", 1890, N237). მთარგმნელის აზრით მოთხრობის გმირი თავად ზოლაა. ,,ნანეტას" მოჰყვა 1891 წელს მოთხრობა ,,სათითე თუ ბრილიანტები", ხოლო 1898 წელს კი მოთხრობა ,,ცუდად ყოფნა". სამივე თარგმანი შესრულებულია ვინმე ორ-იანის მიერ. თარგმანებს ეტყობათ რუსული ტექსტების გავლენა.

ზოლას ნაწარმოებთა განსაკუთრებით კარგი თარგმანები გამოაქვეყნა ჟურნალმა ,,მოამბემ". ასეთ თარგმანთა რიცხვს მიეკუთვნება 1894 წელს დასტამბული მოთხრობა ,,წარღვნა" შესრულებული ივ.მაჭავარიანის მიერ და 1897 წელს გამოქვეყნებული მოთხრობები ,,გამარჯვება ჩვენია" და ,,სისხლი", შესრულებული თედო სახოკიას მიერ. შეცვლილი სათაურითაა წარმოდგენილი მოთხრობა ,,გამარჯვება ჩვენია", რომლის ნამდვილი სათაურია ,,წისქვილის დარბევა" (L'attaque du moulin). ეს მოთხრობა ისეთი დიდი მოწონებითა და სიყვარულით სარგებლობდა, რომ ოპერაც დაიწერა მის მიხედვით და დაიდგა პარიზში. გაზეთ ,,ივერიის" თეატრის მცოდნე გვაუწყებს: ,,ამას წინათ პარიზის საოპერო თეატრში წარმოადგინეს ახალი ოპერა ჰალევისა ,,იერიშით მისვლა წისქვილზედ". შინაარსი იმ ოპერისა გადმოკეთებულია ზოლას ერთი მოთხრობიდან, რომელსაც იგივე სათაური აქვს" ( ,,ივერია", 1890, N237).

იგივე გაზეთი გვაუწყებს, რომ ,,პეტერბურგის თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნა ახალი პიესა ,,ჟაკ ლამური", რომელიც ემილ ზოლას იმავე სათაურის მოთხრობიდან არის გადმოკეთებული".

1903 წელს, ემილ ზოლას გარდაცვალების შემდეგ გაზეთი ,,ცნობის ფურცელი" აქვეყნებს მისი მოთხრობის თარგმანს ,,მარხვა". თარგმანი შესრულებულია თედო სახოკიას მიერ. საგულისხმოა, რომ 1913 წელს ქ.გორში ცალკე წიგნად დაიბეჭდა ემილ ზოლას რომანი ,,მაღაროებში მომუშავენი". რომანი ქართულად თარგმნა ვანო ავალიშვილმა. თარგმანს წინ უძღვის მთარგმნელის წერილი ემილ ზოლას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ,,მაღაროებში მომუშავენი" მეორედ 1928 წელს დაიბეჭდა. 1942 წელს გამოქვეყნდა იროდიონ ქავჟარაძის თარგმანი ,,წისქვილის დარბევა", რომელიც მის წინამორბედ თარგმანებთან შედარებით საუკეთესოა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ემილ ზოლას რომანის ,,ფულის" თარგმანი, რომელიც მწერლის გარდაცვალებიდან 50 წლისთავზე გამოიცა. თარგმანი ეკუთვნის

ნ.ქადეიშვილს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართველი კრიტიკოსები არჩევდნენ ზოლას ნაწარმოებებს და გამოჰქონდათ დასკვნები. აღსანიშნავია 1896 წლის ჟურნალ ,,მოამბეში" კიტა აბაშიძის წერილი ი. ჭავჭავაძის პოემის ,,განდეგილის" შესახებ, რომელშიც ავტორი ამ პოემის განხილვის შემდეგ ეხება გ.ფლობერის ,,წმინდა ანტუანის ცდუნებას", ზოლას ,,აბატი მურეს შეცოდებას" და ,,ლერმონტოვის ,,მწირს". რადგან არსებობდა აზრი, რომ თითქოს ილია ჭავჭავაძემ დასავლეთ ევროპის ლიტერატურის გავლენით დაწერა თავისი ნაწარმოები, ამ აზრის უარსაყოფად კრიტიკოსს მოჰყავს ძველი ქრისტიანული ლეგენდის ,,წმინდა მარტინიანის" შინაარსი, რომლის მიხედვითაც ააგო ილიამ თავისი პოემა, ხოლო შემდეგ ეხება ოთხივე ნაწარმოებს და ცდილობს დაამტკიცოს ილიას პოემის დამოუკიდებელი და ამასთანავე უპირატესი ხასიათიც. ამ მიზანს კრიტიკოსი შესანიშნავად აღწევს. იგი ნათლად წარმოგვიდგენს იმ განსხვავებას, რომელიც ერთი მხრივ ფლობერისა და ზოლას, მეორე მხრივ კი ი. ჭავჭავაძისა და ლერმონტოვის ნაწარმოებებს შორის არსებობს. თუ პირველთა ნაწარმოებებში ასკეტიზმის ქადაგებასთან გვაქვს საქმე, მეორე მხარის მწერლებთან პირიქით, ასკეტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზებია წარმოდგენილი. ამ საკითხთან დაკავშირებით კ. აბაშიძე ეხება დეტერმინიზმისა და ნების თავისუფლების საკითხს, სადაც ავტორი მეტად მცდარ შეხედულებებს ავითარებს. მისი აზრით საკითხის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა ნების თავისუფლების პრინციპზეა დამოკიდებული. ერთი და იგივე მიზეზმა სხვადასხვა ადამიანში შეიძლება სხვადასხვა შედეგი მოგვცეს და მისი აზრით ეს გამოწვეული იქნება მხოლოდ იმით, რომ ყველა ადამიანში არსებობს რაღაც გამოუცნობი მიზეზი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებას აძლევს ადამიანთა მოქმედებას. ეს, ჩვენი აზრით მცდარი თვალსაზრისია. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ არის თავისუფალი თავის მოქმედებაში, როდესაც იგი შეიცნობს იმ ობიექტურ კანონზომიერებას, რომელთანაც მას აქვს საქმე. და თუ ეს ასეა, მაშინ ზედმეტია ლაპარაკი ყოველგვარ გამოუცნობ მიზეზებზე. კრიტიკოსის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან ნათლად გადმოსცა ის უპირატესი მხარეები, რომელიც ი.ჭავჭავაძის პოემას გააჩნია ზოლას ,,აბატი მურეს შეცოდებასთან" შედარებით. იმავე თემაზე, რომელიც გატარებულია ,,აბატ მურეს შეცოდებაში", დაწერილია შ.არაგვისპირელის მოთხრობა ,,ღმერთო, რა დაგიშავე?!", რომელიც გამოქვეყნდა 1895 წელს ჟურნალ ,,მოამბეში". ამ მოთხრობის ძირითადი მოტივი ასკეტიზმის წინააღმდეგ გალაშქრებაა. აქ ნათლად არის ნაჩვენები ის, როცა რაც არ უნდა ეცადოს ადამიანმა ხელოვნურად ჩაკლას ბუნებრივი გრძნობები, ბუნება მაინც იმარჯვებს. საბოლოოდ აქაც, ზოლასგან განსხვავებით, საკითხი პროგრესულადაა გადაწყვეტილი. ი. ჭავჭავაძის პოემის ,,განდეგილის" უპირატესობაზე და მის აქტუალობაზე მიგვითითებს მარჯორი ჟორდროპის წერილიც: ,,რუსთაველი დიდებულია, მაგრამ ჩვეულებრივი მკითხველი, ჩვენთა დღეთა განათლებული ბრბო უფრო გაიგებს, უფრო გულმოსახვედრად მიიჩნევს ამ განდეგილს, ამ გულმართალს დაყუდებულს ადამიანს, რომელიც წინააღმდეგობას ვერ უწევს ადამიანის აგებულების ძირეულ მოთხოვნილებებთ, ყოვლის დამრღვევსა და ყოველის განმაცხოველებლის სიყვარულს. ,,განდეგილი" დიდად მშვენიერი ნაწარმოებია, ვიანაიდან შიგ ჰჟღერს სიმი ელინიზმისა, ე.ი. ცხოველის ორგანიზმისა, იმის ჰარმონიით სავსე ცხოვრებისა და ამ ცხოვრებით სიტკბოების უფლებათა დაცვისა... იმის ჰარმონიულს ლექსში სცემს დატანჯული გული აწინდელის კაცობრიობისა, ასკეტიზმისა და იუდაიზმის სასტიკ ძალმომრეობისაგან ახლად განთავისუფლებისა და განათლებული კაცობრიობა ღირსეულად დააფასებს კიდევაც დიდად მშვენიერს ნაწარმოებს ი. ჭავჭავაძისას. ,,განდეგილის" შინაარსისა ბევრი რამ დაწერილა ყოველს ლიტერატურაში, საკმარისია დავასახელოთ ფლობერის ,,Tentation de st.Antoine"-ი, ზოლას ,, La faute de l'abbé Mouret", მაგრამ ,,განდეგილს" თავისი სისადავით, მოკლე სიტყვაობითა და უმთავრესად კი განდეგილისა და

ყმაწვილი ქალის საუბრის მომხიბვლელ გულუბრყვილობით, ხსენებულ მწერალთა ნაწერებს ვამჯობინებ" (,,ივერია", 1894წ. N198).

განხილული მასალების საფუძველზე თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული საზოგადოება ახლოს იცნობდა ნიჭიერ ფრანგ რომანისტს ემილ ზოლას. იგი დიდი მწუხარებით შეხვდა ამ დიდებული მწერლის უეცრად გარდაცვალების ცნობას. ,,17 სექტემბერს ტელეგრაფმა მგვიტანა სამწუხარო ამბავი: პარიჟში გარდაიცვალა საფრანგეთის ერთი საუკეთესო შვილი – ემილ ზოლა, ავტორი მრავალი შესანიშნავი რომანებისა... მთელი კაცობრიობა პატივით მოიგონებს ზოლას, როგორც დიდებულ მწერალსა და მოქალაქეს" (,,კვალი", 1902წ. N39).

1902 წლის ქართული ჟურნალ-გაზეთები მუდმივად აქვეყნებდნენ წერილებს ე.ზოლას გარდაცვალების გამო. ,,გუშინ ტელეგრაფმა სრულიად მოულოდნელი ამბავი გვაუწყა. პარიზში გარდაიცვალა საფრანგეთის შესანიშნავი მწერალი და მოღვაწე ემილ ზოლა. ამ ამბავს მწუხარებით მოიგონებს არა საფრანგეთი, არამედ მთელი განათლებული ქვეყანა, რომელიც ყოველთვის გულდადებით ჰკითხულობდა ზოლას ლიტერატურულ ნაწარმოებებთ, ხოლო ბოლო დროს გაფაციცებითთვალყურს ადევნებდა მის პოლიტიკურ ბრძოლას", – წერდა გაზეთი ,,ცნობის ფურცელი" (1902წ. N1928).

,,საქართველოს კალენდარი" იუწყებოდა 16 სექტემბერს, პარიზში სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა მთელ დედამიწაზე განთქმული მწერალი და მოღვაწე ემილ ზოლა. ამ კაცის მოულოდნელმა სიკვდილმა ყველანი დააღონა და დააძმარა. ძალ-ღონით აღსავსე ზოლა სიკვდილის წინა დღეებშიც ისევე მხნედ და დაუცხრომლად მუშაობდა, როგორც ახალგაზრდობისას, ამიტომ იყო დიდებულის კაცის სიკვდილი ყველასთვის უეცარი და თავზარდამცემი" (,,საქართველოს კალენდარი", 1903). წერილს დართული აქვს ემილ ზოლას პორტრეტი, გადაღებული საკუთარ ბინაში, საწერ მაგიდასთან.

სამართლიანად შენიშნავდა გაზეთი ,,კვალი", როდესაც წერდა ,რომ ბურჟუაზიული წყობილების გახრწნილ ელემენტებს ჰყავდა მტერი და ამ მტერთა შორის ზოლას მნიშვნელოვან ადგილს ანიჭებდა.

ზოლას გარდაცვალება თავზარდამცემი აღმოჩნდა ყველა ქვეყნის მოწინავე ადამიანებისათვის, თუმცა მან დიდი სიამოვნება მიანიჭა რეაქციულ წრეებს. საფრანგეთის ნაციონალისტების თავხედობა იქამდეც მივიდა, რომ გაბედეს ტალახში ამოესვარათ დიდი მწერლის სახელი ათასგვარი ცილისწამებით. ზოლას ხან თვითმკვლელობას უგონებდნენ (რადგან მან თითქოს აღიარა ,, Je m'accusé" – თავს მტყუანად ვაღიარებო), ხან კი მის სიკვდილს მეუღლეს აბრალებდნენ.

საფრანგეთის ნაციონალისტების თქმით ზოლას ყველაზე მომაკვდინებელი ცოდვა ის იყო, რომ მას ურიცხვი თაყვანისმცემელი ჰყავდა საფრანგეთის ფარგლებს გარეთაც. ამის გამო გაზეთ ,,კვალის" კორესპონდენტი აღშფოთებით აცხადებდა: ,,მიცვალებულზე ან არაფერი ან კარგი უნდა ილაპარაკო", – ასე ამბობენ, მაგრამ ასე არ იქცევიან საფრანგეთის ნაციონალისტები. არ მოიძებნება ისეთი ჭორი, რომელსაც ისინი არ ავრცელებდნენ განსვენებული ზოლას შესახებ, არ მოიძებნება არცერთი სიცრუე, რომელსაც ისინი არ იგონებდნენ, ათასგვარი საზიზღარი ცილისწამებით და უსინდისოდ მონაგონი ფაქტებით უნდა შელახონ განსვენებულის დიადი სახელი" (,,კვალი", 1902წ. N42).

ზოლას თაყვანისმცემელთა რიცხვმა დიდად გადააჭარბა მის მოწინააღმდეგეებს. ზოლას დაკრძალვა მანიფესტად იქცა. ,,დიდი ხანია რაც პარიჟი არ ყოფილა მოწმე ისეთი დიდებული მანიფესტაციისა, როგორც იყო ზოლას დასაფლავება, პოლიციას დიდი ხანია ასეთი თავსატეხი არა გასჩენია რა", – წერდა გაზეთი ,,კვალი" (1902წ. N41).

ზოლას ცხედარი ბრიუსელის ქუჩაზე იყო დასვენებული. ბრიუსელის ქუჩისაკენ მიმავალი ყველა გზა პოლიციის მიერ იყო დაკავებული. ცხედარი ცოცხალი ყვავილებითა და გვირგვინებით იყო შემკული. ყველა გვირგვინისგან გამოირჩეოდა დრეიფუსის მიერ მიძღვნილი გვირგვინი წარწერით: ,,ალფრედ დრეიფუსუსგან, ემილ ზოლას, ნიშნად მადლობისა და მეგობრობისა“ (იქვე).

სასაფლაომდე ზოლას ცხედარი ოცი ათასმა კაცმა მიაცილა. მათ შორის იყვნენ განსვენებულის მეგობრები: ანატოლი ფრანსი, ოქტავ მირბო, ბრიუნი, დრეიფუსი და მის საქმესთან დაკავშირებული მოღვაწეები. განსვენებულს სიტყვით მიმართა სახალხო განათლების მინისტრმა, მწერალთა და დრამატული საზოგადოების წარმომადგენელმა. თითოეული მათგანი აღნიშნავდა იმ დიდ მწუხარებას, რომელიც მთელს საფრანგეთში გამოიწვია ემილ ზოლას გარდაცვალებამ. ზოლას მეგობრის, ანატონ ფრანსის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ ყველას ყურადღება მიიქცია. მან ილაპარაკა ზოლას დამსახურებაზე. ,,ლიტერატურული მოღვაწეობა ზოლასი მიუწვდომელია. ზოლა იყო დიდებული გულის ადამიანი. ის იყო ღრმა მორალისტი, ის გვიხატავდა ძლიერთა მიწიერებას, გვეჩვენებოდა პესიმისტად. ნამდვილად კი ოპტიმისტი იყო. რომანებში, რომელნიც სოციალურ ეტიუდებს წარმოადგენდნენ, ის თავისი ძლიერი შეუბრალებელი კალმით გვიხატავდა გარყვნილ-გათახსირებულ საზოგადოებას, დაცემულ არისტოკრატიას. ებრძოდა ჩვენი დროის უმთავრეს ბოროტებას – ფულის ბატონობას. თვით დემოკრატი არ ეკარებოდა ბრბოს და ყოველივე ღონისძიებას ხმარობდა, რათა მათთვის ეჩვენებინა მათი დამონება, რომლის მიზეზი უმეცრებაა. ის იბრძოდა ლოთობის წინააღმდეგ, რომელიც კაცს უკარგავს მსჯელობის ნიჭს, ის ებრძოდა სოციალურ უკუღმართობას – ყველგან, სადაც კი შეხვდებოდა. მას სურდა ბედნიერთა რიცხვი ქვეყნად გამრავლებულიყო. მას სწამდა მეცნიერება. დაჯერებული იყო, რომ ახალი ძალა მაშინაა, კაცობრიობას, მშრომელ კლასს მოუტანს ბედნიერებას. ეს ჭეშმარიტი რეალისტი უმაღლესი იდეალისტიც იყო. მის ნაწარმოებთა შედარება შეიძლება დოსტოევსკის ნაწარმოებებთან. ეს არის ორი უდიდესი იდეალური სფერა ევროპის ორ კუთხეში, აყვანილი უმწვერვალეს სიმაღლეზე. ისინი ორივენი კეთილშობილური აზრებით ემსახურებიან მშვიდობას, მაგრამ ტოლსტოის სფერა – ეს სფერაა თავმდაბლობისა, სფერა ზოლასი – ეს არის მოედანი შრომისა“ (,,კვალი“, 1902 წ. N41). ამის შემდეგ ანატოლ ფრანსი შეეხო ზოლას საზოგადოებრივ საქმიანობას და მის ბრძოლას სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის ,,დიდებული საქმე“, ხოლო თვით მას საფრანგეთის სული და სიამაყე უწოდა. ,,მან (ე.ი. ზოლამ) წარსულ საუკუნეებში ევროპას და მთელ ქვეყნიერებას ასწავლა სიმართლე. ზოლამ საუკუნო ღვაწლი დასდო საფრანგეთს. ნუ დავიწყებთ ტირილს, რომ ის სტანჯეს და აწამეს. ასეთი ადამიანების ხვედრი უნდა გვშურდეს. მან განადიდა თავისი სამშობლო თავისი დიდებული ნამოქმედარით. ბედმა და მისმა გულმა მას მიანიჭეს დიდებული როლი. იყო მომენტი, როცა ის იყო კაცობრიობის სინდისი“ (,,კვალი“,1902, N41).

ზოლა საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა მშრომელ მასებში, რომელთა ინტერესებსაც იცავდა იგი თავისი ნაყოფიერი ცხოვრების მანძილზე. ზოლას გარდაცვალებამ ღრმად დაამწუხრა თბილისელი ხელოსნებიც, მათ საფრანგეთში სამძიმრის დეპეშა გაგზავნეს (,,კვალი“, 1902, N42).

ემილ ზოლას პატივსაგებად შეიქმნა სპეციალური კომისია საფრანგეთში. მას დაევალა ზოლას ძეგლის დადგმა პარიზში, ზოლას სახელი უწოდეს ქ. ნანტის დიდ მოედანს.

ზოლას ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა და სახელი გაუთქვა ავტორს.

,,ზოლას ერთი და იმავე ინტერესით კითხულობდნენ, კითხულობენ და კიდევ დიდხანს წაიკითხავენ, როგორც ფრანგები, აგრეთვე რუსები, როგორც გერმანელები, აგრეთვე ამერიკელები, ქართველები და სხვ...“ (,,კვალი“, 1902, N42).

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ,,კვალი“, 1898, N9, N10, N50
2. ,,ივერია“, 1893, N152, N254
   1894, N198
   1890, N237
   1898, N32, N44
   1895, N279
3. ,,დროება“, 1877წ. N17
4. ,,ცნობის ფურცელი“, 1902, N1931, N1928

# საგანმანათლებლო მეცნიერებანი
# Educational Sciences

**ლია მენთეშაშვილი**
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი,
პროფესორი
**Lia Menteshashvili**
Tbilisi Teaching University,
Professor

## მომავალი თაობის ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდა პედაგოგიკის მეცნიერების მნიშვნელოვანი პრობლემაა
## Upbringig Future Generation with Aspiration for Humanism is an Important Problem of Pedagogics

**რეზიუმე:** „ჰუმანიზმი“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა, რაც ქართულად ადამიანურს ნიშნავს. ამ სიტყვის მნიშვნელობაში ერთმანეთთან არის შერწყმული ადამიანისადმი დახმარება, თანაგრძნობა, ყურადღება, მზრუნველი დამოკიდებულება, ხელის შეწყობა და პატივისცემა.

მომავალი თაობის ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდის ამოცანებია:

ა) ჰუმანური შეგნების ჩამოყალიბება;

ბ) ჰუმანური გრძნობების, ემოციების განვითარება;

გ) ჰუმანური ქცევის ჩვევათა დანერგვა;

დ) ჰუმანური პიროვნების დამახასიათებელი ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდა;

ე) არაჰუმანური დამოკიდებულების გამოვლინების დაძლევა.

ჰუმანიზმის აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მშობლები, საოჯახო გარემოს, მშობლებს შეუცვლელი ადგილი აქვს ბავშვთა და მოზარდთა ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდაში. ოჯახთან ერთად დიდი წვლილი შეაქვს სკოლას, მთელ საზოგადოებას ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდაში.

**Abstract:** “Humanism” is a Latin word and means “human” in Georgian. Meaning of the word combines help, sympathy, attention, thoughtfulness, favour and respect.

Tasks of upbringing future generation with aspiration for humanism are:

a) Forming human consciousness;
b) Developing human feelings, emotions;
c) Inculcating human behavior into habit;
d) Upbringing character and will typical for human person;
e) Overcome not human dependence.

Parents have important role in upbringing of humanism. Family and parents have unchangeable place in children and teenagers upbringing with aspiration for humanism. Together with the family, school and the whole society do their bit in upbringing with aspiration for humanism.

„ჰუმანიზმი“ წარმომდგარია ლათინური სიტყვიდან „ჰუმანუს“, რაც ქართულად ადამიანურს ნიშნავს. ამ სიტყვის მნიშვნელობაში ერთმანეთთან არის შერწყმული

ადამიანისადმი დახმარება, თანაგრძნობა, ყურადღება, მზრუნველი დამოკიდებულება, ხელის შეწყობა, პიროვნების პატივისცემა და დაფასება.

ჰუმანიზმი XIV-XV საუკუნეების პროგრესული მსოფლმხედველობრივი მიმდინარეობაა, რომელიც ფეოდალიზმის ნგრევის პერიოდში წარმოიშვა და ქადაგებდა ადამიანის თავისუფლებას, პიროვნებაზე ფეოდალიზმისა და კათოლიციზმის ბატონობის მოსპობას, ადამიანისადმი პატივისცემის დამკვიდრებას.

ჰუმანისტები მოითხოვდნენ პიროვნების ღირსების დაცვას, ისინი საეკლესიო პირებისაგან განსხვავებით საერო, ამქვეყნიურ ცხოვრებაში ხედავდნენ ნამდვილ ადამიანურ ბედნიერებას. მათ წამოაყენეს კაცთმოყვარეობის იდეა, რომელიც განყენებულ ხასიათს ატარებდა და თეორიული სფეროს კუთვნილებად რჩებოდა. ჰუმანისტებმა ყურადღების ცენტრში დააყენეს ადამიანი, მაგრამ მასზე ზრუნვა შემოფარგლეს შუა საუკუნეების ეკლესიის, ინკვიზიციის გამანადგურებელი გავლენისაგან განთავისუფლების მოთხოვნით.

ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე მომავალი თაობის ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდისადმი განსაკუთრებული ყურადღება გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთა შეგნებაში ღრმად არის დამკვიდრებული ეგოისტური, არაადამიანური გრძნობები და თვისებები.

შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ჩვენი სკოლების მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი საკმაოდ ხშირად ამჟღავნებს ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელ, მათთვის შეუფერებელ ეგოისტურ თვისებებს. ეს ვლინდება სკოლაში პედაგოგებთან, თავისი კლასის მოსწავლეებთან ურთიერთობაში, ოჯახსა და საზოგადოებაში. ასეთი თვისებების აღმოსაფხვრელად აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, დახვეწა ევალებათ სკოლის მთელი პედაგოგიურ კოლექტივს და განსაკუთრებით იმ მასწავლებლებს, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა აქვთ ასეთ მოსწავლეებთან სხვადასხვა დისციპლინების სწავლებისას.

ჰუმანიზმის არსის გარკვევა, სწორი ჰუმანური წარმოდგენების შემუშავება მხოლოდ თეორიული ცოდნის საფუძველზე არ არის საკმარისი. ამ გრძნობის აღზრდის მიზნით საჭიროა აგრეთვე სისტემატური ზემოქმედება მომავალ თაობაზე, რომ მათგან აღმზრდელობითი მუშაობის საშუალებით ჭეშმარიტად ჰუმანური პიროვნებები ჩამოყალიბდნენ.

როდესაც მომავალ თაობაში ჰუმანიზმის აღზრდაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ ზნეობრივი თვისებების აღზრდა არ მიმდინარეობს ერთმანეთისაგან იზოლირებულად. ჰუმანიზმის გრძნობა სხვა მორალურ თვისებებთან ორგანულ კავშირში, ერთიანობაში ყალიბდება.

მომავალი თაობის ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდის ამოცანებია:

ა) ჰუმანური შეგნების ჩამოყალიბება;

ბ) ჰუმანური გრძნობების, ემოციების განვითარება;

გ) ჰუმანური ქცევის ჩვევათა დანერგვა;

დ) ჰუმანური პიროვნების დამახასიათებელი ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდა;

ე) არაჰუმანური დამოკიდებულების გამოვლინების დაძლევა.

ჰუმანური შეგნების ჩამოყალიბებისათვის პირველ რიგში საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ სწორი მორალური წარმოდგენების, ცნებების, რწმენის შემუშავებაზე. ჰუმანური შეგნების აღზრდის მეშვეობით პიროვნებას შეგნებულად უნდა ესმოდეს ქცევის რომელი ნორმებია მიღებული საზოგადოებისათვის და რომელი მიუღებელი. გააზრებულად, უნდა ესმოდეს ისიც, თუ რატომ უნდა იყოს პიროვნება სხვა ადამიანებისადმი ყურადღებიანი, რატომ უნდა სცემდეს პატივს პიროვნების ღირსებას, რატომ უნდა ამჟღავნებდეს თანაგრძნობასა და

სხვა ჰუმანურ თვისებებს გარშემომყოფთადმი. მოსწავლეებს ღრმად გააზრებული და შეგნებული უნდა ჰქონდეთ, თუ რა მოეთხოვებათ მათ ჰუმანიზმის პრინციპების ყოველდღიურ ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

ჰუმანიზმის პრინციპები მაშინ იქცევა ახალგაზრდობის ქცევის სახელმძღვანელოდ, როდესაც ისინი ღრმად გააზრებულად ესმით და მათ რწმენას წარმოადგენს.

ჰუმანიზმის შეგნების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის საჭიროა სათანადო განათლების მიღება, ცოდნით შეიარაღება, რადგან პიროვნების მიერ გამოვლენილი ჰუმანური ქცევა საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს და სტიქიურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს.

მეცნიერული ცოდნით მოსწავლეთა შეიარაღება ხელს უწყობს მაღალი ჰუმანური შეგნების გამოვლინებას და მაღალი ჰუმანური შეგნებით მოქმედებას.

ჰუმანური შეგნების, რწმენის ჩამოყალიბება ხორციელდება ძირითადად მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებით სწავლების პროცესში. ჰუმანიზმის აღზრდა მოსწავლეებში მოითხოვს ცოდნის გარკვეული მარაგის შეძენას, რაც ხელს შეუწყობს მათში ჰუმანური თვისებების განმტკიცებას, სწორი მორალური წარმოდგენების, შეხედულებების ჩამოყალიბებას.

ჰუმანიზმის აღზრდის მნიშვნელოვანი ამოცანაა აგრეთვე მოსწავლე–ახალგაზრდობაში ჰუმანური გრძნობების, ემოციების აღზრდა.

ჰუმანური პრინციპების, ჰუმანური ქცევის ნორმების ცოდნასთან ერთად საჭიროა მოსწავლეები შინაგანად განიცდიდნენ და გრძნობდნენ ყოველივე იმას, რასაც ჰუმანურობის კვალი აჩნია. სკოლაში სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ჰუმანური გრძნობების აღზრდასა და განვითარებას, რადგან სკოლის მერხიდან გამომუშავებული ჰუმანური გრძნობები პიროვნებას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მის სრულყოფილ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

ჰუმანური გრძნობა ერთ–ერთი უმაღლესი ადამიანური გრძნობაა და მის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი როლი აკისრია იმ სოციალურ გარემოს, სადაც ბავშვი იზრდება და ყალიბდება. არის შემთხვევა, როდესაც გრძნობათა კარნახით მოზარდი რაიმე უზნეო მოქმედებას ჩაიდენს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მოზარდში სწორი მიმართულებით არ არის განვითარებული ზოგიერთი ადამიანური გრძნობა. ყოველივე ამის თავიდან აცილების მიზნით სწორი, მიზანმიმართული აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებაა საჭირო, რომ ჰუმანური შეგნება და ჰუმანიზმის გრძნობა არ იყოს გათიშული ერთმანეთისაგან და მოზარდის ქცევაში ისინი ერთმანეთთან იყოს შეთანხმებული. ასეთ შემთხვევაში გრძნობა წარმმართველ ძალად იქცევა პიროვნების ჰუმანური მოქმედების, ქცევის გამოვლენისათვის. ჰუმანური გრძნობების გამომუშავება ხელს უწყობს ეგოისტური, კაცთმოძულე თვისებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოწვევას. როდესაც უმაღლეს ადამიანურ გრძნობაზე – ჰუმანურობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, თუ რა განცდას იწვევს სხვა ადამიანის მაღალზნეობრივი თუ უზნეო მოქმედება. თუ მოსწავლეებში ჰუმანიზმის გრძნობა სწორადაა ჩამოყალიბებული, ცხადია, ისინი სწორად შეაფასებენ არაადამიანური მოქმედების ყოველგვარ გამოვლინებას.

სრულყოფილი ჰუმანური პიროვნების აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჰუმანური ქცევის ჩვევების განვითარებას.

იმის მიხედვით, თუ რას აკეთებს ახალგაზრდა თავისი მოღვაწეობის მანძილზე, როგორ მოქმედებს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ მის მსოფლმხედველობასა და ზნეობრივ მრწამსზე. მოსწავლის ქცევის შინაარსი განპირობებულია მისი მრწამსით, მსოფლმხედველობით და ეს ფაქტორები ჰუმანური ქცევის შინაგან მოტივს წარმოადგენს, ხოლო გარეგანი მხარეა ის

მოქმედება, რომელიც ხორციელდება პიროვნების მიერ და რომლითაც გარკვეული საზოგადოებრივი წარმოადგენა, შეხედულება გვექმნება მის შესახებ.

ქცევის გარეგან სახეს, მომენტსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან აქ მჟღავნდება ქცევის შინაგანი მოტივების განვითარების დონე. მოსწავლეებს შეიძლება შეგნებული ჰქონდეთ ჰუმანური ქცევის წესების მნიშვნელობა, მაგრამ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოვლენის უნარი და ჩვევები არ ჰქონდეთ. ასეთი ფაქტების აღმოფხვრა საჭიროებს გარკვეულ აღმზრდელობით ზემოქმედებას. ამიტომ, სკოლაში მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში არ უნდა დავკმაყოფილდეთ მორალური ქცევის ნორმების შესახებ ცოდნის დაუფლებით. მოსწავლეების თეორიულ ცოდნას მაშინ ექნება ძალა და პრაქტიკული მნიშვნელობა, როდესაც ისინი თავიანთი მოქმედების ყოველ ნაბიჯზე, თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობით ახორციელებენ ჭეშმარიტ ჰუმანიზმს. ამის გამოსავლინებლად კი მოზარდებში ყოველი ჰუმანური მოქმედება მტკიცედ უნდა ჩავნერგოთ და ჩვევად ვაქციოთ ქცევის სისტემატური განმეორების გზით.

მოსწავლეებში ჰუმანიზმის აღზრდისათვის აუცილებელია აგრეთვე ჰუმანური პიროვნებისათვის საჭირო ხასიათისა და ნებისყოფის აღზრდა. ჰუმანურ თვისებებთან ერთად მოსწავლეებში უნდა აღვზარდოთ ზნეობრივი ადამიანის დამახასიათებელი მტკიცე ხასიათი და ნებისყოფა. ხასიათისა და ნებისყოფის ძირითად ნიშნებად ითვლება პრინციპულობა, აქტიურობა, სიმტკიცე, გამბედაობა, დამოუკიდებლობა. ხასიათის ეს თვისებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდას ყოველგვარი წინააღმდეგობის, დაბრკოლების გადალახვაში. მისი ხასიათი და ნებისყოფაც აღზრდის გზით იცვლება და ყალიბდება. პიროვნების ხასიათის აღნიშნული თვისებები დიდ გავლენას ახდენს მის შეგნებაზე, გრძნობაზე, ქცევაზე. მოსწავლეთა ხასიათისა და ნებისყოფის აღზრდაში დიდი როლი ენიჭება სკოლას, ოჯახს, მის გარემომცველ წრეს და საერთოდ, მთელი საზოგადოებრიობას.

არაჰუმანური დამოკიდებულების გამოვლინების დაძლევა ჰუმანიზმის სულიკვეთებით მოსწავლე–ახალგაზრდობის აღზრდის ერთ–ერთი სერიოზული ამოცანაა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჰუმანიზმი არ არის განყენებული ცნება, ის ზნეობრივი პიროვნების მოქმედების სახელმძღვანელო პრინციპია. ამიტომ ადამიანი ყოველთვის და ყველგან პრაქტიკულად უნდა ამჟღავნებდეს ამ თვისებას. მისი მოქმედება უნდა იყოს შეგნებული და გააზრებული. ამავე დროს შეიძლება პიროვნებამ შეცდომა დაუშვას ან რომელიმე პიროვნების მიმართ გამოიჩინოს ტენდენციურობა, სუბიექტურობა. ასეთი ქცევა სათანადოდ უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს. მასწავლებელი, მშობელი, საზოგადოების წარმომადგენლები უნდა გაერკვნენ არაჰუმანური მოქმედების გამოვლენის მიზეზებში და, რაც მთავარია, თვით მოსწავლე გააცნობიერონ ჩადენილი ქცევის არსში, გამოიწვიონ მასში სირცხვილისა და სინანულის გრძნობა.

ჰუმანიზმის სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის წარმატება განპირობებულია დასახელებული ამოცანების ერთმანეთთან კავშირში, კომპლექსური გადაწყვეტით. დაუშვებელია, ეს ამოცანები ერთმანეთისაგან იზოლირებულად, ცალ–ცალკე გადავწყვიტოთ (ვთქვათ, ჯერ ჰუმანური შეგნების ჩამოყალიბება, შემდეგ – შესაბამისი გრძნობების აღზრდა და ა.შ.). საჭიროა აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანი სისტემა, რომელიც დასახული ამოცანების გადაწყვეტის ერთადერთი სწორი და ეფექტური საშუალებაა.

როგორც ცნობილია, ოჯახს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბავშვთა მაღალზნეობრივი თვისებებით აღზრდაში, მათი პიროვნების ჩამოყალიბებაში. ოჯახურ გარემოს, მშობლებს მართლაც შეუცვლელი ადგილი აქვს ბავშვთა და მოზარდთა ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდაში.

მომავალი თაობის ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდაში მშობლის მაგალითს – ეს იქნება დადებითი თუ უარყოფითი, დიდი ზემოქმედების ძალა აქვს. მშობელი, უპირველეს ყოვლისა თვითონ უნდა იყოს ჰუმანური პიროვნება, თუ იგი თავად არ არის შვილისათვის მისაბაძი, სანიმუშო პიროვნება, მას არავითარი გავლენა არ ექნება.

მშობლებთან ერთად მოზარდებზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ ოჯახის სხვა წევრებიც. აუცილებლად მხედველობაშია მისაღები ეს გარემოება. როგორც უშუალოდ მშობლებისაგან, ისე ოჯახის სხვა წევრებისაგან შეიძლება შეითვისოს მოზარდმა ჰუმანური თუ ნეგატიური თვისებები.

მომავალი თაობის ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდაში დიდი წვლილი შეაქვს სკოლას ოჯახთან ერთად.

სკოლაში სწავლებისა და აღზრდის პროცესი ერთმანეთისაგან განუყოფელია. სწავლების ძირითადი მიზანი და ამოცანა ის არის, რომ მოსწავლეებს მეცნიერული ცოდნის სისტემასთან ერთად შესძინოს ადამიანის დამახასიათებელი მაღალმოქალაქეობრივი თვისებები. აღმზრდელობითი სწავლების ზოგადპედაგოგიკური პრინციპის დედააზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სწავლების პროცესი არ უნდა შამოიფარგლოს მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქციით, მან ამავე დროს უნდა გადაწყვიტოს პიროვნების განვითარების მთლიანი, პირველ რიგში კი – ჰუმანიზმის აღზრდის პრობლემა.

სკოლებში სასწავლო – აღმზრდელობით პროცესზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა გაკვეთილზე წარმატებით წყვეტს აღმზრდელობით ამოცანებს და პრაქტიკულად აღწევს სწავლებისა და აღზრდის პროცესის ერთიანობას. მაგრამ, ამავე დროს ზოგიერთ სკოლაში არის ხარვეზებიც.

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მასალა მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული მოსწავლეთა ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდის მიზნით. ცხადია, ყოველი საგანი და ყოველი მასალა ერთნაირად ნაყოფიერი ვერ არის ამ თვალსაზრისით, მაგრამ მასწავლებელმა ჯერ კიდევ სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, რომელ მასალას რა თვისების ჩამოყალიბება დაუკავშიროს.

ჰუმანიზმის აღზრდის თვალსზრისით განსაკუთრებით დიდია ჰუმანიტარული დისციპლინებისა და, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურის პროგრამული მასალის სააღმზრდელო მნიშვნელობა.

ამრიგად, ჰუმანიზმის სულისკვეთებით მომავალი თაობის აღზრდა პედაგოგიკის მეცნიერების ერთ–ერთი აქტუალური პრობლემაა და მისი გარკვეული საკითხების კვლევას მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს.

მომავალი თაობის ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდის პრობლემები რომ წარმატებით გადაიჭრას, აუცილებელია ოჯახმა და სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ბავშვებსა და მოზარდებში ჰუმანური თვისებების აღზრდა–განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბასილაძე ნ., ჰუმანიზმის პედაგოგიკა, ბათუმი, 2007.
2. მალაზონია შ., პედაგოგიკა, თბ., 2001.
3. მენთეშაშვილი ლ., ჰუმანიზმის სულისკვეთებით, თბ., 1988.

**ნინო ჭოხონელიძე**
განათლების აკადემიური დოქტორი
**Nino Chokhonelidze**
Doctor of Education

# დიდაქტიკური მასალების გამოყენების მნიშვნელობა მარია მონტესორის სისტემაში
# Importance of the Didactic Materials in Maria Montessori System

**რეზიუმე:** მ. მონტესორის მიხედვით, ბავშვთა აღზრდის ამოსავალ წერტილად ითვლება ინტელექტის აღზრდა. ბავშვებს ცოდნა არ მიეწოდებათ პირდაპირ მასწავლებლის მიერ, არამედ ეძლევათ მეთოდი, რომლის დახმარებითაც ისინი დამოუკიდებლად იძენენ ცოდნას და აღმოაჩენენ თავის გარშემო არსებულ სამყაროს. დიდაქტიკური მასალა, რომელიც განკუთვნილია გრძნობათა ორგანოების აღზრდისათვის, ავარჯიშებს ბავშვის გონებას და აძლევს ბავშვს არა შინაარსს მისი გონებისთვის, არამედ წესსა და რიგს შინაარსისათვის. მონტესორის მასალა არის სახლსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის გადებული ხიდი, სამყაროს მცირე მოდელი, რომლის მეშვეობითაც ბავშვს უვითარდება დამოუკიდებლად მოქმედების უნარი, სივრცეში კოორდინაციისა და წონასწორობის დაცვის მექანიზმები. დიდაქტკური მასალა ბავშვს განმეორებითი ვარჯიშის საშუალებას აძლევს.

**Abstract:** According to Montessori, intellectual education is considered as the starting point of children's development. Children are not given knowledge by the teacher directly, but they are given a method that they independently get knowledge and discover information around them. Didactic material intended for the developing different senses, trains the child's mind and gives the child not the content of his mind, but the rule and the order for the content. The Montessori material is a bridge between the home and the rest of the world, a small model of the world through which the child develops independently, the coordination and balance in space. The didactic material gives the child complete re-training.

მარია მონტესორის მიხედვით, ბავშვთა აღზრდის ამოსავალ წერტილად ითვლება ინტელექტის აღზრდა. ბავშვებს ცოდნა არ მიეწოდებათ პირდაპირ მასწავლებლის მიერ, არამედ ეძლევათ მეთოდი, რომლის დახმარებითაც ისინი დამოუკიდებლად იძენენ ცოდნას და აღმოაჩენენ თავის გარშემო არსებულ სამყაროს. დიდაქტიკური მასალა, რომელიც განკუთვნილია გრძნობათა ორგანოების აღზრდისათვის, ავარჯიშებს ბავშვის გონებას და აძლევს ბავშვს არა შინაარსს მისი გონებისათვის, არამედ წესსა და რიგს შინაარსისათვის.

მონტესორის მასალა არის სახლსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის გადებული ხიდი, სამყაროს მცირე მოდელი, რომლის მეშვეობითაც ბავშვს უვითარდება დამოუკიდებლად მოქმედების უნარი, სივრცეში კოორდინაციისა და წონასწორობის დაცვის მექანიზმები. დიდაქტკური მასალა ბავშვს განმეორებითი ვარჯიშის საშუალებას აძლევს. ამ ვარჯიშით ბავშვს ეძლევა ერთგვარი ბიძგი თვითაღზრდისათვის. თვითონ მასალა, სხვისი ჩარევის გარეშე ახდენს ბავშვის თითოეული შეცდომის კონტროლს. ეს კონტროლი თავდაპირველად მექანიკურია, მაგალითად, მაშინ, როცა ბავშვი ვარჯიშობს ჩასაწყობი ცილინდრებით, ან მაშინ, როცა ის ვარჯიშობს ბრტყელი ჩასაწყობებით ან ფერადი ტაბულებით. აქ ბავშვს უხდება კარგად დაკვირვება, თითებით შემოწმება, გადაწყობა, შედარება, განსჯა, გადაწვეტა. ვარჯიშით ბავშვი მალე ამჩნევს თავის შეცდომებს და რადგან მას აქვს სურვილი მათი გასწორების, ცდილობს დასახული ამოცანის სწორ გადაწყვეტას. შემდგომ ბავშვი ცდილობს არა თუ მარტო შეცდომათა

გასწორებას, არამედ იმასაც, რომ შეცდომები არ დაუშვას. ამაში ხელს უწყობს მასალის სიმარტივე და სიზუსტე, რაც ბავშვს აჩვევს მუშაობის დროს სიზუსტეს და პატიოსნებას, გინდ იყოს რაიმე სრულებით უბრალო ვარჯიში ან უფრო რთული გონებრივი სამუშაო, როგორც, მაგალითად, სიტყვების შედგენა, წერა, არითმეტიკულ ამოცანათა ახსნა, სურათის დახატვა და სხვა. ბავშვს აქვს შესაძლებლობა, ყოველი ამოცანა ბოლომდე მიიყვანოს დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე და შეასრულოს ეს რაც შეიძლება მეტი სიზუსტით და სწორედ ეს შესაძლებლობა მიზეზია იმ სულიერი კმაყოფილებისა, რომლითაც განირჩევიან მონტესორის საბავშვო ბაღის ბავშვები. ვარჯიშის საშუალებით ბავშვი ეჩვევა გარჩევას და კლასიფიკაციას, ახდენს ანალიზსა და გამოყოფს თვისებას: ზომას, სახეს, ფერს, სიგლუვეს, ან ხორკლიანობას, წონას, ტემპერატურას, ხმაურობას, ხმას და სხვას. გამოყოფს მარტო საგნების თვისებას და არა თვით საგნებს, რამდენადაც ეს თვისებები, ერთიმეორისაგან გამოყოფილნი, თავისთავად უაღრესად მარტივ საგნებს წარმოადგენენ, რომელნიც ბავშვის ყურადღებას ერთს რომელიმე გამოცალკავებულ თვისებაზე აჩერებენ, მაგალითად, მოცულობისათვის – პატარა ცილინდრები, კუბები, პრიზმები, სიგრძისათვის-ჯოხები, დეციმეტრებად დაყოფილი, ჯოხები-ძელები, ფერებისათვის-ფარჩის ტაბულები, ხმაურობისათვის – ცილინდრისებური კოლოფები სხვადასხვა ჩაწყობილობით და სხვ. ეს თვისებები გრადაციებით არის გაწყობილ-დალაგებული; ბავშვებიც, რაკი მათ განკარგულებაში მოიპოვება საგნების მთელი წყება, თანდათანობით ეჩვევიან თვისებათა ხარისხის გარჩევას.

ბავშვები როცა საგნების თვისებებს ადარებენ ერთმანეთს, ეჩვევიან განსხვავების, მსგავსებისა და იგივეობის პოვნას. არა მარტო მასალის საგნებში, არამედ მათ ირგვლივ მდებარე გარემოს და მოწყობილობის საგნებშიც. ამას თავის მხრივ ბავშვები დამოუკიდებელი აღმოჩენებისკენ მიჰყავს. ამ გზაზე ისინი შეუჩერებლივ წინ მიდიან: „...გარჩევის უნარი არის საფუძველი ყოველი გონებრივი ვარჯიშობისა; აზრის პირველი ნაბიჯი არის გარჩევა, ერთის მეორისაგან გამორჩევა. შედარების დროს ბავშვს უვითარდება დამოუკიდებელი დასკვნების გამოტანის უნარი, რაც სწორი აზროვნების საფუძველია; ბავშვს ებადება აზრები, იდეები, რაც უკვე შედეგია კონკრეტული აზროვნებიდან განყენებულ აზროვნებაზე გადასვლისა“(2, 60). განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

- **ვარდისფერი კოშკი** – ბავშვებმა უნდა ააგონ ვარდისფერი კოშკი სხვადასხვა ზომის კუბებისგან. ყველაზე დიდი კუბი საფუძველში უნდა მოაქციონ, ხოლო ყველაზე პატარა წვერზე. ყველა კუბი ერთი და იმავე ფერისა და მასალისაა, განსხვავება მხოლოდ ზომაშია. ბავშვებმა ზომის მიხედვით უნდა მოახერხონ დიფერენცირება. ამ მასალასთან მუშაობისას ბავშვი სწავლობს ვიზუალურად სიდიდეების გარჩევას. ივითარებს მოძრაობის კოორდინაციისა და ყურადღების კონცენტრაციის უნარებს. ხდება წარმოდგენების ფორმირება და შემდგომ უკვე გაგება: „დიდი – „პატარა", „უფრო დიდი" -„უფრო პატარა", ეს მიეკუვნება მათემატიკის მოსამზადებელ სავარჯიშოს.
- **კბილოვანი ბორბლები** – განკუთვნილია ხელის წრიული მოძრაობის განსავითარებლად ვერტიკალურ სიბრტყეზე. ერთი ხელით ერთი სახელურის დატრიალების შემთხვევაში ბავშვი ინტერესით აკვირდება კბილებიანი დისკების მოძრაობის მექანიზმს, რომელიც იწვევს მეორე ბორბლის მოძრაობას. ეს სავარჯიშო ხელს უწყობს ბავშვის დაკვირვებულობის გაზრდას, ხდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ფორმირება, აძლიერებს ხელის კუნთოვან სისტემას.
- **ჰორიზონტალური ძელი რგოლების ჩამოსაცმელად** – ხელს უწყობს ახალი მოძრაობის ათვისებას. რგოლები ეცმევა არა ვერტიკალურად, არამედ ჰორიზონტალურად განლაგებულ

ძელზე. ავითარებს ყურადღების კონცენტრაციას, მოძრაობის კოორდინაციას და ნატიფ მოტორიკას.

- კატეგორია პრაქტიკულ ცხოვრებას მიეკუთვნება **ჩარჩო, ღილები, დუგმები, ელვა, ქამრები**. ჩარჩო ბავშვს ეხმარება, შეიძინოს ელვის შეკვრის უნარი. ღილებიანი ჩარჩო საშუალებას აძლევს, ისწავლოს ღილის შეკვრა და გახსნა. საერთოდ, ჩარჩოები ხელს უწყობს ნატიფი მოტორიკის დახვეწას, ვიზუალურ-მოტორული ფუნქციის კოორდინაციის, კონცენტრაციისა და ყურადღების სტაბილიზაციას.
- **წონის განმსაზღვრელი ფირფიტები** – წარმოდგენილ სამ ყუთში მდებარეობს 7 ცალი ხის ფირფიტა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ფერებითა და სიმძიმით. მასალა ეხმარება პატარებს საგნების გარჩევაში წონის მიხედვით. უვითარებთ მათ მოტორულ ფუნქციას, კოორდინაციასა და მოძრაობის კონტროლის უნარს. შესანიშნავი მოსამზადებელი საშუალებაა წერისათვის. აყალიბებს საგნები აწონვისა და გარჩევის უნარს ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- **უჯრებიანი კარადა** – არის ხის ყუთი სამი უჯრით – არა გამოსაწევით, არამედ გამოსაღები უჯრებით (შენსკენ და ქვემოთ), რაც საშუალებას აძლევს პატარას ,გამოიმუშაოს მაჯის, ხელისა და მტევნის ახალი მოძრაობები. კარადა ეხმარება ბავშვებს ყურადღების კონცენტრაციის განვითარებაში, მოძრაობის კოორდინაციისა და სხივ-მაჯის გავარჯიშებაში.
- **ფერადი ცილინდრები** – კომპლექსში შედის 4 წიფლის ყუთი, რომელშიც მოთავსებულია ფერადი ცილინდრები. ყუთების თავსახურები შეღებილია ცილინდრების შესაბამის ფერებად. ბავშვი მხედველობით სწავლობს ზომების გარჩევას. არაპირდაპირ ხდება ბავშვის მომზადება მათემატიკისათვის.

ე. წ. „სენსორული" ანუ გარეგნობითი დიდაქტიკური მასალა საუკეთესო საშუალებაა ყურადღების აღზრდისათვის. ყურადღება იბადება თავისთავად, როცა ბავშვს მიიზიდავს მასალის ესა თუ ის საგანი, როცა ის ერთსა და იმავე ვარჯიშს რამდენჯერმე და ხშირად ბევრჯერაც კი გაიმეორებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხდება ყურადღების პირველი გამომჟღავნება. „ყურადღების განვითარებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია დაკვირვების უნარის განვითარებაც, სწორედ დაკვირებისა და არა პირდაპირი დამკვირვებლობისა. ვარჯიშის დროს ბავშვი ივითარებს თვითოეულ გარე გრძნობას, ყოველს თავის ნიჭს ცალკე: ამრიგად, ის იღებს სხვადასხვა ხერხსა და საშუალებას დაკვირვების ნიჭის განვითარებისათვის. ყოველ შეძენილ ხერხს ბავშვი უეჭველად, აუცილებლად გამოიყენებს; საამისოდ იმპულსი შიგნიდანვე ეძლევა, თვით ხერხით-უნარიანობით: მას ეზრდება ყველაფერი ის, რაც კი აუცილებელია მისთვის, რომ მან შესძლოს თვითონ აღმოაჩინოს მის გარშემო მდებარე სამყარო, რაზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. ასეთ დამოუკიდებელ აღმოჩენას ბავშვისათვის უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე იმას, როცა მას მიუთითებენ, უჩვენებენ ხოლმე. როცა უნდათ დამკვირვებლობის განვითარება ბავშვის ყურადღების პირდაპირი მიზიდვით გარემოს მიმართ და აჩვენებენ საგნებს, სურათებს, მოთხრობებს და სხვა. ეს ნიჭი აღმოჩენისა გვევლინება, როგორც შედეგი მასალაზე ბავშვის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი განმეორებითი ვარჯიშობით დაწვრილებითი მომზადების და როგორც თვითაღზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ამგვარად, ბავშვები ფსიქიურად ემზადებიან სულიერ საზრდოთა მოპოვებისათვის არაპირდაპირი მომზადებით და არა ამა თუ იმ ცოდნის პირდაპირ გადაცემის ან მასზე მითითების მეოხებით“ (2 , 61).

დიდაქტიკური მასალა თავისი სიმარტივით ბავშვს საშუალებას აძლევს მის წინაშე დასახული ამოცანა ბოლომდე მიიყვანოს და სწორედ ეს არის იმ კმაყოფილების მიზეზი, რომლითაც გამოირჩევიან ბავშვები მასალაზე მუშაობის დროს. ეს კმაყოფილება ბადებს ბავშვებში წონასწორობას, რაც ბავშვების აღზრდაში დიდ როლს თამაშობს. მასალის სიმარტივე

და სიზუსტე აჩვევს ბავშვს პატიოსნებას მუშაობაში: ის ეჩვევა არ დაუშვას შეცდომები და თავისი სამუშაო გააკეთოს სრულყოფილად.

გონებრივი მეცადინეობის დროსაც (დიდაქტიკური მასალით, წერის, კითხვის, ანგარიშის, ხატვის, მუსიკის და მისთანათა დროს) ბავშვს ეძლევა არჩევანის, ნიჭისა და მიდრეკილების ყოველგვარი გამომჟღავნების თავისუფლება. მსგავსი თვითსწავლება ბევრ ბავშვში იწვევს ღრმა დაკვირვებას, დიდ ყურადღებას და აღტაცებას, რასაც ჰბადებს თავისი ბუნების დამოუკიდებელი გამომჟღავნება: ბავშვი თვითონვე სხვისი დახმარების გარეშე და უსწავლელად, სწავლობს ფორმის, მოცულობის, ხმების, ფერების გარჩევას, თითონვე სწავლობს ასოებისა და სიტყვების წერას, თვითონვე ადგენს თავის პირველ სიტყვას, თვითონვე სწავლობს კითხვას, თვითონვე ადგენს თავის ხშირად ძალიან სრულ სურათს.

რაც შეეხება დიდაქტიკური მასალის რაოდენობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის შეზღუდული რაოდენობით წარმოდგენილი. მასალა არ უნდა იყოს ბევრი, რომ ბავშვი არ დაიკარგოს სხვადასხვაგვარი საგნების ქაოსში. „ის ბავშვები, რომელნიც დაჭიმული ყურადღებით დიდხანს ერთობოდენ მასალაზე მუშაობით, – სწორ გზაზე დგანან, როგორც ის აეროპლანები, რომელნიც მიწაზე სულ პატარა გზას აკეთებენ და შეუჩნევლად სულ მაღლა და მაღლა მოფრინავენო, – ამბობს მონტესორი. ხშირად გვეჩვენება, რომ ბავში არაფერს არ აკეთებს, მაგრამ მოვა დრო, იგი დაილაპარაკებს და ჩვენც გავიგებთ, თუ რა მომხდარა მის შიგნით. მისი უეცრად აღმოჩენილი აქტივობა აიძულებს მას, განაგრძოს დაკვირვებანი და აღმოჩენანი. პირიქით, არიან ისეთი ბავშები, რომელთაც მეტად ბევრი საგანი ეხვევა გარს პირველდაწყებითი განვითარების დროს. ასეთი ბავშები გამაძღარნი და უგრძნობი არიან მოწიფულობის დროს, „თითქმის თოკებით არიან მიბმულნი“, მონტესორის თქმისა არ იყოს. ამ ბავშებს აშკარად ეტყობათ შინაგანი მოქმედების თანდათანობითი ჩაქრობა; მერყეობა, თითქოს მოქანცულობაც, განუწყვეტელი მოთხოვნა სულ „ახალ-ახალი“ საგნებისა და შეუძლებლობა, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად შეაჩერონ თავისი ყურადღება ერთ საგანზე. „ბავშვი უფროსს ემსგავსება, რომელიც თავისი ცხოვრების ქაოსში უდისციპლინო და ფუქსავატი ხდება და რომელსაც ყოველთვის მოელის „დაკარგვის“ საშიშროება. თუ ვინმე არ მიეხმარა ამაო საგნების ტყვეობიდან თავის დაღწევაში და „თავისი ზეცის“ მოპოვებაში, თვითონ ვერას დროს ვერ იპოვის „ხსნის გზას“(2, 77) -ამბობდა მონტესორი.

მასალა განვითარებისათვის საჭიროა მხოლოდ როგორც გამოსავალი წერტილი – ასეთია მონტესორის მიდგომა. მონტესორის მასალა აუცილებელი ნაწილია გარე სამყაროს იმ მრავალ საგნობრიობაში, რომელშიაც იბნევა ბავშვის ცნობიერება. უამისოდ შეუძლებელია ბავშვის ფსიქიკის სწორი ჩამოყალიბება. „მასალა მისთვის თითქოს ის კიბეა, რომელზედაც იგი თითო-თითო საფეხურით დამოუკიდებლივ ადის პროგრესისაკენ და თვითეულ საფეხურზე იმდენს ხანს ჩერდება, რამდენიც მისთვის საჭიროა შემდგომ საფეხურზე ასვლისათვის, ან კიდევ სწრაფად აბიჯებს ერთი საფეხურიდან მეორეზე. ყოველ ასეთს საფეხურს წარმოადგენენ ახალი საგნები უფრო რთული ვარჯიშობისათვის, რომელთაც მას შემთხვევით ვერ მიაწვდი, არამედ წინდაწინვე გამოცდილებით უნდა იყოს განსაზღვრული. ის ბავშვები, ვინც ჯერ კიდევ მონტესორის საბავშვო ბაღში შეუდგნენ თვითაღზრდის გზას, სკოლაში გადასვლისას განსაკუთრებულ „მგრძნობიერობას“ იჩენენ თავისი საკუთარი შინაგანი სურვილების მიმართ: ისინი გარკვევით თხოულობენ და თვითონვე აღნიშნავენ თავის გარე მოთხოვნილებას. სწორედ ისევე, როგორც ფიზიოლოგიური მოთხოვნილება გარკვეულად განსაზღვრავს შიმშილს, წყურვილსა ან ძილს, ერთი ბავშვი მოითხოვს კითხვას, მეორე არითმეტიკულ ვარჯიშობას, მესამე ბუნებაზე დაკვირვებას და სხვ. ეს მოთხოვნანი გამოითქმება ცხადი და ინტენსიური სურვილის სახით, რომელზედაც მასწავლებელი ძალაუნებურად უნდა „გამოეხმაუროს“ ზედმიწევნითი და თვითაღზრდის გაღიზიანებისათვის. მათსა და ეგრეთწოდებულ ჩვეულებრივი მეთოდების თვალსაჩინო მასალას

შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ჩვეულებრივი სკოლის თვალსაჩინო მასალა მასწავლებლისათვის დამხმარე მასალაა, რომ კლასის კოლექტივს, რომელიც მას პასიურად უსმენს, საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს. მის შემწეობით თითოეული საგანი მხოლოდ ერთ ცალად ეძლევა და არჩეულია მასწავლებლის მიერ, სწორად დაყენებულ სკოლაში კი დამხმარე მასალა თვითაღზრდას უნდა იწვევდეს და საბავშვო ბაღის მასალასავით გამოცდილებით უნდა იყოვს განსაზღვრული და შემოღებული ბავშის ფსიქიური განვითარების მიხედვით"(2, 78). ამიტომაც, სასკოლო მასალა კარგად უნდა დამუშავდეს, ბავშვებს რომ შეეძლოთ თვითსწავლა და თვითაღზრდა, როგორც ეს საბავშვო ბაღშია, მონტესორი საჭიროდ ცნობს ყოველ ცალკე დარგის, მაგალითად არითმეტიკის, გრამატიკის, გეომეტრიის, საბუნებისმეტყველო საგნების, მუსიკის, ლიტერატურის სპეციალისტების შეთანხმებულ მუშაობას. თითოეული ეს დარგი წარმოდგენილ უნდა იქნეს კარგად და სისტემატურად დამუშავებული და მიეცეს ბავშვებს განკარგულებაში დამოუკიდებელი ვარჯიშობისათვის, მათი საკუთარი არჩევანის გათვალისწინებით.

დიდაქტიკური მასალა უმუშავებს ბავშვს სიზუსტეს, მეთოდურობას და სრულყოფას შრომითი პროცესების შესრულებაში. ბავშვი მკვეთრად გამოჰყოფს ცალ-ცალკე ეტაპებს, შეისწავლის და აქცევს მათ ერთ მთლიან შრომით პროცესად, რომელსაც აქვს კონკრეტული მიზანი.

როგორც ცნობილია, მონტესორის მასალაში გამოყოფილია ზომა, ფორმა, ფერები. ეს ელემენტები გაზომილია მათემატიკური სიზუსტით. გარდა ამისა, მასალას თან სდევს შეცდომათა კონტროლიც. ეს კონტროლი ნაწილობრივად მექანიკურია, როგორც მაგალითად, ცილინდრიან ძელებში ან გეომეტრიულ ჩასაწყობებში. ნაწილობრივად კი ეს კონტროლი ფსიქოლოგიურია, მაგალითად, მონტესორის „ფერადი ფირფიტები", რომლებიც იძლევიან ესთეტიურ გამას მხოლოდ განსაზღვრულ თანმიმდევრობაში და სხვ. მასალა საკმაოდ ლამაზია.

მასალის გარდა, მთავარი ადგილი უჭირავს ე.წ. „მეოჯახეობას". ის საუკეთესო გზაა მოძრაობათა კოორდინაციის შემუშავებისათვის და აგრეთვე ნებისყოფის განსავითარებლად და აღსაზრდელად. ამ ვარჯიშობებს თვალსაჩინო ადგილი და საკმაო დრო ჰქონდა დათმობილი მონტესორის „ბავშვთა სახლში". აქ შედიოდა ვარჯიში სისუფთავეში, ოთახებისა და დიდაქტიური მასალის დალაგებაში, სუფრის გაშლაში, მცენარეების მოვლაში, საჭმლის სუფრაზე მიტანაში, ჩაის დასხმაში, ჭურჭლის დარეცხვაში, რეცხვაში, ბაღის მოვლაში, ვარჯიში ზრდილობაში და სხვა. ყველაფერი ეს თითქოს თამაშით და ხუმრობით, სრულიად შეუმჩნევლად ბავშვებს ასწავლის სხვის დაუხმარებლად საოჯახო საქმიანობას და აგრეთვე დახვეწილ მანერებს.

ჩვეულებრივი „მეოჯახეობითი" ვარჯიშის დროს ბავშვები ივითარებენ არა მარტო ყურადღებას ნივთების მიმართ, მოხერხებულად მათ გამოყენებას, არამედ მეგობრებისადმი ყურადღებით მოპყრობას: უფროსები უმცროსებს ეხმარებიან, ახსოვთ, თუ როგორ უნდა გაუნაწილონ სადილი, დაეხმარონ ჩაცმაში, გახდაში და სხვ.

ამრიგად, დღეს წარმოებაშია მონტესორი-მასალები, რომლებიც იძლევა შეცდომების კორექტირებისა და კონტროლის საშუალებას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თამაშები – თავსატეხი ფიგურა ჩანართებით, სურათები – ფაზლები, ყველასათვის ცნობილი „მატრიოშკები", ასევე ახალი ციკლი მასალებისა, რომელსაც ამზადებს ჰოლანდიური ფირმა, „მონტესორი ნიენჰაუს ჯგუფი". ეს ფირმა 1920 წლიდან ეწევა კლასიკური მონტესორი-მასალების გამოშვებას და მასზე აქვს მონტესორი საერთაშორისო ასოციაციის ნებართვა. ახალი მასალები კატალოგებში შევიდა 1990 წლიდან. რა თქმა უნდა, ისინი ვერ ფლობენ იზოლირების თვისებებს და წარმოადგენენ „მატერიალიზებულ აბსტრაქციას", მაგრამ მათში

შენარჩუნებულია ავტოდიდაქტიზმის პრინციპი, ისინი ავთენტურია და მათთან შეიძლება მრავალფეროვანი საქმიანობა. ამასთან, კლასიკურმა მასალამ ჯერ კიდევ არ ამოწურა თავისი შესაძლებლობები. მიმდინარეობს გამოყენების სფეროს გაფართოების მცდელობები. ძალიან მნიშვნელოვანია მიუნჰენის ლ. ჰეფელსის მონტესორი – სკოლის მათემატიკაში „პროცენტის" გაგებაში გამოყენებული მათემატიკური „ოქროს მასალა". შემუშავებულ იქნა მონტესორი – მათემატიკური მასალების გამოყენების ახალი ხერხები. მათი საშუალებით შეიძლება ბავშვებს გავაგებინოთ მარტივი ცნებები, „არც ერთი – ერთი – ბევრი", „მეტი – ნაკლები – ტოლი". ასევე უფრო რთული – „მრავალი," „ფუნქცია", ასევე არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიები, ნატურალური რიცხვები... და სხვა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მონტესორი მ., ჩემი მეთოდი: დაწყებითი განათლება, თარგმანი ლ. კუხიანიძის, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი", 2014.
2. ფაუსეკი ი., მონტესორის სისტემა, სკოლის ასაკამდე აღზრდა, 1926.
3. Монтессори М., Сомовоспитание и сомообучение в начальнои школе, М., 1993.
4. Сорокова М. Г., Система М. Монтессори -Теориа и практика, М., 2003.

**ლერი ნოზაძე**
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი
**Leri Nozadze**
International Teaching University of Georgia
Associate Professor

## ნაბიჯი წინ, ინფორმაციულ ეპოქაში
## Step Forward, to Informative Epoch

**რეზიუმე:** მეცნიერების განვითარება ეყრდნობა ორ მიდგომას, რომელიც, ერთი მხრივ, გამოიხატება ცნობისმოყვარეობის მართვაში, ხოლო მეორე მხრივ, მართვის საჭიროებაში. ეს ორი რამ ზოგჯერ მოულოდნელად ზემოქმედებს ერთმანეთზე. ისინი, ვისაც ეს გააჩნია, მიიღებენ მონაწილეობას მეცნიერების გარდაქმნაში, ვისაც ეს გააჩნია, გახდება არარელევანტური. თუ საინფორმაციო ინფრასტრუქტურის საჯარო მხარდაჭერა იქნება არასაკმარისი, პრაქტიკულად მხოლოდ ზოგიერთი ტიპის კვლევის ჩატარება იქნება შესაძლებელი. ყველანაირი სამეცნიერო და ტექნოლოგიური გამოგონების და აღმოჩენის მიღმა არსებობს ორი ძირითადი მოტივაცია, ადამიანის თანდაყოლილი სურვილი, რომ იცხოვროს მინიმალური აქტივობის პრინციპით და ადამიანის თანდაყოლილი სურვილი, რომ იყოს ისეთივე შემოქმედი, როგორიცაა ბუნება, რისთვისაც ისინი ცდილობენ ახსნან არსებული და შესაძლო ბუნებრივი მოვლენების მამოძრავებელი ძალები. ყველა აღმოჩენა ცეცხლიდან კომპიუტერამდე ექვემდებარება მინიმალური აქტივობის პრინციპს.

**Abstract:** The development of science is based on two approaches, which on the one hand is expressed in curiosity management, and in the need for management – on the other. These sometimes suddenly impact each other.Those with access will participate in the transformation of science; those without may become

irrelevant. If public support forinformation infrastructure is inadequate, some types of research may only be possible in the practic. The basic motivations behind all scientific and technological inventions and discoveries are Two, man's inherent desire to live with the principle of least action and man's inherentdesire to be a master like nature for which they quest for to know what are there in nature'sactions and designs. All the discoveries from the fires to computers conform to the going withthe principle of least actions.

ყოველი მომდევნო თაობა წინასაგან არა მარტო ცხოვრების წესით, არამედ მსოფლმხედველობითაც გამოირჩევა. ამაში გასაკვირი არაფერია. ჩვენს გარშემო მუდმივად იცვლება მსოფლიო. ჩნდება ახალი ტექნოლოგიები, რომელიც ცვლის ჩვენი ცხოვრების წესს და გვაძლევს შეუზღუდავ შესაძლებლობებს საინფორმაციოდ და საკომუნიკაციოდ. რას ნიშნავს, რომ იყო თანამედროვე ადამიანი? ბევრი მიიჩნევს, რომ ამ ცნებას მჭიდრო კავშირი აქვს ჩაცმულობასთან, ახალ მანქანასთან, საყოფაცხოვრებო ნივთებთან.... რა თქმა უნდა, თავისი ხიბლი აქვს უახლეს კოლექციას და ელეგანტურ თმის ვარცხნილობას. ასეთები ყოველთვის ყურადღებას იპყრობენ. მაგრამ, კეთილად მოპყრობა ახლავს – ჩაცმულობას და პატივსცემა – გონებას!

იგრძნოთ თავი თანამედროვე ადამიანად, – ეს ნიშნავს, გქონდეს ჩამოყალიბებული პოზიტიური აზროვნება და სულიერი სამყარო, ადამიანებს მოუტანო სიკეთე და ფეხი აუწყო ლამაზ ცხოვრებას. ეს მხოლოდ სწავლითა და საკუთარ თავზე დაუღალავი შრომით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით განუზომელია თანამედროვე ტექნოლოგიების როლი და სარგებლიანობა. გქონდეს მიზანმიმართული სურვილი ამაღლებისა, ნიშნავს, რომ იყო თანამედროვე ადამიანი.

**თემის შინაარსი**

დღეისათვის შეუძლებელია ჩვენი ცხოვრების წარმოდგენა კომპიუტერული ტექნოლოგიების გარეშე. ისინი მძლავრად იჭრებიან ადამიანთა ცხოვრებაში და ამარტივებენ მას. ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების წყალობით ხელმისაწვდომი ხდება მრავალი ინსტრუმენტი, რომელიც ჩვეულებრივ პროცესებს უფრო სწრაფს, მოხერხებულსა და იაფს ხდის. წინ დიდი ინოვაციები გველოდება. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს ინტერნეტის გეოგრაფიული არის გაფართოება. განვითარების ტენდენციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2020 წლისათვის ის შეაღწევს როგორც მსოფლიოს ყველაზე დაშორებულ წერტილებში, ასევე დაამკვიდრებს გაცილებით ბევრ საბაზო ენას, განსხვავებულს ჩვეულებრივი კოდირების ASCII(American Standard Code for Information Interchange) სისტემისაგან. კომპიუტერულ ტექნოლოგიებში დგება პროგრამული უზრუნველყოფის ეპოქა. პროგრამული უზრუნველყოფის ინდუსტრია სწრაფი ტემპით ვითარდება. 2010 წელს, Soft-ის წლიური ზრდის ტემპი 6% იყო და ბაზრის მოცულობა 365 მლრდ დოლარი, რომელშიც მეოთხედი ბიზნეს-დანართებზე მოდიოდა. 2020 წლისათვის პროგნოზირებულია ზრდის ამ ტემპის კიდევ 2.1%-ით მატება უპირატესად პროგრამული უზრუნველყოფისა და პერიფერიული მოწყობილებების (პრინტერი, სკანერი...) ხარჯზე (1).

XXI საუკუნე უკაბელო ტექნლოგიების საუკუნეა. მხოლოდ ერთ წელიწადში მობილური ფართოშრიანი წვდომის (3G (Third generation of mobile telecommunications technology), WIMAX(Worldwide Interoperability for Microwave Access) და სხვა მონაცემთა, (გადაცემის მაღალსიჩქარული ტექნოლოგიები) აბონენტთა რიცხვი 85%-ით გაიზარდა. ამ სიკეთით დღეისათვის მსოფლიოში 2,5 მლრდ მომხმარებელი სარგებლობს (1). იზრდება მონაცემთა გადაცემის სიჩქარე და გამტარიანობა. დღეისათვის კარგი კომპიუტერების მონაცემთა გადაცემის სიჩქარე წამში 40 გიგაბაიტს შეადგენს. მაგალითისთვის, ლ. ტოლსტოის „ომი და

მშვიდობის“ ოთხტომეულის მოცულობა 40 მეგაბაიტის რიგისაა, ანუ 1000-ჯერ მცირე. ასე რომ, მისი გადაცემისთვის 1 მიკრო-წამზე მცირე დრო გახდა საჭირო. უახლოეს მომავალში უკვე ასეთი მონაცემების გადაცემა სინათლის სიჩქარითაც გახდება შესაძლებელი.

ეპოქა მიდის „სემანტიკური ინტერნეტის“ მხარეს. აქ ინფორმაციას ენიჭება ზუსტად განსაზღვრული აზრი, რაც კომპიუტერს შესაძლებლობას აძლევს „გაიგოს“ და დაამუშაოს ის სემანტიკურ დონეზე, ნიშნების დონეზე. ისინი ითვლიან და ამუშავებენ ინფორმაციას გარეგნული ნიშნებით. „სემანტიკური ობობა“, როგორც ტერმინი, (ჟ. “Scientific American“) ამ ქსელის ერთ-ერთი დამაარსებლის, ტიმ ბერნერს-ლის მიერ არის შემოტანილი. ახალი ტექნოლოგიების განვითარების წყალობით შეიძლება კომპიუტერული ქსელით გადაეცეს წარმოუდგენელი რამ: მაგალითად, – სუნი. კომპიუტერი აანალიზებს ჰაერის მოლეკულურ შემადგენლობას ერთ წერტილში და ამ მონაცემებს გადასცემს ქსელს. ქსელის მეორე წერტილში ეს მოლეკულური შემადგენლობა, ანუ სუნი, – სინთეზირდება. ასეთი მოწყობილობის პროტოტიპი უკვე გამოუშვა ამერიკულმა კომპანიამ Mint Foundry, სახელწოდებით Olly. უახლოეს პერიოდში ამ შესაძლებლობებით ყოველდღიურ ცხოვრებაში ვისარგებლებთ (2).

კომპიუტერული ქსელების ახალი არქიტექტურით დგება „ინტერნეტ-ნივთების“ ერა. ნივთებისა და ობიექტების ურთიერთზემოქმედება განხორციელდება ქსელით, რაც ფართო შესაძლებლობებს გახსნის ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში. ერთ-ერთი უახლესი დამუშავებებიდან არის ე.წ. „გონიერი მტვერი“ – ინფორმაციის შემკრები გადამცემები უზარმაზარ ტერიტორიებზე. ესაა პატარა ციფრული სენსორები, რომლებიც მთელს დედამიწაზე იქნება გაბნეული, ყველა სახის ინფორმაციას შეაგროვებს და მძლავრ კომპიუტერებს გადასცემს შესასწავლად, რითაც ფიზიკური სამყაროს ახალი საშუალებებით შესწავლა გახდება შესაძლებელი. ერთ დროს ეს დამაინტრიგებელი ხედვა ფანტასტიკური ლიტერატურიდან გადმოღებული ჩანდა. რა თქმა უნდა, „გონიერ მტვერამდე“ ჯერაც დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ სპეციალისტები ამბობენ, რომ ზომით უფრო მცირე, უფრო სწრაფ და იაფ ტექნოლოგიებზე მუშაობა უკვე იმ დონემდეა მისული, რომ სენსორები სიმძლავრით შეიძლება კომპიუტერებს გაუტოლდნენ. აშშ-ს ეროვნული სამეცნიერო ფონდი პროგნოზირებს, რომ მილიარდობით გადამცემი შენობებზე, ხიდებზე, გზებზე შეიძლება ჩართულ იქნეს ინტერნეტში ისეთი მიზნებისათვის, როგორიცაა ელექტრული ენერგიის გამოყენების მონიტორინგი, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ. „ჭკვიანი ინტერნეტი“ სოციალურ ქსელს აქცევს „სოციალურ მედია-სისტემად“. თუ შენობებში დაყენდება კამერები და გადამცემები, უნივერსიტეტიდან, თეატრიდან შეძლებთ ჩართოთ სარეცხი მანქანა სასურველი პროგრამით ან ოქროს თევზი გამოკვებოთ (4).

გამოთვლით ტექნოლოგიებში დღეისათვის აქტუალური პრობლემაა კომპიუტერული აზროვნების შექმნა(გენერაცია), ადამიანის ტვინის კომპიუტერულ აზროვნებასთან შეერთება. ექსპერტების შეფასებით, პირველი „ზეკაცი“, კიბერ-ორგანიზმი 2030 წლამდე მოგვევლინება, როგორც ფიზიკურად სრულყოფილი, ავადმყოფობებისადმი, რადიაციასა და ექსტრემალურ ტემპერატურისადმი მდგრადი და ამასთან, ადამიანის ტვინის მქონე ფენომენი.

ინფორმაციული ტექნოლოგიები უფრო და უფრო „მწვანდება“ – ქსელურ ტექნოლოგიებს დიდი ენერგია ესაჭიროება. მისი მოცულობა იზრდება და ექსპერტები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ კომპიუტერული ქსელების მომავალი არქიტექტურა უფრო ენერგოეფექტური უნდა გახდეს. ბერკლის უნივერსიტეტის ლორენსის ეროვნული აკადემიის მონაცემებით, გლობალური ქსელების მიერ გამოყენებული ენერგიის რაოდენობა გაორმაგდა 2000–2006 წლების პერიოდთან შედარებით. ინტერნეტი მოიხმარს მსოფლიო ელექტროენერგიის მოხმარების 2%-ს, რაც 30 ატომური ელექტროსადგურის სიმძლავრის – 30 მლრდ ვატის –

ეკვივალენტურია. ლოგიკურია, რომ ინტერნეტის ქსელის“ გამწვანების“ ანუ „ეკოლოგიზაციის“ ტენდენცია უნდა დაჩქარდეს ენერგომატარებლების ფასის ზრდასთან შესაბამისად (3).

ინფორმაციული ტექნოლოგიების, კომპიუტერული ქსელების, ინტერნეტის განვითარებას აქვს მედლის მეორე მხარეც. კიბერ-დანაშაულებებიდან დაწყებული, რაც დაკავშირებულია ინტერნეტში ელექტრონული კომერციის ზრდასთან, – დამთავრებული კიბერ-ომებით. კიბერ-სივრცე უკვე ოფიციალურად არის აღიარებული მეხუთე „ბრძოლის ველად“ (ისევე როგორც გვალვა, ზღვა, საჰაერო სივრცე და კოსმოსი). აშშ სამხედრო – საზღვაო ძალებმა 2010 წელს CyberFor (Cyber Forces – the type commander for the U.S. Navy's global cyber workforce)-კიბერ-არმიაც კი შექმნეს, უშუალოდ აშშ-ს შეიარაღებული ძალების დაქვემდებარებაში. დღეისათვის, ჰაკერების ვირუსული თავდასხმების ქვეშ ექცევა არა მარტო რიგითი მომხმარებლების პერსინალური კომპიუტერები, არამედ სამრეწველო სისტემებიც, რომლებიც ავტომატიზირე-ბულ საწარმოო პროცესებს მართავენ. მავნე Stuxnet (A malicious computer worm believed to be a jointly built American-Israeli cyber weapon) ჭია შეიძლება როგორც ჯაშუშად, ასევე, ელექტროსად-გურებზე, აეროპორტებზე და სხვა სასიცოცხლო ადგილებზე დივერსიისათვის გამოიყენონ.

ეროვნული უშიშროების პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია განვითარებადი ქვეყნების დღის წესრიგში. კომპიუტერული ქსელების თანამედროვე არქიტექტურას მაღალი უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ შეუძლია. ამიტომ, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ანტივირუსული/ვებ-დაცვის ტექნოლოგიის განვითარება და კიდევ სხვა ახალი ტექნოლოგიების დამუშავება ყოველ მიზეზგარეშე უნდა გაძლიერდეს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტენდენციის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ახალი, უფრო მოქნილი არქიტექტურის კომპიუტერული ქსელის საფუძველზე. ესაა ინფორმაციული ტექნოლოგიების მთელი სამეცნიერო სივრცის №1 საკითხი. ამ მხრივ, დღეისათვის ყველაზე პერსპექტიულად პროგრამულ/კონფიგურაციული ქსელის ტექნოლოგია SDN (softwere defined network) ითვლება. სტენფორდისა და ბერკლის უნივერსიტეტების თანამშრომლობით დამუშავებულია აგრეთვე ახალი PKC (Public Key Cryptography) ალგორითმი და OpenFlow ( The first standard communications interface defined between the control and forwarding layers of an SDN architecture). პროტოკოლი, რომლის უმთავრესი ღირებულება ისაა, რომ საშუალებას იძლევა გამოირიცხოს ქსელის ე.წ. „ხელით მართვა“, რადგან ეს PKC-არქიტექტურა მართვისა და მონაცემთა გადაცემის პროცესებს ერთმანეთისაგან ანცალკევებს. ეს კი კოლოსალურ შესაძლებლობებს ხსნის ინტერნეტ-ტექნოლოგიის განვითარებისათვის, იმით, რომ არაფერში აღარ გვზღუდავს, მიიჩნევს რა პირველხარისხოვნად პროგრამულ უზრუნველყოფას (4).

ამრიგად, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა თანმიმდევრულ და მდგრად მისწრაფებას ავლენს გლობალური ინფორმაციული საზოგადოების მთავარი მიზნისაკენ, რაც ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებაში მდგომარეობს. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული რესურსების ფორმირების გზით, არსებითად, ყალიბდება ახალი კულტურა, ახალი ეპოქა. მაგრამ ამასთან, ჩნდება პრობლემა, რომელიც განვითარების სტიქიურობასა და ურთიერთდამოკიდებულობის სისუსტეში გამოიხატება და განვითარებას აფერხებს.

ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, ფაქტობრივად, კაცობრი-ობა ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში საუბრობს ისეთი პროგრესის შესახებ, რომელიც თავა-დაც უკვირს, მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ასეთი სწრაფი პროგრესიც კი არ არის საკმარისი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Кирисов С.В. Теория и практика применения процессного подхода к управлению качеством деятельности организации. – Тамбов: Изд. ТГТУ, 2009.

2. .John H. Marburger III Science, technology and innovation in a 21st century context ; Springer Science+Business Media, LLC. 2011.
3. Taleb, N. N. The impact of the highly improbable. New York: Random House. 2007.
4. C.T. Bhunia, "Introduction to Knowledge Management", Everest Publishing House, Pune, 2003.
5. http://www.esp.org/rjr/self.pdf
6. Онлайн-библиотека успешного бизнесмена. – http://club-energy.ru
7. http://te-ex.ru/dictionary/elektronnyy-ofis-i-virtualnyy-ofis/ Сайт посвященный информационным технологиям/
8. http://www.fvn2009.narod.ru/Manuscripts/Information–systems.htm

**ლევან იმნაიშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
პროფესორი
**თეა თოდუა**
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი,
მოწვეული პედაგოგი
**ლაშა შონია**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
მაგისტრი
**Levan Imnaishvili**
Georgian Technical University,
Professor
**Tea Todua**
International Teaching University of Georgia,
Invited Teacher
**Lasha Shonia**
Georgian Technical University
Master

## ჭკვიანი საუნივერსიტეტო საინფორმაციო კიოსკი
## University Smart Information Kiosk

**რეზიუმე:** ბოლო პერიოდში, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განათლების სისტემაში გამოყენება. იმ ინფორმაციის მიღება, რისთვისაც სტუდენტს დეკანატთან რიგში უწევს დგომა, ან სტუდენტებსა და უნივერსიტეტის პერსონალს ნაბეჭდი სახით (მაგ. განცხადებების დაფა, სტენდი და ა.შ) მიეწოდება, შესაძლებელია საგრძნობლად გამარტივდეს სპეციალიზებული საინფორმაციო სისტემის ე.წ. საინფორმაციო კიოსკების შექმნის გზით.

**Abstract:** In recent years, the use of information and communication technologies in the education system is becoming more and more relevant. Getting the information for which the student has to be in queue at the Dean's office, or which is given to the students and the university staff in a printed form

(i.e., the application board, stand, etc.), can be significantly simplified by creating the specialized information system – so-called information kiosk.

## I. შესავალი

პირველი საინფორმაციო კიოსკი შეიქმნა 1977 წელს, ილინოისის უნივერსიტეტში, ამავე უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ. მასში გამოყენებული იყო კომპიუტერული სისტემა PLATO და მისი რეალიზაცია ხდებოდა მგრძნობიარე, პლაზმური ეკრანის მეშვეობით. კიოსკი საშუალებას აძლევდა სტუდენტებსა და ვიზიტორებს მარტივად მიეღოთ ინფორმაცია ფილმებზე, რუკებზე, სამარშრუტო მოძრაობის განრიგზე, ავტობუსების გაჩერებებზე და ა.შ. ექვსკვირიანი სტატისტიკური ანალიზის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საინფორმაციო ტერმინალით ისარგებლა 30000-ზე მეტმა ადამიანმა, რომელთა შორისაც იყვნენ როგორც სტუდენტები, ასევე პედაგოგები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრები და ვიზიტორებიც.

1985 წელს საინფორმაციო კიოსკების პირველი წარმატებული ქსელი კომერციული თვალსაზრისითაც იქნა გამოყენებული. ქსელი შედგებოდა 600 კიოსკისაგან, მართვა ხდებოდა ცენტრალიზებული სისტემის საშუალებით. საინფორმაციო კიოსკებში განთავსებული იყო სხვადასხვა სახის პროდუქციის რეკლამა, შესაძლებელი იყო როგორც ტექსტური, ასევე გრაფიკული ინფორმაციის სახით მომხმარებლის ინფორმირება. მას შეეძლო დაეთვალიერებინა პროდუქტი, რომლის რეალიზაციაც არ ხდებოდა სავაჭრო მაღაზიებში, შეერჩია სასურველი ფერი, ზომა და სხვა სპეციფიური მახასიათებლები. შეკვეთიდან 1 დღის შემდეგ, კურიერის დახმარებით, ხდებოდა პროდუქტის მიტანა მომხმარებლამდე. 2007 წელს, კომპანია imperial multimedia-მ, დაიწყო საინფორმაციო კიოსკების გლობალური წარმოება. ამ კომპანიამ 5000-მდე კიოსკი განათავსა ვირჯინიის შტატში, მომხმარებელს შეეძლო სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღება. მაგალითად, ინფორმაცია შტატში არსებული სამედიცინო დაწესებულებების, სამთავრობო შენობებისა და მათი დაარსების ისტორიის, რუკების შესახებ და ა.შ.

დღეისათვის დიდი ზომის LED საინფორმაციო დაფები, მითითებები და სხვადასხვა სახის საგზაო ნიშნები ხშირად გვხვდება მაგისტრალებზე, გზაჯვარედინებზე, ავტობუსის გაჩერებებზე, აეროპორტებსა და ისეთ მნიშვნელოვან ადგილებში, სადაც საგზაო და ტურისტული ინფორმაციის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. LED მონიტორები გამოიყენება, როგორც საინფორმაციო, ასევე სარეკლამო სახით.



სურ. 1. ინტერაქტიული კიოსკი

## II. საინფორმაციო კიოსკების ტიპები

### A. *ტელეკიოსკი*

ტელეკიოსკი შეიძლება ჩაითვალოს სატელეფონო ჯიხურების ტექნიკურ მემკვიდრედ, მისი გამოყენება შესაძლებელია კომუნიკაციისათვის და შესაძლებლობას იძლევა მომხმარებელმა გააგზავნოს ელ.ფოსტა, ფაქსი, მოკლე ტექსტური შეტყობინება (sms).

ტელეკიოსკების აქტიური გამოყენება დაიწყო დიდ ბრიტანეთში, XXI საუკუნის პირველ ნახევარში, იმავდროულად იყო შემთხვევები როცა ტელეკიოსკები გამოიყენებოდა სხვადასხვა სახით, სავაჭრო ცენტრებში, სატრანსპორტო სადგურებში, აეროპორტებში. მომხმარებელს შესაძლებლობა ჰქონდა უმოკლეს დროში მიეღო საჯარო ინფორმაცია, რომელიც ტერმინალებში ლოკალურად იყო ჩატვირთული (1).

ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირმა ხელი შეუწყო ტელეკიოსკების გამოყენებას აფრიკისა და აზიის ქვეყნებშიც, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას არ ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიებით. პროექტის ფარგლებში ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცათ დაემყარებინათ საერთაშორისო კომუნიკაცია.

### B. *ფინანსური სერვისების კიოსკი*

ფინანსური მომსახურების კიოსკი მომხმარებელს საშუალებას აძლევს ბანკში მიუსვლელად შეასრულოს საბანკო ოპერაციები, მაგ.: გადარიცხვები, ამონაწერები, საბანკო ანგარიშის შემოწმება და ა.შ. სისტემა დაინერგა 1990-იან წლებში. ახალი მულტიფუნქციური მოწყობილობა განთავსებულ იქნა "c-store"-ს მიერ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტსა და მაღაზიაში (1).

2010 წელს გამოჩნდა ფინანსური სერვისების კიოსკის ახალი მოდელი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი იყო მობილური ტელეფონებით საბანკო ოპერაციების განხორციელება.

### C. *ფოტო კიოსკი*

ინტერაქციული ფოტო კიოსკი მომხმარებლებს სხვადასხვა ზომისა და ხარისხის ციფრული სურათების დაბეჭდვის საშუალებას აძლევს. „კოდაკი" იყო პირველი, რომელმაც განახორციელა ეს პროექტი და 100 000 ფოტოკიოსკი განათავსა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

### D. *ინტერნეტ კიოსკი*

ინტერნეტკიოსკი არის ტერმინალი, რომელიც მომხმარებელს ინტერნეტით სარგებლობის საშუალებას აძლევს. ის ხშირად გვხვდება სასტუმროს მისაღებში, სამედიცინო პუნქტების მოსაცდელებში, სხვადასხვა ოფისებსა თუ აეროპორტებში რათა მომხმარებლებმა შეძლონ ელექტრონული ფოსტის შემოწმება, ვებგვერდების დათვალიერება და მათთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება. ხშირ შემთხვევაში, ტერმინალებზე მიმაგრებულია მოწყობილობა, რომლითაც მომხმარებელს შეუძლია გადაიხადოს ინტერნეტით სარგებლობის საფასური როგორც პლასტიკური ბარათით, ასევე ნაღდი ანგარიშსწორების გზით.

### E. *ბილეთების კიოსკი*

მრავალ გასართობ პარკში ხშირად შეხვდებით ბილეთების ელექტონულ კიოსკს. მაგალითად, დისნეის პარკში არსებობს გარე გამოყენების ბილეთების კიოსკი. მისი საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ბილეთის საფასურის გადახდის შემდეგ შეიძინოს სასურველი ატრაქციონისა თუ სხვა გასართობი ღონისძიების ბილეთი.

მსოფლიოს ბევრ კინოთეატრს გააჩნია სპეციალური ბილეთების კიოსკი, რომელიც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს დაჯავშნოს ან იყიდოს მისთვის სასურველი სეანსის ბილეთი. ანგარიშსწორება ხდება საბანკო ან ნაღდი გადახდით. კინოთეატრებს ამ სახის მომსახურებას სთავაზობენ კომპანია “Fujitsu” და “Radiant“ (1).

*E. სარესტორნო კიოსკი*

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში აქტიურად იყენებენ სარესტორნო კიოსკს, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს პლანშეტური კომპიუტერის მეშვეობით შეარჩიოს სასურველი კერძი, შეუკვეთოს ის და მიიღოს ინფორმაცია შეკვეთის დასამზადებლად საჭირო სავარაუდო დროის შესახებ. სურვილის შემთხვევაში, მომხმარებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სხვადასხვა გასართობი თუ ინტელექტუალური თამაშით.

## III. ჭკვიანი საინფორმაციო სისტემის არქიტექტურა

ჭკვიანი საინფორმაციო სისტემა უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს საშუალებას მისცემს მიიღონ მათთვის საინტერესო სხვადასხვა სახის ინფორმაცია (2)(3). სისტემის ფიზიკური რეალიზაცია ხდება საინფორმაციო კიოსკების (ტერმინალების) სახით, რომელიც შედგება შემდეგი აპარატურული და პროგრამული კომპონენტებისაგან:

- სისტემური ბლოკი
- LCD touch მონიტორი
- ბრაუზერი
- ვებ სერვერი
- მონაცემთა ბაზა
- ვებ აპლიკაცია

ტერმინალი განთავსდება უნივერსიტეტის ფოიესა და დერეფნებში. ამ ტიპის საინფორმაციო სისტემა გაზრდის სტუდენტების ინფორმირებულობის დონეს, შეამცირებს რიგებს დეკანატებთან, სტუდენტები შეძლებენ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მიღებას სწრაფად და მარტივად, დროის ნებისმიერ მომენტში.

მონიტორი არის სენსორული, ხოლო კორპუსი, როგორც წესი, დამზადებულია ფოლადისგან. სისტემა ვიზუალურად შესაძლოა გამოიყურებოდეს ასე:



სურ. 2. ჭკვიანი საინფორმაციო ტერმინალი

სისტემა აგებულია კლიენტ-სერვერული არქიტექტურის პრინციპების საფუძველზე (სურ. 3).




სურ. 3. სისტემის არქიტექტურა

საინფორმაციო სისტემაში ჩაიტვირთება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ეს შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ისტორია, სასწავლო კორპუსის გეგმა (აუდიტორიების, ლაბორატორიების განლაგება და ა.შ.), ბმულები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ტექნოპარკის, საქპატენტის, სტარტაპ საქართველოსა და სხვა მსგავსი ტიპის ვებ გვერდებზე, პედაგოგების ცხრილი, აკადემიური ჯგუფების ცხრილი.

მომხმარებელი შეძლებს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული ელექტრონული სახელმძღვანელოებისა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ქსელში ხელმისაწვდომი ელექტრონული რესურსების დათვალიერებას. საინფორმაციო სისტემაში განთავსებული იქნება ასევე ინფორმაცია აკადემიურ ჯგუფებზე (სტუდენტების სია), თანამშრომლებზე (კონსულტაციის დრო, საკონტაქტო ინფორმაცია) და კურსდამთავრებულებზე. მონიტორზე თვალსაჩინო ადგილას გამოჩნდება განცხადებებისა და სიახლეების განყოფილება, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, სადოქტორო და სამაგისტრო თემატიკისა და სტუდენტური პროექტების შესახებ.

თუ სისტემასთან არავინ მუშაობს, ის ავტომატურად გადადის საწყის გვერდზე (ბოლო გადასვლიდან 1 წუთში), საწყის გვერდზე გამოჩნდება უნივერსიტეტის ლოგო, მიმდინარე თარიღი და დრო, მიმდინარე აკადემიური საათის ნომერი ან მიმდინარე შესვენება. ამ და სხვა ნებისმიერ გვერდზე, რომელზეც მომხმარებელი გადავა სისტემასთან მუშაობის დროს, აუცილებლად გამოჩნდება ბმულები იმ ვებ გვერდებზე (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ტექნოპარკი, საქპატენტი, სტარტაპ საქართველო, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და ა.შ.), რომლებზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

სიახლეების გვერდზე იქნება ძირითადად ინფორმაცია საუნივერსიტეტო ღონისძიებებზე, სტუდენტურ ცხოვრებაზე, კონფერენციებზე და ა.შ.

სისტემაში ასევე გათვალისწინებულ იქნება გარკვეული უკუკავშირის არსებობა მომხმარებლებსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შორის. შესაძლებელია, დაემატოს მოდული „წერილი რექტორს“.

## IV. საინფორმაციო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა

სისტემა აგებულია სტანდარტულ Linux ვებ სერვერზე, ქვემოთ ჩამოთვლილია და აღწერილია ის ტექნოლოგიები და მეთოდოლოგია, რომლებსაც პროექტის განხორციელებლად ვიყენებთ.

- Apache web server
- MySQL მონაცემთა ბაზა
- დაპროგრამების ენა: PHP
- PHP Framework : Codeigniter

ვებ ინტერფეისის შესაქმნელად გამოყენებულია სხვადასხვა ბიბლიოთეკა:

- Bootstrap
- jQuery
- jQuery UI

სისტემას გააჩნია სამართავი პანელი, სადაც მომხმარებლის ავტორიზაცია ხდება ელექტრონული ფოსტისა და პაროლის მეშვეობით. მას შემდეგ, რაც მომხმარებელი სწორად შეიტანს ზემოთ ხსენებულ მონაცემებს, მას ეძლევა წვდომა შემდეგ მოდულებზე:

- მომხმარებლების მოდული
- ბმულების მოდული
- განცხადებების მოდული
- სიახლეების მოდული




სურ. 4. სისტემის სამართავი პანელი

მომხმარებლების მოდული საშუალებას იძლევა სისტემის მართვა შესაძლებელი იყოს ერთდროულად რამდენიმე ადამიანის მხრიდან, პერსონალური ანგარიშებით. მოდულს გააჩნია მომხმარებლის წაშლისა და რედაქტირების ფუნქციაც.




სურ. 5. სისტემის მომხმარებლების მოდული

სისტემას გააჩნია ბმულების სამართავი მოდული, რომლის მეშვეობით ადმინისტრატორს მარტივად შეუძლია სხვადასხვა საგანმანათლებლო ბმულის განთავსება საინფორმაციო ტერ-მინალში, შესაძლებელია ასევე ბმულების რედაქტირება, წაშლა ან დროებით გათიშვა.




სურ.6. სისტემის ბმულების მოდული

განცხადებების მოდული საშუალებას იძლევა ადმინისტრატორის მხრიდან მოხდეს საჭირო განცხადების დამატება, მასში ჩაშენებულია ტექსტური რედაქტორი, რომელშიც შეიძლება მარტივად მოხდეს განსათავსებელი ტექსტის დაფორმატება, სურათების, ცხრილებისა და სიების ჩასმა.



სურ. 7. განცხადებების მოდული

სიახლეების მოდულის გამოყენებით, სისტემის ადმინისტრატორს შეუძლია პერიოდულად, შეუზღუდავი რაოდენობით განათავსოს სიახლეები. მოდულში შესაძლებელია სათაურის, ავტორის, წყაროსა და ტექსტის შეტანა. რის შემდეგაც ვებ აპლიკაცია ავტომატურად

ინახავს აკრეფილ ტექსტს, რაც დამატებითი დაზღვევის საშუალებას იძლევა იმ შემთხვევაში, თუ სისტემაში გაჩნდება რაიმე სახის გაუთვალისწინებელი ხარვეზი.




სურ. 8. სიახლეების მოდული

**დასკვნა**

